რამაზ ნამიჭეიშვილი

საბაზრო ეკონომიკა საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესებში

ქუთაისი
2007

ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 165 წლისთავს ვუძღვნი ამ წიგნს.
რ. ნამიჭეიშვილი

შესწავლილია ნიკო ნიკოლაძის თეორიული რეფორმატორული აზროვნებისა და პრაქტიკული—ფერმერული, მეწარმეობრივი, მენეჯერული საქმიანობის და მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპექტები, რომლებიც მთლიანობაში გვაძლევს ნიკო ნიკოლაძის განუმეორებელი ეროვნული უნიკალობის პორტრეტს, გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის განვითარების პროგრესულ გზებს ეკონომიკის ეროვნული უპირატესობების ბაზაზე ევროპულ ცივილიზაციასთან დიალოგში-"ნიკო ნიკოლაძის გზა".

მოკვლეულია მეწარმეობრივი განვითარების ტენდენციები მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის კაპიტალისტური ქუთაისის გუბერნიაში, რომლებიც მემკვიდრეობითობით განსხეულებულია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განვითარების ბაზისური ტრადიციების პლასტებში.

ნაჩვენებია ხელისუფლების "ინოვაციური ჯახირი" და ფუნქციები რეფორმაციულ პროცესებში და კავშირი ეროვნულ, მორალურ-ზნეობრივ პასუხისმგებლობის ფენომენებთან, მართლმადიდებლურ რელიგიურ კულტურასთან, ჩვენი ქვეყნისა და მისი ხალხის სიყვარულთან მიმართებებში, რომლის კუმულატიური შედეგები ცნობიერი ხდება საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის ხარისხობრივი ცვლილებებით.

ISBN 99940-918-5-9

„აი, ასე ვხედავ მე სამყაროს, მჯერა, რომ სამყარო ასეთია–ეცადეთ გაამჯობესოთ ჩემი მოძღვრება“.

თალესი.

მადლობას ვწირავ ჩემს მეგობარს, ქუთაისის სახელმწიფო არ-ქივის დირექტორს, მერაბ კეზევაძეს, რომელმაც პრაქტიკული დახმარება გამიწია ამ წიგნის შექმნაში.

შინაარსი

შესავალი 7

თავი პირველი. აზროვნების განახლებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ნიკო ნიკოლაძის ინტელექტუალური ანტიციპაციები

1. ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური ფენომენი 12
2. საზოგადოებრივი ტრანსფორმაციისა და ეკონომიკის რეფორმირების ნიკო ნიკოლაძის ინტერპრეტაციები 28

თავი მეორე.

მეწარმეობის განვითარება ქუთაისის გუბერნიაში 49

თავი მესამე.

საბაზრო ეკონომიკა და აზროვნების დეფიციტი 77

თავი მეოთხე.

ქართველის მობრუნება თავისთავთან ანუ Homo sapiens + Homo dei 99

დასკვნის მაგიერ 122

რეზიუმე 125

დამატება A. განათლების რეფორმის დეგრადაციის ნაპრალები 127

დამატება B. ვისი თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო ნიკო ნიკოლაძე 130

დამატება Г. პირველი წერილი მეგობარს 139

დამატება Д. მეორე წერილი მეგობარს 143

დამატება E. რა ვიცით ჩვენს შესახებ და რას ველოდებით უახლოეს მომავალში. 147

СОДЕРЖАНИЕ

Введение 7

ГЛАВА ПЕРВАЯ. ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНЫЕ АНТИЦИПАЦИИ НИКО НИКОЛАДЗЕ ОБ ОБНОВЛЕНИИ МЫШЛЕНИЯ И РАЗВИТИЯ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКИ

1. Экономический феномен Нико Николадзе 12
2. Нико Николадзе об общественной трансформации и реформирования экономики 28

ГЛАВА ВТОРАЯ.

Развитие предпринимательства в Кутаисской губернии 49

ГЛАВА ТРЕТЬЯ.

Рыночная экономика и дефицит мышления 77

ГЛАВА ЧЕТВЕРТАЯ.

Возвращение Грузина к самому себе или Homo sapiens+Homo dei 99

Вместо заключения 122

Резюме 125

Приложение А.

Деградационные отклонения реформы образования 127

Приложение В. Кому сочувствовал и какую группу единомышленников принадлежал Н. Николадзе 130

Приложение Г. Первое письмо к другу 139

Приложение Д. Второе письмо к другу 143

Приложение Е.
Что мы знаем о себе и что у нас ожидается в будущем 147

შესავალი

სარეფორმო გარდაქმნები, ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი სიდიდის ეკონომიკურ და სოციალურ წარმატებებზე გასვლა ბაზირებულია ტრადიციების გადარჩევაზე, მათი იმ ნაწილის წინა პლანზე გამოტანასა და გამოვლენაზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე კრისტალდებოდა, როგორც ქართული ეროვნული ქვეყნის არსებობისა და მოღვაწეობის უნივერსუმი და მისი თვითმყოფადობა. მაგრამ ტრადიციების გადარჩევა სწორხაზოვნად არ უნდა გავიგოთ, ანუ ერთია ტრადიციების პროგრესული მასივი, მეორე-რაღაც ნაწილი, რომელიც უვარგისია დღეს, მაგრამ რომელიც შეიძლება სასარგებლო და მემკვიდრეობითი განვითარება იყოს სხვა პირობებში ან რამდენიმე საუკუნის შემდეგ. სხვანაირად: ტრადიციები აზროვნების ამოუწურავი რეზერვებია.

საქართველოში მიმდინარე რეფორმები საუკუნის წინანდელი ტრადიციებიდან (უფრო შორს არ მივდივარ ჩემი ინტერესების გამო) იმპულსირდება. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტრადიციების გამორჩევა და აზროვნების განვითარების პლატფორმად შემოტანა ხელეწიფება განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის, ეროვნული პასუხისმგებლობის ადამიანებს. აქ ამას იმიტომ ვამბობ, რომ ოფიციალურ პოლიტიკურ კამათსა და სატელევიზიო სადისკუსიო გადაცემებში გახშირდა ხაზგასმა, რომ ედუარდ შევარდნაძის დროს მომუშავე მასწავლებლებისა და მეცნიერების საშუალო და მომდევნო ასაკის ადამიანები თანამედროვე ცხოვრებისათვის უვარგისნი არიან და ისინი მყისიერად ახლებით უნდა შეიცვალოს და ეს თურმე განათლების რეფორმის მიზანი ყოფილა. ცხოვრება რომ უფრო გონიერი არ იყოს და ამგვარი "ჭკუის" შემთხვევითი ადამიანების ხელისუფლებრივ ძლევამოსილებაზე უფრო მაღალი, გაცილებით უარეს მდგომარეობაში ვიქნებოდით, ვიდრე ახლა ვართ. განვითარება რომ ტრადიციებისა და ინოვაციური აზროვნების კრიტიკული ტესტირებადობის პროცესებიდან იმპულსირდება, ამ "ორიგინალურ" პერსონებს, გასაგებია, არ წაუკითხავთ და

არ იციან, მაგრამ ბევრ ახალგზრდას იმ "სწავლული" მოაზროვნეებისაგან რომ არ უნდა მოესმინათ და ესწავლათ და სწავლობენ, და ისწავლეს, საუბედუროდ კიდეც, და რეფორმატორობენ, ამის დანახვას სათვალეები არ სჭირდება. რეფორმატორობა, ჰაიეკის ერთი გამოთქმისა არ იყოს, გვიჩვენებს, თუ რა ცოტა ვიცით იმის შესახებ, რომლის გაკეთება ჩვენ გვგონია ვიცით. ეკონომიკა ძნელი საქმიანობაა.

დაუცხრომელი და უზარმაზარი შრომა დასჭირდა ნიკო ნიკოლაძეს ჯერ თავისი მეცნიერული თვალსაზრისის გამოსამუშავებლად, ხოლო შემდეგ ჩვენი ქვეყნის პოტენციალური შესაძლებლობების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩასართავად. სოციალურ მოძრაობებში აქტიურმა მონაწილეობამ, აკადემიური განათლებისადმი სისტემურმა მისწრაფებამ, თანამშრომლობის კონტაქტებმა რუსეთის იმპერიისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ადამიანებთან, მეცნიერებთან, გამომგონებლებთან, პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან მას საშუალება მისცა თავის თანამედროვეებზე გაცილებით შორს წასულიყო და მეწარმეობის, მენეჯერობის, რეფორმატორობის, გამომგონებლობის ვრცელ და მასშტაბურ საქმეებს შესჭიდებოდა. აზროვნებისა და პრაქტიკული შემოქმედების ასეთ უზარმაზარ ინოვაციურ სივრცეში გასარკვევად მას ოთხ ათეულ წელზე მეტი დასჭირდა. გადაწყვეტილება უპრეცედენტო იყო-მინის შეძენა სოფელ დიდ ჯიხაიშში, ფერმერული მეურნეობის მოწყობა და შემდგომ მისი გაფართოება და განვითარება აგროკომპლექსის დონემდე: მცენარეებისა და ცხოველების სელექცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების შემეცნება და მისი შედეგების საწარმოო შესაძლებლობებად გამოყენება, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურული სისტემების მოწყობა და სხვა, რასაც შემდგომ ფართო საზოგადოებრივი გავრცობადობა მოჰყვა-დიდი ჯიხაიშიდან ფოთის ქალაქის თავად მიიწვიეს. რომელთანაც მანამდე მას პრაქტიკული კონტაქტები ჰქონდა და გამოქვეყნებული-საკმაოდ ვრცელი წერილები ფოთის პორტის პერსპექტივების თაობაზე. ქალაქის თავის თანამდებობაზე მან 18 წელიწადი იმუშავა და მისი ნოვატორული მოღვაწეობა საქართველოსა და რუსეთის იმპერიაში კი არა, მთელ ევროპაში გახმაურდა. ასეთი წვალებით ჩამოყალიბდა საქართველოს ევროინტეგრაციის ნიკო ნიკოლაძის გზა.

საქართველოს ევროინტეგრაციის ნიკო ნიკოლაძის გზა-ეს არის ევროპული განათლება, ენების ცოდნა, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეების და მისი უპირატესობების შესწავლა, ქვეყნის ორიენტაცია ტექნიკურ ინოვაციებზე, ევროპულ ბაზრებზე შეღწევა, თვითრეალიზაციის, თვითორგანიზაციის, რისკის, რწმენის, ინტუიციის, თვითმყოფადობის უნარების გამომუშავება, პიროვნული ღირსებისა და ქვეყნის პრესტიჟის დაცვა, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ჩართვა, მიზანსწრაფულობა და მისი კორექტირებადობა, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, კომპეტენტურობა და პასუხისმგებლობა.

კაპიტალიზმი მეთვრამეტე საუკუნის საქართველოზე არ გავრცელებულა. რუსეთთან შეერთების შემდეგ, საგუბერნიო მოწყობის პირობებში, ჩვენ ქვეყნას ეკონომიკური განვითარების ფართო შესაძლებლობები გაუჩნდა და სწრაფად დაიწყო მისი საფუძვლიანი შესწავლა. განათლება იქნა შერჩეული ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად. გუბერნიებში სწრაფად გაფართოვდა სასწავლებლების ქსელი, დაიწყო ბათუმისა და ფოთის პორტების მშენებლობა, გაფართოვდა კომუნიკაციები, აშენდა ხიდები და გვირაბები, გაიყვანეს გზები, გაიხსნა ბანკები, აშენდა ღვინისა და კონიაკის, შამპანურის ქარხნები, დააგეს რკინიგზები ჯერ ბაქოდან ბათუმამდე, ხოლო შემდეგ ფოთამდე და ა.შ. ამ სარეფორმო გარდაქმნებში წინა პლანზე გამოდიოდა სახელმწიფოებრივი ინტერვენცია, რომელსაც წინ უძღოდა ინფორმაციული ფონდების ტრანსფორმაცია, რომლის შედეგი გახდა ქვეყნის ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრეების ინფორმაციულ მასივებად გარდაქმნა. მეცნიერული შრომების რეზულტატად იქცა მცენარეთა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური სუბტროპიკული და ტექნიკური ჯიშების გამოცდის, გამოყვანისა და მოვლის, მოვლაზე ზედამხედველობის სადგურები, სადაც ბევრი სპეციალისტი მომზადდა ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლებით, სათანადო წერილობითი მასალებით უზრუნველყოფისა და ტრენინგების საფუძველზე. ასეთი ინტერვენციული-ადმინისტრაციული და აგროსამრეწველო გარდაქმნების ბაზაზე განვითარდა ეკონომიკა და გაუმჯობესდა მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. 1912 წ. მოსახლეობა ქუთაისის გუბერნიაში 1888 წ. შედა-

რებით თითქმის 25%-ით მეტი იყო, 1913 წ. სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა 1887 წ. მიმართ 2,5 ჯერ გაიზარდა, ხოლო სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვი იმავე პერიოდში 3, 5 ჯერ მეტი გახდა. დასახელებულ წარმატებებში გადამწყვეტი იყო, როგორც აღვნიშნეთ, ხელისუფლებრივი ადმინისტრირება და ხელისუფალთა საკმაოდ მაღალი პიროვნული პასუხისმგებლობა.

ხელისუფლების ავტორიტეტს განაპირობებს, როგორც მისი კომპეტენტურობა, ასევე მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუციური კულტურა, თუმცა ორივე მათგანი განპირობებულია ხელისუფლების წარმომავლობით-ელიტარულია, თუ ხალხის ქვედა ფენებიდან არის წამოსული, რომელ სოციალურ ფენას წარმოადგენს იგი-პოლიტიკურს თუ მეწარმეობრივს, არჩევითია თუ რევოლუციური. საქართველოში ხელისუფლება რევოლუციური მოვლენადობისა და ელიტარული სოციალური ჯგუფების პოლიტიკური რეგენტი იყო. ამიტომ ხალხი აქამდე ვერ გახდა ეკონომიკის მთავარი შემოქმედი და ასეთია იგი დღევანდლამდე, და იმ პოლიტიკურ ბლოკსა და პიროვნებაზე იღებს არჩევანს, რომელიც საარჩევნო კომპანიის პირობებში ერთჯერად რაიმე თვალსაჩინო კეთილდღეობას გაიღებს და უფრო ლამაზად მოახერხებს საარჩევნო დაპირებების ექცენტრიადას. თუმცა ეს მოჩვენებითი წარმატებაა და მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ბლოკებსა და დაჯგუფებებს ყოველთვის უჩნდება შანსი შეარყიოს მმართველი პარტიის პოზიციები და პასუხისმგებლობის წინაშე დააყენოს იგი. მაგრამ ისინი ამას ვერ ახერხებენ, ვინაიდან იმათაც წინა პლანზე გამოაქვთ პიროვნული ამბიციები და ქრესტომათიული პოლიტიკური პრეტენზიები.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსახლეობის მასობრივი დასაქმების თავისუფლებისა და მათი შემოსავლების ზრდის ტენდენციების შექმნა. ამის შეზღუდვა მდინარის საწინააღმდეგო დინებას ჰგავს. გამოსავალი ერთია: ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს თავისუფლების ინსტიტუტების გაფართოება და ადამიანის უფლებების დაცვა, რომლებიც შეთავსებული უნდა იყოს ცხოვრების ელემენტალური პირობების უზრუნველყოფასთან (ხელისუფლებას ვიხილავ როგორც ინსტიტუტს).

თემის გადმოცემის ლოგიკა ასეთია: საბაზრო ეკონომიკის ინოვატორია ნიკო ნიკოლაძე, ყველაზე უფრო უკეთესად მან გაიგო კაპიტალისტური ეკონომიკის პერსპექტიულობა, რომლის ფაქტობრივი რეზულტატი იქნა მეწარმეობის ხილვადი ფრონტალურობა. მაგრამ კომუნისტურმა იმპერიამ დააშორა ნიკო ნიკოლაძე თავის ქვეყანას; დღევანდელობა ნიკო ნიკოლაძესთან მიბრუნებაა ახალი ხარისხით, როცა ხელისუფლებრივი კომპეტენცია და პასუხისმგებლობა შეჯერებულია მართლმადიდებლურ რელიგიურ, მორალურ კულტურასა და ზნეობასთან, და ამდენად, კომპეტენცია-პასუხისმგებლობა-რელიგიურობა ჩვენი ქვეყნის წინსვლის სამერთიანი ამოცანაა.

თავი პირველი

აზროვნების განახლებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ნიკო ნიკოლაძის ინტელექტუალური ანტიციპაციები

1. ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური ფენომენი

ნიკო ნიკოლაძეს მარტო საზოგადოება კი არა, მეცნიერებაც არ იცნობს საფუძვლიანად.[1] ის უფრო ჟურნალისტური და სამწერლო პუბლიკაციებით არის წარმოჩინებული. მოიხსენიება როგორც ბუმბერაზი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, სოფელ ჯიხაიშის ბინადარი, ფოთის ქალაქის თავი, 60-იანელთა თანამებრძოლი და პუბლიცისტი. მის ეკონომიკურ აზროვნებას რამდენიმე ავტორი სხვადასხვა ასპექტით თუ იხილავს, თორემ ფენომენალობაზე არავინ შეჩერებულა. ამას თავისი რამდენიმე ახსნა აქვს.

ნიკო ნიკოლაძე მისი თანამედროვეებისთვისაც არ იყო სრულყოფილად ცნობიერი. იმჟამინდელ პერიოდში ფილოლოგიური და ფილოსოფიური მეცნიერებები ავითარებდნენ აზრს, რომლის მიხედვითაც ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის მასობრივ განათლებასთან და რომ ეს საქმე თავისთავზე უნდა აიღოს ინტელიგენციამ. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად კეთილშობილური მიზანია, მაგრამ, როგორც რიჩარდ პაიპს უწერია, გააჩნია ვინ როგორ გაიგებს მას და რომელს აირ-

---

[1] იუბილეებში ნ. ნიკოლაძეს ბედმა არ გაუმართლა. 100 წლის იუბილეს მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. 150 წლისთავზე საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. 2003 წელს ქუთაისში ჩატარებული იუბილე პირველი პრეცედენტია, როგორც თავისი მასშტაბით, ასევე შინაარსითაც. ნ. ნიკოლაძის ფერმერული, მეწარმეობრივი და მენეჯერული ფენომენალობა პირველად გახდა ბიზნესმენებისა და მეცნიერების კვლევისა და განხილვის საგანი. ეს საერთაშორისო კონფერენცია გამორჩეული იყო იმითაც, რომ მის გახსნასთან დაკავშირებით გამოიცა ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მერვე ტომი. მას მიეძღვნა ჩემი მონოგრაფია და ფაქსიმალური გამოცემა-მასალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის- "ფოთის საქმე " მერაბ კეზევაძესთან ერთად.

ჩევს-ხალხს ემსახუროს თუ ხალხი მოიმსახუროს. აქ სუბიექტური თავისუფლებისთვის არჩევანის ვრცელი ასპარეზი იხსნება, მითუმეტეს თუკი მოსახლეობის უმრავლესობა გაუნათლებელი და უცოდინარია. ასეთ შემთხვევაში ხალხი იოლად მართვადი არის რევოლუციურად განწყობილი სოციალური ჯგუფების მიერ და იგი მათი ინტერესების მსხვერპლი ხდება. საგანმანათლებლო მოძრაობა ასეთ საშიშროებას შეიცავდა. მაშინდელ ინტელექტუალურ აზროვნებას გაუჭირდა ამის გაგება. კაი ხნის შემდეგ ევროპა მძიმე დანაკლისით, მაგრამ მაინც მალე გამოერკვია ამ მცდარი აზროვნებიდან. სამაგიეროდ რუსეთის მაშინდელ იმპერიაში გაჩაღდა საგანმანათლებლო მოძრაობა. გამონაკლისი არც საქართველო იყო. თერგდალეულებმა, სიცოცხლის რისკის ფასად, ყველაფერი გააკეთეს თავიანთი ქვეყნის სასარგებლოდ. მაგრამ მაინც, საბოლოოდ ფსევდო საგანმანათლებლო მოძრაობამ გაიმარჯვა და კომუნისტები ნამდვილ მამულიშვილებს სასტიკად გაუსწორდნენ. ვერაფერი შეღავათია ის, რომ მათ უმრავლესობას სწამდათ იმ მოძღვრებისა, რომელიც თურმე თვით ავტორს დაუწუნია მას შემდეგ, რაც ჯევონსისა და მერგელის შრომებს გასცნობია.

თუ მეცხრამეტე საუკუნის ინტელექტუალებს, თავიანთი კეთილშობილური მიზნებისათვის არ უღალატიათ, და ბოლომდე გაჰყვნენ საგანმანათლებლო მოძრაობის ეროვნულ ინტერესებს, ნიკო ნიკოლაძე სხვა არჩევანს აკეთებს და პრაქტიკულად ემიჯნება მათ. ამ პერიოდში იგი უკვე ორმოც წელს გადაცილებულია, საფუძვლიანად იცნობს მსოფლიოში თითქმის ყველა გახმაურებულ ფილოსოფიურ, ეკონომიკურ, იურიდიულ და პოლიტიკურ შეხედულებებს, ზედმიწევნით ფლობს ფრანგულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს, არის ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების უშუალო მონაწილე და აქვს მათი კრიტიკული შეფასების უნარი, პრაქტიკულ ურთიერთობებს ამყარებს ევროპაში მოღვაწე ყველაზე გამოჩენილ პოლიტიკოსებთან, მეცნიერებთან და გამომგონებლებთან.

თანამებრძოლთაგან გამიჯვნას წინ საგანმანათლებლო მოძრაობაზე მისი შეხედულების გადაფასება წარუძღვა. „ჩემმა დამზადებამ დედა-ენა, მიზნად კი არა, მარტო ერთ იარაღთაგანათ მაჩვენა ერის კეთილდღეობისა. მესმოდა, არა მარტო ენით იკვებება ხალ-

ხი... შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწისმფლობელობას და თვითმმართველობას. ძველი მოღვაწეების ნაშრომთა შესწავლამ ნება მომცა მკვდრეთით აღმედგინა ბობოლებისაგან დამარცხებული და დამარხული საქმეები და მოქმედი პირები, მაგალითად, ყველასათვის ერთიანად დავიწყებული საადგილ-მამულო ბანკები. ბ-ნ გიორგი ყაზბეგს ჰკითხეთ...რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871-1873 წწ. რამდენიმე ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგველებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგველო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია".[2] მას მრავალმხრივი და საფუძვლიანი ევროპული განათლება, პრაქტიკული ალღო და ბუნებრივი ნიჭი საშუალებას აძლევდა დაენახა, რომ მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნით ქვეყანა წინ ვერ წავიდოდა, რომ მომავალი სამეწარმეო საქმიანობას ეკუთვნოდა, რომ თეორიული ცოდნა მხოლოდ მაშინ ხდება სასარგებლო, როცა ნივთებად და მომსახურების სახეებად იქცევა. ამის საფუძველზე მიიღო ,მაშინდელი საზოგადოებისათვის თითქმის წარმოუდგენელი გადაწყვეტილება-საცხოვრებლად გადავიდა დიდ ჯიხაიშში, შეისყიდა მიწა, 25 ჰა და დაიწყო მასზე ფერმერულ საქმიანობა, რომელსაც მერე ფართო მასშტაბები მიეცა და მთელ სოფელს გადაწვდა, რამაც შემდგომ, თანამედროვე გაგებით, აგროსამრეწველო კომპლექსის სახე მიიღო.

ნიკო ნიკოლაძის სოფელში დასახლებას, ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში, არც თუ იშვითად, მხოლოდ ერთი ახსნა აქვს. თურმე ნიკო ნიკოლაძე სოფელ დიდ ჯიხაიშში დედულეთის სიყვარულით, ხოლო ზოგიერთების აზრით, იგი ქართული სოფლისადმი სიყვარულის გამო დასახლებულა. ამის საილუსტრაციოდ ბევრ ავტორს საკმაოდ ვრცელი მასალა მოაქვს ცნობილი და უცნობი ადამიანების მოგონებებიდან ნიკო ნიკოლაძის საქმიანობაზე, დიდ ჯიხაიშში. ყველაფერი ეს ერთად ნიკო ნიკოლაძისადმი მათი გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად მხოლოდ მსუბუქი მეტაფორაა და დაახლოებით ისე გამოდის, როგორც თვით

---

[2] ნ. ნიკოლაძე.თხზ.ტ.1.თბ., 1965, გვ. 63-64.

ნიკო ნიკოლაძე ხსნიდა დედა დათვის მეტის-მეტ სიყვარულს და გადჭარბებულ მოფერებას თავისი ბელის მიმართ, რომელიც არც თუ იშვითად, მსხვერპლით მთავრდება. ერთია გარეგანი მზერა, გრძნობადი აღქმა, პირადი სიმპატია და ანტიპატია რომელიმე ადამიანის მიმართ. მეორე არის ის, თუ რას წარმოადგენს იგი თავისთავად, აზრობრივად, რამდენად მისაწვდომია ეს ინტელექტი ჩვენი გონებისათვის. ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის საერთო შეფასება კი ერთი პიროვნებისათვის, ძალზე ძნელი საქმეა. იგი მთელი სამყაროა თეორიული აზროვნებისა, სამეურნეო საქმიანობისა, პოლიტიკური შეზედულებების ჭიდილისა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გლობალიზაციისა, ინოვაციებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მრავალსახეობებისა. ნიკო ნიკოლაძე არც არავის თანამებრძოლია და არც არავის გუნდის წევრი, იგი თვითმყობადი ნიჭი ნიკო ნიკოლაძეა თავისი უზარმაზარი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობით.

ფერმერი აქამდე ნიკო ნიკოლაძისათვის არავის უწოდებია. ეს მე შევკადრე ბუმბერაზ ინტელექტუალს ასეთი სახელდება და მასში დიდ ჯიხაიშში მისი მოღვაწეობის პირველ წლებს ვგულისხმობ, მაშინ როცა იგი ყიდულობს მიწას და იწყებს მის შემოღობვას ტრიფოლიატით, ხალხმა რომ შემდგომ "ნიკოლაძის ეკალი" უწოდა, სარწყავი სისტემების მოწყობას, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების სელექციას, როცა მთელი მისი ოჯახი შრომით საქმიანობაში ებმება, რაც მაშინ გამოჩენილი და დიდგვაროვანი ოჯახებისთვის შეუფერებელ საქმედ და სირცხვილად ითვლებოდა[3], პროდუქტების მოყვანას, შენახვას, კონსერვაციას, ტრასპორტირებას და რეალიზაციას, მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებას, პროგრესული ტექნოლოგიების იმპორტს და წარმოებაში დანერგვას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებას და მექანიზაციის საშუალებების ინვესტირებას. ამ საქმიანობის გაგრძელებას მოჰყვა

---

[3] ერთი ახალგაზრდა გაკვირვებით მეუბნებოდა: კაცო რა ენახე გუშინას წინ...ჩემი თვალით ენახე ნიკოლაძე და მისი ცოლი...

ბაღში მუშაობდნენ, თავისი ხელით რგავდნენ ხეხილს, ბოსტანს მარგლიდნენ. არ გიკვირს რავალი განათლებული კაცი და რავა კადრულობს მუშაობასო. გაზ. "ივერია", № 250, 1892 წ.

სასწავლებლის გახსნა და საჭირო პროფესიების სპეციალისტების მომზადება, გზების გაყვანა, ფოსტისა და ამბულატორიის გახსნა, მატარებლის ბაქნის მშენებლობა სოფელ იანეთში, წისქვილების მოწყობა, საზღვარგარეთელი სპეციალისტების მოწვევა სხვადასხვა სამუშაოთა შესარულებლად, ტექნიკური პროექტების შექმნა ენერგიის ახალი წყაროების მისაღებად და სხვა. ამას გარდა, იყო კიდევ ბევრი პროექტი და ჩანაფიქრი, რომლებიც მთლიანობაში წმინდა ფერმერულ საქმიანობასთან ერთად, აგროსამრეწველო კომპლექსის ასოციაციას იწვევს.

ზემოთ ვახსენე, რომ ნიკო ნიკოლაძე ფერმერი იყო. ეს ტერმინი მაშინ ქართულ მეტყველებაში არ იყო დამკვიდრებული, რაც არ ითქმის სიტყვა ფერმის მიმართ. მაშინ ფერმის შექმნა ძნელი საქმე იყო და მისი მეპატრონე მდიდარ კაცად ითვლებოდა. ამის საილუსტრაციოდ ისევ ზემოთ დასახელებული გაზეთი „ივერია" მოვიშველიოთ. მასში ვკითხულობთ: „ქვემო იმერეთში, სოფელ ჯიხაიშს ამისთანა ფერმა გაუშენებია ბ-ნ ნიკოლაძეს და მეორე უფრო პატარა ფერმა სოფ. ღანირს კოკინია დგებუაძეს, ორივე სწორედ სასიამოვნო სანახავია და სასარგებლო ყოველის ჩვენებურის მეურნისათვის. გარდა იმისა, რომ ეს ფერმები ავრცელებს სოფლებში უკეთესს ხეხილის ნამყენებს და თესლეულობას, მათი შემუშავების და მოვლის წესებს, თვით ფერმის პატრონების მაგალითს ბევრი მეზობელი თავადი და აზნაური მუშაობას მიუჩვევია...ორ-სამ სოფელში რომ თითო ამისთანა ფერმა გაჩნდებოდეს, მეურნეობის ბედი გამობრუნდება ჩვენს ქვეყანაში". ეს გადახვევა ტექსტიდან ორი მიზნით გავაკეთე. ერთი იმის გამო, ხაზი გამესვა ნიკო ნიკოლაძის სტრატეგიული ხედვისა და ინოვაციური წარმატებისათვის და მეორე, მიმენიშნებინა ისიც, რომ მაშინდელმა პრესამ სწორად შეაფასა თავისუფალი მეწარმეობის მნიშვნელობა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ეს მაშინ, როცა ერის განმანათლებელი მამები არ იზიარებდნენ ნიკო ნიკოლაძის არჩევანს და მას საქვეყნო საქმიდან გაქცევად უთვლიდნენ. შეიძლება ამის გამოც იყო, რომ წარმატებების მიუხედავად, მის საქმიანობას მასობრივი მიმბაძველები არ გამოუჩდნენ.

მეწარმისთვის ნიშანდობლივი, დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, მას ყველა საჭირო თვისება ჰქონდა, როგორც ინტე-

ლექტუალური ძლევამისილება და დაუცხრომელი ენერგია, ასევე რისკი, შეუპოვრობა, ნოვატორობა და გაბედულება, რომელთა გარეშე არ არსებობს მეწარმეობრივი წარმატებები. ესენი მასში იყო იმდენად მოჭარბებული და იმპულსირებადი და შედეგობრივად მრავალსახიერი, რომ გარეშემყოფთ, განურჩევლად მასთან სიახლოვისა, შიში ექმნებოდათ (ამას ქვევით ისევ დავუბრუნდები). ეს, დაახლოებით იმგვარი შიშია, შატობრიანმა რომ თქვა პასკალზე- "თავზარდამცემი გენია". ამიტომ დარჩა იგი დღესაც ბოლომდე შეუცნობელი. რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ აქვე ისიც ვთქვათ, კიდევ რამ განაპირობა ის, რომ ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური ფენომენი დღემდე შეუსწავლელია. ამაზე გავლენა მრავალმა ფაქტორმა იქონია. ვერც რუსეთის იმპერიაში, ვერც საქართველოში გავრცელება ვერ ჰპოვა იმ აზრმა, რომ ხალხის მთავარი საქმიანობა მაშინ ბიზნესი იყო, რასაც რისკიანი და გაბედული ადამიანები კაი ხანია მისდევდნენ სხვა ქვეყნებში. ამას მოჰყვა ისიც, რომ საქართველოში მაშინ დაწყებული მეწარმეობრივი აღმავლობა ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებამ დაასამარა. აღნიშნულ მიზეზებს უნდა მიეთვალოს ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძემ, მას შემდეგ, რაც რუსეთიდან ევროპაში გადაინაცვლა და საფუძვლიანად გაეცნო ევროპულ კულტურას, მთლიანად შეცვალა თავისი მსოფლმხედველობა ქვეყნის რეფორმაციის რევოლუციურ მეთოდებზე. ბუნებრივია, ასეთი შეხედულებების მოღვაწეს კომუნისტები თავისად ვერ ჩათვლიდნენ. დაიწუნეს კაპიტალისტური მოღვაწეობისა და არარევოლუციური წარსულის გამო.[4] მერე მთლიანად გვერდი ვერ აუარეს და ნიკო ნიკოლაძე თერგდალეულების საგანმანათლებლო საქმიანობის ფორმატით შემოსაზღვრეს. ზემოაღნიშნულს ემატება კიდევ ისიც,რომ მისი მრავალმხრივი და ხელხვავრიელი შრომები დაწერილია სხვადასხვა ენებზე და გაბნეულია რუსეთისა და ევროპის ქვეყნების წიგნსაცავებში და საოჯახო ბიბლიოთეკებში. ახლა მათი შეკრება და გამოცემა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიძნელეს, მაგრამ მთავარია ის, რომ ჩვენი ბიზნესმენები დაინტერესდნენ ნიკო ნიკო-

---

[4] საბაზრო ეკონომიკის პირობებში საშინელ უსიამოვნებას იწვევს იმ სტრიქონების წაკითხვა, რომლებიც გვატყუებს, რომ "ნიკო ნიკოლაძე ვერ მივიდა კლასთა ბრძოლისა და საზოგადოების განვითარების მარქსისტულ-ლენინურ გაგებამდე".

ლაძის ეკონომიკური მემკვიდრეობით. საკმარისი არ არის და ეკონომისტებს ცოდნად ვერ ჩავუთვლით ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიული დეტალების გამოწვლილივით განხილვას, მითუმეტეს, რომ მისი ინტელექტუალური და კულტურული კაპიტალი ჯერ კიდევ არ გამხდარა წარსული, პირიქით, მისი მემკვიდრეობა ცოცხალია და ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას წინ უსწრებს.

დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძის ფართომასშტაბიანმა სამეურნეო ინოვაციებმა გამოძახილი ჰპოვა მთელ საქართველოში. ფოთის მეშჩანებმა იგი ქალაქის თავად მიიწვიეს (იმ დროისათვის უკვე გახმაურებული იყო მისი შრომები ფოთის ნავმისადგმის ისტორიისა და მისი საპორტო ქალაქად გარდაქმნის ეკონომიკურ პერსპექტივებზე). მაშინ ფოთში ცხოვრება ძალიან ჭირდა. ზღვის კარიბჭის მოსახლეობა იმ დროს 7000 კაცს ცოტათი თუ აღემატებოდა. მეუნარგიას თქმით, რომელიც მაშინ ქალაქის თავი იყო, ფოთის ბიუჯეტი სოფელ საჯავახოს ბიუჯეტსაც ვერ უტოლდებოდა. ვრცელი ჭაობიანობის გამო მას ბაყაყების ქალაქს უწოდებდნენ. ასეთი ქალაქის მოთავეობა იკისრა მაშინ ნიკო ნიკოლაძემ.

ქალაქის თავის თანამდებობაზე კიდევ უფრო გაიშალა და ახალი გაქანება მიეცა მის ნიჭსა და უნარს. აქ გამომჟღავნდა მისი მეწარმეობრივი უნარიანობა და მენეჯერული ფენომენი. ქალაქის თავის პოსტზე მისი არჩევის მნიშვნელობასა და ავტორიტეტზე კარგად უწერია ქუთაისის გუბერნიის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს ს.ლ.კარსკის, რომელმაც ნიკო ნიკოლაძის ფოთში ქალაქის თავად მოღვაწეობაზე საბრალდებო დასკვნა დაწერა.

"ნიკოლაძე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიიწვიეს და ქალაქის თავად აირჩიეს. ცხადია, რომ ისეთი უთვალსაჩინოესი კაცი, როგორიც ნიკოლაძე არის, ქალაქის თავის თანამდებობაზე თავისი ავტორიტეტის წყალობით, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე, დიდ გავლენას მოახდენდა...ნიკო ნიკოლაძე ფლობს ბუნებრივ კრიტიკულ უნარს, ძალზე განათლებულია, ადვილად ერკვევა იმ ყოველნაირ სპეციალურ ტექნიკურ საკითხებში, რომელთანაც მას შეხება უხდება. ახასიათებს იშვიათი შრომისუნარიანობა, ურყევი ნებისყოფა, ენერგიულია, არ ერიდება არავითარ წინააღმდეგობებს, ფრიად პატივმოყვარულსაც კი. ამას ემატება სიტყვისა და კალმის განსაკუთრებული ოსტატობა, პოლემიკაში ოპონენტისადმი

საშიში მისი სრულყოფილი სარკაზმი. ამ ბუნებრივი თვისებების წყალობით ნიკოლაძემ უზარმაზარი როლი ითამაშა კავკასიაში, როგორც პოპულარულმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, რომლის სიტყვას ყურადღებით ისმენდა მოსახლეობა და მისი ინტერესების გამომხატველი საუკეთესო ნაწილიც"[5]

ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ერთიანი აზრი ვერ შეიქმნა. მას სხვადასხვა ასპექტით მოიხსენიებენ. ფოთში მოღვაწეობაც არ არის გამონაკლისი. აქ ის გაგებულია ხან, როგორც ქალაქის თავი, ხან კიდევ როგორც პორტის მშენებელი, ობლიგაციებისა და ნახევარკაპიკიანი საფუთო მოსაკრებლის ავტორი და სხვა. სინამდვილეში საქმე გვაქვს გაცილებით რთულ, მსხვილმასშტაბიან და ინოვაციურ შემოქმედებასთან. ქალაქის თავად მისი მოღვაწეობა არის საქართველოს აღმშენებლობა ფოთიდან. პორტის მშენებლობას ის ყოველთვის განიხილავდა ქვეყანის ეკონომიკასთან მიმართებაში, გარე სამყაროსთან თანამშრომლობაში, გლობალურ ურთიერთობებში. ეს ეხებოდა, როგორც ქვეყნის ექსპორტს, მაგალითად, მარგანეცის გატანას, ასევე იმპორტს-ტექნიკური ნაკეთობების შემოტანას, ტექნიკური ინოვაციების პროექტებს. თავდაპირველად პორტის შესახებ.

ნიკოლაძის მისვლამდე ფოთის პორტი თავისი 35 წლის ისტორიის მიუხედავად, ერთ უბადრუკ ნავმისადგომს წარმოადგენდა. ბატონმა ნიკომ ყველაზე უკეთ დაინახა მისი მომავალი და ამისთვის არაფერი დაუზოგავს, პირველ ყოვლისა, ჯანი და ინტელექტუალური ენერგია. გამოიყენა პირადი ნაცნობობა, მისი დიდი ავტორიტეტი და იმპერიის მაღალ ეშელონებს, შეიძლება ითქვას, ფოთის პორტის აღმშენებლობის შესახებ გადაწყვეტოლება ხელიდან გამოგლიჯა. მაშინდელ იმპერიაში ის მშენებლობა ყველაზე დიდი მასშტაბისა იყო და იურიდიულად იმდენად სამართლებრივად დახვეწილი, რომ რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდშიც ვერ გაბედეს მისი დაკონსერვება, პირიქით, მშენებლობა სწრაფად მიმდინარეობდა და იგი შვიდ წელიწადში დასრულდა იმაზე გაცილებით

---

[5] მასალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის "ფოთის საქმე" . ტ. 3 .ფურც. 52. ტ. 6 .ფურც. 255. 308. ტ. 1. ფურც. 21. 34. 162. 262. ტ. 2.ფურც. 285. ტ. 5. ფურც. 1-18. 265-269. ქუთაისი, 2003.

ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე ეს საპროექტო ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული. მთავარია იმისი აღნიშვნაც, რომ ფოთის პორტი იმპერიაში გემების ყველაზე უხიფათო მისადგომი გახდა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ისიც, თუ რამდენ სირთულეს ქმნიდა მაშინ ასეთი მსხვილი მასშტაბის მშენებლობა კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტისა და ფინანსური უსახსრობის გამო. ამას ემატებოდა მოსახლეობის დაბალი საგანათლებლო ცენზი და კვალიფიციურ სპეციალისტთა პრობლემები ქალაქის სათათბიროსა და ქალაქმმართველობაში. სახელისუფლო სტრუქტურებს აშკარად არ ყოფნიდათ სპეციალური განათლება ფოთის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში და ქალაქის თავს რამდენიმე მათგანთან წინასწარ უნდა ემუშავა, რათა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა სხდომებზე არ ჩაშლილიყო. ქალაქის მოსახლეობას მისადმი უსაზღვრო ნდობა ჰქონდა.

ნიკო ნიკოლაძე ფოთის პორტის მშენებლობის უშუალო ინიციატორი და მენეჯერი იყო. თვითონ მოიარა ევროპის 12 საპორტო ქალაქი, გაეცნო მათ საქმიანობას და მონაწილეობდა პორტის ნახაზების შექმნაში. მაგრამ ეს საკმარისი რომ არ იყო, ყველაზე უკეთ, თვითონ გრძნობდა. პორტის ინტერესები უშუალო კავშირში აღმოჩნდა ქალაქის განვითარებასთან. აუცილებელი იყო თვით ქალაქ ფოთის მოწყობა-ქუჩების გაყვანა, ხიდების მშენებლობა, ჭაობების დაშრობა, სასწავლებლების, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების აგება. კიდევ: ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო საფინანსო წყაროების მოძებნა. მისი გონება ამ საქმეშიც უზადოდ მოქმედებდა. კომერციულ, სარისკო და საფინანსო საქმიანობაში მამის გენი დაჰყვა (მამისი იაკობი მრავალგვარ ბიზნეს ეწეოდა. მან პირველმა გაბედა საქონლის შემოტანა საქართველოში საზღვაო ტრასპორტით, რაც მაშინ წარმოუდგენლად მიაჩნდათ). როცა ფოთს დასჭირდა დამატებითი საფინანსო წყაროების დებეტი პორტის მშენებლობისთვის, ნიკო ნიკოლაძემ ობლიგაციების პრეცედენტი შექმნა. 1896 წ. ფოთის პორტის პროექტის დასამუშავებლად ქალაქს მხოლოდ 140 ათ. რუბლის რეზერვი ჰქონდა. საჭირო იყო კიდევ თანხების მოზიდვა მარგანეცის ჩასატვირთი მექანიკური მოწყობილობის-ელევატორის ასაგებად და ქალაქის სხვა საჭიროებათა დასაფინანსებლად. ბატონი ნიკოს ინი-

ციატივით 1896 წ., პირველად საქრთველოში, ფოთში შემოღებული იქნა საობლიგაციო სესხი, რომელმაც მაშინ 1,4 მლნ. რუბლი შეადგინა. 1900 წ. მისი სიდიდე 2 მლნ. გაიზარდა, რაც შენარჩუნებული იქნა 1904 წ. მესამე გამოშვების სერიისას, პორტის მშენებლობას თან ახლდა საზღვაო ინფრასტრუქტურების შექმნაც. ეს ეხებოდა, როგორც საკუთრივ პორტს (ტალღამტეხების აგებას, სანაპირო ზოლების გამაგრებას), ასევე თვითონ ქალაქის მშენებლობას. კერძოდ, ჭაობების დაშრობას, ხიდების აგებას, ქუჩების გაყვანას, გზების მოწყობას.

ელევატორის გარეშე შეუძლებელი იყო მარგანეცის და ქვანახშირის გაგზავნა სხვა ქვეყნებში გემებით. ნიკო ნიკოლაძე ხუთი წელიწადი ებრძოდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანას. ელევატორის მშენებლობას ნახევარ მლნ. რუბლზე მეტი დასჭირდა. ამას მოხმარდა ნახევარკაპიკიანი საფუთო მოსაკრებელი მარგანეცზე და კიდევ საობლიგაციო სესხი.

ფოთის პორტის საქმიანობა ნიკო ნიკოლაძეს მთელ სამყაროზე ჰქონდა გათვლილი. ფოთიდან უნდა გასულიყო მარგანეცი, ქვანახშირი, ნედლი მერქანი, ღვინო; ფოთში უნდა შემოსულიყო რკინიგზა სადგურ "პროხლადნაიადან" კავკასიის მთავარი ქედის გავლით სამრეწველო პროდუქცია და მას ამისი პროექტი ჰქონდა, ისევე როგორც ფოთიდან ირანის გავლით ინდოეთის ოკეანისაკენ მატარებლის მოძრაობის მარშრუტების პროექტები, მან დაამუშავა, აგრეთვე, რკინიგზის გაყვანის ტექნიკური ვარიანტი ბზიფის ტყის ექსპორტული შესაძლებლობების ასათვისებლად, და თვით მდინარე ბზიფის ჰიდროენერგიის გამოყენების ტექნიკური ნამუშევრები, ღვინის სარდაფის პროექტი ქუთაისის კირქვოვან მთებში ქართული ღვინის ევროპული მეთოდით დასაყენებლად.

იმპერიის შიდა რეზერვების მრავალ ვარიანტთა შორის ნიკო ნიკოლაძეს არ გამორჩენია მუღანის უდაბნოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან ხორბლის მიღების მაღალი პოტენციალური შესაძლებლობები სარწყავი სისტემების მოწყობის ბაზაზე, რომლის პროექტიც თვითონ შექმნა, და რომელსაც მაშინდელი რუსული პრესა ფართოდ გამოეხმაურა და ყოველმხრივ მოიწონა იგი. ნიკო ნიკოლაძე მისი პროექტის განხორციელებისათვის თითქმის მესამე-

დი საუკუნე იბრძოდა. პალაშკოვსკისთან[6] ერთად დაამუშავა აგრეთვე მუღანის უდაბნოს დაფინანსების გეგმა. რომლის თანახმად რამდენიმე მილიონი ჰა ნასვენი მიწების მორწყვა შესაძლებელი იქნებოდა უმცირესი საბიუჯეტო დანახარჯებით, ხოლო ჩინეთთან ომის შეწყვეტის შემთხვევაში, საბიუჯეტო ხარჯები, საერთოდ არ იქნებოდა საჭირო. იმპერიის ეროვნული შემოსავალი 13 მლრდ. რუბლით მოიმატებდა.

ნიკო ნიკოლაძემ დაამუშავა ეისკის რკინიგზის წესდების პროექტი, რამაც სახელმწიფო საბჭოს მხურვალე მხარდაჭერა მოიპოვა. ამ წესდებაში მან გამოიყენა თავისი ფორმულა ნაღდი ფულის გარეშე აქციების გადახდაზე. სახელმწიფო საბჭო ამასაც მხურვალე მხარდაჭერით შეხვდა და ამის შემდეგ ნიკო ნიკოლაძისეული გამოთვლის წესი, ყველა წესდებისათვის, სავალდებულო შეიქმნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა ჰიდრო რესურსების გამოყენებაში. მარსელ დეპრეს მიერ ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადაცემის ეკონომიკური მნიშვნელობა მაშინდელი რუსეთის საზოგადოებისათვის უცნობი იყო და პრესაში ეს ფუნქცია მან შეასრულა. თვითონ გააცნო ის პალაშკოვსკის. ამ უკანასკნელმა მას მდინარე ვოლხოვის ელექტრიფიკაციის პროექტი შეუკვეთა. ამისი წყალობითა და ნიკოლაძის ეისკის რკინიგზის წესდების პროექტით პალაშკოვსკი გზათა დამფუძნებელი გახდა და საკმაო დიდი მოგებაც ნახა. მათი თანამშრომლობა საკმაოდ დიდხან გაგრძელდა, რადგან ის ორივესთვის სასარგებლო იყო. ბუნებრივია, პალაშკოვსკი მას საკმაო გასამრჯელოს უხდიდა,რაც შემდგომ მას გამოძიებამ ბრალდებად წაუყენა. დაკვირვებული თვალითაც კი დაუჯერებლად ჩანს, როგორ ახერხებდა ასეთი კოლოსალური სამუშაოების შეესრულებას კაცი, რომელიც ფოთის ქალაქის თავი იყო და ყველა სახის სამშენებლო თუ საირიგაციო სა-

---

[6] სანკ-პეტერბურგის სამშენებლო ფირმის-"ბუნგე და პალაშკოვსკის"კომპანიონი. ამ ფირმის მიერ კავკასიაში შესრულებულია რიონის სანაპიროს გამაგრება, ბაქოს სარკინიგზო ლიანდაგის გაყვანა, ბათუმთან დამაკავშირებელი რკინიგზის დაგება, სურამის გვირაბთან მისასვლელი გზის მშენებლობა, ბათუმისა და ნოვოროსიისკის პორტების მშენებლობა. ნიკო ნიკოლაძეს ამ ფირმასთან თითქმის ნახევარსაუკუნოვანი თანამშრონლობა აკავშირებდა, ახლო მეგობრობა ჰქონდა პალაშკოვსკისთან.

მუშაოები მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ამაზე ნიკო ნიკოლაძე გამომძიებლისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებით ბარათში წერს. რომ სამუშაოების დიდ ნაწილს პალაშკოვსკისათვის იგი მისი პეტერბურგში მივლინებების პერიოდში ასრულებდა. მინისტრების, უწყებათაშორისი კომისიების და დეპარტემენტების სხდომებზე თუ რამდენიმე საათი ან კვირა ეკარგებოდა, შუალედურ შეხვედრებში მთელი კვირეები გადიოდა. ეს კი საკმარისი იყო მისი ავტორიტეტის, საქმიანი სკოლის მეთოდურად აღზრდილი კაცისათვის, შრომას მიჩვეული ადამიანისათვის ბევრი მოესწრო და გაეკეთებინა. ამისი უფლება კი სახელმწიფო მოხელეს კანონით ჰქონდა.

ნიკო ნიკოლაძე თავისი საქმიანობის ზემოთაღნიშნულ ახსნა-განმარტებაში მეტისმეტად მოკრძალებულია. უფრო ვრცელია მისი საქმიანობის შეფასებაში თვით გამომძიებელი კარსკი:

"განსაცვიფრებლად გეჩვენება, თუ როგორ ასწრებდა ნიკოლაძე ფოთის ქალაქმმართველობის თანამდებობაზე ასეთი მასის კვლევითი სამუშაოების შესრულებას პალაშკოვსკისათვის, როგორც კავკასიაში, ასევე პეტერბურგში, და საზღვარგარეთ, თუმცა ეს პიროვნულ ენერგიასა და შრომისუნარიანობაზეა დამოკიდებული...

...იგი დღეში მინიმუმ 10 საათს მუშაობდა.

ნიკოლაძეს ამოცანებს უმსუბუქებდა ხალხის უსაზღვრო ნდობა, რომლითაც ის სარგებლობდა ფოთის საზოგადოებაში და განსაკუთრებით სათათბიროში, სადაც ამ დაუცხრომელი ენერგიის კაცს ყველა გვერდით ედგა ქალაქის აღმშენებლობაში, რომლის ინიციატორიც თვითონ იყო, და ხალხის მადლიერება, რის სანაცვლოდ მან მთელი თავისი ენერგია ჩააფრქვია პატარა ქალაქიდან ისეთი პორტის შექმნაში, როგორიც თანამედროვე ფოთია.

ამას უნდა მიემატოს მისი პიროვნული მომხიბვლელობა, ექსპანსიური ლოალობა, რომლითაც იზიდავდა გარეშემყოფთ, ნებისყოფის ძალა, რომელსაც ემორჩილებოდა მისი აზროვნება და ხასიათი, წინააღმდეგობებისადმი შეუპოვრობა, სიტყვა და კალამი, რომლითაც იგი იოლად უსწორდებოდა მოწინააღმდეგეებს, როგორც ეს

საქმის მასალებიდან ჩანს, ფოთში მოღვაწეობის პერიოდში, ოპონენტებისადმი ნიკოლაძის სხვადასხვა ბრალდების პასუხებიდან[7] ".

ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ძალზე ბევრი მასალა აღმოჩნდა ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობაზე ელექტრიფიკაციის სფეროში. იგი სწრაფად აღიქვამდა ტექნიკური რევოლუციის სიკეთეს და ყველაფერს აკეთებდა მისი საწარმოო ათვისებისათვის. ფრანგი ინჟინრის, მარსელ დეპრეს გამოგონება ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადაცემის შესახებ, საზოგადოებისათვის კი არა, თვით ბიზნესმენებისათვისაც ვერ გახდა გასაგები. გამომგონებელს მეცენატი და დამფინანსებელი ესაჭიროებოდა. საქმეში ნიკო ნიკოლაძე ჩაერია და როტშილდს მისწერა, რომელიც დარწმუნდა გამოგონების პერსპექტივასა და ეფექტიანობაში. მარსელ დეპრემ გამოგონებაზე დაფინანსება მიიღო. 1886 წ. მან საქვეყნოდ აჩვენა ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადაცემის შესაძლებლობა, 56 კმ სადენებით მოწოდებული ენერგიით პარიზი განათდა. მარსელ დეპრეს ამ გამარჯვებას ნიკო ნიკოლაძეც ესწრებოდა. ელექტოენერგიის გამოყენებას იგი საქართველოს უკავშირებდა. სამშობლოში დაბრუნებული აღფრთოვანებას ვერ მალავდა. გაზეთ "ნოვოე ობოზრენიეში" წერდა, რომ ჩვენს მთიან ქვეყანას ახლო მომავალში რევოლუცია ელოდებოდა, რომელსაც ელექტროენერგია გამოიწვევდა ეკონომიკის სფეროში, ფინანსებში, მრეწველობაში. რომ ეს იქნებოდა მშვიდი, აუცილებელი რევოლუცია ყოველგვარი აფეთქებების, სისხლის ღვრისა, ტახტებისა და საკურთხევლების მსხვრევის გარეშე. ჩვენს ქვეყანას კი ამითვის საკმაოდ მდიდარი რესურსები გააჩნია. თვითონ პრაქტიკულად დაინტერესდა ელექტრიფიკაციით. მან პირველმა მიაწოდა იმპერიის მოსახლეობას ინფორმაცია ელექტროენერგიის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ, ხოლო შემდეგ საქმეში გაარკვია და უცხოელ კაპიტალისტებს დაუახლოვა პალაშკოვსკი. ამ უკანასკნელის შეკვეთით ნიკო ნიკოლაძემ ჩაატარა მრავალი გამოკვლევა ჰიდრო ელექტროტექნიკური დანადგარების გამოყენების შესახებ საფრანგეთის, შვეიცარიისა და იტალიის ქვეყნების მიმართ.

---

[7] იქვე, ტ. 6. პ/ს 255. ტ .3. პ/ს 52. ტ. 6. პ/ს 308.

საქართველოში ნიკოლაძის სახელს უკავშირდება ბზიფის, ენგურის, ლაჯანურის, ზემო ავჭალის მდინარეების პოტენციალური ენერგიის გამოყენების პროექტები და წინადადებები. ელექრტოენერგია ფართო შესაძლებლობებს უქმნიდა რკინიგზის განვითარებას. აქაც უამრავ წამოწყებას მოჰკიდა ხელი. ვერ ეგუებოდა იმას, რომ თბილისი-ფოთის რკინიგზა ქუთაისს ასცდა, რამაც მძიმედ იმოქმედა ქალაქის ეკონომიკაზე. საბოლოოდ მისმა აზრმა გაიმარჯვა და ქუთაისში რკინიგზა მაინც შემოიყვანეს. ძალზე დიდი შრომა წაიღო ტყიბულის რკინიგზის მშენებლობამ. ჯერ იყო და ვილაცებმა იმის მტკიცება დაიწყეს, რომ უკეთესი საბაგირო გზის მშენებლობა იქნებოდა, სხვებმა ტყიბულის ნახშირის დაბალი კონკურენტუნარიანობა მოიტანეს მიზეზად, ბევრმა კიდევ მარშრუტების ვარიანტებზე ატეხეს კამათი. ნიკო ნიკოლაძეს უამრავი მასალის მოკვლევა სჭირდებოდა ამ არგუმენტების გასაბათილებლად. აქაც გაიმარჯვა. ლამის ათი წელიწადი დასჭირდა ნიკო ნიკოლაძეს ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანისთვის რომ მიეღწია. ურომლისოდ შეუძლებელი იქნებოდა მარგანეცის მასობრივად გამოტანა (მარგანეცი მანამდე ცხენებით გამოჰქონდათ რკინიგზამდე).

ნიკო ნიკოლაძის მეწარმეობრივი და მენეჯერული საქმიანობის არეალი შემოსაზღვრავს ეკონომიკის გლობალურობას, მის პერსპექტიულ სივრცეებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შეცნობასა და პროპაგანდას, საზოგადოებრივ ინტერპრეტაციას, მეწარმეობრივ ინოვაციებს, ქვეყნის ნაციონალური უპირატესობების კვლევასა და მათი მასივების გარდაქმნას ეკონომიკის კონკურენციულ ურთიერთობებად. იგი ნამდვილი რეფორმატორია. ტრადიციებში იოლად ამჩნევს, როგორც დრომოჭმულსა და ვადაგასულს, ასევე კონკურენტუნარიანსა და ტესტირებად უნარ-ჩვევების არტეფაქტებს. ცივილიზებული ევროპის ქვეყნების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა, მეცნიერებისა და ტექნიკის რევოლუციური ზეგავლენა ადამიანის აზროვნებაზე, მას საშუალებას აძლევდა დაენახა მისი ქვეყნის ბუნებრივი და ხელოვნური უპირატესობები და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნების შესადარ პირობებამდე აეყვანა ისინი. აქ მე არ ვიხილავ განათლებაზე მის რეფორმისტულ შეხედუ-

ლებებს, რადგან ის ცალკე კვლევის საგანია. მხედველობაში მაქვს სამდინარო და სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებაზე ნიკო ნიკოლაძის თავგამოდებული და დაუცხრომელი შემართება, ქვეყნის ელექტრიფიკაციის მისეული მსხვილი მასშტაბები, საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების საწარმოო გამოყენება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს ყველაფერი ზემოთ ნათქვამი გავიმეორე იმისთვის, რათა ხაზი გამესვა ნიკო ნიკოლაძის ეპოქალური რეფორმისტული აზროვნებისათვის. ქვეყანას იგი განიხილავდა არა მხოლოდ ეკონომიკური გადარჩენისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ასპექტებში, არამედ ეპოქალურ მოთხოვნებთან შესაბამის კავშირში. ეს ნიკო ნიკოლაძის მეწარმეობრივ მოღვაწეობაში ის პერიოდებია, როცა ჩავლილია ორთქლის ძრავების ეპოქა და ტექნიკური პროგრესის გაცნობიერებული მატერიალობაა ტრანსპორტი და კერძოდ, სარკინიგზო ტრანსპორტი და სტარტზეა მისი მომდევნო ელექტროენერგიის ეპოქა. ამას თანამედროვე ტერმინოლოგიით გამოვთქვამ, თორემ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ასეთი კლასიფიკაცია მაშინ არ არსებობდა. ის, რუსი მეცნიერის ნ. კონდრატიევის[8] თეორიის ბაზაზე შექმნა გერმანელმა მეცნიერმა ი. შუმპეტერმა.

ნიკო ნიკოლაძეს წინასწარხედვის გამორჩეული ნიჭი ჰქონდა. ამის საილუსტრაციოდ მოტანილ მასალებს, შეიძლება კიდევ ერთი ფაქტურა მივამატოთ მისი თანამედროვეთა მოგონებებიდან. გ. კაჭახიძე იხსენებს მის შეკითხვას ნიკო ნიკოლაძისადმი, თუ რას ფიქრობდა იგი კაპიტალიზმზე და მის მომავალზე. ბუნებრივია, კითხვის ავტორს, რომელიც ბოლშევიზმის მიმდევარი იყო, დიდი მოაზროვნის თვალსაზრისი აინტერესებდა. ბატონმა ნიკომ უპასუხა, რომ გაივლიდა დრო და კაპიტალიზმი წარსულს ჩაბარდებოდა. შეიცვლებოდა ქვეყნის საზოგადოებრივი სტრუქტურა და ხალხის ცხოვრების უკეთესი პირობები შეიქმნებოდა, რისი საფუძველი ელექტროენერგიის გამოყენების პერსპექტივებიდანაც ჩანდა[9]. აქ, უნებლიედ, ა. მარშალის პოზიცია გვახენებს თავს. დიდ

---

[8] Кондратьев Н.Н. Проблемы экономической теории. М.: Экономика, 1889.-с. 526.

[9] აქ ცხოვრობდა დიდი ნიკო. თბ., 1998. გვ. 1998.

ეკონომისტს საკუთრება და კაპიტალიზმი ესმოდა არა, როგორც მანკიერი ინსტიტუტი და საზოგადოების განვითარების ევოლუციური გზიდან გადავარდნა, არამედ როგორც კაცობრიობის განვითარების შუალედური საფეხური. ამ თვალსაზრისს მთელი ცხოვრება ატარებდა ნიკო ნიკოლაძეც და დრო რაც უფრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა მისი თვალთახედვის ჰორიზონტი. სოციალიზმის გამარჯვებამ ვერ შეარყია მისი მსოფლმხედველობა, ყოფიერებამ ვერ სძლია ცნობიერებას. არ სჯეროდა იმ წარმატებებისა. რასაც მაშინ საბჭოთა სოციალიზმს მიაწერდნენ. ვერც დაიჯერებდა ევროპულ აზროვნებაზე აღზრდილი კაცი. ის თავის შრომებში რამდენჯერმე იმოწმებდა მსოფლიოში გახმაურებულ ჰ. ბოკლს, რომელიც ლიბერალურ თვალსაზრისზე იდგა და საზოგადოების პერმანენტულ განვითარების იდეის უპირატესობას აღიარებდა. მისი აზრით, რევოლუციები მხოლოდ დროებით წარმატებებს იძლეოდა და ნამდვილ ეროვნულ პროგრესს ვერ მოიტანდა.

ემიგრაციიდან დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძე ისევ სამშობლოს სამსახურში ჩადგა. მაშინდელ იდეოლოგიურ ფსიქოზს იგი არ შეუშინებია და ბოლომდე შეუვალი და თავისთვის დარჩა, როგორც სამეცნიერო თვალსაზრისით, ასევე პრაქტიკული საქმიანობითაც.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ნიკო ნიკოლაძის ეპოქის მსგავსია. აქაც, დაახლოებით, იგივე სიტუაციაა, როგორიც მაშინ იყო. ცხოვრების პირობების მყისიერი შეცვლა, ხალხის მოუმზადებლობა, ხელისუფლების გამოუცდელობა, ერთმანეთს შორის მოქიშპეობა, გაუტანლობა, დაპირისპირება, და კიდევ ისიც, რაც მაშინ ცნობილი არ იყო-წინა თაობების დაწუნება ასაკობრივი მოტივებით, რაც ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ მძიმე სოციალურ ვითარებას და ეკონომიკურ სიდუხჭირეს არსებობას უხანგრძლივებს. არანიკოლაძისეულია ის, რომ ყველაფერში სხვის იმედზე ვართ, ქვეყნის აღმშენებლობას მხოლოდ გარეშე ძალებს ვუკავშირებთ, რაღაც უცხო გზებს ვეძებთ. არასერიოზულია ქვეყნის მომავლის სხვადასხვა გვარ ქიმერებზე ჩამოკიდება-მრეწველობა გადარჩენს საქართველოს, მცირე და საშუალო ბიზნესი გადაგვარჩენს და ა.შ. საქართველოს აღმშენებლობას ნიკოლაძის გზებით უნდა მიუდგეთ. ესაა თანამედროვე ცოდნით შეიარაღება, ჩვენი ქვეყნის ეროვნული

სიმდიდრეების შესწავლა, მოსახლეობის ეკონომიკური აზროვნების განახლება, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, გამოცდილების დაგროვება და უფრო და უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისადმი შეჭიდება, ხალხისა და მამულის სიყვარული, რომელიც ადამიანს თავის უნარსა და ენერგიას ქვეყნის სამსხვერპლოზე მიატანინებს.

2. საზოგადოებრივი ტრანსფორმაციისა და ეკონომიკის რეფორმირების ნიკო ნიკოლაძის ინტერპრეტაციები

საზოგადოების განვითარების კაპიტალიზმამდელი წინარეისტორია არის ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან მისგან საარსებო საშუალებათა მითვისების მიზნით, ანუ ბუნების მბრძანებლობა ადამიანზე, ვითარცა მისი მარჩენალისა. ვინაიდან ბუნებრივი რესურსები იშვიათი და ამოწურვადი მოვლენებია, ბრძოლა არსებობისათვის ომებთან იყო დაკავშირებული. სიმდიდრე დაცვას მოითხოვდა, ხოლო ღარიბ და უქონელ ქვეყნებს არაფერი ჰქონდათ დასაკარგი, მათ უნდა ეძებნათ. ეს ყველაფერი საქართველომ თავის თავზე გამოსცადა და რაკი თავს არავის ესხმოდა, ბევრს დიდხანს ეგონა, რომ ომები ზოგიერთი ქვეყნის ავი განზრახვა იყო. ნიკო ნიკოლაძემ ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში შეძლო ომების ბუნებისა და სამხედრო შეიარაღების კანონზომიერებათა ამოცნობა, დაინახა საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაციული პროცესები ეკონომიკური ეპოქების მონაცვლეობის პროცესებში. ამ შეხედულებათა გამომუშევებას საფუძვლად დაედო მისი აკადემიური შემოქმედება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის პრობლემებზე, რამაც ლაპიდარული ასახვა ჰპოვა მის სადოქტორო შრომაში" განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები".[10]

მაშინდელ ევროპაში მთელი სიმწვავით წარმოჩნდა განიარაღების პრობლემა, რასაც საფუძვლად დაედო მილიტარიზაციის ხარჯების ზრდა ტექნიკური პროგრესის განვითარების კვალობაზე.

---

[10] მაშინ ის 25 წლისა იყო. ხოლო შრომა წარმოადგენდა ციურიხის უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტის საკალდებულო საკვალიფიკაციო სამუშაოს. შრომა ფრანგულ ენაზეა შესრულებული. დაიბეჭდა იმავე წელს ჟენევაში.

ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფოთა ბიუჯეტებს და სამხედრო ხარჯები საზოგადოების ყურადღების კონცენტრაციის საგანი გახდა. ასეთი ხარჯების კოლოსალურმა მასშტაბებმა ისეთი თავზარდამცემი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, რომ თვით ეკონომისტებიც კი დააბნია და შეიარაღება ისეთ სენტიმენტალურ სტილობატზე "შეაყენეს", როგორიცაა ომების არაბუნებრიობა ადამიანური არსებისადმი. მარტივი არითმეტიკული ანგარიშებით ამტკიცებდნენ, რომ შეირაღების შემცირება კოლოსალურ თანხებს გამოათავისუფლებდა, რომლებიც ადამიანის კეთილდღეობას მოხმარდებოდა და კაცობრიობის პროგრესი უფრო მეტ აჩქარებას მიიღებდა.

ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძემ თავის სადოქტორო შრომაში დაასაბუთა, რომ შეიარაღების შემცირება მოსახლეობის დასაქმებას კი არ გაზრდიდა, პირიქით, უმუშევრობას გააფართოებდა და საზოგადოებრივ უწესრიგობას გამოინვევდა და მისი გასწორებისთვის იმაზე მეტი ხარჯები იქნებოდა საჭირო, ვიდრე ისინი შეიარაღებისთვის გამოიყენებოდა. ამას გამოიწვევდა არა მარტო ფაბრიკების და ქარხნების გაჩერება, არამედ საგადასახადო შემოსავლების შემცირებაც. იქვე იგი შეეხო შიდა სამხედრო სტრუქტურების საჭიროებას და დაასაბუთა მათი არსებობის აუცილებლობის საფუძვლები. ამ შრომაში გამოთქმული ზემოაღნიშნული დებულებები საფუძვლად დაედო მის მომავალ შეხედულებებს ქვეყნის განვითარების თავისებურებებზე (რაც განსაკუთრებთ შესამჩნევია მის შრომაში "მამულის სიყვარული და მსახურება"), რამაც საბოლოოდ ის ევროპული ლიბერალიზმის მიმდევრად აქცია, რომელსაც არა მარტო ემხრობოდა, არამედ კრიტიკულად აფასებდა და ხელს უწყობდა, როგორც მისი პრინციპების დაცვას, ასევე პრაქტიკულ გამოყენებასაც. კერძოდ მე მხედველობაში მაქვს შემდეგი: ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეების კვლევა და მისი მიმართებების გარკვევა სხვა ქვეყნებთან, ეკონომიკური სიდუხჭირისა და მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის მიზეზების დადგენა, ბუნებრივი სიმდიდრეების ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესში ჩართვა, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოპოვების ეკონომიკური მეთოდების უპირატესობა, ქვეყნის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობისა და მოსახლეობის აქტივიზაციის პრინ-

ციპები, ეკონომიკური თავისუფლებისა და კრიტიკის კულტურის ფენომენები და სხვა.

ამ საკითხების განხილვას წინ ერთი მისი ფენომენი უნდა წავუმძღვანო, რომელსაც შემდგომ სხვა ასპექტში ისევ დავუბრუნდები.

ნიკო ნიკოლაძეს ჰქონდა თავისი ქვეყნის სიყვარულის ფენომენალური ნიჭი. სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, რომელ მდიდარ სახელმწიფოში, რანაირ ხელსაყრელ პირობებში, მაინც ყოველთვის ყველაფერს თავის ქვეყანას უკავშირებდა, მხედველობაში მაქვს, პირველ ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების კვლევა, ტექნიკური პროგრესის მიღწევების საქართველოში გამოყენების ადეკვატური პირობების გამოვლენა და მისი ინსტიტუციონალიზაცია.

ქვეყნისადმი მისი პოზიცია, რომელსაც იგი ეპიზოდურად გამოთქვამდა სხვადასხვა წერილებში თავმოყრილი აქვს შრომაში "მამულის სიყვარული და მსახურება", რომელიც 1879 წ. დაიბეჭდა. ამ მოკვლევიდან ჩანს, რომ ნიკო ნიკოლაძეს ეცოტავა მხოლოდ განათლების მეშვეობით ხალხისა და ხელისუფლების გამოღვიძება ქვეყნის აღმშენებლობისათვის. დიდი ადამიანების თვისებაა. რომ ისინი ჯერ თავის კრედოს ადგენენ, ხშირად წერილობით არც კი გამოთქვამენ ხოლმე და მისი ამოკითხვა თვით შემოქმედის სტრიქონთა შორის გვიხდება. ნიკო ნიკოლაძე კი პირდაპირ გამოთქვამდა თავის ჩანაფიქრ კრედოს, რომელზეც ასწორებდა თავის მოღვაწეობას მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამას ახლა ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თავქუდმოგლეჯილი გავრბივართ ქვეყნიდან, მოტანა გვიჭირს, გატანა გვიხარია. სხვა ქვეყნების სიმდიდრე გვიტაცებს, ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეებით აღფრთოვანებული იყო **ნიკო ნიკოლაძე**. "განგების ნებით მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე ჩვენი შესანიშნავი ქვეყანა მდებარეობს უდიდეს საავჭრო გზაზე, რომელიც ევროპიდან შორეული აზიური აღმოსავლეთისაკენ მიემართება. კავკასიას დასავლეთითა და აღმოსავლეთით ორი ზღვა აკრავს, რომელიც კი არ აცალკევებს მას დანარჩენი სამყაროსაგან, არამედ ტოვებს გზას ევროპასა და აზიასთან

სახმელეთო ურთიერთობისათვის. მალე დამთავრდება ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც თავიდან ბოლომდე გადაკვეთს ამიერკავკასიას და შეართებს ორი ზღვის მიმდებარე ქვეყნებსა და მათი ვაჭრობის საქმეს".[11] მას ამის თაობაზე სხვა შრომებშიც უწერია (ზოგიერთი მოთხრობილია მომდევნო პარაგრაფში) და აღნიშნავს თუ რატომ ვერ ახერხებს ქვეყანა მის გამოყენებას.

დასაწყისში აღვნიშნე ომების შესახებ და ახლა იმას ვუბრუნდები.

ქვეყნის ჩამორჩენის მიზეზად ნიკო ნიკოლაძე კაპიტალიზმისაგან გაუცხოებას მიიჩნევდა. თუ სხვა სახელმწიფოებმა ადრე დაინახეს ცხოვრების ბურჟუაზიული წესის სიკეთე, ჩვენი სამშობლო და მისი ხალხი ამაში ვერ გაერკვია. ამასაც აქვს თავისი ახსნა. კაპიტალიზმი და საერთოდ პროგრესი არ არის არჩევანის თავისუფლება, მას ცხოვრების უკიდურესი პირობები ქმნის როგორც იძულებას, რაც თავიდანვე კატაკლიზმების ფორმებში მიმდინარეობს, ხოლო შემდეგ მოსახლეობის მასობრივ მიმბაძველობად იქცევა. ნიკო ნიკოლაძე ამის შესახებ პირდაპირ არ წერს, უნდა ვენდო მეხსიერებას, ვინაიდან ზუსტი ადგილი ვერ მოვიგონე წაკითხულიდან, მაგრამ მიუთითებს იმაზე, რომ სიღარიბე, უმეტესად, ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებში გვხვდება. ბუნებრივი რესურსები, როგორც აქამდე, ახლაც ანებივრებს ქართველ კაცს.

აქსიომატურია, ჩამორჩენილობისაგან თავის დახსნა მხოლოდ განათლებით შეიძლება, ისეთი განათლებით, რომელიც თანამედროვების შესატყვისია. კაპიტალიზმი ფეოდალური საუკუნისაგან განსხვავებით მოსახლეობის მასობრივ, საყოველთაო განათლებას ემყარება, კაპიტალიზმში ცოდნა სოციალური ჯგუფების პრივილიგიის ფუნქციას კარგავს და იგი მოქმედების იმპულსებად გამოდის. აქედან გამომდინარე შრომა ფრონტალურ ხასიათს იძენს და, როგორც ნიკო ნიკოლაძე წერს, იგი ადმიანების შეერთებულ საქმიანობად იქცევა. ამ გზით აღწევს ქვეყანა წარმატებებს. "ერთი სიტყვით საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ერთდროული და მრავალმხრივი განვითარებით ყველა იმ ელემენტისა, რომელთაგანაც შესდგება ხალხის ცხოვრება. საზო-

[11] ნ. ნიკოლაძე თხზ. ტ. 8, გვ. 403.

გადოების ყველა ფენას, ყველა მის ჯგუფს, ყველა ძალას ესაჭიროება გამოცოცხლება და განვითარება".[12]

განვითარებული ევროპული ქვეყნებისაგნ განსხვავებით, სადაც კაპიტალიზმი ფეოდალიზმს სპონტანური ფორმებით შეენაცვლა, რუსეთის იმპერიაში ფეოდალიზმი ხელოვნურად გასაუქმებელი შეიქმნა. ამან მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. ახალ ვითარებაში უამრავი ადამიანი ხელცარიელი დარჩა. აზნაურობას მიწათმოქმედება არ ესმოდა და ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ადგილი ვერ იპოვა, ტექნიკა ქვეყანას არ ჰქონდა და არენდატორებმა წელში გაწყვიტეს მეარენდეები, იმათ კიდევ კაბალური არენდის გამო ხელი არ დაუკლიათ რომ მიწას ბარაბაროსულად მოქცეოდნენ. იმ დროს, საქართველოში ამ საქმისთვის მომზადებულად ნიკო ნიკოლაძე მხოლოდ ერთ ადამიანს-ილია ჭავჭავაძეს თვლიდა. საჭირო იყო ახალგაზრდობის აღზრდა საზოგადოების განვითარების კაპიტალისტური პრინციპებიდან გამომდინარე. ასეთი აუცილებლობა სწორად არ იქნა გაგებული და მან სრული გაურკვევლობა გამოიწვია. ბევრი ახალგაზრდა მიაწყდა იმპერიის სხვადასხვა სასწავლებელს განათლების მისაღებად ისე, რომ სრული წარმოდგენა არ ჰქონდა, სად რა უნდა ესწავლა. მეორე მხრივ, ნიჭიერი ახალგაზრდობის უმრავლესობას საშუალება არ ჰქონდა სადმე სასწავლებლად წასულიყო და ქვეყნისთვის სიკეთე მოეტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში პრაქტიკულად არ იყო სახელოსნო, მიწათმოქმედების, საზღვაო და ტექნიკური პროფილის სხვა ტიპის სასწავლებლები. ჩვენი საზოგადოების ქონებრივად გამორჩეულ ადამიანებს კი ახალგაზრდობის განათლებისათვის ქველმოქმედებითი სურვილები ნაკლებად აწუხებდათ. ამ საკითხებშიც ნიკო ნიკოლაძე სწორ პოზიციაზე იდგა. ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელიც სასწავლებლად იმპერიის სასწავლებლებში მიემგზავრებოდა, რჩევას აძლევდა ტექნიკურ მეცნიერებასთან ერთად საფუძვლიანად დაეუფლებოდნენ საზოგადოებრივ მეცნიერებებს და განსაკუთრებით ეკონომიკას, თანაც აფრთხილებდა მათ, რომ ბევრი სასწავლებელი ნამდვილ ცოდნას არ იძლეოდა და მოძველებული იყო. მაგალითად მოჰქონდა გიმნაზიაში გატარებული თავისი ბავ-

---

[12] ნ. ნიკოლაძე. თხზ. ტ. 4, გვ.249.

შვობის წლები[13]. მას სწავლისადმი საზოგადოების არც გულგრილი, შეუგნებელი დამოკიდებულება გამორჩენია, რა მიზეზითაც სკოლების საქმე ცუდად იყო ჩვენში. სანიმუშოდ სომხეთის მაგალითს იშველიებდა, სადაც ყოველწლიურად 20-25 ახალი სასწავლებელი იხსნებოდა, 10-15 ახალი სახელმძღვანელო იბეჭდებოდა, რანაირად ცდილობდნენ ისინი ხეირიანი მასწავლებლების გამოზრდას, რომ მიდიოდა მათი საქმე წინ, ძლიერდებოდა და ვითარდებოდა სომხობა.[14]

განათლებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ქვეყანაში თვალში საცემი გახდა შიში და უსაქმურობა. ცნობილი ფაქტია-უცოდინარობა ქმნის შიშს, რომელიც კაცობრიობას მოაცილებდა დასაბამიდან კაპიტალიზმამდე, მანამდე ვიდრე ადამიანზე ბუნება მძლავრობდა, ვიდრე ბატონობისა და ყმობის ინსტიტუტი არსებობდა ანუ როგორც ჰენრი ბოკლი წერდა "ფეოდალიზმი მიწის რელიგია იყო" და როცა ის ხელიდან გამოეცალა, გაჩნდა უმოქმედო საზოგადოება. რომელიც ნიკო ნიკოლაძის თქმით, არაფერს აკეთებდა და სხვის შემწეობასა და ლოდინში ატარებდა ხავსმოდებულ დღეებს. "ჯერ არსად, არც ერთს ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომითა და ჯანით. ადვილად შესაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელ საზოგადოებას. კაცისთვის და ქვეყნისათვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლის ღვრით და ბრძოლით შეუძენია".[15] აქ

---

[13] იქვე. გვ.70, 71, 180-182, 297-299, 347, 367, 532. თხზ. ტ. 7, გვ. 455.

[14] საოცარია ისტორია. სწავლა-აღზრდის საქმე ახლაც გართულებულია ჩვენმი. სოფლად ეს საქმე ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ბევრი სკოლის შენობა ტექნიკურად უვარგისია. ბევრი დაცარიელდა, რადგან კონტიგენტი აღარ არის. სამი წლის წინ საფრანგეთში სომხურმა დიასპორამ, შარლ აზნაურის მოთავეობით, შეაგროვა თანხები და სომხეთის სკოლებს გადაუგზავნა. ათი წელიწადია ვთხოვ ხელისუფლებას თანხებს ქალაქის ბიბლიოთეკისათვის ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული ლიტერატურის გამოსაწერად და ვერაფერი გავაწყვე. თანამედროება და უნიგნურობა?

[15] ნ. ნიკოლაძე. თხზ. ტ. 4, გვ.367.

ის წმინდა დასავლური კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპების მატარებელია. ეკონომიკური თავისუფლება აძლევს ადამიანს საშუალებას განსაზღვროს თავისი პროფესიული არჩევანი და ეს არის მისი პიროვნული ღირსებების, მეწარმეობრივი უნარიანობის რეალიზაციის საშუალება, რომლის რეფლექსია რწმენისა და ოპტიმიზმის ენერგო მუხტები. მაგარამ იმ პერიოდისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი ცხოვრებას პიროვნული ანუ ადამიანური ფაქტორის დეფიციტი ჰქონდა, რომლის დაძლევის მექანიზმები უნდა შეექმნა პროგრესული აზროვნების ხელისუფლებას. გაჩნდა დილემა: რეფორმატორული ხელისუფლება ხალხმა უნდა აირჩიოს, რომლის არჩევა მას თავისი უმეცრების გამო არ შეუძლია, ხოლო ხელისუფლებრივი პრივილეგიის პირობებში ხალხის უფლებები დაუცველია. თავისუფალი არჩევნების ჩატარება, პრივილეგირებული ფენების საზოგადოებაში, შეუძლებელია. ეს შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოებაში, სადაც ადამიანები თანასწორუფლებიანები არიან, სადაც მეწარმეობა მასობრივია და ამომრჩევლები თავიანთი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე იმ პროგრამას უჭერენ მხარს, რომელიც მათი და ქვეყნის კეთილდღეობის აღმავლობის უკეთესი შესაძლებლობების მომცველია. მაგრამ ქვეყნის მაშინდელი სინამდვილის პირობებში საზოგადოებას სახელისუფლო არჩევნებისადმი გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდა (ახლაც ასეა. თუ რატომ ამაზე მერე). "რატომაა, რომ ჩვენთან, უმეტეს შემთხვევაში, უფრო მეტად ირჩევენ არა მარტო უტყვ და უნიჭო პიროვნებებს, არამედ უეჭველად ულამაზოებსაც, თავიდან ფეხებამდე უმსგავსოთ... აღარ ვლაპარაკობ ისეთ შემთხვევებზე. როცა საზოგადოებრივ თანამდებობეზე ირჩევენ ცნობილ სულელებს, უმეცრებს, არარაობებს...

ყველამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ აზრი-,"რას დავეძებ","ჯანდაბას"-ყოველთვის იმარჯვებდა.ზოგჯერ დასძენდნენ: "ჩვენ ხომ მოსაპარი არაფერი გვაქვს!", ან " ჩვენ რა უნდა გაგვიკეთოს ცუდი?"[16]. ხედავდა რა ასეთ წინააღმდეგობებს, ნიკო ნიკოლაძემ მათი დაძლევის მექანიზმად წინ წამოსწია ინტელიგენციის

[16] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 8, გვ.150-151.

პასუხიმგებლობა ქვეყნის წინაშე, ანუ ის ფილოსოფიური პრობლემა, რომელსაც "ვინ უნდა მართოს" ჰქვია.

ინტელიგენციას ნიკო ნიკოლაძე უწოდებს ერის საუკეთესო, ცოცხალ, უკეთილშობილეს და განათლებულ ადამიანებს, რომლებიც იღწვიან იმ მიზნით, რომ ერის დანარჩენი ფენები აზიარონ მეცნიერებისა და ცივილიზაციის ყველა სიკეთეს. მათი როლი მდგომარეობს იმაში, რომ წაიყვანონ თავისი ერი იქით, საითკენაც მეცნიერება მიუთითებს. მათგან იმ ნაწილს, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლა უწევთ, დამატებით კიდევ მოეთხოვებათ ფილოსოფიური განსწავლულობა და ენციკლოპედიური ცოდნა, ფართო მასშტაბის ანალიზური აზროვნება. ეს, მისი აზრით, ძალზე მძიმე შრომაა და ევროპაში ბევრი გამოჩენილი ადამიანი უარს ამბობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. სამაგიეროდ თანამდებობაზე პრეტენზიებს ორი ტიპის ადამიანები აცხადებდნენ: ფანატიკოსები და პატივმოყვარე კანდიდატები. მათ შორის არჩევანის გაკეთებას საკმაო რთულ ამოცანად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ საჭიროა ბევრმა დრომ გაიროს, რათა საზოგადოებაში ისეთი პატიოსანი და საუკეთესო ადამიანები გამოჩნდნენ, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის სიკეთეზე იფიქრებდნენ. ამ მსჯელობებიდან ჩანს, რომ მან ვერ იპოვა პასუხი კითხვაზე, თუ ვინ უნდა მართოს-ფილოსოფოსმა, ხალხის მიერ არჩეულმა, პროლეტარიატის დიქტატურამ თუ დაბადებით მმართველმა. ქვეყნის რეფორმაციის ინტერესებიდან გამომდინარე ნიკო ნიკოლაძე მივიდა ხელისუფლების დემოკრატიული ინსტიტუტების მიგნებამდე და იქ შეჩერდა. გრძნობდა, რაღაც არ გამოსდიოდა. ამიტომ ამ საკითხს ისევ მიუბრუნდა 65 წლის ასაკში და კრიტიკულად გადაფასა თავისი შეხედულება."როდესაც მე ჟურნალისტურ ასპარეზზე გამოვედი, ოპტიმისტად ვითვლებოდი იმის მტკიცების გამო, რომ მჯეროდა, ჩვენი შვილები და შვილთაშვილები უთუოდ მიაღწევდნენ პოლიტიკურ თავისუფლებას, ხალხის მმართველობას, თუ ინტელიგენციის სამი-ოთხი თაობა გულდასმით იმუშავებდა ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის. სინამდვილეში კი ჩვენ თვითონ მივაღწიეთ ამ ბედნიერებას"[17] (ტალანტებს,

---

[17] ნ. ნიკოლაძე. "ნახევარკაპიკიანი გადასახადი." საიუბილეო კრებული. გამომცემლობა "ნეკერი", 2003. გვ.133.

და განსაკუთრებით ეკონომისტებს, ასაკი უხდებათ. როგორც კანტი წერდა, წლებს სიბრძნე და შემწყნარებლობა მოაქვს). აქ თავს მახსენებს პოპერის აღსარება, რომ მას ჰყოფნის გამბედაობა აღიაროს თავისი შეცდომები. **ნიკო ნიკოლაძეს** ყოველთვის თან ახლდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რასაც საზოგადოების განვითარების პერმანენტული გზის მისი არჩევანი განაპირობებდა. როგორც ზემოთ მოტანილი ციტატიდან ჩანს, მან გადააფასა პიროვნებაზე და საზოგადოებაზე მისი შეხედულებები მეცნიერების მიღწევების განზოგადების საფუძველზე და მთლიანად გაიზიარა ეკონომიკური და სოციალური თავისუფლების უნივერსალობისა და მიზნების კორექტირებადობის კონცეპტუალობები, რაც ქართულ მეცნიერებაში მაშინ ცნობილი არ იყო.

ცხოვრების წინსვლა მიმდინარეობს არა წინასწარ მოფიქრებული პროგრამებისა და დასახული მიზნების შესაბამისად, არამედ ყოველდღიური ცდებისა და სინჯვების განუსაზღვრელი სერიალების ტესტირებადობებიდან ანუ პირობებთან შეგუებადობის პროცესებიდან, შეხედულებათა გადაფასების პროგრესულობიდან, სპონტანურად. ამ პროცესებს ნიკო ნიკოლაძე ასეთნაირად ხსნის: შთაგონება, შემართება, მონდომება დაკავშირებულია ქვეყნის განვითარების დონესა და შესაძლებლობებთან. ხალხის პროგრესი, მისი თავისუფლება ცოდნის გაფართოებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ხარისხობრივი შედეგია, ქვეყნის განვითარებას თან ხვდება პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება და სრულყოფა, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ადამიანური უფლებების დაცვა ძალმომრეობისა და თვითნებობისაგან. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე ნიკო ნიკოლაძე ემიჯნება ცხოვრების წესის შეცვლას რევოლუციებით და განსაკუთრებით სოციალისტური რევოლუციით. იმოწმებს რა ზუსტ მეცნიერებათა აღმოჩენებს, ასკვნის, რომ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ხდება თანდათანობით მეცნიერული აღმოჩენების ბაზაზე. აღაშფოთა 1905 წ. რევოლუციამ, მაშინ როცა მას ქართველი ინტელექტუალების აბსოლუტური უმრავლესობა არა მარტო მხარს უჭერდა, არამედ ლექსებით, ტაშფანდურითა და ზარ-ზეიმით შეხვდა. "სად გაგონილა, ან როდის ყოფილა, რომ საღად მოაზროვნე ხალხს მიზნად დაესახოს ერთი ნახტომით, თანაც პირველით, ყოველგვარი შემზადების გარეშე, გა-

დამხტარიყოს ხელშეუხლებელი ფეოდალური წყობიდან ისეთში, რომელიც დედამიწის ზურგზე ჯერ არსად დაწესებულა თუნდაც ცდის სახით მაინც?... პირადად მე ბავშვობაში მინახავს ჩვენს ირგვლივ შუასაუკუნეობრივი ფეოდალური წყობილება, მთელი თავისი ხელშეუხლებელი ველურობით, ხოლო სიცოცხლის ბოლოს ვხედავ ამ ფეოდალთა შთამომავლებს თავიანთი ყოფილი ყმების სამსახურში .რაც მოხდა ყოველგვარი რევოლუციის გარეშე".[18] არსად ასე ცხადად და კატეგორიულად არ წარმოჩენილა მისი პოზიციები ცხოვრების პირობების სპონტანური ცვლილებების შესახებ, რომ იგი ევროპული ლიბერალიზმის საუკეთესო მცოდნე და თანმიმდევრული მიმდევარი, ლიბერალური პრინციპების პრაგმატიკოსი იყო. კარგად იცნობდა ცნობილ ეკონომისტთა შრომებს, მათ შორის ა. სმიტის, დ. რიკარდოს, ჟ. ბ. სეის, თ. მალთუსის, ჯ.ს. მილის, ა. ვაგნერის და სხვათა შრომებს, რამაც მას საშუალება მისცა ეკონომიკური აზროვნებით თავისი დროის ინტელექტუალებს შორს გასცდენოდა. ამიტომ დარჩა იგი გალაკტიონივით უცნობი არა მარტო მის თანამედროვეთა შორის. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მარტო ზემოთ აღნიშული 1905 წლის რევოლუციისადი მისი დამოკიდებულება. მისთვის ჩვეული პირდაპირობითა და უმკაცრესი ლოგიკითა და კატეგორიულობით აღნიშნავს, რომ იმ დროის გაფიცვებმა ქვეყანას აურაცხელი ზარალი მიაყენა, მოიშალა რკინიგზა, დაეცა მარგანეცის წარმოება, გაღარიბდა ხაზინა, გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები. რაშიც, მისი აზრით, გადამწყვეტი როლი ითამაშეს უცოდინარმა და უგერგილო ადამიანებმა, დოგმატიკოსებმა და ცერემონისტებმა.

ნიკო ნიკოლაძემ ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ პრესაში გახმაურებული მეოცე საუკუნის 900-იანი წლების რევოლუციების საფრანგეთის რევოლუციის ანალოგიებად მოხსენიება მცდარი იყო, ვინაიდან რევოლუციით ფრანგებს ქონების თანაბარ დანაწილებაზე კი არ უფიქრიათ, მათ შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობა დამსხვრიეს თავისი წოდებრივი პრივილეგიებით და რეგალიებით, ყველანი კანონის წინაშე გაათანაბრეს და ამიტომ იმ რევოლუციის შემდეგ ქვეყნის ქონება არა თუ არ შემცირებულა და განიავებულა,

---

[18] იქვე. გვ.130, 133.

პირიქით, გაიზარდა. საფრანგეთში ქონების საყოველთაო კონფისკაცია კი არ ჩატარებულა, არამედ მხოლოდ იმ ემიგრანტებისა, რომლებიც იარაღით ხელში თავს დაესხნენ სამშობლოს. ამ შეფასებებში ნიკო ნიკოლაძე საქართველოში ევროპული ლიბერალიზმის უპრეცედეტო და ყველაზე პროგრესული წარმომადგენელია მის თანამედროვეთა შორის. იგი ცდილობდა საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაცია მიეწოდებინა. ქვეყნისა და ხალხის დაწინაურებასა და პროგრესს მხოლოდ მეცნიერების განვითარებას უკავშირებდა და მაგალითად ელექტრო ენერგიის შორ მანძილზე გადაცემის ეკონომიკურ ეფექტს იშველიებდა, რამაც, მისი აზრით, გაზარდა მშრომელი კაცის დამოუკიდებლობა, რითაც განთავისუფლდა იგი არა მარტო კაპიტალის ექსპლუატაციისაგან, არამედ შრომის ყაზარმული ექსპლუატაციისაგან, სადამდეც მას მიიყვანდა (მერე საუბედუროდ მიიყვანა. რ.ნ.) სოციალისტური იდეალის განხორციელება. თუ ახლა მოვლენებს წინ გაუსწრებთ, რომლებიც მომდევნო პარაგრაფშია განხილული, ცხადი გახდება არა მარტო ის, თუ რატომ ვერ გაიგეს **ნიკო ნიკოლაძის** თვითმყოფადური ტალანტი, არამედ ისიც თუ რატომ უმალავდნენ მის მოღვაწეობას კომუნისტები ხალხს.

გასული საუკუნის 900-იანი წლების რევოლუციებს რუსეთის იმპერიაში და კერძოდ საქართველოში, ხუნდებად ქცეული ტრადიციული ფეოდალური ურთიერთობების მსხვრევა კი არ მოჰყოლია, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა, არამედ ანტაგონისტური დაპირისპირება პროგრესულად განვითარებად, ფორმირებად, სუსტ კაპიტალისტურ ურთიერთობებთან. მასობრივი ფეოდალური აზროვნების ქვეყანაში ბატონყმური ინსტიტუტების მყისიერი გაუქმება საკმარისი პირობა არ შეიძლება ყოფილიყო კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისათვის. საზოგადოებრივი ცნობიერება ამისთვის მზად არ იყო. ამიტომ საგლეხო რეფორმამ რუსეთის იმპერიაში მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია და მას რევოლუციების სერიები მოჰყვა. "როგორც თამაშში, ისევე საზოგადოებაშიც, საერთო წესთა უმეტესობა უნებლიედ გამომდინარეობს ტრადიციიდან და დაუფიქრებლად მიიღება. ჩვენ, ხშირად, მხოლოდ გარკვეული, მცირე ცვლილებანი შეგვაქვს მათში, თუმცა, მცირე ცვლილებების დაგროვების ეფექტმა, შესაძლოა, სერიოზული გარ-

დაქმნა გამოიწვიოს თამაშის ხასიათში ან საზოგადოებაში. თამაშშიც და საზოგადოებაშიც წესთა არცერთი რიგი არ დამკვიდრდება, სანამ მონაწილეთა უმრავლესობა უმეტესი დროის განმავლობაში ამ წესებს არ დაიცავს გარეგანი ძალდატანების გარეშე".[19] ამიტომაა დიდი მოაზროვნეების მიერ რევოლუციები სოციალური პრობლემების გადაწყვეტის დაწუნებული მექანიზმები. **ნიკო ნიკოლაძეს**, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეირაღებული სოციალური რევოლუციების უარყოფითი ასპექტები შესწავლილი ჰქონდა და თავისი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობით ყველაფერს ცდილობდა აერიდებინა საზოგადოება რევოლუციური განწყობილებისაგან. მეორე მხრივ ფაქტის წინაშე იდგა-არა მარტო ხალხი არ იყო მომზადებული დამოუკიდებელი საქმიანობისათვის, ხელისუფლებასაც არაფერი გაეგებოდა იმ სახელმწიფოს მართვაში, რომლის სათავეშიც იგი აღმოჩნდა. ეს ყველაზე ძნელი პერიოდია ქვეყნის რეფორმირებაში. ამ დროს საჭიროა ახალი ურთიერთობების ინტერპრეტაცია და მისი პრინციპების პროპაგანდა საზოგადოებრივ ცნობიერებად ფორმირებისთვის.

ნიკო ნიკოლაძეს ხელისუფლებისა და ხალხის გაუცხოების მიზეზები და მათი დაძლევის მექანიზმები მოტანილი აქვს ზემოთდასახელებულ შრომაში "მამულის სიყვარული და მსახურება", რომელიც დაიბეჭდა 1879 წ., როგორც უკვე ვთქვი, და ისევ გამოიცა 1914 წ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ დაუძლურებას და სხვა ქვეყნებისაგან ჩამორჩენას ავტორი საფუძვლად უდებს უცოდინარობას და ქვეყნის შინა აშლილობას. საქართველომ მხარი ვერ აუბა ტექნიკურ პროგრესს და თურქეთმა ევროპული სამხედრო ტექნიკით უზარმაზარი ვნება მიაყენა. საფუძვლიანად მოუნგრია ეკონომიკა. აქედან იღებს სათავეს მუხლის მოდრეკა ყოველივე უცხოურისადმი. ამას მიემატა შემდგომ პერიოდებში ქვეყნის შიდა წინააღმდეგობები, რასაც ფეოდალური კლასობრივი დისკრიმინაცია და მოსახლეობის წოდებრივი დაყოფა იწვევდა. ამის შედეგი იყო ის, რომ ხელისუფლება ისევ პრივილეგიად დარჩა და პირადი გამდიდრების ამბიციებს არ შორდებოდა. საქვეყნო საქმე კერძო ინტერესებში ჩაინთქა."ვერ ემსახურება კაცი ერთსა და იმავე დროს, თავის კერძო

[19] მ. ფრიდმანი. კაპიტალიზმი და თავისუფლება. თბ., 2002. გვ. 26.

ინტერესებს და მამულის სარგებლობას, ვერ გაიჩენს ორ ღმერთს, ვერ გაუძლებს ორ ბატონს".[20] რაკი, როგორც პოპერი წერდა, ხალხი თავითავს ვერ მართავს, რეფორმის მთელი სიმძიმე მხრებზე უნდა დაიდგას ხელისუფლებამ. მაგრამ ასეთ დატვირთვას მხოლოდ მაშინ იკისრებს და გაუძლებს, თუკი მას ექნება შესაბამისი კომპეტენცია, მაღალი ზნეობრიობა, პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე, მამულისადმი დიდი სიყვარული. თუ ამ ზნეობრივ და პიროვნულ იმპერატივებს მაშინდელი საქართველოს სინამდვილეში გადავიტანთ, გამოვა, რომ კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე ორიენტაციით ხელისუფლების არჩევანი შუასაუკუნეობრივი კლასობრივი დიფერენციაციის ეპოქაში შეუძლებელია, ვინაიდან წინა პლანზე გამოდის კლასობრივი პრივილეგია და ქონებრივი ცენზი. პასუხისმგებლობაც მცირე სოციალურ ჯგუფებზე ნაწილდება. "ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანამედროვე მეცნიერების იარაღით არის აღჭურვილი... როცა მთელი ეს მისი ძალა, თანამედროვე მეცნიერების იარაღით აღჭურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვრებაში ნელ-ნელა ისეთი წესი შემოდის, რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმად მიწაში მარხავს, უმოქმედოდ ფლანგავს, და მეორე ნახევარი კი ორჯერ უფრო მომეტებულად შრომობს, როგორც თავის სარჩენლად, ისე იმ პირველი ნახევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმედოთ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალხის ძალა იღლება, სუსტდება და სრულიადაც ქრება".[21] ამის გაგრძელებაა ის, რომ ამ ნახევრებს შორის არ ცხრება დაძაბულობა და უზარმაზარი ენერგია უკვალოდ ქრება. ასეთ პირობებში მხოლოდ ისეთი კაცი გასწევს ხელისუფლების ჭაპანს, რომელსაც ქვეყანა ნამდვილად უყვარს. ასე თვლის ნიკო ნიკოლაძე და ამას ის ბიბლიური სიბრძნიდან სესხულობს.

სიყვარული და თანაც სამშობლოსი, ურთულესი კატეგორიაა, იგი მრავალგვარი ფენომენების კომპლექსია-ასაკისა, ინტელექტუალობისა, თვითმყოფადობისა, კულტურისა, თანაცხოვრებისა,, სილამაზისა, ზნეობრიობისა, თავისუფლებისა, პასუხისმგებლობისა.

---

[20] ნ. ნიკოლაძე.თხზ. ტ. 7, გვ. 328.

[21] იქვე. გვ. 329.

მერაბ მამარდაშვილი წერდა, რომ რელიგიური ადამიანი შეუძლებელია იყოს გაუნათლებელი. სამშობლოსთან მიმართებაში უფრო რთული მდგომარეობაა, სამშობლოს სიყვარული უდიდეს ინტელექტს შეუძლია და მისი ახსნა სხვებისთვის თითქმის შეუძლებელია, ნიკო ნიკოლაძემ არა მხოლოდ წერილობით გამოთქვა სამშობლოსადმი სიყვარული, არამედ თავის კრედოდ ქმნა იგი და იმის ენერგიით თავისი ცხოვრების ყველა სიმაღლე დასძლია. ყველაფერი ეს მაფიქრებინებს, რომ სამშობლის სიყვარულიც ეკონომიკური კატეგორიაა.

ადამიანს აქვს მეორე ადამიანისადმი სიყვარულის ღვთით მონიჭებული უნარი, იგი მას არც ისე იშვითად პოულობს, მაგრამ ხშირად ეკარგება და სულ მის ძიებაშია. ვერ გაუგია, რატომ. ასე ალბათ იმიტომ ხდება, რომ ადამიანისადმი სიყვარულში ძალზე ბევრია გრძნობადი კომპლექსები. სულ სხვაა სამშობლოს სიყვარული. თუკი მას იპოვი, არასდროს დაგეკარგება, ვინაიდან სამშობლოს სიყვარულში წინა პლანზეა გამოტანილი ინტელექტუალობის რეფლექსია.

სამშობლოს სიყვარული ფენომენალური კომპლექსია და როგორც ამის შესახებ ზემოთ აღვნიშნე განვითარებადი ინტელექტუალური ზნეობრიობა. სამშობლოსთან ადამიანს უამრავი გრძნობადი ნერვი აკავშირებს. ეს მისი საცხოვრისია, წარსული, აწმყო და მომავალი, შეცნობილი სინამდვილე, ოჯახური, გვაროვნული, ნათესაური ტრადიციები, სიამაყე, თვითმყობადობა და სხვა. ამ და კიდევ სხვა ფენომენების რეფლექსია წარმოაჩენს ადამიანის დამოკიდებულებას სამშობლოსადმი და მას ის ფენომენალური განსაზღვრება და წინსწრება აქვს, რომელიც მასში ძლიერია. ბევრ ადამიანს სამშობლო ხშირად ფანატიკურად უყვარს და მის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, მაგრამ ეს მაინც ცოტაა. სამშობლოს სიყვარული ეკონომიკური სიდუხჭირისა და მძიმე კრიზისულ პროცესებში ის უსაზღვრო ენერგომუხტია, რომელსაც ქვეყნის განვითარება ახალ ხვეულზე აჰყავს. ნიკო ნიკოლაძე არის მისი ყველაზე გამორჩეული ინტელექტუალი.

ნიკო ნიკოლაძის ბადალი ტალანტებისათვის ადგილი ნებისმიერი ქვეყნაში მოიძებნება და როგორც იტყვიან, ფეხი ფეხზე გადადებული იცხოვრებენ. მაგრამ ეს მათ არ შეუძლიათ. პირიქით, ქვეყ-

ნის შინაყოფის გაუსაძლისი პირობები აიძულებს მათ ყველაფერი მიუძღვნან სამშობლოს, რამეთუ მათ იციან...ლავრენტი ბერიას შვილის სერგო გეგეჭკორის მამამისზე მოგონებებიდან ის ადგილი გამახსენდა, სადაც ბერიას პიროვნებისადმი გულგრილი საზოგადოებრივი დაინტერესების მიზეზებს ასეთ ახსნას აძლევს: ახლა საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, საქართველოში კი იგი არავის სჭირდება.

სწორი შეფასებაა, სამშობლოს გარეშე დარჩენილი ადამიანი ციდან მეტეორის მოწყვეტას ჰგავს.

სამშობლოს სიყვარულს ტალანტი მარადისობაში გადაჰყავს და მომავალ თაობებს უტოვებს მისაბაძ მაგალითად. ღმერთი ყველა ადამიანში უნდა ცოცხლობდეს.

ნიკო ნიკოლაძემ თავისი მოღვაწეობა განათლების გაფართოებით დაიწყო და მთელი ცხოვრება ცოდნის განახლებასა და მისი პრინციპების პრაგმატულ გამოყენებაში გაატარა. ადრეულ ასაკში გაიგო ის, რომ ეკონომიკური უძლურებისაგან ხალხისა და ქვეყნის დახსნა მხოლოდ განათლებით შეიძლება, რომელსაც ერთი უზენაესი მიზანი აქვს-შექმნას ნივთები და მომსახურების სახეები, შეცვალოს შრომის პირობები და ცხოვრების სინამდვილე. ევროპაში მისი ცხოვრება და მოღვაწეობა შესისხლხორცებული იყო სამშობლოს კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან. მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევებს იმთავითვე იხილავდა სამშობლოსთან მიმართებაში, თუ რა სიკეთეს მისცემდა ეს მიღწევები მას და ამისთვის რა პირობები იქნებოდა საჭირო. იგი აღაფრთოვანა ჰიდრო რესურსების ელექტრო ენერგიად გარდაქმნის აღმოჩენამ და კიდევ უფრო იმან, რომ საქართველოს მდიდარი ჰიდრო რესურსები მას არნახულ რევოლუციას შეუქმნიდა ეკონომიკასა და ფინანსებში. დაამუშავა კიდეც ჩვენი ქვეყნის ჰიდრო რესურსების ელექტრო ენერგიად გამოყენების ტექნიკური პროექტები.

მიზანსწრაფულობა ადამიანის პიროვნულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენია და ის სრულფასოვნად ეკუთვნის სამშობლოს სიყვარულსაც. ბუნებრივია, რომ მას წინ უძღვის მიზნების განსაზღვრა, რომლებიც კორექტირებადია. აქედან ისიც ჩანს, რომ რაც უფრო შორეულია მიზანი, მით უფრო სრულყოფადია იგი, მით უფრო მდიდარია პიროვნული არსენალი და ინტელექტუალობა.

სამშობლოს სიყვარულის ნიკო ნიკოლაძისეული ფენომენი ბავშვობიდანვე ყალიბდებოდა. იგი ყოველთვის ეძებდა მისი სამშობლოს ადგილსა და როლს გლობალურ მეურნეობაში, საქართველოს ეკონომიკურ თვითმყოფადობასა და ნაციონალურ უპირატესობებს და მათი რეალიზაციის გზებსა და მეთოდებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ამ გზებით მიღებულმა ცოდნამ ჩასახა მასში მისი სამშობლოსა და ერის შეგნებული, ზნეობრივი სიყვარული, რომელიც ლაპიდარული წესით ჩამოყალიბებულია მის წერილში "სალამი", რომელიც სამშობლოს სიყვარულის ახსნაა ბიბლიური სიბრძნით სულის ერი ამოთქმით მოთხრობილი და ისიც ქრისტეს ასაკის კაცისა. სულ რაღაც ორი წლის განშორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას მას სიხარულის ისეთი განცდა აქვს, თითქოს საუკუნე არ ენახოს იგი."მე დამივლია მთელი ევროპა, ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა. არც საფრანგეთის ამაღელვებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას არასოდეს, არცერთი წამის განმავლობაში, არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ, თუმცა ახალგაზრდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის და დიდი გავლენის იმედს... იმის მაგიერ, რომ იქაურ ცხოვრებას მივებირე და სხვებსავით დამევიწყა ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენი ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც-კი ყოფილიყო შენთვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა".[22]

ტექსტში ასეთი გრძელი ციტატების მოტანა ჩვევად არა მაქვს და ეს სხვა ავტორებისთვის სისუსტედ და ყოველთვის რაღაც უხერხულობად ჩამითვლია, მაგრამ ის, რაც ახლა ჩვენ წავიკითხეთ, სამშობლოს სიყვარულის გაცხადების ეპისტოლური გადმოცემაა უმაღლესი განცდებით და იმ სიყვრულის დაფიცებაც არის, რო-

---

[22] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 4, გვ. 362.

მელსაც ბავშვებს სკოლაში უნდა ასწავლიდნენ და მამაო-ჩვენოსავით აზეპირებდნენ. მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ იქნებოდა, ისიც უნდა ასწავლონ, თუ როგორ უერთგულა ნიკო ნიკოლაძემ სამშობლოს სიყვარულს და აღმატებით ხარისხში აღასრულა ფიცი, რომელიც მას მისცა. ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა ჩვენ ზემოთ გვქონდა მოტანილი, ხოლო უფრო ვრცლად გადმოცემულია მომდევნო პარაგრაფში.

ქვეყნის განვითარებაში არის ღრმა კრიზისული, უმწვავესი მომენტები, როცა მოსახლეობას შიში და დაბნეულობა ეუფლება და ღონემიხდილია. ასეთ მდგომარეობაში თავისი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს ვიღაცამ. ეს მხოლოდ იმ კაცს ხელეწიფება, რომელსაც თანამედროვეობის შესატყვისი ცოდნა და უნარი გააჩნია. როცა მხედველობაში ჰყავთ ნიკო ნიკოლაძე მის ამგვარ თვითმყოფადობას ევროპული განათლებით ხსნიან, როგორც რუსულთან უპირატესობას,, მაგრამ ეს მთლად სწორი არ არის. მეცხრამეტე საუკუნის ევროპა იყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მექა და სამრეწველო რევოლუციის აკვანი. ამას გარდა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ლიბერალიზაციის მოძღვარიცა და მიმდევარიც. მან უჩვენა მსოფლიოს ამ აზროვნების პროგრესულობა. ნიკო ნიკოლაძე იყო არა მარტო ასეთი აზროვნების პრინციპებზე აღზრდილი, არამედ თვით ევროპული ცხოვრების უშუალო მონაწილე და კრიტიკოსი, რომელიც არასდროს დაღლილა იმის ცდაში, რომ ევროპული ლიბერალიზაცია საქართველოში დამკვიდრებულიყო. უფრო მეტიც, მან თვითონ აღმოაჩინა და თავისთავი იპოვა ევროპაში და არა პირიქით, იგი ევროპას არ შეუქმნია, კი არ გაევროპელდა, ქართველი ევროპელი გახდა. ეს აშკარად ჩანს მისი წერილებიდან და შრომებიდან, რომლებიც, თითქმის ყველა შემთხვევაში, პოპულარულად არის დაწერილი რიგითი მკითხველისათვის. მაგრამ ლიბერალიზაცია მაინც ვერ დამკვიდრდა მაშინდელ საქართველოში, ვინაიდან ერთი ევროპელი ნიკოლაძის გაგება საკმაოდ ძნელი იყო. ამას ის, ყველაზე უკეთ, თვითონ ამჩნევდა. ამიტომ მას ყველა დიდ საქმეში ევროპელის იმედი ჰქონდა, ევროპასთან შემაერთებელ ხიდებს იშველიებდა. ამ საშუალებებით აახლოებდა თავის ქვეყანას ევროპასთან. მეთოდებიც სწორად შეარჩია. არა ძალად გაევროპელება პეტ-

რე პირველის მეთოდებით, არამედ ევროპული უპირატესობების ექსპოზიცია, ეროვნული უპირატესობების ევროპეიზაცია. ეს მან პირველმა დაიწყო და აქამდე ვერ ჰპოვა ღირსეული გაგრძელება საქართველოში.

წმინდა ევროპულია ნიკო ნიკოლაძის შეფასებები ვაჭრობაზე. საქართველოში ვაჭრობა დიდხანს ითვლებოდა არასერიოზულ საქმედ მეწარმეობასთან შედარებით და არა მარტო საქართველოში. ამას აქვს თავისი ახსნა. ხშირად მეტ მოგებას ღებულობს არა თვით ნივთების მკეთებელი, არამედ ვაჭარი, რომელიც ამ ნივთებს იაფად ყიდულობს და ძვირად ყიდის. ამ საიდუმლოებამ შექმნა ვაჭრობაზე ზიზღის, სიძულვილის დამოკიდებულება. ნაკლები ყურადღება მიაქციეს იმას, რომ კომერციას აქვს თავისი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზე კომერსანტი ეწევა საქონლის გადატანის რისკს დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში სარგებლის მიღების მიზნით. ასე შექმნა ვაჭრობამ ცივილიზაცია და ერთმანეთთან დააკავშირა ხალხები და ქვეყნები. ამის მნიშვნელობაზე მიუთითებდა ნიკო ნიკოლაძე და ურჩევდა ქართველებს ესწავლათ აღებ-მიცემობა, ყიდვა-გაყიდვა. არა, არ ვთქვი მთლად სწორად, კი არ ურჩია, თვითონ ყიდდა და ყიდულობდა, ეძიებდა და პოულობდა და სარგებელსაც ნახულობდა.

იშვიათი ჯიშებით მდიდარ დასავლეთ საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხე-ტყით მოვაჭრე ბერძენი, ფრანგი, ინგლისელი, ებრაელი და სხვა ჯურის უცხოელი შემოესია. ისინი ბზისა და კაკლის მორებს ჩალის ფასად იძენდნენ და ევროპის ბაზრებზე ათმაგად ყიდდნენ. კერძოდ, ფოთში 50 კაპიკად ნაყიდი ფუთი ბზა საფრანგეთსა და ინგლისში 4-7 მანეთად იყიდებოდა. ეს მაშინ, როდესაც ქართული ბზა და კაკლის მერქანი საუკეთესოდ ითვლებოდა მთელს ევროპაში. ჩვენი მოსახლეობა თავისი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ხელის დაცლას უძვირფასესი მერქნისაგან ბედნიერ მოვლენად მიიჩნევდა, რაკი მათი მეშვეობით შემოსავლის წყარო იოპოვა. საუბედუროდ ამ ძვირფასი ჯიშებისადმი ბარბაროსულმა დამოკიდებულებამ განადგურებამდე მიიყვანა ბზისა და კაკლის ჯიშები. ამ მდგომარეობამ აღაშფოთა ნიკო ნიკოლაძე. მან სწორად შეაფასა ქვეყნისთვის შემნილი მძიმე ვითარება და ჩვენი მდიდარი ტყეების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების სა-

კითხები ტყეების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას დაუკავშირა. აქ მისი პოზიცია მართებულია იმითაც, რომ ეკონომიკის რეფორმირების პერიოდში ქვეყნის სიმდიდრის გამრავლების პერსპექტივების განსაზღვრა და მასზე კონტროლი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

აჯამეთის ტყე ვორონცოვის მმართველობამდე სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ვორონცოვის დროს ტყის ერთი ნაწილი ცნობილმა მოსკოველმა მდიდარმა ანანოვმა იყიდა, ხოლო მეორე ნაწილი მთავრობამ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს სვიატოპოლსკ-მირსკის მისცა საკუთრებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა მისი გაყიდვა. ამის გამო ხალხისა და ქვეყნისთვის მოსალოდნელი მდგომარეობა მხედველობიდან არ გამორჩენია ნიკო ნიკოლაძეს. ეშინოდა, რომ ტყეები ისევ უცხოელებს ჩაუარდებოდა ხელში და ისინი მას სწრაფად გაანადგურებდნენ. მოსახლეობა კი ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო აჯამეთის ტყის კერძო საკუთრების გამო."შექმნილი მდგომარეობიდან ერთერთი გამოსავალია-სააქციო საზოგადოების დაარსება 200.000 მანეთის კაპიტალით და მამულის დაგირავება სამიწათმოქმედო ბანკში დანარჩენ თანხაზე".[23] თვით ბანკებს წინადადებას აძლევდა დახმარებოდნენ მოსახლეობას კრედიტის მიღებაში.

ნიკო ნიკოლაძე კრიტიკის თავისუფლების დაცვისა და მისი კულტურული განვითარების ევროპული ინტელექტია. პოპერის აზრით მეცნიერების დაწინაურება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დანარჩენ კლასტერებთან შედარებით, კრიტიკის თავისუფლებამ განაპირობა. ამას ნათლად ხედავდა ნიკო ნიკოლაძე და მისი აუცილებლობის შესახებ ფართო პოლემიკას არ ერიდებოდა."კმარა ამდენი თმენა...ნათქვამია, რომ ჭეშმარიტება გამოიჭვრეტს აზრების შეტაკებისაგანო...ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი მოვალეობა, თუ ჩვენ ნამდვილად ვემსახურებით ჩვენს ქვეყანას, და არა პეტრეს, პავლეს, ან თონიკეს, ესე იგი ჭავჭავაძეს, მესხს, წერეთელს, ნიკოლაძეს და სხვ."[24] როგორც მე ვამჩნევ, ბევრი მის ამ წერილს და კი-

---

[23] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 8, გვ. 61.

[24] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 4, გვ. 456.

დევ დანარჩენ სხვებს არ იცნობს და მის კრიტიკულ შენიშვნებს, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის მიმართ, რაღაც კერძო ინტერესების ან პირადი დაპირისპირების გამოვლენად თვლიან. სინამდვილეში, მას მხედველობიდან არ გამორჩენია ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია ყოფილიყო პირდაპირი, როცა თავისი აზრი სწორად მიაჩნდა. უხერხულობად არ თვლიდა კრიტიკისა და კამათის სიმწვავეს. "რამდენჯერ მომხდარა ხოლმე, რომ ლუი ბლანი გამბეტას შეტაკებოდეს, ან გამბეტა ლუი ბლანს, აშკარად, მთელი საფრანგეთისა და მთელი ევროპის წინ. ხან ერთს მათგანს გაუმარჯვია, ხან მეორეს, მაგრამ ყოველთვის კი მათი ბრძოლით ხალხს უსარგებლია. ამიტომ ამ ბრძოლის შემდეგ მისთვის უფრო ნათლად გამოსახულა საქმის მდგომარეობა; უფრო ნათლად გამოჩენილა ის გზა, რომელსაც ხალხი უნდა დასდგომოდა".[25]

თაობები შემოქმედების ასპარეზიდან ერთი მეორეს კი არ დევნიან, ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან და ავსებენ ერთმანეთს. თაობები ერთმანეთზე გადაბმული სიცოცხლის ჯაჭვია, რომლის გაწყვეტა არავის არ შეუძლია. უზნეო უნიჭიერეს ვოლუნტარისტს მისი შეფერხება შეუძლია მხოლოდ. ნაცრის ამტუტებას ჰგავს მავანთა შეცხადება ქვეყნის დაღუპვის გარდუვალობაზე (ვერც ერთმა უკიდურესად სისხლისმსმელმა უნიჭიერესმა კაენმა და იუდამ ვერ გადააშენა და მოსპო ვერც ერთი ერი). წინააღმდეგობათა დაძაბვა პოლიტიკურ პარტიებს შორის შეხედულებათა ალტერნატივებს წარმოშობს და ეს კარგია. ერის ნაციონალურ თვითმყოფადობას რომელიმე პიროვნება და მისი თანამზრახველთა გუნდი ვერ წაშლის. ვერც მის მომავალს მოუნგრევს საფუძველს. ვერც თაობებს გადაჰკიდებს ერთმანეთს. სიკვდილიც ვერ დააშორებს თაობებს ერთმანეთს, პირიქით, იგი უფრო აახლოებს მათ. მსოფლიოს სჭირდება არა გადაგვარებული, გაამერიკელებული ან გაევროპელებული ქართველი, არამედ თვითმყოფადი თანამედროვე ქართველი. ეს უკვე ფაქტურაა.

კრიტიკის თავისუფლება ნიკო ნიკოლაძეს გაგებული ჰქონდა, როგორც ცოდნის გავრცელების საშუალება, როგორც განვითა-

---

[25] ნ. ნიკოლაძე. თხზ. ტ. 8, გვ. 331-332.

რების ინსტრუმენტი ცდებისა და სინჯვების გზით, როგორც მაშინ-დელი ფეოდალური საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლის თან-მიმდევრული პროცესი შეიარაღებული აჯანყებებისა და რევოლუ-ციების გარეშე. მისი მტკიცებით მოსახლეობის აზროვნების გა-ნახლებაში გადამწყვეტი როლი მაღალი ეროვნული შეგნების ინტე-ლექტუალებს უნდა შეესრულებინათ. ამდენად კრიტიკა ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნების განხორციელების იარაღად მიაჩნდა. ამ მიზნების რეალი-ზაციის სივრცე დანახული ჰქონდა ევროპისა და აზიის ქვეყნებთან გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში. მან მოიკვლია ქვეყნის ნაციონალური ეკონომიკური უპირატესობები, სიცხადეზე გამოი-ტანა ისინი და ბაზრები მოუძებნა, ხალხის კეთილდღეობად აქცია. თვითონაც ამჩნევდა, რომ ცხოვრების წესი იცვლებოდა და ახალი აზროვნება იკვლევდა გზას. ნიკო ნიკოლაძემ ყველაზე უკეთ გაიგო განვითარებადი კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპები და იყო მისი შეუდარებელი რეფორმატორი. მან გაიგო იმ საზოგადოების საფუძველბრივი პრინციპები, მაგრამ მისმა თანამედროვეებმა ბოლომდე ვერ დაინახეს მისი შორსმხედველობა. საზოგადოებრივ მეცნიერებებში მას იმ დონის განათლება ჰქონდა, რომ ვერ გაუგეს, როგორც თეორიულ აზროვნებაში, ასევე პრაქტიკულ საქმია-ნობაშიც. ამის გამო უნდა ეპატიოთ, აკი წინაპრებს უთქვამთ, რომ არცოდნა-არცოდვაოო, მაგრამ ეს ზნეობრივი სენტენციაა და არა მხოლოდ მორწმუნეთათვის, უცოდინარობა რა საპატიო საქმეა, ეს ხომ ქვეყნისთვის საზიანოა, დანაშაულია ნიკო ნიკოლაძის შემოქ-მედებისადმი ინდიფერენტულობა, იმ გზების გვერდის ავლა, რომ-ლებიც მან გაიკვლია და ახლა ისინი ქვეყნის კეთილდღეობის გა-უმჯობესების ნაცადი ხერხებია.

თავი მეორე

მეწარმეობის განვითარება ქუთაისის გუბერნიაში

1846 წ. დეკემბრის მაშინდელი რუსეთის იმპერიის საგუბერნიო მოწყობის გადაწყვეტილება, ბუნებრივია, საქართველოს ტერიტორიაზეც გავრცელდა. ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს ეწოდა თბილისის, ხოლო მის დასავლეთ ნახევარს- ქუთაისის გუბერნია.

ქუთაისის გუბერნიას შეადგენდა-ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ზუგდიდის, ოზურგეთის და სენაკის მაზრები; ართვინის (ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია), ბათუმისა და სოხუმის ოლქები. 1887 წ. მონაცემებით ქუთაისის გუბერნიის საერთო ფართი 31 ათ. კვ. კმ. შეადგენდა. იმავე წლის სტატისტიკური აღრიცხვის თანახმად ტყეებს ეჭირა გუბერნიის მთელი ტერიტორიის 72%, საძოვრებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 20%, გამოუყენებელი მიწები მთელი ტერიტორიის მხოლოდ 8%[26] იკავებდა. კერძო მფლობელობაში იყო 1223,6 ათ. ჰა, რომლის 72% თავადაზნაურობის საუთრებად ირიცხებოდა. გლეხობის წილად მოდიოდა მიწების დაახლოებით მესამედი 28 % ანუ 2, 5 ჯერ ნაკლები თავადაზნაურობის მიწებთან შედარებით. მიწაზე უპირატესობით სარგებლობდნენ მოსახლეობის გაბატონებული ფენები, რომლებსაც თავიანთი მეურნეობები "მორგებული" ჰქონდათ იმდროინდელ არენდულ საწყისებზე. ამიტომ გლეხები იძულებული იყვნენ მიეღოთ კაბალური პირობები და მიწის არენდით სარგებლობისთვის მოსავლის მეოთხედი, ხოლო ხშირად ნახევარიც კი გადაეხადათ.

რელიეფის მიხედვით არჩევდნენ მაღალმთიან, მთიან და ბარის ტყეებს. მაღალმთიან ტყეებში სჭარბობდა ადგილობრივი წიწვოვანი მცენარეები-ნაძვი და სოჭი, მთიან ტყეებში-წიწვოვანი და ფართოფოთლოვანი ჯიშები, ხოლო ბარის ტერიტორიაზე-წიფლისა და

---

[26] ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალური არქივი. ф. № 130. Д. 209.

მუხის ჯიშები. ბარის ტყეები ტექნიკურად იოლად ხელმისაწვდომი იყო ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის და ისინი ამ შესაძლებლობებს ხელიდან არ უშვებდნენ: ხე-ტყით თითქმის უფასოდ სარგებლობდნენ ან სიმბოლურ ფასად იძენდნენ ხის ნედლეულ მასალებს. ამას ის დადებითი შედეგები მოჰყვა, რომ მაღალმთიანი და მთიანი ტყეები პრაქტიკულად ხელუხლებელი დარჩა რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

ქუთაისის გუბერნიისთვის დამახასიათებელი ზომიერი, სუბტროპიკული კლიმატი შუა და სამხრეთ ევროპაში მაშინ გავრცელებული ყველა სახის სამიწათმოქმედო და ტექნიკური კულტურების წარმოების შესაფერ საშუალებებს ქმნიდა. ამას ხელს უწყობდა გუბერნიის ნიადაგების ნაყოფიერება, რომლითაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა რიონისა და ენგურის მდინარეების მიმდებარე ვაკის ტერიტორიები. იმ დროს დასახელებული მიწებიდან ჰექტარზე 15-17 ცენტნერი ხორბალი მოჰყავდათ. ეს მაშინ, როცა მიწის კულტურული დამუშავებისთვის არ არსებობდა მაღალეფექტიანი ტექნიკა, და როგორც ნიკო ნიკოლაძე წერდა, მიწას იმ იარაღებით ამუშავებდნენ, რომლებიც წარღვნისას ნოეს კიდობანში ჰქონდა შენახული. იმდროინდელი პერიოდის შრომის ძირითად იარაღებს შეადგენდა კავი, თოხი, ბარი, ხის ფარცხი და სხვა, რაც სამწუხაროდ თითქმის იგივე დარჩა დღესაც და ძალზე უმნიშვნელოდ თუ განსხვავდება მაშინდელისაგან, თუ უარესი არ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობა სასუქების გამოყენებას არ იცნობდა. ამას განაპირობებდა ისიც, რომ თავისი გეოგრაფიული თავისებურების გამო გუბერნიაში არ არსებობდა ევროპისა და რუსეთის იმპერიის ტერიტორიული დანაყოფებისთვის დამახასიათებელი კერძო და სახაზინო საკუთრების მასობრივი მიწის ფართობები, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო მაშინდელი ტექნიკა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პრივილეგირებული კლასების საკუთრებაში არსებული მიწების მთლიანი ფართობიდან 75 % საშუალოდ 21 ჰა არ აჭარბებდა ანუ ფერმერული მეურნეობისთვის თითქმის შეუსაბამო იყო. მიწებს, ასეთი წვრილი დიფერენციაციის გარდა ქანობები, რთული კონფიგურაცია და ზოლიანობა ახასიათებდა, რა მიზეზებითაც შეზღუდული იყო მსხვილი მიწათსარგებლობის ორგანიზაცია. მოსახლეობას ძალზე დიდ წინააღმდეგობებს უქმნიდა

იმდროინდელ გუბერნიაში სამიმოსვლო საშუალებათა ტექნიკური ჩამორჩენილობა, რაც არსებითად ხელს უშლიდა საბაზრო ურთიერთობების განვითარებას.

კერძო საკუთრების ტყეებს გაცილებით ნაკლები ფართობი ეჭირა სახაზინოსთან შედარებით, მათ წილად მოდიოდა გუბერნიის მთელი ტერიტორიის 37 %. გუბერნიის სახაზინო ტყეების ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნება, მდინარეთა ნაპირების გამაგრება, გზების დაცვა დამეწყრიანებისა და თოვლის ნამქერის დაცურებისაგან. კიდევ: სახაზინო გლეხებსა და საერთო სარგებლობის სახაზინო აგარაკების თანამშრომლებს მათი საოჯახო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ტყის მასალების უფასოდ გამოყენების ნებართვა ეძლეოდათ. 1895 წ. ასეთი მოთხოვნების დასაკმაყოფელებლად 34 ათ. მან. ნედლი მერქანი გამოიყო.

გუბერნიის ტყეების ძირითად სახეებს შეადგენდა მუხა, წიფელი, წაბლი, რცხილა, ცაცხვი, ნაძვი, კოპიტი, ნეკერჩხალი, თხმელა, სოჭი, თელა, ფიჭვი. ტყეები მდიდარი იყო მარადმწვანე ბუჩქებით, როგორიცაა დეკა, წყავი და ბზა. შემოსავალი სახაზინო ტყიდან მერქნის რეალიზაციის გამო 57 ათ. მან. არ აღემატებოდა, და ვინაიდან ქუთაისის გუბერნიაში ნატურალური მეურნეობა სჭარბობდა, ხე-ტყის მასალები და ნაკეთობები ძირითადად პირადი მოხმარებისთვის მზადდებოდა, ხის ნაკეთობათა ნაწილი იქმნებოდა სხვა ნაკეთობებზე გასაცვლელად და საექსპორტოდ.

გუბერნიის ტრადიციულ პროდუქტებში შედიოდა სიმინდი, ღვინო, ხის მასალები და სხვა.

გუბერნიის მოსახლეობის კვების ძირითად პროდუქტებს შეადგენდა სიმინდი და ლობიო, რომლებიც გუბერნიის მთელ ტერიტორიაზე ითესებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა სიმინდის ფქვილს იყენებდა მჭადის გამოსაცხობად და კვების სხვა სახის პროდუქტების დასამზადებლად, რაც დღემდე შენარჩუნებულია და ეს ტრადიცია არ იკარგება. სიმინდის ღეროსა და ფურცლებს (ჩალას), როგორც აქვს დღეს, მაშინაც იგივე დანიშნულება ჰქონდა-შინაური პირუტყვის საკვებად იყენებდნენ.

სიმინდს, აგრეთვე, საზღვარგარეთული დიდი მოთხოვნა ჰქონდა და იგი ევროპის ბაზრების საექსპორტო საქონელი იყო. 1884 წ. გუბერნიიდან სიმინდის ექსპორტმა მსხვილი მასშტაბები მიიღო, რომლის წლიური ექსპორტის მოცულობა მინიმალურ ნიშნულს (80 ათ. ტ.), არასდროს ჩამოცდენია ყველაზე მოუსავლიანი წლების პერიოდებშიც კი[27].

მთებში მოჰყავდათ მარცვლეული, საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, ღომი-ხორბლის წვრილმარცვლეული ჯიში; თესავდნენ კარტოფილს და მისდევდნენ მესაქონლეობას. გუბერნიაში შემავალი მაზრები, თანამედროვე გაგებით, თავისებურ სპეციალიზებულ ტერიტორიულ ერთეულებად ფორმირდებოდა, რომელთა შორის სისტემატურად იცვლებოდა ჯარბი საქონელი. მაზრები სპეციალიზდებოდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საოჯახო წარმოების საქონლის განსაზღვრული ჯგუფების წარმოებაზე. ასეთი უპირატესობები განსაკუთრებით თავს იჩენდა მოუსავლიანი წლების პერიოდში, რომლის წყალობით გუბერნიის მოსახლეობა თითქმის არასდროს აღმოჩენილა უკიდურესი სიღარიბის მდგომარეობაში. ასეთი უპირატესობები მაზრებს საშუალებას აძლევდა მინიმუმამდე შეემცირებინათ სურსათის რეზერვები და განსაკუთრებული ყურადღება არ გამოეჩინათ კვების პროდუქტების შენახვის ტექნოლოგიების დამუშავებაზე. სწორედ ბუნებრივი სიმდიდრეები იყო და არის დღესაც უნივერსალური საშუალება, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას შეღავათს აძლევდა, ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მძიმე პერიოდებშიც კი, შედარებით იოლად დაეღწია თავი ძნელი მდგომარეობიდან და სწრაფად მოძლიერებულიყო. რაც დამახასიათებელი არ იყო იმპერიის სხვა გუბერნიებისთვის.

ღვინო საქართველოს მოსახლეობისთვის რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე ტრადიციულად ჩამოყალიბდა არა მხოლოდ როგორც სასმელი, არამედ როგორც ყოველდღიური მოხმარების

---

[27] Обзор Кутаисской губернии за 1887 г. с. 3-4.

კვების აუცილებელი პროდუქტი.[28] 1887 წ. საანგარიშო მონაცემებით გუბერნიაში ღვინის საშუალოწლიური წარმოება, თვით ყველაზე უფრო არახელსაყრელ კლიმატურ პირობებშიც, არასდროს ჩამოცილებულა 72 ათ ტ. ნიშნულს დაბლა. მოსავლის ნახევარი იყიდებოდა, როგორც იმპერიის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ნატურალური ღვინის წარმოებას მტკიცე საფუძველს უქმნიდა მევენახეობა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული გუბერნიის მთელ ტერიტორიაზე.

მევენახეობას ეწეოდნენ ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრასა და დასახლებაში, რომლებიც სპეციალიზდებოდნენ ვენახის განსაზღვრულ სახეებსა და ჯიშებზე მიწის ნაყოფიერებისა და კლიმატური პირობებისაგან დამოკიდებულებით. ვაზის ნარგავებს ეკავა 38 ათ. ჰა, ანუ გუბერნიის ტერიტორიის 1,5 %. გუბერნიის ტერიტორიის ტოპოგრაფიული მრავალგვარობა განაპირობებდა თვით ვენახის ჯიშების მრავალგვარობასაც, რომელიც მის 500 სახეობას შეადგენდა. მაგრამ ვენახის მოვლის აგროტექნიკა და ღვინის დამზადების ტექნოლოგია თითქმის ისეთივე რჩებოდა, როგორიც რამდენიმე ათასწლეულის წინ იყო. მოსახლეობა არ იცნობდა არაორგანულ სასუქებს და მას არ გააჩნდა ინდუსტრიალური ეპოქისთვის დამახასიათებელი პესტიციდები და ჰერბიციდები, არ ჰქონდა შრომის რაციონალური მეთოდების გამოყენების უნარ-ჩვევები. იმ დროს არ გამოიყენებოდა ღვინის დახარისხება და მისი დაძველება ევროპული მეთოდით. პრაქტიკულად არ არსებობდა ღვინის სარდაფული მეურნეობა. მეღვინეობის განვითარებაში მთავარ წინააღმდეგობებს ქმნიდა მისი ინფრასტრუქტურის ჩამორჩენილობა, მასში პირველ რიგში იგულისხმება ისეთი ქვესისტემები, როგორიცაა შენახვა, ტრანსპორტირება და ტარას წარმოება. ღვინის დამზა-

---

[28] მევენახეობასა და მეღვინეობას საქართველოს მოსახლეობისთვის გაცილებით უფრო დიდი და შინაარსობრივად ვრცელი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეკონომიკური. ვაზის გამოყვანის კულტურის განვითარებასა და მისი მოვლის ტექნოლოგიების სრულყოფასთან ერთად, მეღვინეობის ცივილიზაციის კვალობაზე ჩამოყალიბდა ქართველი კაცის აზროვნებისა და შრომითი საქმიანობის წესი და იგი ვაზთან და ღვინის წარმოებასთან განუყოფელი და მთლიანია. ამდენად, მევენახეობა მხოლოდ საქონელმწარმოებელი და მომგებიანი მეურნეობა არ არის, იგი თავისი რთული სტრუქტურებით საქართველოს მოსახლეობის დემოკრატიის ინსტიტუტი და სულიერი ცხოვრების ტაძარია.

დებისა და შესანახად გამოიყენებოდა მხოლოდ ჭურები, ვინაიდან მაშინ გუბერნიაში არ იწარმოებოდა მინის ტარა და სპეციალური ჭურჭელი. ღვინის ტრანსპორტირება ხდებოდა, როგორც წესი, გუდებითა და რუმბებით, ხოლო სატრასპორტო გამწევ საშუალებად შინაური მუშა პირუტყვი გამოიყენებოდა. ბაზრებზე მაღალი მოთ. ხოვნიდან გამომდინარე მევენახეობა გუბერნიაში წლიდან წლამდე იზრდებოდა. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მასზე მოთხოვნა ორი მიზეზით შემცირდა. პირველი, საერთაშორისო ბაზრებზე გაიზარდა ფასები სიმინდზე და ამიტომ, ბუნებრივია, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში უპირატესობა სიმინდს მიანიჭეს. მეორე, სწრაფად ვრცელდებოდა ვენახის ავადმყოფობა-ვაზის ფილოქსერა (ამ ავადმყოფობამ გავრცელება დაიწყო 1854 წ.[29]). გაჩნდა ვაზის კულტურის გადაშენების საშიშროება. მთავრობამ საგანგებო ზომები მიიღო ვაზის მეურნეობებისადმი დახმარების აღმოსაჩენად. ამ მიზნით დაფუძნდა ფილოქსერას წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიის კომიტეტი, რომელმაც გუბერნიაში, მართლაც, ყველაფერი გააკეთა ფილოქსერასაგან ვაზის გადასარჩენად. ამის შესახებ ქვემოთ.

მეცხოველეობას გუბერნიაში თავისი სპეციფიკა ჰქონდა, მხედველობაში მაქვს მთის რელიეფის უპირატესობა და უგზოობა, მდელოთა მცირე ფართობიანობა, ბალახის საკვების დეფიციტი და ისიც, რომ მესაქონლეობა ძირითადად საოჯახო მოთხოვნებზე იყო გამიზნული-მსხვილფეხა რქოსანი საქონელი მთიან პირობებთან აკლიმატიზაციის გამო მაღალი პროდუქტიულობითა და სიმსუქნით არ გამოირჩეოდა, თუმცა რიცხობრივად საკმაოდ მნიშვნელოვან სიდიდეს აღწევდა. 1878 წ. გუბერნიაში 908 ათ. სული საქონელი ჰყავდათ, რომლის რიცხვმა 1900 წ. 211 ათ. მიაღწია. მათ შორის პირველი ადგილი ეჭირა ცხვრებსა და ხარებს. ცხენებსა და ხარებს

---

[29] ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. რ. ლომინაშვილის, გ. გაფრინდაშვილის, შ. აბულაძის შრომაში " საქარის საცდელი სადგური". თბ., 1990. ფილოქსერას აღმოჩენის თარიღად მიჩნეულია 1881 წ. გვ. 9. ნიკო ნიკოლაძე თავის სტატიაში "კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება". თხზ. ტ. 4. აღნიშნავს, რომ უკვე 20 წელიწადია, რაც ვაზს ფილოქსერა ანადგურებს(სტატია დაბეჭდილია 1875 წ.). ფილოქსერას გავრცელება 1854 წ. მითითებულია შრომაში "Сборник сведений о Кавказе", т. 3. Тифлис. 1872 г. с. 212.

ძირითადად გამწევ ძალად იყენებდნენ მიწის დასამუშავებლად. მთლიანად მსხვილფეხა პირუტყვი გუბერნიის 100 მოსახლეზე 30 სულს შედგენდა და მხოლოდ 4 ერთეულით ჩამორჩებიდა საფრანგეთის მესაბამის მაჩვენებელს.

მეფუტკრეობა იყო გუბერნიის შოსახლეობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული და მძიმე შრომითი საქმიანობა. მეთაფლეობას ქართველები ათასწლეულების მანძილზე მისდევდნენ. 1887 წ. მონაცემებით თაფლის საშუალო წარმოება 160 ტ. არ აღემატებოდა, ხოლო ცვილისა-32 ტ. თაფლს ძალიან მაღალი ხარისხი ჰქონდა, რასაც განაპირობებდა, ერთის მხრივ, ტყეების სიუხვე გუბერნიაში, თაფლის მომცემი მდიდარი ფლორა, რომელიც გვიან შემოდგომამდე ყვავის, და მეორეს მხრივ, თვით ქართული ფუტკრის განსაკუთრებულად მაღალი ხარისხი, რომელმაც პროფესორ მ. ბუტლეროვის ყურადღება მიიქცია. თაფლი ძირითადად ოჯახების პირადი მოხმარების პროდუქტს შეადგენდა და ფართო გავრცელების გამო შიდა ბაზარზე დიდი მოთხოვა არ ჰქონდა. ვაჭრობის და განსაკუთრებით მისი საგარეო ინგრედიენტის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მოთხოვნა თაფლზე და ცვილზე. რამაც დღის წესრიგში დააყენა თაფლის წარმოების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის მიზანშეწონილობა, პრიმიტიული მეურნეობის ხარისხობრივი განახლების აუცილებლობა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა მებაღეობის რუსეთის საიმპერიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სპეციალისტებმა. ისინი აწყობდნენ უფასო საუბრებს და მეფუტკრეობის პროგრესული ხერხებისა და რაციონალური ორგანიზაციის მეთოდების სადემონსტრაციო ჩვენებებს, ამზადებდნენ თაფლის კერძო მეწარმეებს, ატარებდნენ კონკურსებს გამარჯვებულის გამოსავლინებლად და აჯილდოებდნენ მას მედლებითა და ქების სიგელებით.

მეთაფლეობის განვითარების ინსტიტუციონალურ უზრუნველყოფას მალე მოჰყვა შესაბამისი შედეგები. 1913 წ. თაფლის წარმოება 1911 წ. შედარებით 166 % გაიზარდა და ორჯერ გადააჭარბა 1905 წ. შესაბამის დონეს. შემდგომ პერიოდში მეფუტკრეობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია მეთამბაქეობის გაფართოებამ-შემცირდა ფუტკრის სკების რიცხვი.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური კულტურებიდან ბამბა იყო მიჩნეული ყველაზე უძველეს და ჩვეულებრივ მცენარედ. ამერიკის ომის დროს, როცა მაშინდელ ევროპულ ბაზრებს ტრადიციული მიმწოდებლიდან ბამბის მიღების საშუალება დაეკარგა, ქუთაისის გუბერნიაში ბამბის წარმოება 10-ჯერ გაიზარდა 1887 წ. შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. იმავე წელს ბამბის წარმოებამ 144 ტ. მიაღწია, რომლის ძირითადი ნაწილი მოსკოვის ფაბრიკებმა შეიძინა. ბამბის წარმოების გაზრდაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოველი ფაბრიკანტის მოროზოვის ინიციატივას-იგი ბამბის თესლს უფასოდ ურიგებდა მწარმოებლებს ქუთაისის გუბერნიაში ბამბის ბოჭკოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს ექსპერიმენტი სრული წარმატებით დამთავრდა, თუმცა თავისი გავლენა იქონია მონოპოლიამ და ბამბის წვრილ მოვაჭრეთა კერძო ინტერესებმა, პროფესიონალურ მწარმოებელთა დეფიციტმა და წარმოების დაბალმა ტექნიკურმა დონემ.

ართვინის, ბათუმის, სოხუმის ოლქები იყვნენ თამბაქოს ძირითადი მწარმოებლები. თამბაქოს პლანტაციები მთლიანად ხელთ ეპყრათ უცხოელებს-თურქებსა და ბერძნებს. 1887 წ. სამივე ოლქში წარმოებული იქნა 700 ტ. თამბაქო. ფუთი თამბაქოს ფასი 4-დან 7 მანეთამდე მერყეობდა. ასეთი მაღალი ფასის გამო თამბაქოს გავრცელება დაიწყო სხვა ადგილებშიც. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თამბაქოს ნარგავების გავრცელება დაიწყო ოზურგეთის მაზრაშიც, სადაც მისი წარმოება მანამდე არ არსებობდა და ამიტომ თავდაპირველად მოსახლეობაც ცუდად ერკვეოდა თამბაქოს მოყვანაში. მერე ეს კულტურა საკმაოდ რენტაბელური გახდა. მაზრის ბუნებრივ პირობებს კარგად შეეგუა და განსაკუთრებული როლი შეასრულა სახნავი მიწებით ღარიბი მაზრის ეკონომიკურ აღმავლობაში. თუ 1905 წ. მიღებული იქნა 74 ტ. თამბაქო, 1913 წ. მისი მოსავალი 132 ტ. გახდა და ოზურგეთი ამ კულტურის წარმოებაში თანდათან დაწინაურდა. იმ პერიოდისთვის ფუთი თამბაქოს ფასი 4 დან 9 მანეთამდე გაიზარდა. ეს მაშინ, როცა ფუთი სიმინდის ფასი 1-2 მანეთის ფარგლებში მერყეობდა. შემდგომ წლებში ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების განვითარებამ მეთამბაქეობა შეავიწროვა.

მთელი გუბერნიისათვის მეაბრეშუმეობას ყველაზე გამორჩეული სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა. მეწარმეობის ამ დარგს ფლობდა გუბერნიის მოსახლეობა ბავშვების ჩათვლით. გუბერნიაში წელიწადში საშუალოდ 40 ტ. ხამი აბრეშუმი იწარმოებოდა. წარმოების ზრდის რეზერვები გაცილებით დიდი იყო, მაგრამ ამას ხელს უშლიდა თუთის პლანტაციების უქონლობა და საგრენაჟო ქარხნების ძალზე დაბალი ტექნიკური დონე. მიუხედავად ამისა, წარმოებული პარკის დიდი რაოდენობა საზღვარგარეთ იგზავნებოდა.

მებაღეობას და მებოსტნეობას სამრეწველო დანიშნულება არ ჰქონდა. ამ დარგების წამოწევა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლებელი იყო, ხოლო ასეულობით ტონა ხილისა და ბოსტნეულის მასა ყოველწლიურად იკარგებოდა, ვინაიდან მოსახლეობისთვის ცნობილი არ იყო ამ პროდუქტების კონსერვაციის, შენახვისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგიები. მებოსტნეობის შესაძლებლობების რეალიზაციას ხელს უშლიდა აგრონომიული განათლების კადრებისა და მიწათმოქმედების სპეციალისტთა დეფიციტი. აუცილებელი იყო ტექნიკური ცოდნის გავრცელება მოსახლეობაში, მაგრამ მაშინდელ გუბერნიაში არ არსებობდა სამიწათმოქმედო სპეციალისტთა მომზადების არცერთი სასწავლებელი. გუბერნიის ხელსაყრელი კლიმატური პირობები და მიწის ნაყოფიერება იყო ისეთი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა მებაღეობის უპირატესი ნატურალური მეურნეობის ხასიათი საუკუნეების მანძილზე და მისი მდიდარი ტრადიციების წარმოქმნა.

1887 წ. სტატისტიკური მონაცემებით ქუთაისის გუბერნია მხოლოდ 610 სარეწაოს, ფაბრიკას და ქარხანას ითვლიდა, რომელთა საერთო პროდუქცია 5 მლნ. მან. ცოტა მეტი იყო. სიცხადისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ გუბერნიაში 3 ფაბრიკა და 4 ქარხანა მოქმედებდა. აბრეშუმსახვევი ერთადერთი ფაბრიკა ფუნქციონირებდა ზუგდიდის მაზრაში, ნავთის ჩასასხმელი ხისა და თუნუქის სამი ფაბრიკა ბათუმში მდებარეობდა, იქვე მოქმედებდა თამბაქოს ფაბრიკა. ბათუმშივე იყო ნავთობის ოთხი ქარხანა. ნავთის ჩასასხმელი ტარისა და ჭურჭლის დამამზადებელი ბათუმის ქარხნები და ფაბრიკები უშვებდნენ გუბერნიის მთელი პროდუქციის 84%, მათში დასაქმებული იყო იმ 610 სარეწის, ფაბრიკისა და ქარხნის

მთელი პერსონალის 23%, რაც გუბერნიის მოსახლეობის მხოლოდ 0,6% შეადგენდა. საწარმოთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს-285 ერთეულს შეადგენდა სამეთუნეო-სააგურე საწარმოები. მათში თავმოყრილი იყო მთელი საწარმოო პერსონალის 50%. სხვა საწარმოებს ეკუთვნოდა დაბალი ტექნიკური აღჭურვილობის საპნის სახარში, კირის, ლუდის, სახერხი, ტყავისა და ღვინო-არაყის ფაბრიკები და ქარხნები.

მოსახლეობის უმრავლესობა მაშინ ხელით შრომით იყო დაკავებული. საკმაოდ განვითარებული ადგილი ჰქონდა საოჯახო მეურნეობას. ქალების შემოქმედება ოჯახით შემოიზღუდებოდა, ისინი ძირითადად ხელსაქმეობას ეწეოდნენ, ამზადებდნენ მაუდს, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებს, ნაკეთობებს ამზადებდნენ ოჯახების წევრებისა და უახლოესი ნათესავებისთვის. მათ უხდებოდათ აგრეთვე ტანსაცმლის კერვა და დამუშავება. ამ საქმეში მათ, ჩვეულებრივ, ბავშვები ეხმარებოდნენ. მამაკაცები ასრულებდნენ მიწის სამუშაოებს, სპეციალიზდებოდნენ ხის ჭურჭლის, ფეხსაცმლის (ქალამნის, წაღების) და ტანსაცმლის დამზადებაზე. ზოგიერთები ეწეოდნენ კალათებისა და ჭილოფის ქუდების დაწვნას, გუდების დამზადებას და ა.შ. მაღალ ანაზღაურებას ღებულობდნენ დურგლები, ხუროები, მხერხავები. მათთან შედარებით დაბალი გამომუშავება ჰქონდათ ხარატებს, რადგანაც სახარატო წარმოების პროდუქტებზე მოთხოვნა ძალზე დაბალი იყო. სწრაფად გაიზარდა მოთხოვნა ქაშანურის ჭურჭელზე. მცირემიწიანი გლეხები ქუთაისის გუბერნიიდან სხვა ქვეყნებში მიდიოდნენ ხელზე მოსამსახურეებად და ა.შ.

ქუთაისის გუბერნიის საძიებო-სადაზვერვო სამუშაოების ჩატარებამ აჩვენა დიდი რაოდენობის მინერალური რეზერვები. ქუთაისის მახლობლად ტყიბულში აღმოჩნდა ქვისა და ქვნახშირის მდიდარი საბადოები, სადაც განლაგებულია აგრეთვე სამშენებლო ქვის დიდი რეზერვები. 1878 წ. განვითარება დაიწყო ჭიათურის მარგანეცის სარეწაომ, რომლის მადნეული ევროპის ბაზრებზე, უმაღლესი ხარისხის გამო, უზარმაზარი მოთხოვნით სარგებლობდა. მისი წარმოების გასაფართოებლად საჭირო იყო მსხვილი ინვესტიციები. აუცილებელი იყო აგრეთვე გზებისა და მადნეულის წყაროებთან მისასვლელი ლიანდაგების მშენებლობა, საჭირო პროფესიების მუ-

შაკთა მომზადების სასწავლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება.

გუბერნიის თითქმის ყველა მაზრამ და დასახლებამ სახელი გაითქვა სხვადასხვა სახის სამკურნალო წყაროებით და ბუნებრივი პირობების დასავენებელი ადგილებით, რომლებიც მაშინ, უპირატესად, ადგილობრივი მოსახლეობის ბაზარს წარმოადგენდა. ამ ბუნებრივი სიმდიდრეების ამოქმედებას ბევრი რამ სჭირდებოდა: ინფრასტრუქტურა, მოწყობა, პროპაგანდა, სამრეწველო განვითარების მაღალი დონე, მოსახლეობის ცხოვრების გაცილებით მაღალი დონე და კულტურა. თუ ზემოთმოტანილ მსჯელობებს შევაჯამებთ, გამოვა, რომ ქუთაისის გუბერნიის აყვავებას ბევრი რამ უწყობდა ხელს: კლიმატური პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა, სასარგებლო წიაღისეულის, მინერალური რესურსების, სამკურნალო წყაროების, საკურორტო შესაძლებლობების, მინერალური წყაროების რეზერვები, მაგრამ არასაკმარისი იყო მთავარი: მოსახლეობის პრივილეგირებული ფენები მიწის საკუთრებაზე უპირატესობით სარგებლობდნენ. ამას გარდა, მიწა მრავალრიცხოვან მესაკუთრეებს შორის იყო დანაწილებული და მცირე ფართიანობის გამო უვარგისი იყო მსხვილი მეურნეობის ორგანიზაციისა და აგროტექნიკის გამოსაყენებლად. განვითარების დაბალი დონე ჰქოდა საწარმოო ინფრასტრუქტურას, და კიდევ, რაც ამ მიზეზებში მთავარია: გუბერნიაში არ არსებობდა კვალიფიციური კადრების მომზადების სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები.

მევენახეობისა და მეღვინეობის დარგების მომგებიანობიდან და მთლიანად ქუთაისის გუბერნიისათვის მათი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მთავრობა ეკონომიკის რეგულირების განსაკუთრებულ ღონისძიებებს ღებულობდა. მან სწორად შეაფასა სიტუაცია-თვით გუბერნიის მოსახლეობა უძლური იყო ფილოქსერას წინააღმდეგ ბრძოლაში-მხედველობაშია არა მხოლოდ ფინანსური პრობლემები, არამედ შესაბამისი ინსტიტუტების ორგანიზაცია და ტრადიციული ჩვევებისა და მევენახეობის გაძღოლის მეთოდების ინოვაციების დეფიციტი. დაფუძნდა კავკასიის ფილოქსერული კომიტეტი, რომელიც. როგორც აღვნიშნეთ, ითვალისწინებდა, როგორც ფილოქსერას გავრცელების წინააღმდეგ ბრძო-

ლას, ასევე ფილოქსერასადმი მედეგი ვენახისა და მცენარეთა სხვა ჯიშების გამოყვანისა და გამრავლების ცდების გაფართოებას.

ფილოქსერასაგან ვაზის გადარჩენა იმდენად პრობლემური აღმოჩნდა, რომ როგორც ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთელი მეცნიერები გამოსავალს მხოლოდ ვაზის ადგილობრივი ჯიშების უცხოური ანალოგებით შეცვლაში ხედავდნენ. ერთადერთი განსხვავებული აზრი ჰქონდა ვ. სტაროსელსკის[30]. ამასთან დაკავშირებით იგი წერდა: "Экономическая возможность введения в хозяйство того либо другого растения обусловливается не только известным соответствием почвенных и климатических условый, но и целым рядом других факторов, в основе которых лежит характер населения, его рабочая и экономическая правоспособность, размеры землевладения, порядок и обычай пользования землей и пр. Игнорирование этих факторов всегда приводит к отрицательным результатам и вселяет в население недоверие ко всяким нововведениям".[31]

---

[30] ვ. სტაროსელსკი დაიბადა ჩერნოგოვის გუბერნიაში. დაამთავრა მოსკოვის მინათმოქმედებისა და სატყეო აკადემია (ახლანდელი ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემია). დაინიშნა სახელმწიფო ქონებისა და მინათმოქმედებისა სამინისტროს სამმართველოს უფროს აგრონომად, კავკასიაში. მას დაეკისრა ქუთაისის გუბერნიის ფილოქსერული პარტიის ექსპერტის ფუნქცია. 1890 წ. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით საქარაში აშენდა საკენახე მეურნეობა, ქიმიური ლაბორატორია და მეტეოროლოგიური სადგური. საქარის საცდელ მეურნეობაში მან უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა ქართული ვაზის ამერიკულ საძირეზე მყნობისა და სხვა ტექნიკური კულტურების განვითარების საქმეში, გამოაქვეყნა ერცელი შრომები. ვ. სტაროსელსკი დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. ეს დაედო საფუძვლად მის დანიშვნას ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობაზე 1905 წ. ერთი წლის შემდეგ ამ თანამდებობიდან გაათავისუფლეს ხალხისა და რევოლუციისადმი მხარდაჭერის გამო. დევნის პირობებში ცხოვრობდა პეტერბურგში. იქედან პარიზში გაიპარა, სადაც უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა 56 წლის ასაკში.

საქართველოში ცნობილია მეორე სტაროსელსკი-დიმიტრი, გენერალი, სენატორი, ილია ჭავჭავაძის ცოლის, ოლღას დის-ეკატერინეს ქმარი. მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვალის მთვარსამმართველოს უფროსად 1877-83. წ. მან ილიას ნათესაობის გამო დიდი შემწეობა აღმოუჩინა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქართულ ენაზე სწავლების უფლების მოპოვებაში, როდესაც მძვინვარებდა იანოვსკი სკოლებში სავალდებულო რუსულ ენაზე გადასვლის შესახებ.

[31] ცსა, ფ. 243. აღწერა 7. საქმე 128. ფურ. 1-3.

1891 წ. შორაპნის მაზრის სოფელ საქარაში დაიწყო ვაზის ადგილობრივი ჯიშების მოშენებისა და გამრავლების ცდები ამერიკული ველური ვაზის საძირეზე ვ. სტაროსელსკის ხელმძღვანელობით.

ვაზის განაშენიანების სამუშაოების დაჩქარების მიზნით კავკასიის ფილოქსერას წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტს ნება დაერთო გამოეწერა საფრანგეთიდან ამერიკული ვაზის 3000 საუკეთესო სხვადასხვა ჯიში. 1895 წ. საქარის საცდელი მინდორის ფართი 3 დან 16 ჰა გაიზარდა საცდელი მეურნეობის კვლევითი სამუშაოების გაფართოებისა და მისი გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით. ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ საცდელი მეურნეობა ყოველწლიურად 2-3 მლნ. საძირეს უშვებდა. დასახელებული საცდელი მეურნეობის მახლობლად შეძენილი იქნა მიწის ფართი ადგილობრივი ვაზის ჯიშების ამერიკულ საძირესთან ადაპტაციური პირობების შესწავლის მიზნით. ცდებს ფრიად სასურველი შედეგები მოჰყვა.

საცდელი მეურნეობის სტატისტიკის დეტალური შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ნამყენი ნარგავების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგები შორს გასცდა ყველა მოლოდინს. ამან განაპირობა თვით კერძო პირების მოთხოვნების ზრდა ამერიკულ ვაზზე, მოსახლეობის გაზრდილი ინტერესი, განსაკუთრებით ამერიკულ საძირეზე ვაზის მყნობის შესწავლასა და მოვლაზე.

ქუთაისის გუბერნიისა და საქარის საცდელი მეურნეობის ორი ფილოქსერული პარტიის შენახვაზე და ამერიკული ვაზის გამრავლების ცდების ჩასატარებლად, აგრეთვე ფილოქსერას გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად 1895 წ. სახელმწიფო ხაზინიდან 28 ათ. მან. გამოიყო. რამაც, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, მნიშვნელოვანი შედეგები გამოიწვია. თუ 1905 წ. მოკრეფილი იქნა 40 ათ. ტ. ყურძენი, რომლის გადამუშავების შედეგად მიიღეს 18, 8 ათ. ტ. ღვინო, 1913 წ. ორჯერ მეტი 84, 7 ათ. ტ. ყურძენი მოკრიფეს და 55, 6 ათ. ტ. ღვინო დაწურეს.

საქარის საცდელი მეურნეობისაგან განსხვავებით ქუთაისის საცდელი მინდორი სამეცნიერო-პრაქტიკულ და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ახორციელებდა და სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და მიწათმოქმედების რაციონალური მეთოდების გავრცელების ცენტრად ითვლებოდა გუბერნიის მოსახლეობაში. ამ მიზ-

ნით პერიოდულად ტარდებოდა სპეციალური კურსები ვაზის ადგილობრივი ძვირფასი ჯიშების ამერიკულ ვაზზე მყნობის ცოდნის მსურველთათვის. აქ მთავარი ყურადღება პრაქტიკულ საქმიანობას ეთმობოდა. კურსებზე ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, რუსულ ენას, მევენახეობას, მებაღეობას, მეხილეობას და მეაბრეშუმეობას, აგრეთვე ბოტანიკის საწყისებს. საცდელი მეურნეობა იყო მომხმარებლის ბაზრებზე სანერგე მასალებისა და თესლების მიწოდების თავისებური პუნქტი.

1889 წ. ქუთაისის საცდელ მინდორში დაითესა ბამბა, სიმინდი, მარცვლეული ხორბალი, ზეთის მომცემი ნარგავები და საქონლის საკვები ბალახები. ბამბის ბოჭკოს მოსავალი მთლიანად კარგი იყო-32-48 კგ. ჰა. ჰექტარზე მიღებული იქნა 16 ცენტნერი სიმინდი, რაც მაშინდელი შეფასებებით საკმაოდ დამაკმაყოფილებელი შედეგი იყო. ადგილობრივი პირობებისადმი ადაპტაციური უნარიანობის გამოკვლევის მიზნით დაითესა არახისის, ხორბლის, ქერის, სოიას ორი ჯიში; საკვები ბალახეულობიდან კულტივირებული იყო იონჯა, წითელი და თეთრი შვედური სამყურა, ინგლისური და იტალიური სამყურა, ტიმოთელა და შაქრის სორგო, აგრეთვე რამი (ქუთაისური ჭინჭარი), ჯუთი და სხვა.

ქუთაისის საცდელ მინდორზე ეწეოდნენ ამერიკულ საძირეზე ადგილობრივი ჯიშების მყნობას და თუთის ნარგავების გამოყვანას და გამრავლებას. ამ საქმეში იგრძნობოდა სახელმწიფოს ძლიერი გავლენა ეკონომიკაზე, რომლის შედეგი იყო ის, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირებამ მალე მოიტანა შედეგები. თუ 1905 წ. დააახლოებით 34 ათ. ტ. ყურძენი დაიკრიფა და 18 ათ ტ. ღვინო დაიწურა, 1913 წ. ყურძნის მოსავალი 8 მლნ. ტ. გასცდა და 5 მლნ. ტ. ღვინო დაიწურა. კოლექცია შეივსო ხურტკმელის, ჟოლოს და მოცხარის სახეებით. მაშინ იმ პირობებში ადაპტაციურობაზე გაისინჯა ბამბუკი, ევკალიპტი და ჩაის ბუჩქი. ზემოთდასახელებული საცდელი სადგურების კვლევითი საქმიანობის განზოგადების საფუძველზე ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრაში და კერძოდ სოხუმისა და ბათუმის ოლქებში მსგავსი ორგანიზაციები შეიქმნა და ამდენად გუბერნიის მაპროფილებელი დარგებისა და წარმოების სახელმწიფო რეგულირებამ ინ-

სტიტუციური გაფორმება მიიღო და ახალი საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის სასტარტო განწყობილება შექმნა.

უზარმაზარ ინტერესს იწვევს გუბერნიის არა მხოლოდ რეფორმატორული განწყობილებების მასშტაბები და ტერიტორიული მომცველობა, არამედ ამ გარდაქმნითი განზრახვების ინფორმაციული უზრუნველყოფა. ზემოთდასახელებულ საცდელ სადგურებსა და მინდვრებში თავდაპირველად ადგენდნენ კვლევებისა და ცდების ჩატარების თეორიულ ბაზას, ხოლო შემდეგ განაზოგადებდნენ ჩატარებული სამუშაოების შედეგებს და ადგენდნენ სახელმძღვანელო და ნორმატიულ მასალებს პრაქტიკული მუშაკებისათვის და ქმნიდნენ თეორიული და პრაქტიკული სწავლების კურსებს მესაკუთრეებისა და მეწარმეებისათვის. უფრო მეტიც, ამ სამსახურების თანამშრომლები თვითონ ხვდებოდნენ მეწარმეებსა და საწარმოთა ხელმძღვანელებს და მათ რჩევებსა და წინადადებებს აძლევდნენ.

ზემოთ აღნიშნული ინსტიტუციური წარმონაქმნების გარდა, ქუთაისის გუბერნიაში დიდ სამუშაოს ახორციელებდა კავკასიის მეაბრეშუმეობის განყოფილება, მებაღეობის რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების კავკასიის განყოფილება. მეაბრეშუმეობის სადგურის ინსტრუქტორები სწავლობდნენ მურის შეძენის პირობებს, პარკის წარმოებასა, და აბრეშუმის ჭიის მოვლას. ისინი აწყობდნენ საუბრებს მეაბრეშუმეებისათვის და ქმნიდნენ მეაბრეშუმეობის წარმოების განვითარების რაციონალური მეთოდების სადემონსტრაციო კურსებს გუბერნიის სხვადასხვა ადგილებში. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც წლითიწლობით იზრდებოდა გუბერნის მოსახლეობის ინტერესი მეთუთეობისა და მეაბრეშუმეობის საქმიანობისადმი. ასეთივე სამუშაოს ეწეოდნენ მეფუტკრეობისა და მებაღეობის განვითარების ინსტრუქტორებიც.

ასეთი ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი სამთავრობო ინოვაციური მცდელობების მიუხედავად, გაეზარდათ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და რეფორმირების ეფექტიანობა, მთავარი მაინც გამორჩათ-პირველ რიგში საჭირო იყო პირობების შექმნა მოსახლეობის განათლებისა და კერძოდ, ტექნიკური განათლების გასავრცელებლად. გუბერნიაში მაშინ არ არსებობდა ტექნიკური და სამიწათმოქმედო პროფილის სასწავლო დაწესებულება. არ იყო საზღვავო სასწავლებელიც. ეკონომიკური აქტივობის

ამ გენერატორების უკმარისობა მოგვიანებით შეცნობილი იქნა და მათი აუცილებლობის შესახებ უფრო და უფრო ხაზგასმით აღინიშნებოდა სამეცნირო-კვლევით პუბლიკაციებსა და საანგარიში მასალებში. პრეცედენტი მაინც ქუთაისის საგუბერნიო ცენტრი გახდა. 1893 წ. იმპერიის სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებამ ქუთაისში დააფუძნა პირველი თანრიგის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. იგი გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებისთვის დაწყებითი განათლების მისაღებად ისეთ სპეციალობებში, როგორიცაა მევენახეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. სასწავლებლისთვის გამოიყო სახაზინო მიწის ჰა ცოტა მეტი ნაკვეთი. გაიზარდა მისი ტექნიკური არსენალი. სასკოლო ინვენტარს შეადგენდა ღვინის სარდაფი, მეტეოროლოგიური სადგური, ორანჟერეა, საქონლის ფარდული. მის საკუთრებაში იყო წყვილი ხარი, ცხენი, ვირი და სხვა.

სასწავლებელში, კონკურსის საფუძველზე, ღებულობდნენ ყველა მოზარდს, განურჩევლად მათი სოციალური წარმოშობისა, უპირატესობა ეძლეოდა ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებთა ფიზიკურად სრულყოფილ 14 და მეტი ასაკის გლეხის შვილებს, რომელთაც სახალხო სასწავლებლის ერთი კლასის განათლება ჰქონდათ. სასწავლებელს დაუწესდა ერთი მოსამზადებელი და სამი სპეციალური კურსი. სწავლის ქირა შეადგენდა 120 მან. წელიწადში. მოსწავლეები სკოლაში ცხოვრობდნენ. მართალია, სკოლას ბევრი რამ არ ყოფნიდა, მაგრამ ეს იყო სოფლის მეურნეობის პროფესიული კადრებით უზრუნველყოფის პირველი სერიოზული პრეცედენტი.

ქუთაისის გუბერნიის საგანმანათლებლო სისტემა სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა. 1913 წ. გუბერნიაში 793 სასწავლო დაწესებულება იყო, რომელშიც 75 ათ. მოსწავლე ირიცხებოდა. ამასთან საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ თუ 1887 წ. შედარებით სკოლების რიცხვი 1,5 ჯერ გაიზარდა, მოსწავლეთა რიცხვის ზრდა იმავე პერიოდისათვის 3,5 ჯერ მეტი იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სკოლების ტექნიკური აღჭურვილობა და საკადრო უზრუნველყოფა უკეთეს ხარისხობრივ ცვლილებებს განიცდიდა. ამას ხელს უწყობდა ასიგნებათა ზრდა სახელმწიფო ხაზინიდან. თუ 1887

წ. ხაზინიდან სკოლებისთვის 400 ათ. მან. გამოიყო, 1913 წ. 1,6 ჯერ მეტი ანუ 640 ათ. მან.

მოსახლეობის განათლების ზრდისა და გუბერნიის ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ სამეცნიერო-კვლევითი შრომების გავრცელების კვალდაკვალ იზრდებოდა აგრეთვე კერძო პირების ინტერესებიც მეწარმეობრივი უნარიანობის განვითარებაზე.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ბათუმის მახლობლად საკუთარი სურვილით რამდენიმე კერძო მიწათმოქმედი დასახლდა, რომელთაც სოფლის მეურნეობაში თავიანთი უნარის მოსინჯვა სურდათ. ზოგიერთმა მათგანმა შესანიშნავი ბაღები მოაწყო. ერთ-ერთი მათგანი, გადამდგარი ინჟინერ-პოლკოვნიკი სოლოვცოვი მეჩაიობით დაინტერესდა. 1887 წ. მან ჩინეთიდან 200 ძირი. ჩაის ნერგი გამოიწერა, იმ რაოდენობიდან მან მხოლოდ 17 ძირი მიიღო, მაგრამ ნერგების ეს რაოდენობაც საკმარისი აღმოჩნდა საცდელი მეურნეობისა და ჩაის პლანტაციების შესაქმნელად. სასინჯ ცდებს მოულოდნელი შედეგები მოყვა. 1895 წ. პლანტატორს ცნობილი ხარკოველი ჩაით მოვაჭრე ველიტჩენკო ეწვია და მასთან ნოტარიალური ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვით სოლოვცოვი ვალდებული იყო 12 წლის მანძილზე ჩაის მთელი მოსავალი მხოლოდ მისთვის მიეწოდებინა. თავის მხრივ ჩაით მოვაჭრე სოლოვცოვს სესხად აძლევდა 63 ათ. მან., რომელიც უნდა დახარჯულიყო ჩაის პლანტაციის 100 ჰა გაფართოებაზე შვიდი წლის განმავლობაში. შეთანხმდნენ ჩაის ღირებულებაზე-440გრ. 75 კაპ.

სოლოვცოვის მაგალითს მიბაძა მეორე ცნობილმა ჩაით მოვაჭრე რუსმა კ. პოპოვმა, რომელმაც 1893/4 წ. ბათუმის ოლქის მცხოვრებლებისაგან 165 ჰა მიწა შეიძინა, გამოიწერა ჩინეთიდან 1000 ცლ. ჩაის ნერგი და იქედანვე საგანგებოდ მოიწვის 20 ცნობილი სპეციალისტი სამი წლის ვადით. სწორედ მათი მონაწილეობით შეიქმნა ჩაის პლანტაციები 200 ჰა. ჩინელმა სპეციალისტებმა შეასწავლეს ადგილობრივ მოსახლეობას ჩაის კულტურა. ჩაის პლანტაციების გარდა პოპოვმა დარგო რამდენიმე ათასი ლიმონისა და ფორთოხლის ხეები. ვალში არ დარჩა სოლოვცოვიც, მისი ჩაის პლანტაციები უკვე 60 ათ. ბუჩქს ითვლიდა[32].

---

[32] ცსა, ფ. 243. აღწერა 7. საქმე 128. ფურ. 1-3.

ჩაის კულტურის გამოყვანის სამუშაოების გაგრძელება იყო პოპოვის ორთქლის ფაბრიკა, ამით ჩაის ხელით გადამუშავება შეიცვალა მანქანური მეთოდით. საფუძველი ჩაეყარა ჩაისა და ციტრუსების სპეციალიზაციას გუბერნიის ყველა მაზრაში. ჩაის პლანტაციების გავრცელების მიზნით მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულების საფუძველზე საცდელი დარგვები განხორციელდა სხვა მაზრებსა და დასახლებებში. დარგვა დაიწყო ჯერ ოზურგეთის მაზრაში, შემდეგ სამეგრელოში და მერე სოხუმის ოლქში. ჩაის ბუჩქები კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს და აპრობაციის შედეგები ხარისხისა და მოსავლიანობის მიხედვით ფრიად ხელსაყრელი იყო.

ტექნიკური კულტურების წარმოების განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რამის კულტურის საცდელ დარგვებს-ადგილობრივი ბალახის ნერგს, ქუთაისის ჭინჭარს. საცდელი დარგვები განხორციელდა ზუგდიდის მაზრის პრინცესა მიურატის მამულში[33]. რამის ღეროებიდან პარიზში დაამზადეს ძაფი, თოკი, თეთრეული და ბარხატი, რომლებიც საერთაშორისო გამოფენაზე აღიარებული იქნა, როგორც საუკეთესო ხარისხის ჩინური რამის ნაკეთობებთან შედარებით. პრინცესა მიურატთან გაფორმდა 25 წლიანი ხელშეკრულება. პრინცესას ხელშეკრულების პირობების თანახმად 6 წელიწადში რამის ნარგავები 330 ჰა უნდა გაეზარდა.

მიურატის ოჯახმა მეწარმეობრივი უნარიანობა გამოავლინა მევენახეობასა და მეღვინეობაშიც. მათ გააფართოეს ყურძნის უნიკალური ჯიშის "ოჯალეშის" წარმოება, მოაწყვეს მეღვინეობისა და კონიაკის წარმოების სასარდაფე მეურნეობა. ამ საქმეში მათ ეხმარებოდნენ ფრანგი სპეციალისტები, რომლებიც მათთან კონტრაქტით მუშაობდნენ.

ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვითი შრომებისა და სხვა კვლევითი ნამუშევრების ავტორები მეღვინეობის კულტურის განხილვისას

---

[33] სამეგრელოს თავადის დავით დადიანის ქალიშვილის ქმრის გვარი. სალომე დადიანის მეუღლე საფრანგეთის დიდი მარშლის ი. მიურატის პირდაპირი მემკვიდრე იყო. მათი მემკვიდრეები რამდენიმე წლის უკან დაბრუნდნენ ზუგდიდში, დადიანების მამულში.

ერთიდაიგივე შეცდომებს უშვებდენ. ერთ შემთხვევაში მათ უწერიათ, რომ ადგილობრივი ღვინოები არაა განსაკუთრებული ხარისხის და მაღალი მუავიანობა ახასიათებს. მეორე შემთხვევაში მიუთითებდენ გუბერნიაში დამზადებული ღვინოების მაღალ ხარისხზე. აქ მხედველობიდან რჩებოდათ ის, რომ ღვინის ხარისხი დამოკიდებულია მოთხოვნასა და მიწოდებაზე, მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე და რომ სუფთა ნატურალური ღვინის წარმოება შრომატევადი და კაპიტალმოთხოვნადია. ამიტომ მაღალი ხარისხის ღვინო ყოველთვის ძვირი იყო. ასეთ ღვინოებს მდიდარი მომხმარებლები ყიდულობდნენ, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ ღვინის ხარისხში და რომელთათვის იგი განსაკუთრებული მოხმარების საგანი იყო. იგივე შეიძლება ითქვას დღესაც. არის მდარი ხარისხის ღვინოები, ღვინის სუროგატები, რომლებიც ადგილობრივი ბაზრის დიდ სეგმენტს იკავებენ. სუფთა ნატურალური ღვინო ძვირია და შეზღუდული მოთხოვნებით სარგებლობს.

მაღალხარიხოვანი ღვინო საქართველოში უძველესი დროიდან იწარმოება და ის ყოველთვის ხალხური მეთოდით მზადდებოდა. უფრო მეტიც: მსოფლიოში ცნობილი ღვინის დაყენების სამი მეთოდიდან-ორი ქართულია. ამაზე ბევრი რამ მეტყველებს. მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში ქუთაისში გ. ბოლქვაძემ ლიქიორისა და კონიაკის ქარხანა გახსნა. რამდენიმე წლის შემდეგ მან კიდევ არაყის ქარხანაც დააფუძნა. გ. ბოლქვაძის კონიაკმა მალე მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. პარიზში ღვინის სასმელების გამოფენაზე ქუთაისური კონიაკი ვერცხლის მედლით დააჯილდოვეს, ხოლო ყაზანის სამრეწველო გამოფენაზე-დიდი ვერცხლის მედლით. გ. ბოლქვაძე მსგავს გამოფენაზე მონაწილეობდა ჩიკაგოშიც. იგი არჩეული იყო საფრანგეთის მიწათმოქმედებისა და ბრიუსელის სასოფლო-სამეურნეო აკადემიების წევრად.

1876 წ. ქუთაისში ფრანგმა შოტიემ მოაწყო სარდაფი შამპანურის ჩამოსასხმელად. ეს სარდაფი 1994 წ. შეიძინა პრინცმა კ. ოლ-

დენბურგმა, რომელმაც გააფართოვა შამპანურის წარმოება.[34] მის საწარმოს ემსახურებოდნენ საფრანგეთიდან საგანგებოდ მოწვეული ღვინის ოსტატები, მათ რიცხვში იყო ვიქტორ ტიებოც.

1895 წ. ქუთაისში ფ. ჭელიძემ ააშენა ლიქიორისა და სუფრის ღვინოების წარმოების სპეციალური ქარხანა. ამ ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნა იყო მთლიანად კავკასიაში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის სხვა მხარეებში, კერძოდ კი ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და მანჯურიაში. ტრადიციები მთავარ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, თუკი ისინი, ერთის მხრივ, სისტემატურად ვითარდება, მეორეს მხრივ, როცა ეკონომიკური პირობები ხელს უწყობენ მოცემული წარმოების ტრადიციების პოტენციალური შესაძლებლობების რეალიზაციას. საქართველოს მეღვინეობის, და კერძოდ ქუთაისის და მისი საუკუნეობრივი ტრადიციების შემდგომი განვითარება და მსოფლიო ბაზრებზე გასვლა მეღვინეობის ტექნიკურ გადაიარაღებასა და საწარმოო ინფრასტრუქტურის ხარისხობრივ განახლებას საჭიროებდა. ინტერესების წრე შეიკრა. ადგილობრივი საწარმოო და ინტელექტუალური რესურსები გაერთიანდა უცხოურ საწარმოო და ინტელექტუალურ ინვესტიციებთან და შეიქმნა კონკურენტუნარიანი ღვინის ბიზნესი.

მიუხედავად იმისა, რომ 1893/4 წ. გუბერნიის მოსახლეობას უფასოდ დაურიგდა ამერიკული ბამბის თესლი, რათა მათი ინტერესებიდან გამომდინარე გაეფართოებინათ წარმოება და მიეღწიათ

---

[34] კონსტანტინე ოლდენბურგი ავსტრია-გერმანიის სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო. 1887 წ. ქუთაისში მან აიშენა ულამაზესი ორი შენობა. ერთი ამჟამად წერეთლის უნივერსიტეტის პერიოდიკის ბიბლიოთეკას უჭირავს, რომელიც მის საძინებელ რეზიდენციას წარმოადგენდა. ხოლო მეორე-სახელმწიფო უშიშროებას. იგი კ. ოლდენბურგის საცხოვრებელი და ბალ-მასკარადების ადგილი გახლდათ. ბევრი ლამაზმანი მეფის ჩამომავალს ცოლობაზე უარს არ ეტყოდა, მაგრამ მან მეგრელი თავადის დადიანის ცოლს, რაჭველ თავად ქალს-აგრაფინა ჯაფარიძეს დაადგა თვალი და ცოლადაც შეირთო. საკვირველი აქ არაფერია. ა. ჯაფარიძე ულამაზესი ქალი ყოფილა, რომელიც მიხაი ზიჩიმ ვეფხისტყაოსანში ნესტან-დარეჯანის სახედ აქცია. მეუღლემ მას არაჩვეულებრივი სახლი აუგო ერთი თბილისში, ახლანდელი კარგარეთელის 6 და მეორე გაგრაში-სასტუმრო "გაგრიფში". მისი ერთი ვაჟიშვილი პეტრე ზარნეკაო სოხუმში ცხოვრობდა.

მისი ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის, რისთვისაც დაიგზავნა წერილობითი მასალები ბამბის მოვლის შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე, ამ მომგებიანმა წარმოებამ მაინც ვერ ჰპოვა მხარდაჭერა. ამის მიზეზი იოლად შეიძლება აიხსნას. სიმინდს საქართველოსთვის აქვს უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე მისი მომგებიანობაა. იგი არა მარტო ადამიანის კვების პროდუქტია, მასზეა დამოკიდებული შინაური ცხოველებისა და ფრინველების ბედი. ამიტომ საკვირველი არ უნდა იყო ის, რომ 1900 წ. ბამბის მოსავალი ძირითადად განისაზღვრა საოჯახო მოთხოვნებიდან გამომდინარე. მერე იყო ფასის დაცემა ძირითად საექსპორტო საქონელზე სიმინდზე, რამაც უბიძგა მის მეწარმეებს გაეზარდათ ბამბის წარმოება, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1905 წ. ბამბის ნათესებს ეკავა 650 ჰა, საიდანაც 200 ტ. მეტი ბამბა იქნა მიღებული, მაგრამ ეს იყო პიკი მის წარმოებაში. 1913 წ. 800 ჰა მიღებული იქნა ნახევარზე ნაკლები 1905 წ. მოცულობისა. ამაზე იმოქმედა აგრეთვე სხვა უფრო მომგებიანი ტექნიკური კულტურების წარმოების გაფართოებამაც. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ბამბის მსხვილ მეწარმეებს უპირატესობა ჰქონდათ ქუთაისელ მეწარმეებთან შედარებით მიუხედავად ქუთაისის ბამბის მაღალი ხარისხისა.

როგორც აღვნიშნეთ, მეაბრეშუმეობა გუბერნიაში ყველაზე განვითარებულ საოჯახო წარმოების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლის ტრადიცია რამდენიმე საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა. აბრეშუმის ქსოვილს ძირითადად ქალები და ბავშვები აწარმოებდნენ.

მეაბრეშუმეობის სამრეწველო განვითარებას აფერხებდა თუთის პლანტაციების დეფიციტი. აბრეშუმის ჭიის საკვებად ადგილობრივი ბუოლის ველური ჯიშები გამოიყენებოდა, რომლებიც თავიანთ ეზოებში ჰქონდათ დარგული ან ტყეში ბუნებრივად, მასობრივად მრავლდებოდა.

მსოფლიო ბაზრებზე აბრეშუმის ქსოვილებზე დიდი მოთხოვნა განპირობებული იყო მეაბრეშუმეობის საექსპორტო შესაძლებლობების გაფაროებით. საექსპორტოდ მხოლოდ პარკები იგზავნებოდა, ვინაიდან გუბერნიაში აბრეშუმსახვევი საფაბრიკო წარმოება პრაქტიკულად არ არსებობდა. 1887 წ. სტატისტიკური მასალების მიხედვით საშუალოდ ყოველწლიურად 40 ტ. ხამი აბრეშუმი იწარ-

მოებოდა, 440 გრ. ხამი აბრეშუმი 2-3 მანეთად იყიდებოდა, მაშინ როცა ამავე რაოდენობის პარკი 50-80 კაპ. ღირდა.

1895 წ. შემობრუნების პუნქტი გახდა მეაბრეშუმეობის განვითარებაში. ამ წელიწადს მისი წარმოება 1887 წ. შედარებით 3, 3 ჯერ გაიზარდა. დაიხვეწა აბრეშუმის მწარმოებელთა ოსტატობაც, რომლის ნათელი გამოხატულება იყო მოთხოვნის გაზრდა ამოხვეულ ხამ აბრეშუმზე, ფუთი ასეთი აბრეშუმის ფასი 50- დან 70 მან. მერყეობდა.

მეაბრეშუმეობამ ფართო გაცრცელება ჰპოვა ქუთაისის მაზრაში, რომლის წილად მოდიოდა გუბერნიის პარკის მთელი მოცულობის 50 % მეტი. შეიქმნა ამხანაგობა მეპაიობის საფუძველზე, რომლის იყო მიზანი ფასების გაზრდა ხამ აბრეშუმზე. ამას გარდა საზოგადოებრივ საწყისებზე ეწყობოდა აბრეშუმსახვევი და აბრეშუმის დაზგების სახელოსნოები, მათში ქალებთან ერთად მუშაობა დაიწყეს მამაკაცებმაც.

1900 წ. აბრეშუმსახვევ და აბრეშუმის დაზგების სახელოსნოებში დასაქმებული იყო 150 კაცი, რომლებიც 35 ათ. მან. აბრეშუმის პროდუქციას აწარმოებდნენ. ქუთაისის მაზრის მოსახლეობის მიერ 160 ტ. პარკი იქნა წარმოებული. მეაბრეშუმეობა სწრაფად ვითარდებოდა გუბერნიის სხვა მაზრებშიც, რომელთა პარკის რეალიზაციამ 820 ათ. მან. შეადგინა.

1905 წ. კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის საქმიანობამ და პარკზე მაღალმა მოთხოვნებმა საერთაშორისო ბაზრებზე ფართო საშუალებები შეუქმნა მეაბრეშუმეობის განვითარებას გუბერნიაში. გაიზარდა მოსახლეობის ინტერესი მეაბრეშუმეობისადმი, როგორც მომგებიანი დარგისადმი.

1905 წ. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან გუბერნიაში მანამდე არნახული მოცულობის აბრეშუმის გრენი შემოვიდა. უფრო ვრცელი მასშტაბები მოიპოვა ადგილობრივი გრენის წარმოებამაც, რომლის დამზადებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეწარეებიც, კერძოდ საბერძნეთიდან და, იტალიიდან. ამ ქვეყნებიდან დაახლოებით 2000 ფუთი გრენი შემოვიდა, ადგილზე დამზადდა 16. ათ. კოლოფი გრენი. ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი რაოდენობის გრენის წარმოებამ მასზე ფასების დაცემა გამოიწვია. აქ ერთმანეთს შეეჯახა გრენის მიმწოდებელთა ინტერესები, ზოგიერთმა მათგანმა

ხმა გაავრცელა იმის შესახებ, რომ საანგარიშო წელს პარკის რეალიზაცია კატასტროფულად დაეცემოდა თითქოსდა საზღვაო ტრანსპორტით პარკის რეალიზაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით. საქმეში ოპერატიულად ჩაერია მეაბრეშუმეობის სადგურის ინსტრუქტორები, მათ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების წარმომადგენლებთან ერთად მოახერხეს მეაბრეშუმეთა დარწმუნება ინფორმაციის სიყალბეში. მიუხედავად ამისა მაინც, გრენის რეალიზაციამ მსხვილ მასშტაბებს ვერ მიაღწია.

პარკის მოსავალი ცუდი არ ყოფილა. მაგრამ პარკის ბაზრებზე მყიდველთა რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდა, რასაც საფუძვლად დაედო კერძო და სახელმწიფო დაწესებულებების დადგენილება-არ გაეცათ კრედიტი პარკებზე და შეემცირებინათ საკრედიტო ვექსილი, რამაც თავისი გავლენა იქონია სადაზღვევო ორგანიზაციების მოქმედებაზე. მეაბრეშუმეობის სადგურის, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა "კოლხეთის", სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა "შუამავლის" ჩარევის წყალობით პარკის რეალიზაცია მკვდარი წერტილიდან დაიძრა. 1905 წ. გუბერნიის მოსახლეობამ 1990 წ. მიმართ აბრეშუმის რეალიზაციის გამო 1.5 მლნ. მან. მიიღო, რაც 170 % შეადგენდა 1895 წ. შედარებით.

1913 წ. გუბერნიის მეაბრეშუმეებმა პარკი გაცილებით მაღალ ფასში გაყიდეს წინა წლებთან შედარებით. ამას ხელი შეუწყო, ერთის მხრივ, ხამი აბრეშუმის მარაგების ამოწურვამ ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ბაზრებზე, მეორეს მხრივ, თურქეთიდან და ირანიდან პარკის მიწოდების შემცირებამ. წარმოებული იქნა 78 ათ. ფუთი პარკი. ხარისხისაგან დამოკიდებულებით ფუთი პარკის ფასი 15 დან 80 მან. ფარგლებში მერყეობდა. გუბერნიის მეაბრეშუმეებმა აღნიშნულ წელს პარკის რეალიზაციისაგან დაახლოებით 2 მლნ. მან. მიიღეს. აშკარა იყო ის, რომ მეაბრეშუმეობა სამრეწველო განვითარების გზას დაადგა.

გუბერნიის ეკონომიკის რეფორმირებაში სხვა პრობლემათა შორის პირველი ადგილი საგზაო ქსელის მშენებლობათა გაფართოებას ეკავა, რამდენადაც ბუნებრივი რესურსები ხელუხლებელი რჩებოდა და მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება ტრადიციული საშუალებებით ახალ პირობებში არა მხოლოდ არაეფექტიანი იყო, არამედ მომხმარებელთა მოთხოვ-

ნებსაც ვერ აკმაყოფილებდა, ეს პირველ ყოვლისა, მარგანეცს ეხებოდა. გზების განვითარება ნაკარნახევი იყო სამხედრო ინტერესებითაც. გარდა შიდა მოთხოვნებისა და თავდაცვითი ინტერესებისა, არსებობდა საგარეო ეკონომიკური ფაქტორებიც. აზერბაიჯანის ნავთობის საზღვარგარეთ რეალიზაცია შესაძლებელი იყო საქართველოს გავლით და მერე შავი ზღვის მეშვეობით ინდუსტრიული ქვეყნებისაკენ. ინჟინერ ს. პალაშკოვსკიმ[35] პირველად შეიგნო ბაქოდან ბათუმამდე რკინიგზის მშენებლობის აუცილებლობა და ეკონომიკური მიზანშეწონილობა. რკინიგზის გახსნამდე ბათუმში მან ნავთის ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობა დაიწყო. თავისი ქარხნის აღჭურვისათვის პალაშკოვსკიმ ყველა დაზგა და საჭირო აპარატი ამერიკიდან გამოიწერა და მათ დასაყენებლად და გასამართად ისევ ამერიკელი სპეციალისტები დაიქირავა. ქარხნები ამზადებდნენ თუნუქის ჭურჭელს და ხის კასრებს ნავთის ჩასასხმელად. ბაქოს ნავთი სწრაფად დამკვიდრდა საზღვარგარეთის ბაზრებზე და ამერიკულზე უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ამან განაპირობა ნავთის მოცულობის მიწოდების გაზრდა და ტარას დამამზადებელი ქარხნების სიმძლავრეების გაფართოება.

ბათუმის ქარხნები, მაშინდელი ნორმებით, პროგრესულ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნოდა. რომლებიც მაღალი ტექნიკური აღჭურვილობითა და მუშათა დიდი რაოდენობით გამოირჩეოდნენ. დანარჩენი საწარმოები, ძირითადად, პრიმიტიული იყო და ნედლეული მასალების დამზადებასა და ექსპორტს ეწეოდნენ. მხედველობაშია წყლის წისქვილები და სახერხი ქარხნები, რომლებიც ნედლი მასალის ექსპორტიორად ითვლებოდნენ. ასეთი "საწარმოების" აგება 15-60 მან. არ აღემატებოდა, ხოლო მათი საათური მწარმოებლობა ცვლაში 6 დან 10 ფუთამდე მერყეობდა. შედარებისთვის აღვნიშნავ იმასაც, რომ მაშინ ფუთი სიმინდის ღირებულება მანეთს არ

---

[35] სანკ-პეტერბურგის სამშენებლო ფირმა "ბუნგე და პალაშკოვსკის" კომპანიონი. ამ ფირმამ კავკასიაში ბევრი სამუშაო შეასრულა, რომელთა შორის აღსანიშნავია ბაქო-ბათუმის კავკასიის, სამტრედია-ბათუმის რკინიგზების გაყვანა, ბათუმისა და ნოვოროსიისკის პორტების მშენებლობა, სურამის გვირაბთან მისასვლელი გზის დაგება, რიონის ნაპირების გამაგრება. ფირმის დამფუძნებლებს საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები ჰქონდათ ნიკო ნიკოლაძესთან, რომელიც მაშინ ქალაქ ფოთის თავი იყო. ამის შესახებ შემდგომ.

აჭარბებდა. ასე რომ, ამ წისქვილებს სამრეწველო მნიშვნელობა ნაღდად არ ჰქონდა და უმეტეს შემთხვევაში საოჯახო წარმოების დამხმარე ერთეულად ითვლებოდა და ნატურალური მეურნეობის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

რკინიგზებმა შემდგომ ფართო გავრცელება ჰპოვა მთელს გუბერნიაში. 1872 წ. დამთავრდა ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა, ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა მარგანეცისა და სხვა მინერალების ტრანსპორტირება და ტვირთების გაგზავნა საზღვაო ტრანსპორტით. დასრულდა აგრეთვე რკინიგზის ქუთაისის განშტოების მშენებლობა, რის საფუძველზე სარელსო ტრანსპორტმა ახალი გაგრძელება ჰპოვა ტყიბულის ქვანახშირის საბადოებისაკენ.

მსოფლიო ბაზრებზე ბაქოს ნავთობზე მოთხოვნის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ბათუმის საპორტო შესაძლებლობების გაფართოების საკითხი. 1894 წ. გაფორმდა კონტრაქტი ინჟინერ ა. ბუნგესთან კომერციული პორტის მშენებლობის თაობაზე. ბერლინის ტრაქტატის თანახმად ბათუმი თავისუფალ პორტს წარმოადგენდა, ამიტომ იაფი საპორტო საქონელი ადგილობრივი წარმოების საქონელს ბაზრებიდან დევნიდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა ბათუმის ოლქის ეკონომიკაზე. ამან ადგილობრივი მწარმოებლების აღშფოთება გამოიწვია. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ფოთის პორტის გაფართოება, რასაც საფუძველს უმაგრებდა სამხედრო სტრატეგიული ინტერესები. 1898 წ. ფოთის პორტი უბადრუკ, პრიმიტიულ ნავმისადგომს წარმოადგენდა. მისი მშენებლობა დაკავშირებულია ნიკო ნიკოლაძის სახელთან, რომელიც 1894 წ. ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე მუშაობამ 18 წელს გასტანა.

ფოთის პორტის მშენებლობა დაიწყო 1898 წ. და 1905 წ. დამთავრდა. ეს ფოთის პორტის მშენებლობა კი არა თვით ფოთის აღმშენებლობა იყო. მშენებლობას ნ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. ამ სამუშაოების შესრულებამდე მას მსოფლიოს 12 პორტის ნახვა მოუწია, ეცნობოდა ნახაზებს, მასვე უხდებოდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი ეშელონების ხელისუფალთა დარწმუნება ფოთის პორტის პერსპექტივებში, მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება. მით უმეტეს, რომ ეს იყო ყველაზე დიდი საპორტო მშენებლობა იმპერიაში. მშენებლობას კონტრაქტით აწარმოებდა ფირ-

მა "ბუნგე ა.ა. და პალაშკოვსკი ს.ა." კომპანიონებმა შემდგომ დაა-
ფუძნეს "შავი ზღვის სამშენებლო საზოგადოება". ამ საზოგადოებასთან გაფორმდა სამი ხელშეკრულება ფოთის საკათედრო ტაძრის, ელევატორისა (გემებში მარგანეცის ჩასატვირთი მექანიკური მოწყობილობა) და ხიდის მშენებლობაზე.

პორტის, კათედრალური ტაძრის, ელევატორისა და სამუშაოთა შესრულებისთვის არ კმაროდა საფინანსო სახსრები. ნ. ნიკოლაძის ინიციატივით დამტკიცდა ნახევარკაპიკიანი მოსაკრებელი ფუთ მარგანეცზე და შემოღებული იქნა საობლიგაციო სესხი, რომელიც მაშინ იშვიათი მოვლენა იყო რუსეთის იმპერიაში. ამ და სხვა სახის ღონისძიებებმა განაპირობა პორტის მშენებლობის ვადებისა და სამშენებლო ხარჯთაღრიცხვის შემცირება. ძველი პრიმიტიული ნავმისადგომის ადგილზე აშენდა, იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი კლასის პორტი თავისი გაფართოებული ინფრასტრუქტურით, რომელიც ყველაზე უსაფრთხო მისადგომო გახდა სხვადასხვა ქვეყნების გემებისთვის.

არა მარტო ქუთაისის, არამედ მთელი საქართველოსთვის ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი, რომელმაც სწორად გაიგო კაპიტალიზმის პროგრესულობა, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად[36] იგი დაეხმარა ფრანგ ინჟინერ მარსელ დეპრეს ელექტრო ენერგიის

---

[36] პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. სტუდენტობის წლებში იყო "ნაროდნიკი". იზიარებდა ჩერნიშევსკის შეხედულებებს, მეგობრობდა მასთან და მის ოჯახთან. მისი უშუალო დამსახურებაა ჩერნიშევსკის გათავისუფლება ციმბირის კატორღიდან. სწავლობდა ევროპის სხვადასხვა ინსტიტუტებში, სადაც მან 15 წ. მეტი დაპყო. იქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ევროპის პოლიტიკური, ეთნიკური, სოციალური და ეკონომიკური კულტურის შესანიშნავი მცოდნე. სოციალიზმის თეორიის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ მთლიანად უარყო იგი. 1886 წ. მან ქართველი განმანათლებლებისთვის სრულიად გაუგებარი გადაწყვეტილება-მიიღო მიატოვა საგანმანთლებლო საქმიანობა, შეისყიდა დიდ ჯიხაიშში მიწა და ფერმერული საქმიანობა წამოიწყო. ეწეოდა მცენარეთა და ცხოველთა სელექციას, განსაკუთრებით უცხოური ჯიშებისა და სახეობებისას, ხელი მიპყო აგრონომიას, ასრულებდა საირიგაციო სამუშაოებს, ქმნიდა სანარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურებს. ამას არასერიოზულ საქმიანობად უთვლიდნენ ერის მამები. 1894. ნ. ფოთის მცხოვრებლებმა ქალაქის თავის თანამდებობაზე მიიწვიეს, სადაც 18 წელიწადი იმუშავა. იგი კვლავ რჩება საქართველოს უდიდეს რეფორმატორად, საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის მცოდნედ, უბადლო მეწარმედ და მენეჯერად.

შორ მანძილზე გადაცემის გამოგონების დაფინანსებაში. მისი წერილის წყალობით იმპერიის საზოგადოებამ პირველად გაიგო ელექტრო ენერგიის შორ მანძილზე გადაცემის ეკონომიკური მნიშვნელობა. მან იგი გააცნო პალაშკოვსკის, რომლის თხოვნით ნ. ნიკოლაძემ შეადგინა პეტერბურგის მდ. ვოლხოვის ელექტრიფიკაციის პროექტი. მის მიერ ისევ პალაშკოვსკისათვის ჩატარებული იქნა კვლევა საფრანგეთში, შვეიცარიასა და იტალიაში ალპების გარშემო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის.

ნ. ნიკოლაძემ შეადგინა რკინიგზის პროექტი სადგურ პროხლადნაიადან კავკასიის ქედის გავლით ფოთამდე, ფოთიდან ინდოეთის ოკეანისაკენ სპარსეთის გავლით, ეისკის რკინიგზის წესდება, რომელშიც პირველად იქნა გამოყენებული ნაღდი ფულის ნაცვლად აქციებით გადახდის მისი ფორმულა და სხვა.

რკინიგზის განვითარებას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისის გუბერნიისა და მთლიანად იმპერიისათვის. რკინიგზის წყალობით გაფართოვდა საქონელმიმოქცევა არა მხოლოდ იმპერიის სუბექტებს შორის. უკვე შესაძლებელი გახდა საქონლის მიღება საზღვარგარეთიდან და თვის მხრივ საზღვარგარეთის ბაზრებზე ტერიტორიული ერთეულების საქონლური პოტენციალის გატანა, კერძოდ, აზიური რეგიონებიდან. რკინიგზა გახდა საქართველოსთვის და ქუთაისის გუბერნიისთვის სამრეწველო განვითარების ფუნდამენტი, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი ეკონომიკური დაწინაურება.

რკინიგზასთან ერთად ყოველწლიურად ფართოვდებოდა საავტომობილო გზები. უკვე 1912 წ. გზატკეცილები და გრუნტიანი გზები აკავშირებდა თითქმის ყველა განვითარებულ ქალაქსა და დასახლებას ერთმანეთთან და საზღვარგარეთთან. სატრანსპორტო გზათა ქსელის გაფართოებამ განაპირობა გუბერნიის საწარმოო შესაძლებლობათა რეალიზაცია.

1913 წ. ქუთაისის გუბერნიაში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. მოსახლეობა 1887 წ. შედარებით 2,5 ჯერ გაიზარდა. ფაბრიკებისა და ქარხნების რიცხვი 250%, სკოლების რიცხვი 1,5 ჯერ, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი 3,5 ჯერ. სტატისტიკის მიხედვით მასხვილ საწარმოთა შორის გამოიკვეთა სახერხი ქარხნები და აბრეშუმსახვევი ფაბრიკა. პროდუქციის მოცულობა დაახლოებით 4,7

ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1887 წ. ამ საწარმოებში დაკავებული პერსონალი გუბერნიის მოსახლეობის ხარისხობრივად მაღალი პროფესიული სტრუქტურა იყო.

ზემოთ მოტანილი შეფასებებიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ სხვა განვითარებული ტერიტორიული ერთეულებისაგან ჩამორჩენის მიუხედავად, გუბერნიის სამრეწველო განვითარება ფართო სასტარტო პოზიციაზე გავიდა. შერჩეული იქნა სწორი ორიენტირები: ეკონომიკის რეფორმირების სახელმწიფო რეგულირება და მოსახლეობის აქტივიზაცია, პორტების მშენებლობა და რკინიგზის ქსელის გაფართოება. მაგრამ ვერ მოხერხდა ეკონომიკის გადაყვანა ინდუსტრიალურ საფუძველზე, რამდენადაც არ კმაროდა ტექნიკური პროფილის საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები, რა მიზეზითაც მეწარმეობის განვითარებას არ ჰქონდა ადამიანური ფაქტორის უზრუნველყოფა. ისტორია მეორდება. ახლაც სუსტად მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმა, ახლაც სუსტია მასში მოსახლეობის აქტიურობა, რამდენადაც არ შემუშავებულა ეკონომიკური აზროვნების განახლების სახელმწიფო პოლიტიკა. როგორც ყველა რეფორმა, ვერც საქართველოს რეფორმა განხორციელდება ცარიელ მოედანზე და სხვა ქვეყნების მიბაძვით. ვინაიდან იგი ტრადიციების მყარ ფუნდამენტს ემყარება. საბაზრო ეკონომიკის ასეთ ფუნდამენტად საქართველოში ითვლება მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის მისი კაპიტალისტური განვითარების ტრადიციები, რომლის ფუნდამენტურ შესწავლას სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა არა აქვს.

თავი მესამე

საბაზრო ეკონომიკა და აზროვნების დეფიციტი

"შიში შეიქმს სიყვარულსა", ანუ
ვისაც უყვარხარ, იმისი გეშინოდეს."
ავტორი

განვითარება, რომ საერთოდ, შეფარდებითი ხასიათისაა, ეს ახლა ყველა განვითარებული ადამიანისთვის ცნობილი პოსტულატია, ანუ ერთია ფიზიკური სხეულის მიმართება თავისთავთან (შიდაარსთან), როგორც სპონტანურად განვითარებად სუბიექტთან, მეორე-აზროვნების მოძრაობის ზოგად პრინციპთან, რომელშიც კონცეტრირებულია საზოგადოებრივი პროგრესის ახალი პოტენციალური შესაძლებლობების რეალიზაცია. მიუხედავად ამ გახუნებული დებულებების ვრცეულობისა, ჩვენი ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ელიტა და უმაღლესი სახელისუფლო სტრუქტურები მეთოდურად და პრაქტიკულადაც აქამდე მაინც ახერხებენ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაზე ნეგატიური ზეგავლენის ძლევამოსილებას, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცნობიერებაში მაცდუნებელი ორჭოფული აზროვნების კონსტრუირებას. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ წინა ეტაპების ხელისუფლებიდან მათთვის ხელსაყრელი რამდენიმე მოვლენის ხდომილებადობის ავტომატური სპონტანურობა დგება და ამდენად, ახალი ხელისუფლება მისი წინამორბედისაგან, როგორც წესი, დაუმსახურებელი, მემკვიდრეობითი, "არაშრომითი", მუქთი ეფექტიანობის გენეტიკური კოდის ტრანსფორმატორი და უარის ვერ მთქმელი მიმღებია. მაგრამ რომლის მიმართაც იგი მაინც, უმრავლეს შემთხვევაში," უძღები შვილია ". აქედან ისიც კარგად ჩანს, რომ დეილ კარნეგის პიროვნების ზნეობრიობის მეტრი საზომი ერთეულია ბევრი პოლიტიკური მოღვაწის მორალური და ზნეობრივი პორტრეტების "დასამზადებლად", მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლება ამას, თავის უმადურობას, მაინც ვერასდროს ვერანაირად გვერდს ვერ

აუვლის, როგორადაც არ უნდა ცდილობდეს იგი მისგან თავის არიდებას და ამის გამო სხვა რაიმე მეხამრიდების კონსტრუირებას ზნეობრივი პოლიტიკური დაძაბულობის ზონაში. ისე კი, მკლევარს სამართლიანობის გრძნობა შინაგანად აიძულებს პირდაპირ აღნიშნოს, შეიძლება ზედმეტადაც, რომ კაცობრიობის განვითარებაში მემკვიდროებითობის (ტრადიციის) პრინციპის პრევალირება არსებითია და ამიტომ ინტელექტუალი ხელისუფალი მარტო განათლებული კი არა, ზნეობრივიც უნდა იყოს, რათა გაიცნობიეროს მომაკვდავი სინამდვილე, რომლის შეცვლაც მას სურს. ამის საბოლოო შედეგები მიგვიყვანს იქამდე, რომ საქართველოში სწორედ ამით იქნება გამოხატული ხელისუფლების პოლიტიკური კულტურა. არის კიდევ, ამას გარდა, ისეთი სინამდვილე, რომლის ვრცელი პლანი მთელი სიცხადით გვიჩვენებს ჩვენს ქვეყანაში იმ შესაძლებლობათა გაცნობიერებას, რომლებიც წინა ხელისუფლების შეიძლება ვერ, ან შეიძლება არ იქნა გამოკვლეული და სამოქმედო ასპარეზზე გამოტანილი. ასე მაგალითად, დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება ვერ მოახერხებდა ქვეყანაში ისეთი მასშტაბების ინფრასტრუქტურულ გარდაქმნებს, რომ მის ინოვაციურ საფუძვლებში განვითარების წინა ეტაპები არ ყოფილიყო მოქცეული და რომ მის წინამორბედებს ეკონომიკური წესრიგის ინსტიტუციური ენერგო პლასტები არ მოემზადებინათ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ წინამორბედმა ხელისუფლებამ, ამავე დროს, ვერ მოახერხა მისი პოლიტიკური შემოქმედების ფუნდამენტურ პრინციპებზე წამონაზარდი ახალი აგრესიული, მძლავრი კლანურ-კრიმინალური-მაფიოზური დაჯგუფებების დასუსტება და ახლადწარმოქმნილი მცირერიცხვოვანი არაფორმალური, მაფიოზური ეკონომიკური სუბიექტების და სტრუქტურების დეკრიმინილიზაცია, ფორმალური ეკონომიკის ძლევამოსილების დაქვეითება. მაგრამ ეს მაინც არ იძლევა იმის საშუალებას ვთქვათ, რომ არაფორმალური და ჩრდილოვანი ეკონომიკა დაყვანილი იქნეს ჩვენი ქვეყნის სოციალური ჯგუფების ან ცალკეულ პიროვნებათა სახელმწიფოებრივი დანაშაულობების კრიმინალიზაციამდე, მიუხედავად ამგვარ პიროვნებათა კრიმინალური "მოღვაწეობის" ახლანდელი ოფიციალური სიშიშვლისა. თანამედროვეობის უდიდესი ინტელექტუა-

ლი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი მიფხიზლებს აზრს. რა თქმა უნდა მიჭირს ზემოთმოტანილ მსჯელობებში აღიარებული ეკონომისტი ინტელექტუალების აზროვნებითი საგანძურიდან, რომლისგანაც ყველა ჩვენთაგანი ანიდან ჰოემდე დავალებული არის, ჩემი ნაცოდვილარის გამორჩევა, მაგრამ აქ მაინც მთავარია კონკრეტული ეკონომიკური მოვლენების ინტერპრეტაცია სასარგებლო იყოს ჩემი ქვეყნისთვის, რომ ჩვენმა თანამემამულემ, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა, დაინახოს, რა ასაკშიც არ უნდა იყოს იგი, რომ ყველა მისი თანამედროვე ადამიანი შემოქმედების ერთიანობის, მემკვიდრეობითობისა და სიცოცხლის უწყვეტობის შემადგენელი რგოლია. მან არ უნდა იკადროს განვითარების ვრცელი სინამდვილიდან წარსულის "ამოხაზვა"; თვითონაც ხომ იმ წარსულზე დგას.

ზემოაღნიშნულის გამო არის, რომ დღევანდელ საქართველოში ხელისუფლებრივ ცვლილებებს "პუგაჩოვშინის" ხასიათი აქვს და ამიტომ ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურების მემკვიდრეობითი მასივების გადაბმულობა არ შედგა, და ამდენად მივიღეთ ძესიური ხელისუფლებრივი სერიალები, როცა მოსახლეობისადმი სახელისუფლო პოლიტიკური ბლოკის პრეტენზიებს მისი პოტენციალური შემცვლელის ახლებური, ჭირვეული დაპირებების სერიალები ენაცვლება, მეორეს მესამე მოსდევს და ხალხიც გულუბრყვილოდ გამოდევნებულია ამ სერიალებზე. გამოდის, რომ მოკრძალებულად უკულტურობა შეიძლება ვუწოდოთ იმას, რასაც მომდევნოს მიერ წინა ხელისუფლების უარყოფა ჰქვია. იმათ ერთმანეთი არ იკადრეს, კერპებად იქმნენ. გამსახურდიას ხელისუფლებამ ტოტალური სოციალისტური პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურები ერთი ხელის მოსმით "მოსპო". მისმა მომდევნო შევარდნაძის ხელისუფლებამ პოლიტიკური მეტოქეობის საჭადრაკო მაგიდა "გაასუფთავა" და ახალი პარტია გააწყო. იმას კიდევ, წინამორბედისაგან განსხვავებით, პოლიტიკური მეტოქე თავისივე გუნდიდან გამოუჩნდა და მართალია, იმან უსისხლოდ მოიშორა თავისი ლიდერი, მაგრამ ამით მისი ამბიციები ვერ დაიცხრო და იმის ყოველ გახსენებაზე სიტყვას ისე არ მოიბრუნებს რომ "გამზრდელს" სამარე არ ჩაულრმაოს. სამივე შემთხვევას მთლიანობის ხასიათი აქვს იმის

გამო, რომ მის ტირაჟირებას თვით ხალხმა შეუწყო ხელი (ყველაზე იოლი ხალხის დადაშაულებაა).

მიმაჩნია, რომ ახლანდელი სასელისუფლო კარუსელი ქვეყანაში ერთი მსახიობის თეატრის ერთი სპექტაკლის რეტროსპექტული ინსცენირებაა, და ახლა ჩვენი მოსახლეობის ყურადღებაც მიპყრობილია უფრო დახელოვნებული მაქინაციის პარტიის ფეიერვერკული დაპირებებისადმი და ამ სცენას ლამის მაცხოვრის გამოცხადების ქვეცნობიერი ეფექტის ზეგავლენა აქვს, და ის (მოსახლეობა) ყველაზე სასიამოვნო დაპირებების მოვლენადობის ექსტრასენსულ ფსიქ ფაქტორებს "ნოტარიალურ ნდობას" უცხადებს. თვით ნდობაგაცხადებულები თავიანთ თავს ხალხისაგან კანონიერად ხელდასმულ მეურვედ თვლიან, რომელთაც მზრუნველის ვალდებულება გადაუტვირთეს, და ის უკვე "შეწირულია" მორჩილად იდგეს სტარტზე მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის. თვითონ კი მას, როგორც ამორჩეულს, მისი ამომრჩევლები მარტოდმარტოდ ტოვებენ ღვთის რანგში თავისთავთან, მაგრამ რაკი კაცსა და ღმერთს შორის მოციქულის მანტია მორგებულია, ამის შემდეგ "ხელები დაბანილია" და ისინიც აღსრულებულად თვლიან თავიანთ საარჩევნო მისიას. თავის მხრივ. ამომრჩევლებსაც "ხელები დაბანილი" ჰგონიათ და თავი დაკიდულ ბაღებში წარმოუდგენიათ, რომელიც სემირამიდას კი არა, საიქიოსია. ესაა ჩვენი ხალხის მთელი საარჩევნო ტრადიციული რიტუალი, რომელიც ვერ იქნა და ვერ გარდაიქმნა ქვეყნის მოსახლეობის საარჩევნო კულტურულ მემკვიდრეობად. საბაზრო ეკონომიკა საზოგადოებრივი აზროვნების ტრანსფორმაციის სპონტანური შედეგობრიობაა, პირიქით არ ხდება.

მთელი ამ ჩემი "ორიგინალური" მსჯელობების მიუხედავად, მხედველობიდან გამომრჩა ის, რომ ერის კაცების ქურქში გამოწყობილმა ბევრმა ჩვენმა თანამედროვე "მოღვაწემ" მოსახლეობა ლამის სასაცილოდ გაიხადა და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებრივი ძლევამოსილების რეციდივები ადამიანთა უმწეობასა და უმეცრებას გადააბრალა. ტრადიციული ჩინოვნიკური ჩვეულება არც ახლა დარღვეულა, პასუხისმგებლობა თავისთავზე არავის აუღია. ითქვა და მეტი არაფერი. რაც შეეხება ჩვენს ხალხს, იგი ყოველ-

თვის იოლად ხელწამოსაკრავი რჩება. არ მინდა ეს საკითხი შორს გადავწიო და აქვე აღვნიშნო, რომ ყველაფერი ის, რასაც "ჭკვიანები" ხალხს, ხელისუფლებასთან მიმართებაში, გონებრივ სისუსტედ უთვლიან, იგივე ხარისხის უმეცრებაა იმ ადამიანების მხრიდან, რომელთა მიზეზებით უარყოფითი სოციალური ეფექტიანობის მოვლენადობა მაღალი რისკის შემცველია. ჩვენი მოსახლეობის დაბალი კეთილდღეობის მიზეზად ხალხის უმეცრების ან მათი ეკონომიკური უმწეობის ახარისხება ქვეყნის სახელისუფლო სტრუქტურების უზნეობის გამომხატველია. ამას კიდევ ემატება უფრო უარესი: სახელისუფლო სტრუქტურების მერიტოკრატიზაციის მირაჟი, რომელიც შემორჩენილი კომპლექსია ფეოდალური საუკუნეებიდან.

ცალკ-ცალკე ვერც ხელისუფლება და ვერც ხალხი თავიანთ ფუნქციებს ვერ შეასრულებს. ისინი ვერ განიყოფიან, ვინაიდან განუყოფელნი არიან. ამიტომ მთელის დაყოფა სახელმწიფოებრივ და მოსახლეობის სისუსტეებად სახელისუფლო პერსონების პასუხისმგებლობისაგან გაქცევას ნიშნავს. აქვე საჭიროდ მიმაჩნია იმისი აღნიშვნაც, რომ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა მათზე თანაბრად არ ნაწილდება. არასდროს ყოფილა მოსახლეობა ქვეყნის მომავლის მორალურ-პასუხისმგებლური ინსტიტუტი (მიზეზებს ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ). ქვეყნის მომავლის მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობის უმაღლესი ინსტანცია თვითონ არის ხელისუფლება და სწორედ მისი ეროვნული პასუხისმგებლობა და მორალურ-ზნეობრივ ფუნქციაა საზოგადოებრივი აზროვნების ტრანსფორმაცია, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივიზაცია. ამიტომ ხელისუფლებრივი თანამდებობების პრესტიჟის პრივილეგია საზოგადოების სოციალური ეროზიის მცურავი პლასტებია. საერთოდ კი პრივილეგიები განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ყველა შემთხვევაში, ხარისხია და არა მემკვიდრეობითობა. ამაზე ქვემოთ.

პოლიტიკურ-ეკონომიკურ დისკუსიებში და აკადემიურ ეკონომიკურ ლიტერატურაში გახშირდა აპრიორული მინიშნებები მოსახლეობის არასრულყოფილების მოტივებით ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირის ახსნაზე, ისევე როგორც ხელისუფლების იმპოტენციურ არაკომპეტენტურობაზე. ამას ცალკ-ცალკე, რა თქმა უნდა,

თავისი რამდენიმე ახსნა მოეძებნება, მაგრამ ქვეყნის კეთილ-
დღეობის გაუმჯობესებისთვის ეს ბევრი არაფრის მაქნისია. რო-
გორც ზემოთ მქონდა აღნიშნული, ქართველი მოსახლეობა გაჰყვა
ახალი ხელისუფლების სოციალურ და ეკონომიკურ ამბიციებს, მი-
თუმეტეს, რომ იმან აიღო პასუხისმგებლობა ქვეყნის ეკონომიკურ
აღორძინებაზე მოსახლეობისაგან მხარდაჭერის სანაცვალგებოდ,
თუმცა შესატყვისი ეკონომიკური კონცეფციები და ახალი სამუშაო
ადგილების შექმნის პროგრამები არ ჰქონიათ. აქედან გამომდინარე
სრულიად ლოგიკური მოვლენადობა იყო ის, რომ ახალმა ხელი-
სუფლებამ ასპარეზიდან გასული პოლიტიკური ფიგურების შე-
საძლო დაწინაურების გზები გადაჭრა, ძლევამოსილი ფინანსური
ოლიგარქები დაარბია, ან ქონებაზე სიმდიდრის ნაღები აართვა და
ამით რამდენიმე ხნით მიიქცია და მოადუნა კიდეც ხალხის ყურად-
ღება. ამ პროცესებს მიმზიდველობას მატებდა ხელისუფლების
მდიდარი პერსონების ქონებრივი ექსპროპრიაციის ხარჯზე მო-
სახლეობის ღარიბი ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესების არაო-
რაზროვანი დაპირება. ესეც მიუტევებელი შეცდომების რიგს ეკუ-
თვნის, რაც გადმოტანილია შორეული შუასაუკუნეებიდან. ქონების
წართმევა ხომ ძალის გამოყენებას ნიშნავს, რაც იმავე დროს მით-
ვისებაცაა იმავე ძალის მიერ. ამის საილუსტრაციო ფაქტები სახე-
ზეა, თვალის ასახვევად საქვეყნოდ გამოტანილი ვიღაც-ვიღაცების
თუ სხვა კლანებისაგან წართმეული ქონება უკვალოდ გაქრა. ექ-
სპროპრირებული ქონება ბიუჯეტში უნდა მოქცეულიყო, იქ უნდა
დაბრუნებულიყო, საიდანაც წაიღეს. ექსპროპრიაციას სამართ-
ლებრივი საფუძვლები უნდა ჰქონდეს და არ იყოს ვინმეს პირადი
სურვილისა და ამბიციების გამოვლინება. ცუდი ეკონომიკური პრე-
ცედენტია სახელმწიფო ბიუჯეტის "გასწორება" კერძო პირების ქო-
ნების კონფისკაციისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზებისაგან
შემოსასვლელი თანხების მოლოდინზე, რანაირი მაღალი რისკის
შემცველი არ უნდა იყოს იგი.

ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დაპირებებით ხალხის
მიმხრობის პოლიტიკა თვალსაჩინო ფარისევლური საქმიანობაა,
ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი დაპირებების შესრულება ძნელია,
მეორე დაპირებებს ხალხი აქტიური პოზიციიიდან მოლოდინში გა-
დაჰყავს და გულარხეინობისა და მცონარობისაკენ უბიძგებს მას,

მესამე, დაპირებების შეუსრულებლობას შეუძლია ხალხი იმ სასტიკ ძალად აქციოს, რომელიც მტრისაზე უარესია, მითუმეტეს თუკი სახელისუფლო ჩინოვნიკები არაკომპეტენტურნი, უცოდინარნი და გამოუცდელნი არიან, პიროვნული მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა აკლიათ. ამის საილუსტრაციოდ ასეთი ფაქტურაც გამოდგება. რამდენიმე წელიწადია გრძელდება სახელისუფლო სტრუქტურებიდან, და არა მარტო მათი მხრიდან, ყოვლად უნიჭო პრეტენზიები ქუთაისის უპერსპექტივობის შესახებ. ისინი ვერ ამჩნევენ იმას, რომ საბაზრო ეკონომიკა ტერიტორიულ-სივრცობრივი განფენილობაა და მისი ფუნქციონალუნარიანობა ჩაკეტილია ტერიტორიული მოწყობის ტრადიციულ ჩარჩოებში. ცუდია, როცა სოციალისტური სახელმწიფოსაგან მემკვიდრეობით მიღებული ტერიტორიული მოწყობის ინსტიტუცია ხელუხლებელი რუდიმენტია. ამას შეიძლება ქვეყნის რაღაც შიდა პოლიტიკური კონფიდენციალობა განაპირობებდეს, მაგრამ შეუძლებელია შეხედულებების ფორმირებაზე ამას მნიშვნელობა ჰქონდეს.

საბაზრო ეკონომიკა ქუთაისში მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისისს ინდუსტრიული კაპიტალიზმის მემკვიდრეა, მაშინ როცა ქუთაისი სურამის უღელტეხილის აქეთა საქართველოს, გუბერნიის ცენტრი იყო და თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სავაჭრო, მაგრამ არასამრეწველო, საკურორტო და ტურისტული მომსახურების ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომ მაშინდელ ვრცელ ტერიტორიულ სივრცეში ქუთაისი ეკონომიკურად და სოციალურად სწრაფად დაწინაურდა. მისი "მემკვიდრე" სოციალისტური ქუთაისი ხელოვნურად დამოუკიდებელი ინდუსტრიული ქალაქი შეიქმნა და ამის გამო დაკარგა ბუნებრივი ჰორიზონტალური კავშირები სხვა დანარჩენ ტერიტორიულ ერთეულებთან.

ქუთაისის ეკონომიკა წელში მანამდე ვერ გაიმართება, ვიდრე ის დასავლეთ საქართველოს ან თუნდაც იმერეთის საბაზრო ეკონომიკის ტერიტორიული "ექსპანსიის" ცენტრი არ გახდება. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ტერიტორიული კარჩაკეტილობიდან გასვლაა და ის მსხვილი ტერიტორიულ-საწარმო გაერთიანებების, საერთაშორისო ტრანსნაციონალური კომპლექსების თანამშრომლობაზე არის ბაზირებული. ქვეყნის მცირე და უმცირეს ტერიტორი-

ულ ერთეულებად დანაწევრება სოციალისტურ საზოგადოებას სჭირდებოდა მისთვის დამახასიათებელი უკიდურესი ბიუროკრატიული ხასიათიდან გამომდინარე. ამას დღემდე ვერ გებულობენ ჩვენი დღევანდელი სახელისუფლო ჩინოვნიკები და რაკი თავიანთი უცოდინარობისა არა გაეგებათ, ყველაფერს ქუთაისის კარჩაკეტილობას აბრალიან და არა უწყიან მისი კომუნისტური ტერიტორიული მოწყობის მოძველებულობა. ტრადიციული ტერიტორიული მოწყობა საბაზრო ურთიერთობათა განვითარების მუხრუჭებია, რასაც ხელისუფლება ვერ ხედავს ან ჯერ კიდევ ამის დასანახად ვერ მოიცალა. არც ისაა სწორი, თითქოსდა უცოდინარი და გამოუცდელი ახალგაზრდების თანამდებობებზე დაწინაურება ხელისუფლებას პოპულარობისთვის სჭირდებოდეს. ხელისუფლება დავალებულია რევოლუციის ჯარისკაცებისაგან, ეს ერთი, მეორეძალზე ადვილია უცოდინარი და გაუნათლებელი ადამიანების მართვა. თუმცა ერთსაც და მეორესაც აშკარად და ცხადად არ წყალობს ეკონომიკა და სახელმწიფო მოხელეთა რეიტინგზეც კატასტროფულად მოქმედებს. ხელისუფლების ზედა ეშელონებისთვის ქვედა რგოლების არაკომპეტენტურობა სახელისუფლო პირამიდის ფუძის მორღვევის ტოლფასია. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკა ხალხის კეთილდღეობას ბევრს ვერაფერს შემატებს.

ხალხის როლი, საერთდ, ქვეყნის რეფორმაციულ გარდაქმნებში ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში კაი ხნის გამორკვეულ კლასტერებს ეკუთვნის, რისი ცოდნაც ჩვენს ხელისუფლებრივ ნომენკლატურებს არ ემჩნევა. აქ მე მხედველობაში მაქვს ისიც, რომ ხალხის ადგილი და ფუნქციები მოცემულ ისტორიულ მომენტში სპეციფიკური და განსაკუთრებულია, მაგრამ ეს ხომ რეფორმის ძირითად პრინციპებს არ ცვლის, პირიქით, პრინციპის სხვადასხვა გამოვლინებებია. ეს რომ ხელისუფლებას სწორად გაეგო, იგი მოსახლეობისადმი დაპირებების ნაცვლად მის მთელ ენერგიას მოსახლეობის ეკონომიკური აზროვნების განახლებაზე, თვითორგანიზაციისა და თვითრეალიზაციის უნარების გამომუშავებაზე მიმართავდა და ეს მის სარეფორმო გარდაქმნებს აჩქარებებს მისცემდა. ხელისუფლება რაც უფრო მოკლებულია საზოგადოებრივ კრიტიკას და პოლიტიკურ ადეპტებს, მით უფრო კორუფციულია, ავანტურისტული და უპასუხისმგებლოა. მაგალითად,

ქუთაისში, კერძო დასახლებების უბნებში, ელექტროენერგიის ხარჯვის აღრიცხვა ძალზე რთულია, მაგრამ მოსახლეობის კულტურული ნაწილი თავს არ არიდებს საგადასახადო პასუხისმგებლობას, რასაც არ იზიარებს მისი უმრავლესობა და ელექრტოენერგიასაც იპარავს და გადასახადს არ ფარავს იმ მოტივით, რომ გადახდისუუნაროა. ელექტროენერგიის მიმწოდებელი თავს არ იწუხებს მტყუან-მართლის გარჩევით და ელექტროენერგიის მიწოდებაზე უარს უცხადებს მთელ რიგ დასახლებულ უბნებს სამეზობლო მონოპოლის მოტივით (ფრიდმანის ტერმინია). პატიოსანი გადამხდელი დასჯილია. ხელისუფლება მას არ იცავს, მაგრამ არც თვითონ არის ხმის ამომღები.

ყველა ხელისუფლება საქართველოში რევოლუციით მოვიდა და თვითონ არის რევოლუციის მონა-მორჩილი. იგი მისი ჯარისკაცების ხელისუფლებაა და არა მოსახლეობისა საერთოდ. ქვეყნის მატერიალური კეთილდღეობის სიკეთით, უპირატესად მაინც, რევოლუციის ჯარისკაცები და რევოლუციასთან დაახლოებული ინდივიდები სარგებლობენ. აქედან გამომდინარეობს ის, რომ კონცეპტუალური კრიტიკის ნაცვლად ჩამოყალიბდა დაპირისპირება სოციალურ ჯგუფებს შორის, რამაც უკვე გამოკვეთილი ხასიათი მიიღო ანუ ხელისუფლებამ თვითონ შექმნა საზოგადოების სოციალური ეროზია. პრეზიდენტი მიხვდა ამას და ხელისუფლებას ხალხში გასვლის სერიალებს უჩვენებს. მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაშია, მისი ნახევარზე მეტი სიღარიბეში ცხოვრობს, თითქმის ყოველი მესამე მოქალაქე იმიგრანტია, 950 ათ. კაცი პენსიონერი და ინვალიდი არის. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებას ძველი მეთოდებით მუშაობის გაგრძელება არ შეუძლია. ახლა მან იცის, რომ დაპირებებით ხალხის შექცევა პოზიტიურ შედეგებს ვერ მოიტანს, რომ მოსახლეობას ეკონომიკურ სიდუხჭირესთან ერთად ზედმეტად აღიზიანებს ისიც, რომ სახელისუფლო ეშელონებში დაწინაურდნენ სრულიად გაუგებარი ორიენტაციის, წარმომავლობისა და წარსულის მქონე პირები."საზოგადოებისათვის ნათელი არაა ხელისუფლების წარმომადგენელთა დამსახურება, ხარისხი და ზნეობრივი შესაძლებლობანი"[37]. ამიტომ მათ თავიანთი პირადი გამორჩენის

---

[37] ნ. ნიკოლაძე. თხზ. ტ. 8. გვ. 472.

გარდა, მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ნაკლებად აინტერესებთ. ეს ვითარება თითქმის ზუსტად კორესპონდენტირდება ნიკო ნიკოლაძის მაშინდელი პერიოდის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებებთან. "თვით ჩვენში, ჩვენი სამშობლოს ბევრად უფრო საშიში მტერი ზის. ეს არის მისი შვილების გულგრილი დამოკიდებულება სამშობლოს საარსებო ინტერესებისადმი, და მათი მაშინალური სამსახური არა ამ ინტერესების, არა საერთო სიკეთის, არამედ საკუთარი ვიწროდგაგებული სარგებლობისათვის"[38].

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების ძირითადი პრინციპების შესაქმნელად აქამდე არსებულმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოიცალა. ამგვარი ფუნდამენტური კვლევითი შრომების შემუშავება დაკავშირებულია დეფიციტური მაღალი კვალიფიკაციის პერსონალისა და ინსტიტუტების თანამშრომლობასთან, მოწინააღმდეგე ბანაკში დარჩენილი მეცნიერებისა და მაღალი რანგის სპეციალისტების უკომპრომისო დისკუსიასთან, რასაც სრულიად შეგნებულად გვერდს უვლიან. ვინაიდან ეს, საბოლოო ანგარიშით, სააშკარაოზე გამოიტანდა "დახურული" ეკონომიკური პარამეტრების მასივებს და ფარდას ახდიდა ფარულ ეკონომიკურ დივერსიებს და თვალსაჩინოდ გვიქცევდა კრიმინალურ კარტოდიაგრამებს. "კაშხალების, ჩქაროსნული გზატკეცილების და ნავსადგურების აღჭურვილობის კონსტრუირება ტექნიკურად ადვილია. მმართველობის რეფორმა და ძლიერი კერძო სექტორის შექმნა უფრო ფაქიზი და ძნელი ამოცანაა, რომელიც ვერ დაიყვანება საინჟინრო პროგრამაზე"[39]

მდგომარეობის სიმწვავის შერბილების მიზნით გამოიძებნა ხელისუფლების წარმომადგენელთა ექსცენტრიადა მოსახლეობის წინაშე. აქ ისევ იმ საკითხთან მივედი, რომლითაც დავიწყე. ახლანდელი ხელისუფლების პერიოდში, მართალია, ბევრი გაკეთდა და ეს განსაკუთრებით შეეხება საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურებს, მაგრამ ეს ყველაფერი მთავარი მაინც არ არის. მთავარი

---

[38] იქვე. გვ. 338.

[39] სიუზან როუზ-აკერმანი. "კორუფცია, შედეგები და რეფორმა'. თბ., "კისიაი", 2002. . 2.

აქ ისაა, რომ მასში მოსახლეობის აქტიური ნაწილი ვერ ჩაერთო ეკონომიკურ საქმიანობაში , ძირითადი შემოქმედი ვერ გახდა. საზაშკარაოზე გამოვიდა ხელისუფლებრივი პრივილეგიები, საქმეს არაფერი უშველა იმან, რომ ჩინოვნიკებს ხელფასები გაუზარდეს. ისევ თვალში გვხვდება კორუფცია, მომხვეჭელობა, არაკომპეტენტურობა დაპირისპირება სოციალურ ჯგუფებს შორის ასაკის, წარსულისა და პოლიტიკური მრწამსის მოტივებით. ამას გარდა, კიდევ უფრო უარესი ის არის, რომ მთელს კავკასიაში, საქართველო თითქმის უპრეცედენტოა ქურდობის მასობრივი შემთხვევებით, რომლებიც პრაქტიკულად განმსჭვალავს ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიას და რომელთა წინააღმდეგ ხელისუფლებამ უპრეცედენტო ბრძოლა წამოიწყო. ეს კიდევ მისი ტესტირებადობაა სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობაზე.

შევაჯამოთ ზემოაღნიშნული.

ხელისუფლებამ ახალი სამუშაო ადგილების ინვესტირებას აქამდე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ვერ აღმოუჩინა, ვერ შეადგინა მოსახლეობის ეკონომიკური აზროვნების განახლების შესატყვისი პროგრამები, ვერ მიაღწია ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან გაძლიერებას. ჩემს მიერ დანახულ მთელი ამ ფაქტობრიობის მიზეზობრიობაში მოქცეული არის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის ძლევამოსილების ისეთი ხელშემწყობი ფაქტორები, როგორიცაა ხელისუფლების წარმომადგენელთა "წილებში ჩაჯდომის" ინტერვენცია, სამეურნეო და ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და დაწინაურების პროცესუალური წესრიგის მასობრივი ხელოვნური პოლიტიზაციის ხელისუფლებრივი რეციდივები, არაკომპეტენტურობა, პიროვნების მორალური და ზნეობრივი პასუხისმგებლობის უგულებელყოფა, ხელისუფლებრივი სტრუქტურების მემკვიდრეობითობის დემორალიზაცია, თაობათა უწყვეტობის დისკრედიტაცია. ძველი კორუფცია სახესა და ადგილს იცვლის. "დიდი კორუფცია წარმოიქმნება ხელისუფლების უმაღლეს დონეზე და მოიცავს სამთავრობო პროექტებსა და პროგრამებს"[40]. გამოდის, რომ მიუხედავად ამისა, კორუფცია არ შეიძ-

---

[40] იქვე. გვ. 37.

ლება სახელისუფლო საქმიანობის მიზანი იყოს. მისი დაძლევა მხოლოდ სახელისუფლო საქმიანობის ეფექტურობის, პატიოსნებისა და კანონიერების ამაღლებით თუ შეიძლება.

აღნიშნულ შემაჯამებელ დასკვნაში მთავარი ხაზი უნდა გამესვა იმაზე, რომ აქამდე ჩვენს სამშობლოში განუხორციელებელი რჩება განვითარებული ქვეყნებისთვის აღიარებული ეკონომიკური თავისუფლების კანონიკური და მორალურ-ზნეობრივი პრინციპები. პირველი მათგანი გამოხატავს არსებული ხელისუფლების განსწავლულობის ხარისხს საერთოდ სახელმწიფოთმცოდნეობაში და გამოცდილების პროგრესულობას ხელმძღვანელობის პრაქტიკაში, მეორე-ახასიათებს მოსახლეობის ცოდნასა და უნარს, ანუ იმას, თუ როგორ სარგებლობს მოსახლეობა ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუტებით.

ეკონომიკურ თავისუფლებაში წინა პლანზე გამოდის შრომისა და წარმოების არჩევანის თავისუფლება, ვინაიდან, როგორც ეს პრაქტიკით დადასტურებულია, შემოქმედებითი საქმიანობის არჩევანის თავისუფლებაში ვლინდება ინდივიდის პიროვნული შესაძლებლობანი, რომლისგანაც, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია ქვეყნის არა მარტო მატერიალური კეთილდღეობა. არ არსებობს საფუძველი იმისა ითქვას, რომ-ჩვენმა ხელისუფლებამ თავისუფლების ინსტიტუცია უყურადღებოდ დატოვა, ვინაიდან სახეზეა საკუთრების, სიტყვის, პრესის, პოლიტიკური რწმენის, აზრის გამოთქმის, სამუშაოს არჩევის თავისუფლების თეორიული პოსტულატები და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი ერთად საქმის უფრო ფორმალური მხარეა. ცხოვრებაში კი მისი პრაქტიკული რეალიზაცია საკმაოდ რთულია. სასამართლო ხელისუფლება, ცხადია, რომ არ არის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, ჯერ კიდევ იდევნება პრესა, არაპოლიტიკურ თანამდებობებზე პიროვნებების დანიშვნაც კვლავ პარტიული მრწამსის სარჩულზე იკერება. უმაღლეს სასწავლებლებლებში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის პირობებს წამდაუწუმ ცვლიან, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის პირობების შედგენის უფლება სასწავლებლებს კანონით მინიჭებული აქვთ და ამდენად არც ამის შესახებ რაიმე ოფიციალური მითითება შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არსებობს ზეპირი დავალება "ზემოდან", რომლის მიზანი გაუგებარი არა, მაგ-

რამ, ნამდვილად, იოლად ამოსაცნობია. ასეთი ჩარევა უფრო უარესია, ვიდრე ზემოდან დაწვრილებით დამუშავებული ცენტრალიზებული სახელმძღვანელო დოკუმენტი.

უფრო მძიმე მდგომარეობაა თავისუფლების მორალურ-ზნეობრივ ურთიერთობებში. თვალში საცემია, ერთის მხრივ, "თამაშის წესების" უცოდინარობა, მეორეს მხრივ, უზნეობა და ამორალობა, და "წესების გარეშე თამაში". სამართალი დაშორებულია სამართლიანობას და ისჯება ის, ვისი დასჯაც უნდათ. ეს დამრთგუნველად მოქმედებს ეკონომიკურ თავისუფლებაზე და შრომითი საქმიანობის სტაგნაციად იქცევა." Без надежды и оптимизма нет и предприимчивости"[41]. ასეთ პირობებში ტყუილუბრალოა თავგამოდებითი მტკიცებები მოსალოდნელი ეკონომიკური გარდაქმნების ეფექტიანობებზე. მთავარი ისაა, რომ წესით თავისუფლების კანონიკური და მორალურ-ზნეობრივი პრინციპები მთლიანობას უნდა განაპირობებდეს, რათა "თამაშის წესები" არა მარტო თამაშის ინტერესს, არამედ მოთამაშეთა არჩევანის საშუალებასაც ქმნიდეს.

ეკონომიკური თავისუფლება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის შემოქმედებითი აქტივობის "წესებით თამაშია", რომელშიც, ბუნებრივია, თვით თამაშსაც აქვს თავისი მიზანი-მოგება, რომელიც, როგორც ყველა მიზანი საერთოდ, კორექტირებადია. ეს კიდევ იმასაც ნიშნავს, რომ ცალსახად საკმარისი არც მარტო"თამაშის წესების" შექმნა და მკაცრი არბიტრაჟული კონტროლია. აქედან, ამას გარდა, ისიც გამომდინარეობს, რომ თვით "თამაშის წესებს" მუდმივი განახლებადობის ბუნებრივი იმანენტურობა ახასიათებს და კიდევ: ყველაფერ ამასთან ერთად აუცილებელია "თამაშის წესების" ცივილიზებული სრულყოფილებისაკენ კურსირება. ეს გვახსენებს პოპერის ხელისუფლების პარადოქსებს.

მოძველებული და "თამაშის წესების" წმინდა გონებრივი კაბინეტური ინტერვენცია ცნობიერ ეკონომიკურ სივრცეში მიზნობრივ პარამეტრებს დაშორდება და ამბიციური სინამდვილის რაღაც განზომილებებში შთაინთქება, მით უმეტეს, თუკი ეს ყველაფერი სო-

---

[41] Маршалл А. Принципы экономической науки. Т. 1. М.: Прогресс. 1983, с. 272.

ციალური რევოლუციის ახალი სინამდვილის კოორდინატთა სისტემაში არის მონიშნული. აქ კიდევ არაფერი მითქვამს იმის შესახებ თუ რამდენად მაღალია ან დაბალი "თამაშის წესების" კონსტრუქტორთა სახელმწიფოებრივი კომპეტენცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, აგრეთვე, ის აზრიც, რომ ეკონომიკური თავისუფლების კონსტიტუცია მოსახლეობის "თამაშის წესების"დახელოვნების დონესაც უნდა გულისხმობდეს. თუ ამ ზოგადი მსჯელობებიდან კონკრეტულზე გადავალთ, ჩვენ უნებლიედ ეკონომიკური წესრიგის სისტემაში აღმოვჩნდებით, რომელიც უნდა განმსჭვალავდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეს. აქამდე ყოველივე ეს აღნიშნული, მთლიანობაში გვაძლევს ეკონომიკურ წესრიგს, როგორც კონსტიტუციას, რომელიც ადამიანებს შრომითი საქმიანობის თვითიძულებას უქმნის. ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობაც წესრიგის კონსტიტუციით უნდა დაწყებულიყო, რის შესახებ დაწვრილებით მიწერია ჩემს ადრე გამოქვეყნებულ შრომაში. სახელმწიფო ხელისუფლება, ბოლო ხანებში, მაინც მივიდა წესრიგის მექანიზმით ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის აუცილებლობამდე და ამიტომ წინა პლანზე გამოიტანა კანონშემოქმედება, საგადასახადო, პოლიციური, საპატრულო და თავდაცვითი სამსახურების კომპლექტაცია სპეციალური მომზადების კადრებით და მათი შეიარაღება თანამედროვე უახლესი ტექნიკური საშუალებებით. მაგრამ რეალური ეფექტიანობა შედარებით დაბალია იმათ პოტენციალუნარიანობასთან შედარებით. ეს სამსახურები ჯერ კიდევ არ ქცეულან საყოველთაო საზოგადოებრივ კეთილდღეობად. ბევრი მათგანი მთლიანობას ვერ ქმნის, ვინაიდან კოორდინაციის კომპიუტერული უზრუნველყოფაც აკლიათ.

ყველა წარმატება, ყოველგვარი წინსვლა, პოპერის აზრით, "ჯახირის" შედეგია. "ჯახირი" შეეხება არა მხოლოდ მიზნის მიღწევის მიღწევის პროცედურათა ვარიანტებს, არამედ თვით მიზნის შერჩევის პირობებსაც, მაგრამ აქ განსაკუთრებული ის არის, რომ პოლიტიკური მიზნების კორექტირება ხელისუფლებამ შეიძლება პირადი ინიციავიატივის სინჯვებზე ააგოს. სხვა შემთხვევაში შეიძლება კორექტირება გარეშე ძალების იძულება იყოს და იგი კრიტიკით "მიდევნონ ჯახირისაკენ". გვინდა თუ არა ჩვენ, "ნებისმიერი მიზანი,

რომელიც ცუდი საშუალებების გამოყენებით შეიძლება მიღწეული იქნას, გზას უხსნის უფრო მნიშვნელოვან მიზანს, რაც საბოლოოდ თვით ამ საშუალებათა გამოყენებაა". ამგვარად აქ ერთად თავს იყრის ორი "ჯახირი"-თვითიძულებითი და გარედან იძულებითი. პირველი მეორეს გულისხმობს საუკეთესო შემთხვევაში, მეორეს გააქტიურება პირველის განსაკუთრებული შემთხვევაა, მაგრამ ორივე ერთიანია.

ქვეყანას, ხელისუფლებას და ადამიანს სხვადასხვა მიზნები აქვთ. მსოფლიოს ამერიკელებმა ასწავლეს, რომ სახელმწიფოს მთავარი მიზანი ადამიანის თავისუფლების დაცვაში მდგომარეობს. წესით ხელისუფლების მიზანიც ამ ჩარჩოში უნდა ეტეოდეს, მაგრამ "უნდა" ხშირად დაშორებულია უფლებრივ "არტახებს", ვინაიდან ხელისუფლებაში თავს იყრის პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეური რწმენის კომპლექსების სხვადასხვა კლასი. ასეთივე განსხვავებული "დასაფრენი" ბილიკი აქვს თვით ინდივიდთა ინტერესების "თვითმფრინავებს". ამგვარ ინტერესთა ვრცელ "უწესრიგობაში" მაორიენტირებელი, მიმმართველი მექანიზმის მარშრუტი აქვს ეკონომიკურ კონსტიტუციას, რომლის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და რომლის ძირითადი ფუნქციაა ადამიანის შრომაზე ორიენტირება. რაც ვერ მოახერხა აქამდე არსებულმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ. შრომა ადამიანის არსებობის საშუალებაზე უფრო მეტია და ის პიროვნების თვითრეალიზაციის, თვითდამკვიდრების ძირითად მოტივად უნდა იქცეს. ამას ჩვენი ქვეყნის პერსპექტივისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ახლანდელმა ხელისუფლებამ ვერ შექნა ჩვენი მოსახლეობის ისეთი განწყობილება, რომ ხალხის მოძრაობა პირადი კეთილდღეობისკენ შრომითი აქტივობის რელსებზე შემდგარიყო. ეს არის ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შემოქმედების მთავარი მიზნიდან გადავარდნა. ვერც ერთი ქვეყანა და ვერც ერთი ხალხი ნამდვილ ეკონომიკურ კეთილდღეობას ისე ვერ მიაღწევს, თუკი მათ მოსახლეობას შრომის თავისუფლება არ ექნება. თუმცა ერთია შრომის კონსტიტუციური თავისუფლება და მეორე-თვით თავისუფლების გამოყენების უნარი. სწორედ შრომის თავისუფლებაზე არის ბაზირებული საბაზრო ეკონომიკა და ის არის მისი მაღალი ეფექტიანობის

კლასტერი. მე აქ ორიგინალური არა ვარ, რამდენადაც ყველაფერი ეს თითქმის ელემენტალური ჭეშმარიტებაა. მაგრამ, მე რა შუაში ვარ, თუკი ახლა ეს ყველაფერი, ბანზე არის აგდებული." Свобода без чувства ответственности ведет к вырождению и хаосу"[42]. ეს დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ინტერპრეტაციაა "ძველი წელთაღრიცხვით".

ხალხის შრომითი აქტივობის "სჯულზე" მოქცევა ხელისუფლების ზნეობრივი ვალდებულებაა. რანაირი მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირე არ უნდა იყოს ქვეყანაში, იგი მდგომარეობიდან სწრაფად გამოვა, თუკი მოსახლეობას მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ერთადერთ საშუალებად შრომითი შემოქმედების ენერგო მუხტები ექნება, რომლის წინაპირობაა საკუთრების თავისუფლება და მეწარმეობრივი უნარიანობა. სამივე მთლიანობაა და სიმრავლე მათ ინგრედიენტებს ქმნიან. მაგრამ ერთმანეთის მიმართ მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება გააჩნიათ. საკუთრების თავისუფლება შრომისა და მეწარმეობრივი უნარიანობის გენერატორია დროის ხანგრძლივი ლაგით, რომელიც სახელმწიფოს სტრატეგიული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის რეზულტატია და იგი მისგან დამოკიდებულებით ზომით ცვლილებებს განიცდის. ჩემი კვლევის ინტერესების სფეროს მივადექით.

საკუთრების თავისუფლება საქართველოში უკვე ყოველდღიური სინამდვილეა, მაგრამ როგორც ალფრედ მარშალის ზემოთ მოტანილი ციტატიდან გამომდინარეობს, ჩვენი მოსახლეობის შრომითი საქმიანობის ორგანიზაციისათვის საკუთრების თავისუფლება ახლა საკმარისი არ არის, ვინაიდან მას ყველაზე უმთავრესი-მეწარმეობრივი უნარიანობის უზრუნველყოფა არა აქვს. ამ საფრთხობელას გამო არის, რომ ხელისუფლება თითქმის მთლიანად გარეშე ფაქტორების რეკომენდაციებით სარგებლობს და მას თავისი ქვეყნის საკმაოდ მდიდარი შიდა ფაქტორებისადმი, განსაკუთრებით ადამიანური კაპიტალისადმი, უნდობლობის გამოკვეთილი გულგრილი კომპლექსურობა სახეზე აწერია. არ ახალია, რომ ფინანსურ დამოკიდებულებას თავისი ძლევამოსილება აქვს.

---

[42] Эрхард Л. Благосостояние для всех. М.: Начала пресс. 1991, с. 204.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას არასდროს, არა თუ არ აკლდა, პირიქით, საკმარისზე მეტი ჰყავდა არა თუ ნიჭიერი- უნიჭიერესი ადამიანები, მაგრამ ისტორიულად, ჩვენდა საუბედუროდ, ხელისუფლებას მათთან ყოველთვის მძაფრი კონფლიქტი ჰქონდა, რომელიც, ასევე საუბედუროდ, ყოველთვის მოიგო, ოღონდ ქვეყნის საბედისწეროდ. ბევრს აწუხებს ის, თუ როგორ მოერია მეოცე საუკუნის მოსახლეობის მაშინდელი არაპროგრესული უმცირესობა პროგრესულ უმრავლესობას (პასუხიც ხომ უკვე მიზეზებს წინ აქვს წამძღვანებული-გარეშე ძალების მხარდაჭერით). მდგომარეობა ხარისხობრივად ტრადიციის ჩარჩოებს არც ახლა სცდება. კარლ პოპერი მართალია, "ძალზე ძნელია დიდ შეცდომებზე სწავლა". როგორც ჩანს, სახელმწიფოებრივად ვერ ავითვისეთ და ახლაც ვერ გვისწავლია ქვეყნის შიდა და გარეშე ძალების წინააღმდეგობებისა და მათი შემავსებადობის ალტერნატიული ვარიანტების გადარჩევა და მეთაური აზრის გამოტანა. ამის გამო სახეზე გვქონდა ის, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, მართალია, სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის გამორჩეული ხელსაყრელი ვარიანტები გამოთვლილი ჰქონდა, მაგრამ მაინც, სხვა სახელმწიფოებრივი სამსახურების გავლენის სფეროში ექცეოდა. მე ვფიქრობ, რომ აქ არ დამრჩენია ადგილი აზროვნების სწორხაზოვნებისათვის და რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ფაქტების კონსტატაციაა, პირიქით, ეს ჩვენს ნაკლოვანებებზე მითითებაა და ყოველივე გამომდინარეობს არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების კრიტიკული ანალიზიდან, არამედ ქვეყნის ხელისუფლების მაღალი ეშელონების პირებთან ჩემი პირადი კონტაქტების ტესტირული შეფასებების რეზულტატიდან. რამდენად მოულოდნელია გაკვირვება მათი მხრიდან, როცა ისინი ჩვენი ქვეყნის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებს თანამემამულეებთან პირად საუბარში გებულობენ. ფაქტია, შინაური მღვდელი შენდობას, ჩვენს ქვეყანაში, ჯერ კიდევ ვერ ეღირსა. მოძველებული ჩვეულებებისაგან გათავისუფლება, მაცხოვრის მკვდრეთიდან აღდგომას ჰგავს, ეკონომიკურად ეს თაობათა გადარჩევის პროცესია, მაგრამ ეკონომიკა მოლოდინე ხალხს არ წყალობს. ქვეყნის მოსახლეობის შემოქმედებითი უნარიანობა ეკონომიკის ელექსირია, რასაც იგი განათლებიდან და მეცნიერებიდან ღებულობს.

ახლა. საქართველოში, დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს იმას, რომ სახელისუფლო ნომენკლატურების უმრავლესობის ცოდნა საზღვარგარეთ მიღებული ე.წ. პრივილეგირებული განათლების პრეფერენციაა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ამგვარი ცოდნის აბსულუტურობა ბევრი ვერაფრის მაქნისია, ვინაიდან პრაქტიკულად ფარისევლურია ქვეყნის მეწარმეობრივი ტრადიციების, ეროვნული სიმდიდრეების, ინტელექტუალური პოტენციალის, ჩვენი უნიკალური კულტურული კაპიტალის ნაციონალური უპირატესობების საფუძვლიანი ცოდნისაგან. ასეთი "ცოდნა" ყველაზე უფრო ეკონომიკას ვნებს და ტექნოკრატიულ ამბიციებზე უარესია. ამას შეიძლება ტექნოკრატიული სიბრიყვე ვუწოდოთ. ქართველებს ყალბი კრიტიკა გვსიამოვნებს, ჭეშმარიტი კრიტიკა კი ნერვებს გვიშლის და თავმოყვარეობის შელახვად მიგვაჩნია. ეს უარყოფითი უნარ-ჩვევები საფუძვლად დაედო ეკონომიკური ფატალიზმის ამბიციებს. ამ მდგომარეობის დასაძლევად მაღალი ეფექტის მომცემი იქნებოდა საქართველოში სამხარეო საინფორმაციო სამეცნიერო ცენტრების შექმნა (ეს წინადადება ბანკებსაც დავუსვი, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი ამგვარ საჭიროებებს ვერ გრძნობენ, რაც აშკარად მათი განვითარების დონეზე მეტყველებს). მაგალითად, ჩემი მოკვლევებით იმერეთისა და ქუთაისის ეკონომიკური სტაგნაციის მთავარ მიზეზად ინფორმაციული სიღატაკე უნდა ჩაითვალოს. აქამდე ხელმიუწვდომელია და მოსახლეობის თვალსაწიერს მიღმა რჩება ეკონომიკური სივრცის კრიზისული სინამდვილის ვრცელი მასივები. მხედველობაში მაქვს ჩვენი რეგიონების ისეთი უმნიშვნელოვანესი კლასტერები, როგორიცაა:

გეოგრაფიული მდებარეობა;

დემოგრაფიული სიტუაცია და იმიგრაციული პროცესები;

მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა;

ბუნებრივი რესურსები;

ხელოვნური უპირატესობები;

ინტელექტუალური რეზერვები;

ინფრასტრუქტურული სისტემები;

რეგიონალური უნიკალობა და კონკურენციული უპირატესობები;

არაეკონომიკური ფაქტორები.

გასაგებია მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ის, რომ აღნიშნული პრობლემები კომპლექსურად, მკლევართა მიერ, აქამდე, მეცნიერულად არ შესწავლილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ პიროვნებათა გატაცებებს. აქედან გამომდინარეობს ის მდგომარეობა, რომ არა მარტო ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის პრობლემების პროგრამების შექმნა ვერ მოხერხდა, არამედ უფრო გაღრმავდა მოსახლეობის ეკონომიკური დემორალიზაციის ნაპრალები. არ შედგა ხელისუფლებისა და მეცნიერების თანამშრომლობა რეგიონისა და ქალაქის აღმავლობის საკითხებში. ახლა, ამ მძიმე შეჭირვების ჟამს, მაღალი ზნეობის მეცნიერისა და მოქალაქის მამულიშვილურ ვალად რჩება ის, რომ საძსახური გაუწიონ ქვეყანას მისი ეკონომიკური სტრატეგიების გამორჩევაში, ხოლო მხარეების მოსახლეობას-შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებაში. ამის გაკეთება ცალკ-ცალკე არ შეუძლია არც ხელისუფლებასა და არც მეცნიერ-ინიციატორებს. ეს საერთო საქმეა. ასეთი ერთობლივი თანამშრომლობის ეფექტიანობა ჩვენთვის კარგად ცნობილია ჩვენი ქვეყნის საგუბერნიო მოწყობის ისტორიიდან, აგრეთვე აშშ და იაპონიის პოსტინდუსტრიული განვითარების სტრატეგიებიდანაც. ცამდე მართალი იყო და მით უმეტეს ახლა ხომ მართალია კარლ პოპერი, რომელსაც სანთლით საძებრად მიაჩნდა წიგნის გაგების მიზნით დაინტერესებული მკითხველი.

ინფორმაციის სამხარეო სამეცნიერო ცენტრები უნდა დაკომპლექტდეს იმ ადამიანებით, რომლებიც დამოუკიდებელ შემოქმედებით თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პრობლემებზე. მათ უნდა იმუშაონ რეგიონებისათვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხზე და მოემსახურონ მოსახლეობას ეკონომიკური აზროვნების განახლებაში, მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებაში. ასეთი საქმიანობის ძირითად მიმართულებებად მიმაჩნია:

რეგიონის სიმდიდრეების კვლევა;

დემოგრაფიის სიტუაციური ანალიზი;

უძრავი ქონების აღწერა და შეფასება;

მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამების შედგენა;

სამეცნიერო და საწარმოო ინფრასტრუქტურების ეკონომიკური ანალიზი და პერსპექტივების განსაზღვრა;

მცირე და საშუალო ბიზნესის,საოჯახო მეურნეობის განვითარების კვლევა და მათი პროგრამული რეალიზაცია;

ფასიანი კონსულტაციების ჩატარება მოსახლეობის ეკონომიკური აქტივიზაციის ამაღლების მიზნით;

ფასიანი სწავლების ორგანიზაცია;

საბიბლიოთეკო მომსახურება ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხებზე;

საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემა.

ინფორმაციის სამხარეო სამეცნიერო ცენტრებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფორმალიზაციის მისია ექნებათ. შემდგომ მათ ბაზაზე უნდა წარმოიქმნას და ჩამოყალიბდეს მაღალი პოტენციალის კონკურენტუნარიანი ტრადიციული დარგებისა და საწარმოების თანამედროვე მსხვილი გაერთიანებები, რომლებიც ფართო ასპარეზს შეუქმნიან საოჯახო მეურნეობებსა და მცირე საწარმოებს მათთან ინტეგრაციის გზით, რომელთა საშუალებითაც ფუნდამენტური გამოკვლევები ტექნიკურ ნიმუშებად გარდაქმნის შემდეგ საწარმოო ინოვაციად იქცევა.[43] ამით პრაქტიკულად ჩამოყალიბდება მეცნიერებისა და მრეწველობის თანამშრომლობა, რომლის გარეშე შეუძლებელია ბაზრებზე შეღწევა და მეწარმეობრივი სტრატეგიული კურსის გამომუშავება. მაგალითად, იმერეთის ინფორმაციის სამეცნიერო ცენტრის საქარის საცდელ მინდორთან ერთად თანამშრომლობა იქნებოდა საფუძველი იმისა, რომ შექმნილიყო დასავლეთ საქართველოს მევენახეობის, მეღვინეობისა და , მემცენარეობის მსხვილი კონკურენციულ სამრეწველო-სამეცნიერო კონსორციუმი. ამისი საფუძვლები საუკუნის წინათ ჩამოყალიბდა. მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისს

---

[43] "Увеличивается производство на тех мелких фирмах, которые выпускают высокоспециализированную, уникальную, мелкосерийную продукцию; как правило, они выступают в качестве субпоставщиков крупных промышленных концернов. Мелкие фирмы в производственном, научно-техническом и финансовом отношениях интегрированы в структуру этих концернов". Эглау Х. О. Борьба гигантов. Экономическое соперничество Европы, США, Японии. Пер. с нем - М.: "Прогресс", 1986. с.17.

ვაზისა და ღვინის წარმოების ჩვენი საუკუნეობრივი მდიდარი ტრადიციებისა და უცხოური კაპიტალის შეერთების ბაზაზე ღვინის, შამპანურისა და კონიაკის კონკურენტუნარიანი საწარმოები წარმოიქმნა, რომლებმაც, უმოკლეს დროში, მსოფლიო ბაზრებზე უმნიშვნელოვანესი წარმატებები მოიპოვა. ამის შესახებ უფრო ვრცლად უკვე ვისაუბრეთ ზემოთ მოტანილ მესამე თავში.

ინფორმაციის სამხარეო სამეცნიერო ცენტრებს მაკოორდინებელი სახელმწიფო ან კერძო იურიდიული ცენტრალური ორგანო უნდა აერთიანებდეს, რათა შენარჩუნებული იქნეს ქვეყნის ეკონომიკური ნაციონალიზმი და შესაძლებელი იყოს მისი სტრატეგიული ორიენტირების განსაზღვრა. ამ მიზნით, კიდევ, უფო საჭირო იქნებოდა სამთავრობო და არასამთავრობო კონკურსების გამჭირვალობის გაზრდა მეცნიერთა, გამომგონებელთა და სპეციალისტთა შემოქმედებითი თავისუფლების გასაფართოებლად, ქვეყნის პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დასადგენად; საჭირო პროფესიების ფასიანი სწავლების, საკონსულტაციო მომსახურების სახეების დასადგენად და სხვა. სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრების რეალიზაცია და კონსულტაციები დამატებით შემოსავლებს მისცემს ინფორმაციის სამხარეო სამეცნიერო ცენტრების ბიუჯეტებს. სასურველია, რომ ინფორმაციის სამხარეო სამეცნიერო ცენტრის რამდენიმე თანამშრომელს ჰქონდეს სამხარეო და ადგილობრივ მთავრობათა სხდომებზე დასწრების უფლება. ამით შესაძლებელი იქნება დიალოგი ხელისუფლების პოლიტიკას, ეკონომიკასა და მეცნიერებს შორის ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე.

ჩვენი უახლოესი სამეურნეო პრაქტიკიდან ცნობილია თუ რა უმძიმესი უარყოფითი შედეგები მოჰყვა სახელმწიფო ბიუროკრატიის ეკონომიკაში პირდაპირ ჩარევას. თანამედროვე ადამიანებისთვის კარგად ცნობილია აშშ "დიდი დეპრესიის" უმძიმესი კრიზისული სიტუაციები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაში ადამ სმიტის სახელმწიფო ჩაურევლობის პრინციპის ტენდეციურობის ცალმხრივობამ გამოიწვია. უკიდურესობებს ეკონომიკა ვერ ეგუება, ვინაიდან იგი დინამიკური სოციალური ორგანიზმია. ამიტომ, პირიქით, სწორედ უკიდურესობები (კრიზისები) უნდა გადაიქცეს ადაპტაციურ სტრუქტურებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ეკონომიკის

"შურიძიებას" ვერ ასცდებიან. კრიზისი ეკონომიკის ცოდნილი სინამდვილიდან გასვლის მანიშნებელი სიგნალია. გადაჭარბებულად მეჩვენება ეკონომიკის განვითარებაზე კრიზისების დამანგრეველი ზემოქმედების ინტერპრეტაცია. კრიზისები ეკონომიკის დაავადებაა, რომელსაც მისი ცვლილებების სინდრომი და პროფესიული აზროვნების დეფიციტი განაპირობებდა და განაპირობებს ახლაც. სწორი დიაგნოზისა და რეანიმაციის ადეკვატური პროცედურები ეკონომიკის გაჯანსაღების მეთოდებია. სწორედ ამის წყალობით ყოველთვის სძლევდა ეკონომიკა კრიზისებს. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და ეკონომიკაში სახელმწიფო ჩაურევლობის პრინციპების რეალიზაციის თავისუფლებაა საბაზრო ეკონომიკა, რასაც შეცდომით შერეულ ეკონომიკას უწოდებენ.

მრავალრიცხოვანი რეგლამენტაციებითა და სპეციალური დაწესებულებებით არ ამოიწურება სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა. შეუძლებელია ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებისა და წარმოებების განვითარება სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარეობს ზემოხსენებული ინფორმაციის სამხარეო სამეცნიერო ცენტრების შექმნისა და ფუნქციონირების ჩემეული ინტერპრეტაციები.

ინფორმაციის სამხარეო სამეცნიერო ცენტრის სტრუქტურული ერთეულები შეიძლება იყოს: ეკონომიკისა და ბიზნესის ბიბლიოთეკა; კვლევითი ინსტიტუტი; საქმიანი ადამიანების შეხვედრების ინტელექტუალური სადისკუსიო კლუბები და ფასიანი მომსახურების სხვა ორგანიზაციები, რომელთა ერთობლივი საქმიანობა მოსახლეობის თვითრეალიზაციის ენერგო მუხტებად იქცევა.

თავი მეოთხე

ქართველის მობრუნება თავისთავთან ანუ HOMO SAPIENS + HOMO DEI

"პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ სახელშწიფო პოსტზე დასანიშნი კაცის შერჩევით სიმბოლურად ნათელი ხდება, რა გზა, რა სისტემა აირჩია მომავლისათვის მთავრობამ".

ნიკო ნიკოლაძე

რადაც ოცდამეერთე საუკუნე მოგვევლინა და თუ რა როლი აკისრია ადამიანს ამ ათასწლეულში, მიწერია მე ამის შესახებ ადრეულ შრომებში, შეიძლება მათში ჩემეული ძალზე ცოტაა, მაგრამ თავს ვინუგეშებ იმით, რომ ყველა დროის დიდი რეფორმატორების ინტელექტუარ აზრებს გამოვყევი და იმათი თეორიული აზროვნების პრეცედენტების ჩემს ქვეყანასთან მიმართებაში განხილვას ვცდილობ. ეკონომიკისთვის მთავარია მისი მოვლენებისადმი მართებული თეორიული მიდგომების შემუშავება. აქ თავს მახსენებს კანტის აფირმაცია იმის თაობაზე, რომ პრაქტიკა თეორიული ნააზრევის მრავალვარიანტული განსხეულებაა, უფრო სწორად: თეორიული მიდგომები საფუძვლად ედება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვადასხვა პერსპექტივებს.

მეოცე საუკუნეში შეივსო საზოგადოებრივი ცნობიერების სივრცე ადამიანის თავისუფლების უზენაესობის შეგნებით და ინტელექტუალურმა აზროვნებამ ამ პრივილეგიას ასმაგად მიაზღო. თავისუფლება ადამიანის შინაგანი თვითიძულება გახდა. ფაქტები სახეზეა-ინოვაციური ინტელექტი ძლევამოსილია ყველანაირ პრივილეგიაზე, მითუმეტეს ოჯახურ, გვაროვნულ, კრიმინალურ, კლანურ და სხვა დინასტიებზე (ბიზნესი არ იგულისხმება), სადაც სიმდიდრის აკუმულაციის არქიპელაგი წარჩინებულებს მემკვიდრეობით უპირატესობებს არ უქმნის. აქ რაღაცნაირი დისონანსია, ფინანსური ოლიგარქების ძლევამისილება, მართალია, ხარისხით მემკვიდრეობითობის მატარებელია, მაგრამ ინტელექტუალურ

გარღვევებს გვაროვნული გენეტიკური მემკვიდრეობა არ გააჩნია, ანუ პირველი გვაროვნული ან კლანური კარჩაკეტილობაა, მეორე-თავისუფალი სივრცის კოორდინატები. ორივეს ის საერთო აქვს, რომ ინტელექტზეა დამოკიდებული და ძალით მათი დამორჩილება ფუჭი მცდელობაა. (უფრო დაწვრილებით განხილულია ქვემოთ).

თავისუფლება, მართალია, პარადოქსულია, მაგრამ იგი პერმანენტული მოვლენადობაცაა. სოციალურმა და პოლიტიკურმა რევოლუციებმა საქართველოში თავისუფლების ევოლუცია ძალზე დააზარალა. ჯერ კიდევ მყისიერმა საგლეხო რეფორმამ აუბნია თავგზა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ეკონომიკურ ორიენტაციებში, რომლებიც მერე მაინც ადაპტაციურ ტენდენციად იქცა, მაგრამ რუსეთის იმპერიაში სოციალისტურმა რევოლუციამ თავისუფლების ევოლუციას წერტილი დაუსვა და სხვადასხვა ინტერპრეტაცია მისცა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ თავისუფლების კანონიზაციის ტოტალურმა მასშტაბებმა მოსახლეობის შრომითი კომპლექსების დემორალიზაცია გამოიწვია ახალ ეკონომიკურ სივრცეში, რასაც თავისუფლების შესატყვისი ცოდნის დეფიციტი განაპირობებდა. ამ პროცესების გაგრძელებაა "ვარდების" რევოლუცია, რომელსაც ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა ახსნა აქვს.

ავტორთა ერთი ნაწილის აზრით "ვარდების" რევოლუციით სახელისუფლო ელიტა შეიცვალა და ამდენად "რევოლუცია" ვარდებზე უსაფუძვლოდ მიმატებული ტერმინია. უფრო გავრცელებული აზრის მიხედვით წინა ხელისუფლება ძალის გამოყენებით მოიშორეს და ვარდებზე რევოლუციის განსაზღვრებითი მიმატება სწორი წინადადებრივი წყობაა. დასახელებული ტერმინების ასეთი რადიკალური განცალკევება მე გადაჭარბებულად მიმაჩნია. ხელისუფლების იძულებითი შეცვლა საარჩევნო კომპანიის გარეშე, იარაღის გამოყენების მიუხედავად, რა თქმა უნდა, რევოლუციის ხელწერაა. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ამ ცვლილებებით პოლიტიკური ელიტა შეენაცვლა ერთმანეთს და ხელისუფლებაც ახალი ელიტისა და რევოლუციის მომხრეთა ხელისუფლებაა. ჩვენში არის ხელისუფლება ელიტა და ხელისუფლება ქმნის ელიტას. მოსახლეობა რევოლუციის შემდეგ იმ დღეში აღმოჩნდა, რასაც ისტორიულად მიჩვეული

იყო. "Социальные и политические революции печально известны как способ замены одных элит другими, когда положение бедных почти не затрагивается (Китай и, возожно, Куба представляют заметные исключения)"[44]. დავუბრუნდეთ იმას ასე უღმერთოდ რომ აწვალა რევოლუციებმა თავისუფლების ფორმალიზაცია საქართველოში, რაც ატყვია კიდეც ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკურ აქტივობას. არ ვარგა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის რეფორმირების მოტივაციებით მისი ეკონომიკური და სოციალური აღმავლობის ამბიციების პროპაგანდად გადაქცევა. საქართველოში ამგვარი რეფორმები არაგანხორციელებადია ეკონომიკური ფასეულობებისა და სოციალური ღირებულებების გადაფასების გარეშე, რასაც ახლა სამეცნიერო და საგანმანათლებლო უზრუნველყოფა არა აქვს."იმ "აზიურ ვეფხვებს" მთავრობაში ჰყავდათ გაცილებით უკეთესი, რეფორმატორული ეკონომიკური გუნდი, ვიდრე განვითარების ანალოგიურ დონეზე მყოფ ან მით უფრო, დაბალ დონეზე მყოფ ქვეყნებს"[45]

როგორც აღვნიშნე, თავისუფლება ქართველ კაცს სატანჯველად ექცა, და თუკი ცივილიზებულ საზოგადოებას იგი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ცვლილებების პროცესებში შეეყარა ანუ იგი ასეთმა ცვლილებებმა გამოიწვია, ან ასეთი ცვლილებების პრინციპების გასაყარზე კატაკლიზმებმა მოიტანა, იგი მაინც ჩვენს ხალხს წინ სფინქსივით დაუდგა და თავბედი აწყევლინა. მაშასადამე, ერთია თავისუფლების გაფართოება ეკონომიკური სისტემის ცნობილი პრინციპის ფარგლებში, მაგალითად, რუზველტის რეფორმები აშშ, რომელიც ყოფილმა გუბერნატორმა და პოლიტიკოსმა წამოიწყო. მეორე-ეკონომიკური სისტემის პრინციპის ცვლილება მისი წინამორბედი ტრადიციული სამეურნეო პრინციპის თეორიული კრიტიკული ანალიზისა და მისი პროგრესული ანალოგით შეცვლის თაობაზე (გერმანული ვარიანტი), რომელსაც მეცნიერული უზრუნველყოფა ჰქონდა-ვალტერ ოიკენისა და მიულერ-არმაკის

---

[44] Тодаро М.П. Экономическое развитие. М ; Экономический факультет МГУ, ЮНИТИ, 1977. с. 551.

[45] ლ. ბალცეროვიჩი თავისუფლება და განვითარება. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბ., გვ. 208.

შრომების სახით, და მესამე-რუსული ვარიანტი ანუ განვითარებისაგან ჩამორჩენის გამო დაწინაურებული ქვეყნებისადმი მიმბაძველობა, უფრო ზუსტად კი, წამხედურობა, რასაც თეორიული ორიენტაციის საფუძვლები არა აქვს. ეს, როგორც ადრე მქონდა აღნიშნული, ქრისტეს გამოცხადებას ჰგავს, ქადაგებაა უკეთესი მომავლისაკენ, მაგრამ ამ ქადაგებას მოქმედების მეთოდები არა აქვს და სახელისუფლო ჩინოვნიკების დაპირებების გამო ლოდინით გადაღლილი და დამშეული ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებში თავქუდმოგლეჯილი გარბიან თავშესაფარად.

ჩვენი სამშობლოს მოსახლეობის დიდი ნაწილის-ეკონომიკურად აქტიური ინგრედიენტი ჯანსაღი ადამიანების-ქვეყნიდან იძულებით გაქცევას, ზოგიერთები მაინცდამაინც დიდ უბედურებად არ თვლიან და ამას მოსახლეობის ჭარბი ნაწილის დასაქმების ერთ-ერთ გზად მიიჩნევენ. როგორც ჩანს, ბევრმა არ იცის და ამიტომ ანგარიშში არ თვლის იმ ფაქტებს, რომ საქართველო შრომითი რესურსების სიჭარბეს არ განიცდის და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ქვეყნიდან გასვლით უარესდება საქართველოს არა მარტო დემოგრაფიული სიტუაცია. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ქვეყნის მოსახლეობას იმიგრანტების მოძრაობაზე ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია არა აქვს და მათი არჩევანი წმინდა რისკის, მოლოდინზე გაუთვლელი ფუნქციაა. ალბათ ამ მიზეზითაც არის განპირობებული საქართველოდან მისი შრომისუნარიანი მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინების მაღალი ტემპები.

პასუხი სჭირდება რამდენიმე კითხვას.

არის თუ არა საქართველო დამოუკიდებელი.

ქვეყნის დამოუკიდებლობა აქტით ფორმდება, მაგრამ დამოუკიდებლობა აქტი არ არის. აქტით საქართველომ ქვეყნების ახალ ჯგუფში გაერთიანების შანსები შეიქმნა, ნამდვილი დამოუკიდებლობა ამის შემდეგ დაიწყო. საჭირო იყო სამშობლოს სწორი ორიენტირების შერჩევა, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური შესაძლებლობების გამოვლენა და მისი ინტელექტუალური, ეროვნული სარეფორმო ხელისუფლების არჩევა. ჩვენ კი სხვის იმედებზე ვაგებთ ქვეყნის დამოუკიდებლობის პერსპექტივებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ ეკონომიკურ ანალოგებზე უამრავი ლიტერატურა არსებობს, საიდანაც ცალსახად გასაგებია

მსგავსი პროცედურების ნამდვილი შინაარსი, ქართველებს მაინც გულუბრყვილოდ გვჯერა ვიღაცების დახმარებით უკეთესი ცხოვრების მიღწევა. როცა ბევრი სჯერათ, მაშინ ცოტა იციან. აქ ორი შეცდომაა. ჯერ ერთი, წმინდა გონების ფანტაზიაა სხვისი იმედებით უკეთესი ცხოვრების მოლოდინი. მეორე, უკეთესი ცხოვრების აბსტრაქცია არ შეიძლება ადამიანის მიზანი იყოს. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაშიც არ მოიძებნება ამის მსგავსი მართებული შეხედულება. მილტონ ფრიდმანი სოციალური სისტემის, საერთოდ სახელმწიფოს საბოლოო მიზნად პიროვნების თავისუფლებას მიიჩნევს და ეს სწორია, ისევე როგორც სწორია ისიც, რომ პიროვნებისთვის თავისუფლება არ შეიძლება მისი მიზანი იყოს. თავისუფლება მას მისი სურვილების, ინტერესების მიღწევის პირობებს უქმნის, სადაც ამ სურვილების განხორციელების საშუალებად გამოდის შრომა. სამყაროს შექმნა ღმერთის სურვილი იყო, რასაც მან დაძაბული შრომა მოანდომა. მაგრამ თავისუფლება მას არ სჭირდებოდა, ვინაიდან იგი იყო უფალი თავისი. თავისუფლების აბსოლუტურობით არის ადამიანი დაშორებული ღმერთს, ვინაიდან ღმერთი ერთია.

თავისუფლების ზოგადი პრინციპებიდან ჩვენთვის საინტერესოა საქართველოში დღევანდელი თავისუფლების მდგომარეობა.

პიროვნების თავისუფლება გაუგებარია თავისუფლების სახელმწიფო უზრუნველყოფის გარეშე, ვინაიდან იგი აბსტრაქციაა. თუმცა ასეთი აბსტრაქცია პიროვნული თავისუფლების წინაპირობაა, მაგრამ-არასაკმარისი. თავისუფლებას, ჩვენს ქვეყანაში, როგორც აბსტრაქტული წესების სისტემას, ახლა ყველა ჩვენთაგანი პრაქტიკულად აღიქვამს და შეუძლებელია ამის შეუმჩნევლობა. მაგრამ მისი მეორე მხარეა ის, თუ რა პირობებში არის ადამიანი თავისუფალი და მერე, თუ როგორ იყენებენ ადამიანები თავისუფლებას თავიანთ ცხოვრებაში. იყენებენ კი?

ჩემი დაკვირვება საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ ჩვენ აზრობრივად, მექანიკურად გადმოგვაქვს განვითარებული ქვეყნების ხანდაზმული ასაკის თავისუფლების ინსტიტუტები ჩვენს სოციალურ სისტემაში და ანგარიშს არ ვუწევთ ქვეყნის, როგორც ეკონომიკურ, ასევე არაეკონომიკურ ფაქტორებს.

დიდი სხვაობაა ინსტიტუტების ფიზიკურ სხეულებრიობასა და მის წეს-ჩვეულებით, უნარებრივ და ტრადიციულ მემკვიდრეობას შორის. ის, რაც ინსტიტუციურ კონსტრუქციად მივიღეთ, ჩვენთვის ნოვაციაა, მაგრამ არა ტრადიცია, ხოლო რაც ტრადიციაა, ის ხშირად უვარგისი ინსტიტუტია. საბაზრო ან დემოკრატიული ინსტიტუტების აბსტრაქციული კონსტრუქციები რომ მოსახლეობის მორალურ-ზნეობრივ და წეს-ჩვეულებით მოტივაციებად და ფასეულობებად იქცეს, ამას დრო სჭირდება. უფრო ვრცლად ეს იმასაც ნიშნავს რომ ფასეულობები ღირებულებად უნდა იქცეს ანუ ისინი ადამიანური ურთიერთობების მომწესრიგებელ ავტომატურ მექანიზმებად ჩამოყალიბდეს, რასაც, ბუნებრივია, მოწინააღმდეგეებისა და მხარდამჭერების გუნდები გაუჩნდება თავიანთი ფინანსური მოტივაციებით. ეს არის თავისუფლების ინსტიტუტის ცივილიზაცია საერთოდ.

ზემოაღნიშნულიდან ისიც გამომდინარეობს, რომ თავისუფლება დამოუკიდებელ ადამიანს და განვითარებულ საზოგადოებასაც გულისხმობს, როცა მის თითოეულ წევრს არა მარტო არჩევანის უფლება აქვს, არამედ მინიმალური საარსებო პირობების უზრუნველყოფაც გააჩნია და "თამაშის წესებისადმი" პასუხისმგებლობაც აკისრია. "კაცმა, რომ რაიმეს პროპაგანდა გაუწიოს, ჯერ საჭმელსასმლის ფული უნდა იშოვნოს...რომ პროპაგანდა გაუწიოს ოფიციალური დოქტრინის საწინააღმდეგო პოლიტიკას...სად უნდა იშოვო ეს თანხები?

თანხების შეგროვების ერთადერთი შესაძლებობა იქნებოდა მრავალი წვრილი მუშაკისაგან ცოტ ცოტას მიღება. ეს, რასაკვირველია არ არის რეალური გამოსავალი. კაპიტალისტურ სისტემაში მოქმედი რადიკალური მოძრაობები არასდროს მიმართავენ დაფინანასების ამ გზას. მათ, როგორც წესი, მხარს უჭერს რამდენიმე მდიდარი ადამიანი...ამგვარი ადამიანები მრავლად არიან; უამრავი დამოუკიდებელი მხარდამჭერი მოიძებნება"[46]. საქმე ის არის, რომ ახლა ჩვენ ასეთი მხარდამჭერები არ მოგვეძებნება, ვინაიდან მდიდრები ძალზე ცოტანი არიან და ბევრი მათგანი პრივილეგი-

---

[46] მ. ფრიდმანი. კაპიტალიზმი და თავისუფლება. თბ., 2002. 16-17.

რებულ კასტას წარმოადგენს და ქვეყნის სიკეთით მუქთად სარგებლობს. ეს ჩვენი უბედურებაა.

მაგალითი პირველი. ძალიან მსხვილი კვების ობიექტში შემთხვევით მოვხვდი. რამდენიმე თანამშრომელს გავუშინაურდი. აღმოჩნდა, რომ ისინი დღე-ღამეში საშუალოდ 16-17 სთ. მუშაობენ, რაშიც თურმე 5 ლარს უხდიან. მათ კიდევ დამატებით ის შეღავათი ჰქონიათ, რომ იმ პერიოდში ერთხელ, ნასუფრალიდან უფასოდ უმასპინძლდებიან. ამ კატორღული სამუშაოების შემსრულებლებს პატრონი არ ჰყავთ და არც გამოუჩნდებათ. ვისაც ფული აქვს, ყველა მათგანი ასე იქცევა, ხოლო ვინც იმ ადამიანების დღეშია, ვერაფერს მოიმოქმედებენ, ვინაიდან უმუშევრები ობიექტის კარებთან დგანან და გამოთავისუფლებულ სამუშაო ადგილს არავინ "გააციებს". ფირმის მესაკუთრეს პრაქტიკულად არაფერი დააკლდება ხუთლარიანი ხელფასი რომ გაუორმაგოს და გაუსამმაგოს იმ საცოდავ ხალხს, მაგრამ, ვინ უშლის-"ბიზნესმენი" მოსახლეობის მძიმე გაჭირვებაზე ხელებს ითბობს, ვინაიდან მის უკან ჩინოვნიკი ან ოლიგარქი დგას. "Чиновники бессмертны и может быть, поэтому и особо не изменились. Это люди без души[47]...Интеллектуал-чиновник-это ненормальное сочетание. Интеллектуалы должны быть вне власти, но они должны с ней сотрудничать, помогать ей, в той мере какой помощь власти помогает стране, естественно"[48]. მაგალითი მეორე. სამინისტროში სერთიფიკატების გაცემაში მეტისმეტად უხეშ დარღვევებთან დაკავშირებით ათამდე წერილი გაიგზავნა. პასუხის გაცემა არავინ იკადრა. გაწბილებულმა წერილის ავტორმა სასამართლოს მიმართა, მაგრამ მოპასუხეებმა იქაც კი არ ისურვეს გამოცხადება. რამდენიმე თვის შემდეგ სამინისტროსაგან ზურგმაგარის თავხედობა და მისგან ქრთამის გამოძალვა იმდენად შორს წავიდა, რომ ვიღაცამ ამის გამო იგი სასიკვდილოდ გაიმეტა. უტვინო ჩინოვნიკზე სიტყვა არავის დასცდენია, სამაგიეროდ სამინისტროს ხელმძღვანელი მაშინვე ალაპარაკდა რეგვენის გამო წონასწო-

---

[47] Соловьев В.Р. Русская рулетка. Заметки на полях новейшей истории. М., Эксмо, 2006. с.220.

[48] там же, с. 320.

რობიდან გამოსული დამნაშავის მოძებნაზე. ადამიანის წინასწარ-დასახული, მიზნობრივი ლიკვიდაცია საიდან გაჩნდა, არავის უფიქრია.

მაგალითი მესამე. 1994 წ. ქუთაისში ეკონომიკურ ლიცეუმს სარგებლობაში გადასცეს ქალაქის ცენტრის საკმაოდ პრესტიჟული შენობა. ვილაცას მოეწონა იგი 2003 წ. და მოახერხა როგორც შენობის მითვისება, ასევე იქედან ავტორიტეტული სასწავლებლის გამოსახლება. სამართალი "სხვენზე შეაგდო" ჯერ პროკურატურამ, მერე სასამართლომ.

რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ ყველა თავის საქმეს აკეთებს და ჰგონია თავისუფლებაც ეს არის. ასეა, როცა ხელისუფლება თავისუფლებას კი არა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ქარტიას გამოაფრიალებს, რაც სინამდვილეში მცირერიცხვოვანი სოციალური ჯგუფის კეთილდღეობად იქცევა. თავისუფლების მიზნობრიობა ნიშნავს მისი დამცავი სისტემების არსებობას, რომლებიც კანონის უზენაესობით სარგებლობენ და ყველაზე მაღალი რანგის თანამდებობის ჩინოსნებიც არ არიან ხელუხლებელნი და პრივილეგირებულნი კანონის წინაშე. დროშის სიმბოლიკას საფრთხეც ახლავს.

განვითარებული ქვეყნების ხელისუფლებას მათი საარჩევნო პროგრამებით გაცხადებული ფორმატის იდენტურობასთან მოსახლეობის გარეგანი იძულება აქვს. ეს ჩვენ გვაკლია.

რას ნიშნავს ადამიანზე ზრუნვა და რა აქვს მას საფუძვლად.

ზემოთ დასახელებულ სოლოვიოვის წიგნში გულის გამაწვრილებელია დიდი თუ პატარა პოლიტიკოსის ვაი-ვიში ხალხის გულგრილობასა და პასიურობაზე არჩევნებისა და ამომრჩეველთა მიმართ, რომლებსაც არა შეუძლიათ თავიათი ამორჩეულების დეპუტატობიდან გამოწვევა, მაგრამ რატომ არ შეუძლიათ ამაზე არაფერს წერენ. ადამიანი ყოველთვის იყო შემოქმედი და ყველა ერთმანეთს ყოველთვის სჭირდებოდა. მონათმფლობელს მონა სჭირდებოდა, ბატონს-გლეხი, კაპიტალისტს-მუშა, სოციალისტს-პარტიელ-კომუნისტი. მაგრამ ყველასათვის საერთო იყო ის, რომ მეორე პირველს მორჩილებდა თავისი სოციალური ყოფის გამო, რასაც მატერიალურ ფასეულობებზე საკუთრების უპირატესობა ედო საფუძვლად. ადამიანური ფაქტორის ძლევამოსილების აღმოჩენამ

თავისუფლების უზენაესობა გამოიწვია. მაშასადამე, ადამიანი რომ სახელმწიფო მზრუნველობის სუბიექტი გახდეს, ქვეყანაში მეწარმეობრივი კულტურა უნდა არსებობდეს, რისი ფორმირების საწყის სტადიებში ახლა ვიმყოფებით. ამიტომ ხელისუფლება, ერთის მხრივ, მსხვილ მესაკუთრეთა თავშესაფარია, მეორეს მხრივ, საკუთრების მიტაცების ინსტიტუტი. საქართველოში ადამიანის კეთილდღეობაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის ნაკლოვანება ფართო ფორმატიანი დროშაა ყველასათვის, ვისაც ხელისუფლების გალანძღვა სურდა და ახლაც სურს.. ადამიანის თავისუფლების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა და ადამიანის პიროვნული თავისუფლება ერთი სინამდვილის ორი მხარეა და დამოკიდებულია, როგორც ხელისუფლების კომპეტენციასა და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის შეგნებაზე, ასევე მოსახლეობის განათლებასა და ეკონომიკურ აქტივობაზე. ამიტომ უფლებები ერთმანეთს კი არ უნდა გადავაბრალოთ, პასუხისმგებლობა უნდა მოვითხოვოთ.

საქართველოში ხელისუფლებას სოციალური სისტემის შეცვლის პასუხისმგებლობა აკისრია და როგორც აღნიშნული გვქონდა, სხვადასხვა მიზეზების გამო, სუსტია მათ პასუხისმგებლობაზე მოსახლეობის გარეგანი ზემოქმედება, ამიტომ ბევრი რამ დამოკიდებულია ჩვენი ხელისუფლების ეროვნულ თვითშეგნებაზე, მის მორალურ-ზნეობრივ პასუხისმგებლობაზე.

ჩემს ხელთ მისაწვდომი ლიტერატურის მიხედვით, საქართველოში ხელისუფლებრივი ჩინოვნიკები ნამეტანი შეცოდებული თუ გამეტებული პერსონებია. ვინაიდან ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათაც ყველანაირი ნაკლი ახასიათებთ. კეთილი, მაგრამ ამგვარ "თხზულებებში" დიდი შეცდომაა. ხელისუფლებას ირჩევენ ისე, როგორც ფეხბურთელსა თუ მის მწვრთნელს. იგი თავისი მოწოდებისა თუ პროგრამის პიროვნული ინტელექტი უნდა იყოს. მაგრამ ხელისუფალი მისი უვარგისობის შემთხვევაში, არაფრით უკეთესი არ შეიძლება იყოს იმ მწვრთნელზე, რომელსაც მისი თანამდებობის ადეკვატური ნიჭი არ აღმოჩნდა. რაკი ხელისუფალი ნებისმიერ მწვრთნელზე მაღლა მდგომი ფიგურაა, ამიტომ მისი უვარგისობა სახელისუფლო იერარქიაზე უფრო საცოდავი სინამდვილეა და გაცილებით უფრო საშიში მოვლენაა, ვიდრე სხვა უვარ-

გისი პირველკაცისა. მაგრამ ეს ზნეობრივი სენტენცია საზოგადოების პრაქტიკული მოქმედებებით უნდა იზომებოდეს, რათა ქვეყნის უკეთესი მატერიალური და ეკონომიკური კეთილდღეობის სახელმწიფოებრივი ამბიციების პრეტედენტს, როგორც კანონმდებლური, ასევე მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს. ხელისუფლება დაუსჯელობისაგან თავის არიდების გარანტია არ არის, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში, ჯერჯერობით, არის.

საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამორჩენილობაა, როცა მოსახლეობა ხელისუფლებაში მოხვედრას მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას უკავშირებს. ხელისუფლებრივი ამბიციები არ არის პასუხისმგებლობა პიროვნული თავისუფლების გამო. ეს პასუხისმგებლობაა მოსახლეობის თავისუფლების ხარისხის გაფართოებაზე. კი, სიმაღლე არის მიმზიდველობა საზოგადოების ცოდნილი სინამდვილიდან გაუცხოების პროცესებში, მაგრამ ყველა სიმაღლე ბოლოს მაინც დაბალი ხდება სიმაღლეების გადარჩევის პროცედურებში. იმიტომ რომ სიმდაბლე ხარისხია, სიმაღლე-ინოვაცია, და განა გასაკვირვია, რომ ყველა ამაღლებას სიმდაბლეზე დაშვების დიდი რისკი ყოველთვის ახლდა, ახლაც ახლავს. აქაც პოპერი მახსენდება, რომ ძალიან ძნელია დიდ შეცდომებზე სწავლა. ახლა ფაქტია, ვერ ისწავლეს, მაგრამ ხომ უნდა დადგეს ეს დრო. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ყველაფერი ეს მკვდარი, გრძელი სენტენციაა, მაგრამ, ხომ ვთქვით, რომ ამის სწავლა ძნელია, თუმცა არა შეუძლებელი. თუკი იაპონელებმა ბუნებრივ სიმწირეებზე ისწავლეს, ქართველებმა ბუნერივი სიმდიდრეებისა და სტრატეგიულ-გეოგრაფიული უპირატესობების შენარჩუნებისა და გამრავლების ფენომენები ვერ გამოვიმუშავეთ, ეს აქამდე ვერ გვისწავლია და ამიტომ საკუთარი ფენომენები შორეულ პერსპექტივად დაგვრჩა, რომლებიც უნდა განვავითაროთ. მანამდე საჭიროა ჩვენი ქვეყნის პოზიციების გარკვევა სახელმწიფოთა გადანაწილებაში, ხოლო მერე არჩევანი და თვითმყოფადობის რეალიზაცია.

თუკი ხელისუფალი მოსახლეობის დაბალი ფენებიდან არ გამოვიდა და სიმდიდრის მოძრაობიდან ხელისუფლების იერარქიაში პიროვნული ღირსების გრძნობის სიმაღლემ არ მიიყვანა, ქვეყანას

ხეირი კაი ხანს არ ექნება[49]. სხვა შემთხვევაში ხელისუფლებაში მოხვედრილი ადამიანი თანამდებობას ყოველთვის თავისთვის გამოიყენებს და ხალხს მოწყდება, ხალხისაგან მოწყვეტა კი ყოველთვის იყო ხელისუფლების ტრაგედია. ამას ბოლომდე ვერ გებულობენ ჩვენი რევოლუციური ხელისუფლების წარმომადგენლები და გარეშე თვალით ისე ჩანს, თითქოს მათთვის ხელისუფლება მარადიული იყოს. უმწიფარი სახელმწიფო ჩინოვნიკები ვერ ითავისებენ და იმიტომ არ გაეგებათ და არ ესმით, რომ ისინი გარედან მართულები არიან და მხარდაჭერასაც იქედან ელიან. განათლებული, ეროვნული თვითშეგნების ადამიანი ასე არ მოიქცევა. რა ხეირი და სიკეთე ნახეს გამსახურდიას მთავრობაში შემთხვევით მოხვედრილმა მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებმა. სოციალური სისტემის შემდგომმა სტრუქტურულმა დალაგებამ ისინი აქტიური საქმიანობიდან მოისროლა და განსასჯელთა სიაში გადაიტანა. ახლა ისტორია საბრალდებო დასკვნის შავი ფურცლებიდან თეთრზე გადატანის პროცესშია.

უბედურება მარტო ახლობლის დაკარგვა როდია. ძნელი უბედურებაა იყო იქ, სადაც არ არის შენი ადგილი, რომლის იდენტური არა ხარ. ქვეყნის დიდი უბედურებაა ისიც, როცა ხელისუფლებაში პირდაპირ სტუდენტური მერხებიდან მოდიან, როცა ბევრ მათგანს უმაღლესიც არ დაუმთავრებია და მხოლოდ "ნაშოვნი" დიპლომი აქვს. ამგვარ ადამიანებს საქმიანობის დასაწყისში, "უცოდველობის" გამო უპირატესობა აქვთ, მაგრამ უმწიკვლონი და გამოუცდელნი განსაცდელში პეტრეზე სულსწრაფი არიან და მამლის ყივილამდე ახერხებენ ღალატისა და უმსგავსოებათა სერიალების ტირაჟირებას.

საით მიმყავს ახლა მე ეს მსჯელობები?

---

[49] "ორივე შემთხვევაში უდიდესი როლი შეასრულეს ამ ორგანიზაციის ლიდერებმა, ინდოეთში-მაჰათმა განდიმ, ხოლო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში-ნელსონ მანდელამ. ორივე ეს ადამიანი უჩვეულოდ მაღალი მორალური ხასიათის მქონე პიროვნება და ბრწყინვალე პოლიტიკოსი იყო. როგორ გვქირდება ახლა ასეთი პიროვნებები". ლ. ბალცეროვიჩი."თავისუფლება და განვითარება. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში". თბ., 2005. გვ. 404.

საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება ქვეყნის პერსპექტივების, მისი დამოუკიდებლობის პრინციპების არაადეკვატური ხელისუფლებაა. იგი პრინციპულად გაემიჯნა ხალხს (თუმცა ხალხით დაიწყო), ვინაიდან ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკა აკლია, გამოუცდელი და თვითნებურია. ერთი პოლიტიკური გუნდის მშიერმა ან ნახევრადმშიერმა და არამდიდარმა შემადგენლობამ ქვეყნის თანამდებობები გადაინაწილეს და ხელისუფლების გადანაწილების ნაცვლად მივიღეთ ცენტრალური კონცენტრირებული ხელისუფლება. ქვეყნის ასეთი სახელისუფლო სტრუქტურა ყველაზე საუკეთესო ნიადაგია კორუფციის, ძალადობის, ტირანიისა და ტერორისტული საქმიანობის გასაშლელად.

ინფორმაციის თანამედროვე გამჭირვალობის პირობებში ასეთი "კონსპირაცია"-თვალის ახვევა გაუმჟღავნებელი არ რჩება, არც დარჩენილა. წინ მოსალოდნელია ორგვარი წინააღმდეგობა: შინაგანი, როცა სახელისუფლო ალტერნატივები ჩნდება და გარეგანი, როცა ქვეყნები, რომლისთვისაც ჩვენი ქვეყანა სტრატეგიული ინტერესების ობიექტია და რომლისთვისაც მიუღებელია სახელმწიფოებრივი კონცენტრაციის ჩვენეული სინამდვილე. იქმნება სახელისუფლო კანდიდატების გადარჩევის კამპანია.

დამოუკიდებლობა თავისუფლებას გულისხმობს და ბუნებრივია, რომ თუ თავისუფლება შეზღუდულია, არც დამოუკიდებლობა იქნება. დამოუკიდებელმა კაცმა, თუკი ის თავისუფალია, იცის, როგორ მიიღოს თავის თავად გადაწყვეტილება. აქ ხაზს ვუსვამ პირობითობას, ვინაიდან არ შეიძლება ჯერ თავისუფლება იყოს და მერე დამოუკიდებლობა. ქართველებს ძალინ გვინდა დამოუკიდებლობა, მაგრამ თავისუფლების ენერგია არ გვყოფნის. თავისუფლება პიროვნების ნებაზე დამოკიდებული არ არის, თავისუფლების მატარებელია საზოგადოება. როცა საზოგადოების თავისუფლების ხარისხი სუსტია, მაშინ პიროვნების თავისუფლება თავხედობისკენ ისწრაფვის, ასეთ შემთხვევაში, რაც უფრო მაღალია საზოგადოებრივი იერარქიის კიბე, მით უფრო სამართლებრივად ხელგახსნილია უპასუხისმგებლობა. ეს მდგომარეობაა ახლა საქართველოში. თავისუფლება სახელისუფლებო ჩინებს თავისთვის სჭირდებათ.

ბევრი ჩინოვნიკის თუ მაღალი რანგის სამსახურის თანამშრომელთა პასუხისმგებლობა ძალზე დაბალია. ისინი დაინტერესებული პირებისადმი ტენდენციურობას არად დაგიდევენ. ერთი მაღალი სახელმწიფო ინსტიტუტის საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობის სამსახურში, ყველა დოკუმენტის მოშველიებით და იქ მყოფ რამდენიმე პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით წარმოვაჩინე უნიჭო, საშუალო დონის ჩინოვნიკის პროფესიული ლაფსუსები და გაუნათლებლობა, თვითონაც ესწრებოდა. ყველა დამსწრემ ერთხმად დაადასტურა ჩემი პრეტენზიების სისწორე. ისინი დამპირდნენ, რომ გადაწყვეტილებას მოკლე ხანში გამომიგზავნიდნენ. პასუხი საკმაო დაგვანებით მივიღე და ჰოი, საკვირველება: ისე იყო დაწერილი, თითქოს ჩემი მოდავე პირი იმ სხდომაზე საერთოდ არ ყოფილიყოს. კიდევ უფრო უარესი: ის პირი ერთ-ერთი უძველესი და მაღალი ავტორიტეტული სკოლის დირექტორად დააწინაურეს. მივწერე ამის შესახებ იმ დაწესებულებას, მაგრამ პასუხი არ მოგვცეს. ეგ არაფერი, გავა დრო და სხვა ვინმე ან ცოტა ხნის შემდეგ თვითონ მივუბრუნდები იმ საკითხებს, მაგრამ რა ეშველება მორალურ-ზნეობრივ დევალვაციას, რომელსაც ის გაუნათლებელი მიაყენებს სასწავლებელს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სახის უმსგავსოებაზე.

ანალოგიური მაგალითების მოტანა შეიძლება სასამართლო პრაქტიკიდანაც. მთელი თვე მოუნდა მოსამართლე ერთი მოსარჩელის პიროვნების შესახებ ყველანაირი ინფორმაციის შეგვროვებას, რომ მის პატიოსნებაში საფუძვლიანად დარწმუნებულიყო. მაგრამ მაინც მოსარჩელისთვის ნახევრად სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, რათა, როგორც მან შემდეგ განაცხადა, ზემდგომი ორგანოების გაღიზიანება არ გამოეწვია. სიმართლე აქ ნაკლება ავტორიტეტული გამოდგა, მოსამართლე სინდისმა შეაწუხა, თორემ მართალი რომ გაემტყუნებინა, პასუხს არავინ მოთხოვდა.

მე განგებ შევირჩიე ყველაზე ცხადი და მაღალ ეშელონებთან დაკავშირებული საკითხები, რათა მათი უპასუხისმგებლობისა და კორუფციის ტოტალობა მეჩვენებინა, ისევე როგორც გვერდი ავუარე უფრო დაბალ რგოლებში მიმდინარე პიროვნების თავისუფლების უხეში ხელყოფის ფაქტურას.

ის, რის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრე საზოგადოების პიროვნულ დეფიციტზე, სრულად არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცნობიერება ტრანსფორმაციას არ განიცდიდეს, ან ცალკეულ ადამიანებს ინიციატივა და გაბედულება აკლდეთ. ამით მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდოდა, რომ არაკომპეტენტური, ზნეობრივად ნაკლული და უნიჭო ადამიანების თანამდებობებზე დაწინაურება ხელისუფლებისადმი მოსახლეობის უნდობლობას ზრდის და საზოგადოებრივ ეროზიას იწვევს, რაც ნებისმიერ ქვეყნას, ყველა შემთხვევაში, მძიმე ეკონომიკური და სოციალური შედეგების ხდომილებად ექცევა.

საქართველო პატარა ქვეყანაა და ძნელია, ალბათ, მსოფლიოში სხვა ანალოგების ნახვა, სადაც ნათესაური კავშირები ამდენად ვრცელი და ქვეყნის ყოვლისმომცველი იყოს, ამიტომ აქ "სამეზობლო" გავლენა საკმაოდ ძლიერია და ხელისუფლება ძალზე კომპეტენტური და სამართლიანი უნდა იყოს, რათა მოსახლეობის რისხვა არ დაიმსახუროს. ამას ორგვარი გამოვლენა აქვს. ერთია უნდობლობა ხელისუფლებისადმი და მეორე-საზოგადოების დამოკიდებულება უკვე ყოფილი ხელისუფალისადმი, რომელიც ხშირად იძულებულია მოერიდოს საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გამოჩენას და კიდევ უარესი არის ის, რომ ნათესავებსაც კი აწუხებს ყოფილი ხელისუფალის ავადნამოქმედარი. ეს მცირერიცხოვანი ერის სპეციფიკური მახასიათებელია. საქართველოში პასუხისმგებლობას ჯერ არავინ გაქცევია. ხელისუფალი ჩვენს ქვეყანაში ხალხის მწყემსი უნდა იყოს. საქართველოში ქრისტიანობას სხვა რელიგიებმა იმიტომაც ვერ აჯობეს, რომ მისი იდეალები ყველაზე ახლოსაა ქართველი კაცის ხასიათთან. მე ვფიქრობ, რომ ქართველები მანამდე იყვნენ ქრისტიანები, ვიდრე იესოს მოძღვრებას წაიკითხავდნენ..

არ მიდის, უფრო უკეთესად, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმა იმის გამოც, რომ ქვეყნაში საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის ხელშემწყობი პირობები არ შეიქმნა. ეკონომიკური ფასეულობები და მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები შეუძლებელია შეიცვალოს განათლებისა და მეცნიერების თვისებრივი ცვლილებების გარეშე და ეს ახლა ჩვენი თვალხილული სინამდვილეა, მაგრამ ეს ავტონომიური საკითხი როდია. იგი განხილული უნდა იქ-

ნეს ეკონომიკურ საქმიანობასთან კავშირში. საკმარისი არ არის განათლებასა და მეცნიერებაზე ორიენტაციის აღიარება, მაშინ როცა ეკონომიკას კვალიფიციურ სპეციალისტებზე მზარდი მოთხოვნა არა აქვს და არც ახალი პროფესიების ათვისება ხდება. უზნეობაა სტატისტიკური მასალებით მანიპულირება, მოსახლეობის წინაშე, ახალი სამუშაო ადგილებისა და საწარმოთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის პრეტენზიებით, რასაც პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან კადრულობენ.

ბიზნესმენების მიერ ახალ საწარმოთა მშენებლობა და აქედან გამომდინარე დასაქმების მატება თავისთავად დადებითი მოვლენაა, მაგრამ ეს ხომ სახელმწიფო პოლიტიკის უშუალო შედეგი არ არის და თანაც ეს უფრო მეტად თბილისის მოსახლეობაზე მოდის. ხელისუფლებას ეკონომიკური ცოდნა და გამოცდილება აშკარად აკლია და ამას ემატება ისიც, რომ იგი თავის წმინდა კაბინეტურ და კერძო ეგოისტურ თუ კლანურ ინტერესებს ვერ ელევა და არც ცნობილ სპეციალისტთა და აღიარებულ მეცნიერთა რეკომენდაციები სჭირდება. ამის შედეგია ის, რომ ქვეყანას აქამდე არა აქვს ეკონომიკის მაღალკონკურეტუნარიანი ნაციონალური დარგების განვითარების კომპლექსური პროგრამები და არც თუ იშვიათად სერიოზულად მოუფიქრებულ და განუხორციელებად გადაწყვეტილებებს ღებულობს. ამის ერთერთი ყველაზე ნათელი მაგალითი სალარო აპარატების კომპანიაა. ამას პრემიერ-მინისტრმა შემოსავლების აღრიცხვის მოწესრიგება უწოდა. აიძულო წვრილმანი მოვაჭრე, რომლის დღიური შემოსავალი 5-10 ლარს არ აღემატება, შეიძინოს 300 ლარიანი სალარო აპარატი და კიდევ მისი მომსახურებისათვის თვიურად 10 ლარი გადაიხადოს, ნიშნავს მათ დაკაბალებას. გადახდა წმინდა იძულებითი მოვლენა არ არის და როცა ის ასეთად იქცევა, მუშაობას იწყებს გადასახადებისაგან თავის არიდების მექანიზმები. უფრო უარესი: დათვალა კი ვინმემ რას მისცემს სახელმწიფო ბიუჯეტს სალარო აპარატების შემოღება. არსებობდა კი ამის შესახებ რომელიმე ინსტიტუტის დასაბუთება? რომ არსებულიყო, ვიღაც ხომ მოიშველიებდა იმას. ისე ჩანს, თითქოს ნათესაურმა კლანმა შეგნებულად შეაცდინა ხელისუფლება, რათა ქვეყანაში მასიური არეულობის სიტუაციები შეექმნა. უმჯობესია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას,

რომელიც მოწესრიგებული ბაზრების სისტემების ინტერესებს შექმნიდა და საქონელბრუნვის ისეთ მასშტაბებს გამოიწვევდა, რომელსაც სააღრიცხვო ტექნიკის გამოყენების თვითიძულება ექნებოდა, თუმცა ამასაც თავისი წესი აქვს. ხურდა ფულზე გამოდევნება, რას მოგვცემს. მესმის კარგად, რომ ყველაფერი ეს კლანური ურთიერთობიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს ახლა ჩემს ინტერესებში არ ექცევა.

რაში მდგომარეობს ხელისუფლების ახლომხედველობა? საბაზრო ეკონომიკა მასობრიობის ეკონომიკაა და როცა ხელისუფლება პრივილეგიებზე ორიენტირდება, იგი თავისივე ნარცისს შეეწირება. ეს არ არის ჩემი მიგნება და აღმოჩენა. ხელისუფლებას თავისი ფუნქციები აქვს. იმ ფუნქციების გადაკეთება არ ვარგა. ასეთი მცდელობა გადაგვარებას უდრის და ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება ხალხისთვის უცხოა და ეს მის კალაპოტიდან ამოვარდნას ნიშნავს. ეს ადგილების შენაცვლება და უადგილობაა, რაც ყოველთვის განწირულია მარცხისთვის. მაგრამ აქ კიდევ არის დროში დაცილების ფაქტორი ანუ ლაგი, როცა ხელისუფლებაში შეცდომით მოხვედრილი პირები თანამდებობებს სამარცხვინოდ ეთხოვებიან თუ ასეთი თანამდებობებიდან იდევნებიან. სწორია-თანამდებობებიდან იცილებენ და შეირაცხადებიან. ვერ გავითავისეთ ქართველებმა ჩვენი უახლოესი დროის მეხსიერების პრეზიდენტების უადგილობა და თანამდებობრივი შეუსაბამობა. ბევრი ამას პრეზიდენტებისადმი უნდობლობითა და მტრობით ხსნის, ბევრს ეს ვიღაცების პირადი ამბიციები ჰგონია. ხელისუფლებამ ქვეყანა უნდა გადასწიოს წინ. ეს მისი ფუნქციაა, მიუხედავად იმისა, ეს გასაგებია თუ არა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის. ახლა შეიძლება ეფექტური იყოს ხელშეწყობა ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივი გასვლისათვის, მაგრამ განა ხვალ ვინმე ამას სწორად ჩათვლის? განა სწორი არ არის ყველასადმი მზრუნველობა და ჰუმანიტრული დახმარება? მაგრამ რა ვქნათ ხვალ? განა ერჰარდი ასეთი სულსწრაფი იყო? კითხვები კოღოებივით დაგვესია.

ადამიანი თუ ყალბი დიდების მანიით დაავადმყოფდა, საშიში გახდება და შეიძლება ხალხს დიდი ვნება მოუტანოს, მაგრამ საკუთარ თავსაც უმოწყალოდ წაშლის ცხოვრების ასპარეზიდან. ამას

საერთო არაფერი აქვს ისტორიის მეხსიერებიდან დიდი ადამიანების წაშლის მცდელობებთან.

არაქართულია არ ფიქრობდეს ქართველი კაცი იმაზე, თუ რას მისცემს იგი ქვეყანას. ჩვენ ქართველებს ქვეყანამ ყველაფერი მოგვცა-სახელი, სიამაყე, თვითმყოფადობა, ხასიათი, ცხოვრების წესი და ჩვეულება. ახლა ჩვენი ვალია ქვეყანას მივმატოთ საკადრისი იმისა, რითაც მომავალი თაობა უკეთეს ფენომენებს გამოიმუშავებს. აქედან ტექსტის გაგრძელება მიჭირს, ვინაიდან თვალწინ მიდგას ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში ჩანთქმული პლუტოსი, რომელიც მათ საქვეყნო სამსახურზე ფიქრს ართმევს და ნივთების სამყაროში მიათრევს. ბილ გეითსი იმიტომ კი არ არის მდიდარი, რომ სიმდიდრე უყვარს, შემოქმედების ნიჭმა მისცა სიმდიდრე. ამიტომ არ ჩერდება მისი უნარი იმ პლაცდარმზე, სადაც ათი მათუსალას სიცოცხლეც არ ეყოფოდა მას მის მიერ უკვე შექმნილი სიმდიდრის დასახარჯად.

მე მეჩვენება, რომ ეკონომისტები ხშირად ფორმალური ლოგიკის ფარგლებიდან ვერ გავდივართ და მის ტყვეობაში ვრჩებით („ლოგიკურად ყველაფრის უარყოფა შეიძლება". კანტი.) . ეკონომიკას კიდევ თავისი უამრავი არჩევანი აქვს და ლოგიკას იგი ხშირად არაფრად აგდებს. მხედველობის გარეთ დარჩა სრულიად მარტივი ჭეშმარიტებანი: ვცდილობთ რაღაც პოლიტიკური სქემების სისტემაში მოვიძიოთ ჩვენი ხელისუფლების საქმიანობის ანალოგები და ვერ გაგვირკვევია, რომ პოლიტიკაზე მიკერებულ ძალიან ბევრ ფიგურას, იმ ჩვენი სქემებისა არაფერი გაეგება.

კარგ ხელისუფლებას მძიმე მდგომარეობას უქმნის საზოგადოებრივი ცნობიერების ტოტალური პოლიტიზაცია. ჩვენში ახლა მდიდართა და უქონელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავის მომავალს ხელისუფლებაში მისვლას უკავშირებს. ერთის მხრივ, ამას განაპირობებს ინდივიდის პიროვნული ხელშეუხლებლობის სუსტი გარანტიები. და, მეორეს მხრივ, კიდევ—ძალაუფლებისაკენ მისწრაფების მოძველებული ინსტიქტები. ხელისუფლებას ბრძოლა ორ ფრონტზე უხდება: მან ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის განვითარებას, მეორეს მხრივ, თავი უნდა დაიცვას იმ ბიზნესმენებისაგან, რომლებიც მის ჩამოგდებას ძალის გამოყენებით შეეცდებიან. ამას ემატება მათი ხელისუფლებაში ძალით მოსვლის პრეცედენტი. წე-

სით იგი თავს რევოლუციონერ ხელისუფლებად არ უნდა თვლიდეს, ეს მისთვის სასარგებლოდ არ მოქმედებს.

გასაგებია ამ ხელისუფლების მთავარი ამოცანა-შეინარჩუნოს პოზიციები ხანგრძალივი ვადით, რათა პოლიტიკური აგრესიები დაცხრეს და ახალი თაობა უმტკივნეულოდ შეენაცვლოს, რომლის მიმართ ახალ თაობას ანგარიშსწორების ამბიციები არ ექნება. მაგრამ ეს სინამდვილის ზედმეტად გამარტივებული წარმოდგენაა. კონფრონტაცია, გამიჯვნა პოლიტიკურ პარტიებთან და სოციალურ ჯგუფებთან თანამშრომლობის მეთოდებით უნდა შეიცვალოს.

ხელისუფლების როლი ჩვენი ქვეყნის სარეფორმო პროცესებში მარტო კომპეტენციით არ შემოიფარგლება. აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც მორალურ-ზნეობრივი, ასევე ეროვნული პასუხისმგებლობის ინსტიტუცია და უნარ-ჩვევები. თუ განვითარებულ ქვეყნებში ხელისუფლებაში მოხვედრა ღირსების, პიროვნული ამბიციების რეალიზაციაა, საქართველოში ხელისუფლებას ქვეყნის თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლა აკისრია და ხელისუფალი მომზადებული უნდა იყოს ტესტირებისთვის პიროვნულ პასუხისმგებლობაზე გამოსაცდელად, დემოკრატიული ინსტიტუტების დასამკვიდრებლად. ეს კიდევ იმასაც ნიშნავს, რომ, ამ შემთხვევაში, ხელისუფლებას მკაცრი ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება უწევს, რაც ხშირად მოსახლეობის მასობრივ უკმაყოფილებასთან არის დაკავშირებული, რომელიც შემდგომ ახალი ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების გამო ადაპტაციურ განწყობილბად იქცევა. ამისი ნათელი მაგალითია საპატრულო სამსახურის შექმნა. მაგრამ ამ მაგალითის აბსოლუტური განზოგადება არ ივარგებს. ყველა რისკის და მასობრივი მღელვარების რაღაც ინოვაციების მოტივებით გამართლება, ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობების უსაფუძვლო გამოწვევა და სოციალური დაძაბულობის ინკუბაციაა. აქედან კიდევ ისიც გამომდინარეობს, რომ ფრიდმანის თეზისი[50] ადამიანის თავისუფლების შესახებ, ჩვენი დღევანდელი

---

[50] "თავისუფალი ადამიანი არ ეკითხება საკუთარ თავს, თუ რას უკეთებს მას სახელმწიფო და რას უკეთებს იგი სახელმწიფოს". მ. ფრიდმანი. კაპიტალიზმი და თავისუფლება. თბ., 2002. გვ. 2.

საქვეყნო საქმიანობისთვის სრულად მისაღები არ არის. ქვეყანას რას ვაძლევთ, ეს ყველა ჩვენთაგანის ყოველდღიური კითხვებია, რომლის პასუხებიც იქვე უნდა გვქონდეს. ასეთი შეგნებით ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში მის შეერთებულ შტატებად ჩამოყალიბებამდე. მილტონ ფრიდმანის ამერიკა, ეს უკვე განვითარებული შტატებია, სადაც სახელმწიფო მოწყობის პრობლემები დღის წესრიგიდან კაი ხნის მოხსნილია. ერისკაცებმა და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა ამერიკას დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებისთვის ყველაფერი მისცეს[51]. როცა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს იქეთა არის, როცა პენსიონერთა 84% თვეში 38 ლარს ღებულობს, როცა იმიგრაციის ტემპები უსწრებს შობადობის ზრდისას, მაშინ ხელისუფლებამ ქვეყანას ყველაფერი უნდა მისცეს მისი ეკონომიკური აღორძინებისა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის. მხედველობაში მაქვს ადამიანის არსებობის ელემენტალური პირობების უზრუნველყოფა, პიროვნების თავმოყვარეობისა და ღირსების დაცვისა და არჩევანის თავისუფლების შესაძლებლობები, ადამიანის ბრძოლისუნარიანობა სოციალურ კატაკლიზმებთან, უზრუნველყოფა უბედურებისა და სოციალური ინსტიტუტების პირადი ამბიციების თავსმოხვევისაგან. ამ პირობების შექმნა აკისრია ხელისუფლებას და მას ამისთვის გარდა მაღალი კომპეტენტურობისა, ეროვნული პასუხისმგებლობის, ზნეობრიობის, მართმადიდებლური მრწამსის შეგნება სჭირდება.

არა მხოლოდ ნივთერებები და სითხეები, სახელმწიფო ძალაუფლებაც ნარკოტიკულია და განსაკუთრებით ძლიერ მოქმედი-სუსტებისათვის. სავარძლით პირველ ამნიარ ადამიანებს ჰგონიათ,

---

[51] " ისინი (პროგრესისტები რ.ნ.) მიზნად ისახავდნენ უფრო მეტ დემოკრატიას და სოციალურ სამართლიანობას, პატიოსან ხელისუფლებას, ბიზნესის უფრო ეფექტურ მართვას და მომსახურების სფეროს გამოცოცხლებას. მათ სჯეროდათ, რომ ხელისუფლების კომპეტენციის გაზრდას მოჰყვებოდა შეერთებული შტატების საზოგადოების პროგრესი და მისი მოქალაქეების კეთილდღეობა. იმ პერიოდის თითქმის ყველა მეტნაკლებად შესამჩნევი ფიგურა, იქნებოდა ის პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, მეცნიერი თუ ლიტერატორი, ნაწილობრივ მაინც იყო დაკავშირებული რეფორმისტულ მოძრაობასთან". ამერიკის ისტორიის ესკიზები. შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. გვ. 212.

რომ თავიანთ საქმეებს უშეცდომოთ უძღვებიან და ძალაუფლება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებათ (ძალაუფლებით სიცოცხლის უზრუნველყოფა). სამარეში ჩატანებაზე თვითონ რა აზრისანი არიან, ეს, ნამდვილად, არ ვიცი.

სოციალურ და განსაკუთრებით ეკონომიკურ ლიტერატურაში სჭარბობს მოვლენებისა და პროცესების ანალიზისა და პერსპექტივების ეკონომიკური და სოციალური პროგნოზირების ფორმალური ლოგიკური თხზულებადობა. ამ დროს მთავარი, ხშირად, გვერდზე რჩება. ასე ემართება ბიზნესსაც, რომელიც ცალმხრივად აღიქმება, როგორც დიდი ფულის კეთების საქმე, მაშინ როცა თვით ბიზნესმენისთვის მთავარია საქმის მიგნება, მისი გლობალიზაცია, ტრანსნაციონალობა, ადამიანთა დასაქმების ფრონტალურობა. ასეთი მირაჟი ეხსნება ხელისუფლებას, რომელიც მხოლოდ თავისი პოლიტიკური პარტიის წევრთა დასაქმების მაქსიმალურობაზე ფიქრობს, ხოლო ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა მას ნაკლებად აინტერესებს. პოლიტიკური პოზიციები, თავისუფალი აზროვნება და შემოქმედება, პროფესიული საქმიანობა ერთმანეთში აერია და აქედან გამომდინარე მტრები და მოწინააღმდეგეებიც. მტრებს ამარცხებენ, მოწინააღმდეგეებს თამაშს უგებენ (მტერთან არ თამაშობენ, მათ ებრძვიან), სჯობნიან. მოთამაშეთა მტრად გადაკიდება არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ თამაშში არც თუ იშვიათად აკრძალულ ილეთებსაც არ თაკილობენ. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ყველაფერს საზღვარი აქვს, მათ შორის უხეშობასაც, და ამიტომ იგი განსაკუთრებული შემთხვევაა და არა ყოვლადობა ანუ უნივერსუმი.

ნახევარი საქართველო თბილისში ცხოვრობს ან მასთან საქმიან ურთიერთობებშია ჩართული. ხელისუფლების არჩევანის ბედიც თბილისში წყდება. ბუნებრივია, ხელისუფლების ყურადღებაც თბილისზე არის გადატანილი. პერიფერიები, ასეთ შემთხვევაში, სატელიტების როლს ასრულებენ, ხოლო მათი ხელისუფლება რაიმე აქტივობაზე სერიოზულად ვერ ფიქრობს, ისინი სტატების როლს ასრულებენ. ჰოდა, მივიღეთ მახინჯი სიტუაცია. მოსახლეობა ჩამოდის თბილისში ქალაქებიდან და სოფლებიდან საცხოვრებლად ან სამუშაო ადგილების საშოვნელად, სხვები საზღვარგარეთ გარბიან.

პერიფერიული ტერიტორიები კი უკაცრიელდება და სხვა ქვეყნების ჭარბი მოსახლეობის დასახლების თავისუფალი ადგილები იქმნება.

ქართული სახელმწიფოებრიობა აქამდე ორ ციტადელს ეყრდნობოდა: სამშობლოს (ადგილის) სიყვარულსა და მართმადიდებლურ რწმენას (კულტურას). ადგილი მისი მიუტევებელი საცხოვრისი იყო, ვინაიდან მას ადგილზე ცხოვრებისთვის ყველა საჭირო პირობა ჰქონდა და არსად უწევდა გული (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ). იყო უარესი: ადგილიდან ერეკებოდა მტერი, ძალით დევნიდნენ, ხოლო სჯულს უგინებდნენ, მაგრამ ვერ უცვლიდნენ მას. ახლაც თავი იჩინა იმ ძველმა შემოტევამ ახალი ხარისხით: თვითონ გავრბივართ ჩვენი ქვეყნიდან, რადგან აქ არ გაგვეძლება[52]. გაჩნდა სჯულის ოცდაათ ვერცხლად გადაცვლის პრეცედენტები. პირველი ღიაა და აშკარა, მეორე-ფარული. ფული აბედვინებს ადამიანს ქვეყნის შეცვლას, რწმენისას-ვერა. ამიტომ რცხვენია მას და მალულად "იფარავს" სჯულს. აქ პირველი მათრახია, მეორე-"ტორტის ნაჭერი", მაგრამ სჯული მაინც სჯობნის ადგილის სიყვარულს. ადგილს გავექეცით, სჯული არ ითმობა. ამისი ნათელი დადასტურება არის ეკლესია-მონასტრების მშენებლობათა არნახული ტემპები. ჯვრების ტყეებად აღმოცენება მთელ ტერიტორიაზე. ეს ხალხის პროტესტია მართმადიდებლობაზე შემოტევის პასუხად. ამას მოწოდებით ვერავის გააკეთებინებ. ჩვენში მართლმადიდებლობა საოცარი ფენომენია, იგი ხალხის სულს მორგებულია და ხალხი მასშია. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება მინიერისა და მართმადიდებლურის შეერთების იდენტური უნდა იყოს. ამერიკაში თურმე დაწყებითი და საშუალო სკოლების 70 % კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის, რასაც მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა აქვს.

ზემოთ ჩატარებულ მსჯელობებს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ.

---

[52] ნაკლად გვეთვლება ქართველებს დიასპორების დეფიციტი. არავინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ჩვენები უკეთეს ადგილზე სად უნდა გაქცეულიყვნენ იმ ქვეყნიდან, სადაც, როგორც დიდმა ილიამ ბრძანა, ჩიტის რძეც კი იპოვება თუკი კაცი მოინდომებს. ახლა იმიტომ გავრბივართ, რომ არ ვიცით რა ქვეყანა გვაბადია და არც ის, თუ როგორ გამოვიყენოთ ჩვენი სიმდიდრეები.

სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევისა და ჩაურევლობის პრინციპების ალტერნატივა სწორი არ არის. ერთია სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებაში საერთოდ, როგორც თეორია, მეორე-განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პრაქტიკა, მესამე-ვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში ისტორიის მოცემულ კონკრეტულ მომენტში, თუმცა თეორია აქ ყოველთვის იგულისხმება.

კი, აქსიომატურია, ქვეყნის სათავეში ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა მოვიდეს, როგორც პოლიტიკური პარტიების პროგრამული ტესტირებადობის რეზულტატი. მაგრამ სწორია ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობას ახლა სწორი არჩევანი უჭირს, ჯერ ერთი იმის გამო, რომ ძალზე დაბალია მისი განათლება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებში, მეორე იმიტომ, რომ მაღალია უმუშევრობის დონე, მესამე იმიტომ, რომ ხელისუფლება აქამდე რჩება მცირერიცხვოვანი სოციალური ჯგუფების კერძო ინტერესების გამტარებლად და ხალხის უმეცრებასა და ეკონომიკურ უძლურებაზე ითბობს ხელებს. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში ჯერაც არ დაძველებულა და ამიტომ ხელისუფლების როგორც ხალხის მეურვეობისა და პატრონის ფეოდალური კვინტესენცია საზოგადოებრივი აზროვნების სცენიდან არ გასულა. ამას ემატება ისიც, რომ ხელისუფლება საქართველოში კიდევ ექსტერნალური ფაქტორების პრივალირების რეზულტატია, ამიტომ იგი თავის ხალხს მეორე რიგით აღიქვამს ანუ ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ინსტიტუტების რიგითობა არეულია. ეს ხელისუფლებას მაინც არ უნდა უშლიდეს თავისი ხალხისადმი მაღალ პასუხისმგებლობაში, მაგრამ იგი ზედმეტად ახალგაზრდული ასაკის არის და ისეა ეგზალტირებული ევროპისა და ამერიკის მხარდაჭერით, რომ ეკონომიკურ სიმაღლეებს გამოედევნა და სხვა არაფერი გახსენებია.

ჩვენ შეხედულებათა გადაფასების გრძელი და მოკლე გზები მოგვეპოვება. მაღალი ეროვნული და მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობის პოლიტიკოსთა ხელისუფლებაში მოსვლა და უკვე ტრადიციად ქცეული ხელისუფლების დაპირებების გამო მიზნების კორექტირებადობის "ჯახირისა" და დაძველებული სინამდვილის ალიბით ბევრჯერ გაბრიყვებული ინდივიდუალობების გარედან თა-

ვისთავში იძულებითი მობრუნება. ეს გზა მით უფრო დამოკლდება, მოსახლეობისთვის რაც უფრო აქტიური, გასაგები და ხელმისაწვდომი იქნება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების პრინციპები და პროგრამები. ცამდე მართალია ლ. ბალცეროვიჩი. "არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოებაში არც ისეთი პოლიტიკოსების ნაკლებობა იგრძნობა, რომლებისთვისაც ხელისუფლების მოპოვება თვითმიზანი არ არის. ისინი რეფორმების გატარებას ესწრაფვიან და ეს მათ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებთ"[53].

[53] ლ ბალცეროვიჩი. თავისუფლება და განვითარება. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბ., 2005. გვ. 392.

დასკვნის მაგიერ

საქართველოს პოტენციალური ეკონომიკური და სოციალური გარღვევები ბაზირებულია ისეთ კლასტერებზე, როგორიცაა "ნიკო ნიკოლაძის გზა", მეწარმეობრივი ტრადიციები, სახელისუფლო ეროვნული პასუხისმგებლობა.

ნიკო ნიკოლაძემ პირველმა მიაგნო ჩვენი ქვეყნის ევროპასთან ორმხრივი სასარგებლო თანამშრომლობის გზებს. ამას წინ უძღოდა მისი მრავალმხრივი ევროპული განათლების ბატალიები, ქვეყნის ეროვნული უპირატესობების, ადამიანური კაპიტალის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა. არა გაევროპელება ან ეროვნული კარჩაკეტილობა, არამედ მეწარმეობრივი და კულტურული დიალოგი ევროპასთან, რომლის შედეგად ქვეყანა ევროპისაგან იღებს ყველაფერს, რაც პროგრესულია და მისთვის ეკონომიკურად მისაღები, ხოლო იგი ევროპასთან ტრანსფორმირდება ქართული ეროვნული ფასეულობებით, და კონკურენციით იმკვიდრებს ადგილს ევროპის ბაზრებზე. არა ევროპაში გათქვეფა და აღრევა, არამედ ევროპის ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანება, ინფრასტრუქტურულ სისტემაში მოქცევა და მისი განშლადობა მასზე ქვეყნის პოტენციალის მიერთების ტესტირებადობით.

"ნიკო ნიკოლაძის" გზა არის თვითდამკვიდრების, თვითრეალიზაციის, თვითმყოფადობის, ღირსებისა და თავმოყვარეობის, პიროვნული იმედისა და რწმენის ენერგომუხტების პოტენციალურ შესაძლებლობებთან მისასვლელი ცოდნის, რისკის, შეუპოვრობის და მიზანსწრაფულობის ტექნიკითა და ტექნოლოგიებით.

"ნიკო ნიკოლაძის" გზა არის ქვეყნის მოსახლეობასთან ფრონტალური თანამშრომლობის პრეცედენტი, მისასვლელი ადამიანის თავისუფლებასთან და თვით თავისუფლების სარგებლობის ინტერპრეტაცია, გამოცდილება იმისა, თუ როგორ უნდა გადაიქცეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება პრივილეგირებული მდგომარეობიდან ადამიანის თავისუფლების დაცვის ინსტიტუტად; კიდევ ესაა ასაქცევი სოციალური და პოლიტიკური რევოლუციებიდან და სრული მიმართება პერმანენტული პროგრესისადმი. ესაა ქვეყნის ნამდვილად

ჭეშმარიტი პატრიოტის ინტელექტუალური მსხვერპლი საზოგადოებრივი აზროვნების განახლებისთვის[54].

გზა მოძრაობის საშუალებაა, მაგრამ ეკონომიკურ მოძრაობას ტრადიციები აძლევს ენერგიას. ჩვენში ახლა საბაზრო ეკონომიკის რეანიმაცია ხდება მაღალი ხარისხით, მაგრამ ახალ პირობებში. მისი სტრუქტურული ფორმალიზაცია საგუბერნიო მოწყობის პირობებში ჩამოყალიბდა და გაფართოვდა თანდათანობით ადამიანური ფაქტორის განვითარების კვალდაკვალ. ეს ცოდნა და გამოცდილება იმპულსურია დღესაც, მაგრამ მის განვითარებას ადეკვატური პირობების უზრუნველყოფა არა აქვს. ამიტომ, პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეები, აქამდე, კერძოდ კი ის, რომ მისი წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები საინფორმაციო ფონდებად არ ქცეულა, ისევე როგორც ეკონომიკური სივრცის გარეთ დარჩა უძრავი ქონების მასივები და მისი შეფასებისა და აღრიცხვის საკითხები. ამ ნაპრალის ამოვსებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, დადგენილი იქნება ქონების საკუთრებითი სტრუქტურულობა, მეორე, შეიქმნება მათი მოძრაობის, მესაკუთრეთა მონაცვლეობის პირობები, და მესამე, გაიზრდება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა გადახდისუნარიანობის შესაძლებლობები.

ქონება თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, განძეულს არ ვგულისხმობ, თუ მოსახლეობას ქონების მოხმარების უნარი არა აქვს. საშუალო, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების რეფორმებით, თუმცა ჯერ ესეც საწყის სტადიაშია, არ ამოიწურება მოსახლეობის ეკონომიკური და პროფესიული განათლების საშუალებები, კრედიტული ორგანიზაციების სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობები. მოკლევადიანი პროფესიული სწავლება და გადამზადება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსახლეობისთვის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით (ამის გამოცდილება ჩვენთვის სა-

---

[54] სიტყვა "ნამდვილი" შემთხვევით არ დამინერია. არის ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, სრული პროფესორი, ვიღაცის ძმაკაცობით გამხდარი პროფესორი ათასი ქაღალდმანიით დოკუმენტირებული, მაგრამ არის არადოკუმენტირებული, მაგრამ მართლაც პროფესორი. იგივე არის გამოგონილი და ნამდვილი პატრიოტი, ჭეშმარიტი მოღვაწე. ჰეგელი მართალია: "ჭეშმარიტება გონს, როგორც ქრისტემ თქვა, თავისუფალს ხდის".

გუბერნიო წარსულიდან ცნობიერი სინამდვილეა). ამით გაიზრდება ჩვენი მოსახლეობის დასაქმება, აგრეთვე საწარმოთა რიცხვი, მოიმატებს საბანკო კრედიტით სარგებლობის შესაძლებლობები, შემცირდება იმიგრაციის ტემპები და გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლებიც. ამ პროცესებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მოსახლეობისთვის, სადაც საოჯახო მეურნეობების ეკონომიკური აქტივობა ჯერ კიდევ ძალიან სუსტია იმიტომ, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად მთავარი ხელისშემშლელია ცოდნის დეფიციტიც.

ხელისუფლებამ რომ ქვეყანა წარმატებებისაკენ წაიყვანოს, იგი ეკონომიკიდან და ბიზნესიდან უნდა იყოს წამოსული. სხვა შემთხვევაში იგი ცალმხრივობას ვერ ასცდება. ჩვენი ახლანდელი ხელისუფლება წმინდა პოლიტიკური წარმომავლობისაა და ამიტომ იძულებულია ეკონომიკაში ადმინისტრირებას მიმართოს, ვინაიდან იცის, რომ სწორედ თავისუფლებრივი საქმიანობიდან არის მოსალოდნელი წინააღმდეგობების გამწვავება. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკურ მოღვაწეობაში თავის კლანს ირჩევს და მას სითბურ ეფექტს უქმნის, რამაც, ყოვლად შეუძლებელია, მოკლე ხანში არ გამოიწვიოს მკაცრი წინააღმდეგობები და რომელსაც ყოველ წუთში შეუძლია ხელისუფლების პოზიციების საფუძვლიანი შერყევა. აქედან გამოსავალი ერთია: უმჯობესია ხელისუფლება წავიდეს საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვაზე: მან უნდა გადაიფიქროს თაობათა ასაკობრივი დაპირისპირებისა და კადრების პოლიტიკური ნიშნით შერჩევის პრაქტიკა, აითვისოს უძველესი მართლმადიდებლური რელიგიური კულტურა. ამით, მართალია, იგი ქვეყანაში შიდა პარტიულ დაძაბულობას გაზრდის და თანაგუნდელებს მტრად გადაიკიდებს, მაგრამ საქართველო ეკონომიკური აღმავლობის პრიორიტეტებს გააფართოებს და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ფრონტს ახალ იმპულსებს მისცემს.

ხალხმა აქამდე ბევრჯერ გაიღო მსხვერპლი, ჯერი ახლა ხელისუფლებაზეა.

რეზიუმე

მიზანთან მიახლოების რამდენიმე გზა არსებობს, მაგრამ თითოეულ მათგანს საიმედოობის, ტექნიკური უსაფრთხოების, გამტარუნარიანობის მისთვის ნიშანდობლივი პარამეტრები ახასიათებს ანუ გზები მიზნებთან მიახლოების ალტერნატივებია, მაგრამ რანაირი სწორი არ უნდა იყოს მიზნის არჩევანი, ეს მაინც არ არის საფუძველი იმისა ვთქვათ, რომ მიზანი ამართლებს საშუალებებს, ისევე როგორც პირიქით-გზები არ არის მიზნის მიღწევის გარანტია, მიუხედავდ იმისა, რომ გზების გარეშე არ არის მიზანი. მნიშვნელოვანია გზები ტესტირებული გამოცდილება ან ტესტირებადი იყოს.

საქართველოს ადამიანის თავისუფლებასთან მიახლოების ნიკო ნიკოლაძის გაკვალული გზები გააჩნია. ესაა მისასვლელი ცოდნის, რისკის, შეუპოვრობის ენერგომუხტებით, ინფორმაციის გაცვლა ეკონომიკურად აქტიურ სუბიექტებთან და აქედან გამომდინარე თანამშრომლობის მასშტაბების თანდათანობითი გაფართოება, ადგილის დამკვიდრება გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში, დიალოგი ევროპასთან და თვითორგანიზაციის, თვითდამკვიდრების პრეზენტაცია გაფართოებულ წესრიგში, ასაქცევი სოციალური და პოლიტიკური რევოლუციებიდან და ორიენტაცია აზროვნების განახლებაზე.

თავისუფლების სახელმწიფოებრივი კანონიზაცია ადამიანს საშუალებას აძლევს იყოს გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტი, როცა მაღალკონკურენციული ეროვნული უპირატესობების შესწავლა და მათი საექსპორტო შესაძლებლობებად გარდაქმნა, მოსახლეობის მეწარმეობრივი უნარიანობის განვითარება, წარმატების საწინდარია. ამის საფუძველია საგუბერნიო მოწყობის კაპიტალისტური საქართველოს გამოცდილება. ისტორიულად მოკლე დროში ქართული წარმოების ბევრი საქონელი ევროპის, აზიისა და ამერიკის ბაზრებზე შეიჭრა. საზღვარგარეთიდან ქვეყანაში შემოიტანეს და ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული იქნა ტექნიკური კულტურების საკმაოდ ბევრი სახეობა, რაც სწრაფად აისახა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ასეთი პოტენციალური შესაძლებლობები გაცი-

ლებით მაღალია დღეს ხარისხითა და მოცულობითაც, მაგრამ სუსტია ხელისუფლების კომპეტენცია და ეროვნული პასუხისმგებლობა ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური აზროვნების განახლებისადმი. ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეები და სამეცნიერო პოტენციალი აქამდე ვერ გარდაიქმნა ინტელექტუალურ და საინფორმაციო ფონდებად. თხუთმეტი წელიწადი საკმარისი არ აღმოჩნდა ახალი ხარისხის ხელისუფლების მოსაძებნად, მონური ფსიქოლოგიის დასაძლევად.

საქართველოს რევოლუციური ხელისუფლება პრაქტიკულად დამოკიდებული აღმოჩნდა მის ჯარისკაცებზე და ხელისუფლების გადანაწილების ნაცვლად მივიღეთ ხელისუფლების კონცენტრაცია ანუ სახელისუფლო შტოების ერთიანობა. ასეთ პირობებში ეკონომიკის ფრონტალური განვითარება ბლოკირებულია და იგი მცირერიცხვოვანი პოლიტიკური ჯგუფების პრივილეგიად იქცევა. წინააღმდეგობის გახსნა მაღალი კომპეტენციის ეროვნული პასუხისმგებლობის მის სახელმწიფო არისტოკრატიას შეუძლია და ამაში მდგომარეობს მისი მსხვერპლი ქვეყნის სასარგებლოდ.

დამატება A. განათლების რეფორმის დეგრადაციის ნაპრალები

ბოლომდე გამჭირვალე ჭეშმარიტებაა-ქვეყნის რეფორმების თეორიულ საფუძვლებს და მისი რეალიზაციის მექანიზმებს მეცნიერება ქმნის. ეს კიდევ იმასაც ნიშნავს, რომ მეცნიერება არის რეფორმების მიზეზი და შედეგი. აქედან გამომდინარე იმდენად გაუგებარია მეცნიერების რეფორმა, რამდენადაც გასაგებია თვით რეფორმის აუცილებლობა. მეორე მსოფლიო ომმა, კიდევ ერთხელ, დაადასტურა თუ რა მძიმე შედეგები ახლავს მეცნიერებაში სახელმწიფოს ჩარევას, ხოლო მიხეილ გორბაჩოვის "პერესტროიკამ" თუ რა შედეგები ახლავს რეფორმებს მეცნიერების გარეშე. რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ ვტოვებ ფაქტს, რომ მეცნიერების წინსვლას სახელმწიფო უზრუნველყოფა სჭირდება, რაშიც პირველ ყოვლისა, მეცნიერების თავისუფლება იგულისხმება. მაგრამ მეცნიერება, როგორც ჭეშმარიტება, თვითონ იყო და არის თავისუფლების პრეცედენტი, რის გამოც მას ყოველთვის ბარბაროსულად ექცეოდნენ, სასტიკად დევნიდნენ საუკუნეების მანძილზე. მარტო ფეოდალური ეპოქის გახსენება რად ღირს, თუმცა ძველის მოძიება რაში გვჭირდება, მეცნიერთა დევნა ჩვენი თანამედროვე ცხოვრებისეული სინამდვილეა. ერთი შეხედვით, ოცდამეერთე საუკუნეში მეცნიერთა დევნა მოგონილ ფაქტებს ჰგავს, ვინაიდან დევნის საფუძველი ბოროტი აზროვნების ფანტაზიად თუ მოიაზრება.

სოციალური და პოლიტიკური რევოლუციები მიზნების მიღწევის სწრაფი რეალიზაციის ინსტიტუტების შთაბეჭდილებას ქმნის, თუნდაც იმის გამო, რომ სახელისუფლო სტრუქტურები ხელის ერთი მოსმით იცვლებოდა. ახლა წინა ხელისუფლების შეცდომების კრიტიკა და მათი ნაწილობრივი კორექცია მოსახლეობის დროებითი მასობრივი მხარდაჭერის ფსიქოზურ განწყობილებას იწვევს, რაც ხელისუფლებას უამრავ შემთხვევაში, ყალბი ძლევამოსილების შთაგონებად ექცევა. არის ისეთი მომენტიც, როცა რევოლუციის ავანგარდში, რა მნიშვნელობა აქვს შეგნებით თუ შეუგნებლად, ხელისუფლებაში ხელმოცარული ადამიანები ექცევიან. აი, მაშინ იწყება "ცოდვების განკითხვა". ვაი, ბაღისა თუ სკოლის მას-

წავლებლებს, ბებიისა და დედის საყვარლებს, მორალურ ფენომენებსა და ზნეობრივ ღირებულებებს, ტრადიციებსა და ოჯახურ სიწმინდეებს, მეცნიერებსა და ხელოვანებს. საქვეყნო საქმეები, თურმე, მათ გარეშეც კეთდება. ჰოდა, ასე იქცევა სახელმწიფო უხეში ძალადობის მექანიზმად. ნაკლებ უარესი როდია, როცა ხელისუფლება ექსტერნალური ძალისხმევის მარონეტული ფიგურაა. ხოლო ხალხი წინასწარ დაწერილი საარჩევნო კომპანიის პროცედურული სუბიექტია, რომელსაც მანამდე ბრჭყვიალებითა და შემწეობათა იაფფასიანი გასართობებით იქცევენ.

საქართველოში შემოგვრჩა საბჭოთა იმპერიის მემკვიდრეობითი აკადემიური ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა რეფორმირების აუცილებლობა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, იჭვს არავის უქმნიდა. ამ სტრუქტურების ამჟამინდელი რეფორმები მათი დეგრადაციის მაღალი ხდომილების შემცველია. სამაგალითოდ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი გამოგვადგება. რა იწვევს მეცნიერთა მასობრივ უკმაყოფილებას?

მღელვარების ეპიცენტრში რამდენიმე ფაქტორი ფოკუსირდება. ერთია იმ ადამიანთა პრივილეგია, რომელთა კერძო ინტერესებს ტრადიციულად მწვანე შუქი ენთო და უნივერსიტეტის ყველა სიკეთით დაუმსახურებლად სარგებლობდნენ, მეორე-დოგმატიკოსი კომუნისტური მეცნიერები, რომელთაც მეცნიერებასთან არაფერი აკავშირებდათ, მესამე-ხელმოცარული და რევოლუციას აყოლილი მედროვეები სამეცნიერო მოღვაწეობა რომ შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ. ნამდვილ მეცნიერთა პრეტენზიები, მათდამი მოკრძალების გამო, ბოლოში გადავიტანოთ. ასეთი ჭრელი შემადგენლობის მიუხედავად, უნივერსიტეტის მეცნიერთა მღელვარება მაინც არ არის პრობლემა. განა ვინმე შეჰკადრებს უნივერსიტეტის სახელოვანი მეცნიერების სარეფორმო პროგრამებს უპატივცემულობას? მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლება რეფორმას მეცნიერებს არ ანდობს და პრობლემებსაც ამის გამო ხელოვნურად იქმნის. აქ თავს ამჟღავნებს არასრულფასოვნების აგრესია და მედიდურობა გარეშე ძალების მხარდაჭერის გამო. ვიღაცებს ქართული ტრადიციულობა სძულს, ვინაიდან მსგავს ინსტიტუციურ სტრუქტურებში გაუნათლებელნი და ამის გამო სუსტები არიან. რა

კარგად თქვა ჰ. ბოკლიმ "Место, где проповедывается нука, есть храм демократии"[55]. არ შეიძლება უნივერსიტეტში გარედან ჩარევა. პირიქითაა, უნივერსიტეტი უნდა ჩართონ საქვეყნო საქმეებში, როგორც ეს ფ. რუზველტმა და სხვა პრეზიდენტებმა ჰქნეს და რეფორმაციის კულტურა გაამდიდრეს.

რა შეიძლება მოჰყვეს უნივერსიტეტის შიდა საქმეებში ჩარევას! აქ წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოცდილება" მოვიშველიოთ.

წინა რექტორი "კმარას" შეტევით მოიშორეს, თუმცა შეიძლებოდა იგივეს მიღწევა უფრო უკეთესი-არჩევნების-გზით. მერე რა, რომ არჩევნებიც არ არის, ყველა შემთხვევაში, სწორი მიგნების პალიატივი, გადარჩევაც ხომ შესაძლებელია. რამდენიმე არჩევანიც ხომ ხელმისაწვდომობაა. მერე თინეიჯერებმა თავისი გაიტანეს, და ახალი რექტორიც მათი მორჩილი გახდა. დაიწყო "უნივერსიადა.": ჯერ "45-50-55 იანები" გარეკეს, აქაოდა რევოლუცია ჩვენ მოვახდინეთ და თქვენ საჭირო არ ხართო, მერე სამეცნიერო აკადემიური თანამდებობების საარჩევნო მარათონში ეკზეკუცია ჩააყენეს, უნივერსიტეტი ეს ჩვენ ვართო. ამიტომ არ დაინდეს ნიჭიერი და ავტორიტეტული მეცნიერები, არად ჩააგდეს პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანონით სავალდებულო ექვსწლიანი ნორმატივი, არც მეცნიერის კვლევითი მიმართულების ორიგინალობა, ყურადღება არავინ მიაქცია ნაცნობ-ძმაკაცების კომპიუტერულ გაუნათლებლობას. თვითონ მოიწვიეს ე. წ. ექსპერტები და რაც სურდათ ის დააწერინეს. რათა სხვისი ხელით თავიანთი ზრახვები ექციათ. "თბილისის უნივერსიტეტი იყო ინტელიგენციის, ნამდვილი ქართველი პატრიოტების უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. უნივერსიტეტს უძღვებოდა რექტორი, თავადი ჯავახიშვილი. ივლისის თვეში თავადი ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან გააგდეს. იგი შეცვალა ვინმე ღლონტმა, გაუნათლებელმა კაცმა, რომელიც ახალგაზრდობაში, სტუდენტიც კი არ ყოფილა.[56] რევოლუციას ყველა დროში ერთი ხელწერა აქვს, ბოკლს უთქვამს: რევოლუცია პროგ-

---

[55] Г Вокл. История цивилизации в Англии. С.-Петербург. 1896. с. 377.

[56] რ. რიუგე. მოსკოვი და წამებული საქართველო. თბ., 1994. გვ.28.

რესის ბარბაროსული ფორმაა. ახლაც ისეა, როგორც მაშინ იყო. "Они (ученые Р. Н.) не могут быть действительными учеными, поскольку таковыми в сосотоянии стать только люди с марксистским мировозрением"[57]. მოვლენის ხარისხს არ ვგულისხმობ. ახლა ნათელი ფაქტია, რომ სოციალიზმის ნგრევა არ ნიშნავს მის დამარცხებას. მისი შეუზღუდავი ძალაუფლება რევანშის ინერციებს ტოვებს. დღეს ხომ ადამიანის ბუნებრივ თავისუფლებას არავინ დაეძებს. ამ მონათხრობს რომ რამდენიმე წლის შემდეგ ვინმე წაიკითხავს, დარწმუნებული ვარ, ამ სინამდვილის წარმოდგენა გაუჭირდება, რასაც კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ როგორ გაუძლებს ბალასტს უნივერსიტეტი, რომელიც მის საფუძველში მოექცა? რა იქნება ხვალ? უახლოეს მომავალში? -ყველაფერი დამოკიდებულია მეცნიერის პიროვნულ ფაქტორებზე: ინტელექტის გადარჩენა სიცოცხლის რისკის ფასად, პიროვნული ტრაგედია აღდგომის რწმენით. არის მეორე გზაც. დიდი ბიზნესი ყველაზე უკეთ გრძნობს მეცნიერული შრომის აუცილებლობას და სწორედ მათ ხელში გახდება უნივერსიტეტი ნამდვილ უნივერსიტეტად. ამასაც მსხვერპლი სჭირდება.

დამატება ბ. ვისი თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო ნიკო ნიკოლაძე

მხედველოებაში თუ არ მივიღებთ რედაქციულ განსხვავებებს, ნიკო ნიკოლაძე პოპულარულ პუბლიკაციებსა და აკადემიურ ლიტერატურაში დასურათხატებულია ერთნაირი შინაარსით. იმ ხატებიდან ვგებულობთ, რომ ნიკო ყოფილა პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, სამოციანელთა თვალსაჩინო წარმომადგენელი და პროგრესული მოაზროვნე, ჩერნიშევსკისა და მისი ოჯახის მეგობარი, ილიას, აკაკის და გიორგი წერეთლის თანამებრძოლი...დასამოწმებლად გადავფურცლოთ მისი თხზ. პირველი ტომი, რომელშიც ნიკოს ბიოგრაფია მოთხრობილია საკმაოდ ვრცლად.

---

[57] Яковлев А.Н. Сумерки. М. : Материк, 2005. с. 170.

"განსხვავებით თავის დიდ თანამედროვეთაგან, ნიკო ნიკოლაძე არ ყოფილა პოეტი, ბელეტრისტი, მხატვრული სიტყვის ოსტატი, მათ გვერდით სამუდამოდ დგომის უფლება მან მახვილი პუბლიცისტურ-კრიტიკული კალმითა და ფართო მასშტაბის საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაიმსახურა. ადვილად წარმოსადგენია, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო იგი თავისი მოწოდების სფეროში, როცა გასული საუკუნის მეორე ნახევრის ბუმბერაზი ქართველი მწერლები და მშობლიური ხალხის ფიქრთა მპყრობელნი-ილია და აკაკი მას ყველაზე საიმედო თანამებრძოლად და მოაზროვნედ თვლიდნენ"[58]. არაჩვეულებრივი გაუგებრობა არ არის, ნიკოლაძე თუ მწერალი არ არის, მაშინ მისი თანამოაზრეობა როგორ უნდა გავიგოთ. თუმცა იმავე ავტორს, ტექსტის სხვა ადგილზე, უკვე ზუსტად მიუგნია (ამის შესახებ ქვემოთ).

ნიკო ნიკოლაძე, სავსებით სწორია, რომ არ იყო არც პოეტი, არც ბელეტრისტი, არც კრიტიკოსი (კრიტიკის პროფესიას ვგულისხმობ). მაგრამ...არ ყოფილა არავის თანამებრძოლი და არც თანამოაზრე, არც არავის მიმდევარი და არც არავის მტერი. იგი იყო ერთადერთი თვითმყოფადი ტალანტი და დარჩა გამორჩეულ პიროვნებად ყველა მისი თანამედროვისაგან აზროვნების და, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური აზროვნების განახლებისა და კიდევ გლობალური, ინოვაციური, მენეჯერული და პრაქტიკული, რეფორმისტული საქმიანობის მრავალსახეობით.

ნიკო ნიკოლაძის რეფორმისტულ ნააზრევს და იმის უპრეცედენტო ინოვაციური საქმიანობის პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სიღრმისეულ პლასტებში ბევრ მკლევართაგან ცალი თვალით გადახედვას თავისი ახსნა აქვს.

"ნაროდნიკული" მოძრაობა ფრიად კეთილშობილური და სწორად მიგნებული დიდი საქმე გახდა ქვეყნის მოსახლეობის განათლებისთვის და, მართალია, სახელდობრ განათლება არის ქვეყნის მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირიდან და უკიდურესი სოციალური მდგომარეობიდან მოსახლეობის თავის დაღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალება, მაგრამ ისიც ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ მოსახლეობისათვის განათლების მიწოდება სახელმწიფოებრივი მოწყობის რეფორ-

---

[58] ნ. ნიკოლაძე თხზ. ტ. 1. თბ., 1962. გვ. 7.

მების მეშვეობით ხორციელდება. აქ საჭიროებისა და აუცილებლობის შეგნება, უმეტესწილად, მოვლენის ზედაპირზე ძევს და ამის გამო ხშირად გადაწყვეტილების მიღების აჩქარებული იმპულსები იქმნება, რაც რეალიზაციის მექანიზმების არჩევანში გვიშლის ხელს. კეინსი მარშალის "ეკონომიკური მეცნიერების პრინციპების" შესავალში წერს, თუ როგორი ძნელი გზა განვლო მარშალმა ეკონომიკური მეცნიერების გაგებამდე. ნიკო ნიკოლაძემაც ასეთი დაკვირვებით დაიწყო. რაც კარგად ჩანს მისი ვრცელი ნაწერებიდან 1860 წლიდან, ვიდრე 1880-იან წლებამდე. ეს საკმაოდ გრძელი პერიოდი გახლავთ ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძის არაორდინალური ინტენსიური შრომისა და მოღვაწეობისა, რომელიც მის კრიტიკულ აზროვნებას (იმანუელ კანტის კრიტიკულ აზროვნებას ვგულისხმობ) ასპარეზს უხსნის და აჩვენებს, რომ "განათლების მიზანი ცოდნა კი არა, მოქმედებაა" და განათლება მოსახლეობისთვის სწრაფად გადამდები სწორედ მაშინ ხდება, როცა სწავლული ადამიანი ინოვატორი და თვითშემოქმედია. ამის შემეცნება გახდა ათვლის წერტილი, მკვეთრი შემობრუნება ნიკო ნიკოლაძის აზროვნებაში, თავისთავში, რამაც განაპირობა მისი სწრაფი მოქცევა მეწარმეობრივ საქმიანობაში. ყველაფერი ეს, როგორც ადრე უკვე დასახელებული მქონდა, ერის განმანათლებელი მამებისათვის გაუგებარი აღმოჩნდა და საქვეყნო საქმიანობიდან გაქცევად და ფულზე გამოდევნებად ჩაუთვალეს (ამას ქვემოთ ისევ დავუბრუნდები).

მეწარმეობისაკენ შემობრუნებას მისი სოციალური წარმოშობაც უწყობდა ხელს. ნიკო ნიკოლაძეს გენეტიკურ მემკვიდრეობად მოსდგამდა ბაბუა იაკობ ნიკოლაძისა და მამისაგან თვითორგანიზაციის, თვითრეალიზაციისა და თვითგამორჩევის, მეწარმეობისა და რისკზე ორიენტაციის უნარ-ჩვევები. კიდევ: ინტუიციისადმი გამოდევნება და ამითაც მკვეთრად გამორჩეული უპირატესობა ჰქონდა მის თანამედროვეებთან შედარებით. თვით ნიკო ნიკოლაძის ოჯახური ცეცხლოვანი მატერია რად ღირს (ეს უკვე ცალკე კვლევის საგანია).

ახლა ზემოთ დაწყებულ საქმეს მივუბრუნდეთ. მაშინდელი რუსეთის იმპერიის საქართველო ძალზე ჩამორჩენილი აღმოჩნდა ევროპის ეკონომიკური და სოციალური პროგრესისაგან და კანონზომიერია ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძის მეწარმეობრივი, მენეჯერული,

შემოქმედებითი და რეფორმატორული საქმიანობა იმ დროს უფრო ავტორიტეტულ საზოგადოებრივ საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან მიმართებაში წვრილმანად ჩათვალეს და მერე პრაქტიკულად მივიწყებული აღმოჩნდა, თუმცა თვითონ ნიკო, როგორც პიროვნება, ყოველთვის სჭირდებოდათ და ამას მისი ევროპული ენების ცოდნას უკავშირებდნენ (გვჩვევია ქართველებს დიდი და სახელოვანი პიროვნებების მსჯელობისას, უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებლის უკანა პლანზე გადატანა. ნიკო ნიკოლაძესთან მიმართებაში ძნელი არ არის შემჩნევა იმისა, რომ ნიკოს ნიკოლაძის ყველა უმნიშვნელოვანესი პიროვნული წარმატება მხოლოდ ევროპული განათლებით აიხსნას, ვითომცდა იმის გარდა, სხვა ქართველს იმდროინდელ ევროპაში ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იტალიური ენები არ უსწავლია).

სოციალიზმის პირობებში ნიკო ნიკოლაძის უკვე წარსული კაპიტალისტური ეკონომიკის რეფორმები, მისთვის მიუღებელ მტრულ ბურჟუაზიულ ისტორიას ეკუთვნოდა და ამიტომ ნიკოს ეკონომიკური შემოქმედება იმ ეპოქის ინტერესებში არ ექცეოდა. შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა ნიკოლაძის ეპისტოლარული მოღვაწეობა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს ეხება, გლობალურია, ვრცელია, საინტერესოა, სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის და ტალანტის ხელწერაა, თანაც, არარევოლუციურია და ამიტომ მერედაც კაპიტალიზმის კრიტიკოსების მხოლოდ მორცხვი დაწუნების ფარგლებს არ გასცდენია. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ იმ შრომების მხოლოდ მცირე ნაწილია ხელმისაწვდომი მკითხველისთვის და მათში, ძირითადად, ნიკოს ახალგაზრდული ცხოვრების შემოქმედებაა ასახული.

ნიკო ნიკოლაძის ადრე გამოქვეყნებული შრომების თხზ. შვიდი ტომი (მერვე და მეცხრე ტომები ახლახან დაიბეჭდა), როგორც უკვე აღვნიშნე, მისი ახალგაზრდული მოღვაწეობის პროდუქტია და ამდენად, ნიკოლაძის უფრო მაღალ აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაზე ცალმხრივი წარმოდგენის ფაქტურაა. ამის მიხედვით ყველაფერზე შეიძლება მსჯელობა და კამათი. მარტო რევოლუციონერ გ. ჩერნიშევსკის გათავისუფლებაში მისი დამსახურება რამდენის მთქმელია. რისი გვერდის ავლა არც მაშინ შეიძლებოდა და ახლაც ხომ არაფრად ივარგებს. იმდროინდელ შრომებში მისი და-

მოკიდებულება ერის განმანათლებელი მამების მოღვაწეობისადმი, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ორიგინალური იყო და საზოგადოებრივი აზროვნებისათვის არც ისე პოპულარული და ხელმისაწვდომი. ამის საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება ნიკო ნიკოლაძის თანამოაზრეობისა და თანამებრძოლობისა. ყველაფერი კი პირიქითაა, ესაა მისი გამიჯვნის პერიოდი მისი თანამედროვეებისაგან.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან იგი აზრობრივად და პრაქტიკული მოღვაწეობითაც შორდება მის თანამედროვეებს. ეს ნათლად ჩანს მისი პოლემიკური წერილებიდან ნიკო ნიკოლაძე ეკონომიკური აზროვნების მის ფავორიტებზე მაღლა მდგომი რეფორმატორია. ბევრის მთქმელია მისი პრინციპული დამოკიდებულება მისი დის ქმრის-გიორგი წერეთლისადმი.

გიორგი წერეთელს იგი აფასებდა, როგორც მწერალს, პროზაიკოსს, მაგრამ მის შეხედულებებს ლინგვისტობაზე, ენათმეცნიერებაზე, ისტორიაზე არასერიოზულად თვლიდა. მართალია ნიკო ნიკოლაძე, მის შენიშვნებს, ვერც ერთ შემთხვევაში, წუნს ვერ დავდებთ[59].

ილიას, რომელსაც ადრე აქებდა, მერე ბევრ რაიმეში არ ეთანხმება. არ მოსწონს მისი მოღვაწეობის მასშტაბები, და ახალ ეკონომიკურ ვითარებაში გაურკვევლობას სწამებს. ილია გარდაცვალების შემდეგაც კი არ დაინდო და მკაცრი შეფასება მისცა მას, როგორც უზარმაცესს, რომელსაც გენიოსობა ხელის გაწვდენაზე ჰქონდა, მაგრამ იგი არ ისურვა, თურმე.

ქართველებს გვჩვევია ერთ ადამიანს ყველაფერი ისეთი მივაწეროთ, რომელსაც თვითონ იგი არასგზით არ იკადრებდა და მითუმეტეს, რომ იმ ადამიანებს ამნაირი არაფერში არ სჭირდებათ. ერის მამა, უბადლო მწერალი ილია ჭავჭავაძე ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნას იძულებად თვლიდა, რასაც ლუკმა პურის შოვნის გამო აკეთებდა თურმე და ამით მის მწერლობას აკლდებოდა. "მე სწორედ გითხრა, ცუდი აგებულების კაცი ვარ! დიდი მოსვენება და შეღავათი მინდა, რომ ამის გამო დავსწერო რამე და

---

[59] ნ. ნიკოლაძე. თხზ. ტ. 8. "პირველი ქართული ლექცია", "ბატონ წერეთლის ნერილის გამო".

მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ, ეგ მოსვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყებულს მალე შევასრულებ და თუ დაწყებული შემაწყვეტინა რამემ, გათავდა, მე იმ დაწყებულს ვეღარ მივუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ასეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოსვენება არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. ვფიქრობ, თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რითი ვიცხოვრო? ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის დევნაში, სამასხურს რომ თავი დავანებო"[60]. იგივე პოზიცია ჰქონდა თვით ნიკო ნიკოლაძესაც, ოღონდ ათვლის სხვა წერტილიდან."მწერლობაზე ხელი აიღოო, რაკი ფულიანი ადგილი იშოვნაო". კარგად არ გაუცვნია მწერლის მოვალეობა იმას, ვინც ამას მაყვედრის? დიახაც, ისეთი მოწიწებით ვეპყრობი მწერლის დანიშნულებას, რომ ყოველთვის, როცა ან რკინის გზის, ან მრეწველობის, ან ქალაქის სამსახურს ვკისრულობდი, უაღრეს მოვალეობად ვთვლიდი მწერლობაზე ხელი ამეღო. ორ ღმერთს, ერთსა და იმავე დროს, კაცი ვერ ემსახურება"[61]. ცხადზე ცხადია, რომ ნიკო ნიკოლაძემ მიაგნო თავის ადგილს ქვეყნისა და ეკონომიკის რეფორმირებაში, და მწერლობას გაერიდა. ამაში მჟღავნდება მისი განსაკუთრებული ფენომენი-რიგითი მკლევარიც შეამჩნევს, რომ ნიკო ნიკოლაძის აზროვნების სიღრმე და მასშტაბები მის შრომებში ასაკთან ერთად ღონიერი და აღმავალი ხდება და არ სუსტდება. "იგი მართლაც გამორჩეულია მისი თანამედროვეთაგან. იგი უდაოდ უფრო პრაქტიკული თვალითა და უახლოესი ამოცანების გარკვევის ინტერესებიდან გამომდინარე იხილავდა და აფასებდა საზოგადოებრივ მოვლენებს. იგი ადრევე დარწმუნდა ჩვენი ქვეყნის ბურუუაზიული განვითარების აუცილებლობაში და ამ დიდ მოვლენას მან გვერდი არ აუარა არა როგორც მოაზროვნემ, არამედ-როგორც პრაქტიკოსმა მოღვაწემაც...მის გადასვლას პრაქტიკოს-მოღვაწეთა რიგებში მისივე თეო-

---

[60] მანსვეტაშვილი ი. მოგონებები. თბ., 1985. გვ. 138.

[61] ნ. ნიკოლაძე. თხზ. ტ. 1 . გვ. 63.

რიული წინამძღვრები განაპირობებდნენ"[62]. ზემოხსენებული ავტორი აქ უკვე სწორია. მაგრამ სიტყვა "გადასვლა" ზუსტი არ არის. ჩანს, რომ სულმნათი მკლევარი, ამ შემთხვევაში, საგანმანათლებლო მოძრაობის უპირატესობის აზრის მიმდევარია.

ნიკო ნიკოლაძემ პირველმა აზიდა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ეკონომიკის რეფორმატორის მძიმე ჯვარი და შექმნა სამეურნეო პატრიოტის პორტრეტი, რასაც ძნელია მოეძებნოს ანალოგი და პარალელიც. იგი არის ცალკერძ თავისთვის მდგომი, ერის წინამძღოლი ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზაზე[63].

ხელოვნურია და მოგონილი დიდი ადამიანების შეხედულებების ჰარმონიის გამოძერწვა და მცდელობა იმის დაჯერებისა, რომ ყველა დიდ ადამიანს ერთმანეთში იდეალური ურთიერთობა აქვს. მგონიაო, არ ვიტყვი, ცხადია, რომ ეს ამაოდმცდელობაა. ადამიანის გენიალობა მისი შეხედულებების ორიგინალობაშია. თანაც რა საჩოთირო საქმეა იმ მკაცრი დაპირისპირების სიცხადეზე გამოტანა ილიასა და ნიკოს შორის რომ არსებობდა. ეს ხომ ამ ორი დიდი ადამიანის იდეთა და შეხედულებათა ომია, მეტოქეობა პოლიტიკური ალტერნატივებზე და არა ომი მაკარონისა და ნავთობის მოტივებით. სინამდვილეში საქმე უფრო კარგად არის, ვიდრე არაპიროვნული დამოკიდებულების შელამაზების ხელოსნობიდან გვინდა წარმოვაჩინოთ. იყო მათ შორის მკაცრი, დაუნდობელი, მაგრამ არა ახირებული, არამედ პრინციპების დაპირისპირება. მაგრამ ამაში არაფერია საქვეყნო სირცხვილისა. ეს ამ ადამიანებისთვის დამახასიათებელი შეხედულებათა უთანხმოებების კოლიზიაა. არც იმის მოშველიება მოგვცემს რაიმეს, რომ თითქოსდა ბატონ ნიკოს თავისი ნაწერები დროზე გაყოლილად ჩაუთვლია და სოციალისტურ საქართველოში ილიას შრომების თხზულებათა სახით გამოცემა წინა პლანზე გამოუტანია.

პუბლიცისტიკა რომ დროს მიჰყვება, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ვის მოუბრუნდება ენა ნიკო ნიკოლაძის შრომები იმ

---

[62] ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ.1. გვ. 62.

[63] უფრო დაწვრ. განხ. ჩემს სტატიებში-ჟურ."საქართველოს ეკონომიკა", № 9. 2005 და № 4. 2006.

დროზე გაყოლილად ჩათვალოს. გასაგებია ის, რომ სოციალიზის მოკლევადიანმა სინამდვილემ და კაპიტალიზმის იძულებით განდევნამ ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური შრომები დროებით გვერდზე დატოვა, მაგრამ სინამდვილეა ისიც, რომ ილია დიდ მწერლად და ერის მოძღვრად დარჩა საბანკო და სხვა საქმიანობის მიუხედავად.

სოციალისტური ყაზარმული სისტემიდან ჩვენი ერის შემობრუნება ისევ ილიას აზროვნებითა და მოწოდებითა შეიძლებოდა და ეს ასეც მოხდა. ჩვენ ვართ ამისი ცოცხალი მოწმეები. ილია ისევ ერის მამა და მოძღვარია, ნიკო-რეფორმატორი და აღმაშენებელი. ფაქტი სახეზეა, ილია მწერალთა შორის მწერლად დარჩა და ნიკო კიდევ რეფორმატორად. ორი ბატონის შეუთავსებლობამ ისინი ადგილებზე მიიყვანა. ილია, მიუხედავდ თავისი უზარმაზარი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, პირველ ყოვლისა, კიდევ გავიმეოროთ, მწერალია. ნიკო მიუხედავად თავისი უზარმაზარი სამწერლო მოღვაწეობისა, პირველ ყოვლისა, ქართული ეკონომიკის რეფორმატორია. ისინი საქართველოს გუნდებს ქმნიან, მაგრამ თვითოეულითავის გუნდს უდგას სათავეში. ქვეყანას გუნდების სიმრავლე სჭირდება და არა ერთაზრიანი გუნდი (ომის მდგომარეობას არ ვგულისხმობ). ეს სხვა საკითხია.

გარკვეულია ის, რომ კაცობრიობის განვითარების რევოლუციური მასშტაბები ევოლუციის ბოლო 250 წლის პერიოდს წყალობაა. მიუთითებენ იმასაც, რომ ეს ყველაფერი სხვადასხვა აღმოჩენამ და მეცნიერების განვითარებამ გამოიწვია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მეცნიერების განვითარების პრეისტორია ფაქტების დაგროვების პრიმატიდან იღებს სათავეს, მაშინ ცხადი გახდება ისიც, რომ ათასეული წლები ტრადიციების შექმნას ემსახურებოდა, რომლებიც ცოდნისა და გამოცდილების პოტენციალური და ამოუწურავი მასივებია, საიდანაც შემდგომი განვითარების ვარიანტების მარაოსებრი სიმრავლე იმპულსირდება. ნიკო ნიკოლაძემ ესეც დროულად შეამჩნია."ძველი მოღვაწეების ნაშრომთა შესწავლამ ნება მომცა მკვდრეთით აღმედგინა ბობოლებისაგან დამარცხებული და დამარხული საქმეები და მოქმედი პირები, მაგალითად, ყველასაგან ერთიანად დავიწყებული საადგილ-მამულო

ბანკები"[64]. ნიკო ნიკოლაძის ამ რეპროდუქციას, თუ რა შედეგები მოჰყვა, ჩვენ უკვე ვიცით.

დიდი რეფორმატორი სწორია-ეკონომიკური რეფორმაციები და სოციალური ინოვაციები, ღრმა კრიზისიდან გამოსვლის გზები და რესურსები ტრადიციებშია გაბნეული და იქედან უნდა გამოვიტანოთ. ალექსანდრე იაკოვლევი თანამედროვე რუსეთის დემოკრატიზაციის მემკვიდრეობას სტოლიპინის რეფორმებში ხედავდა[65]. ეს ის სტოლიპინია, რომლის რეფორმები რუსულ იმპერიას სჭირდებოდა, მაგრამ არა ფეოდალური დესპოტიზმის ტრადიციების საზოგადოებას ბურჟუაზიულ ეპოქაში. სტოლიპინი საზოგადოების წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ რა წარმატებებს მიაღწევდა ძლიერი ფეოდალური ურთიერთობების სისტემაში (რომელიც იგივე ა. იაკოვლების აზრით, თანამედროვე რუსეთში, ძლიერია დღესაც), როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაასრულებინეს, მანამდე მოკლეს.

ნიკო ნიკოლაძის რეფორმები ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის პროდუქტებია, არარევოლუციური, მაგრამ მკაცრი და თანმიმდევრული, სამეურნეო პატრიოტიზმით გაჯერებული, პიროვნებებისა და სხვადსხვა სოციალური ჯგუფების ეკონომიკური ინტერესების მეთოდური ბალანსირებით. მისი რეფორმები არის თანამშრომლობა ინტელექტუალებთან, შედეგები-მატერიალურად ხილვადი და თანაც პროგრესული, პერსპექტიული, თეორიულად საფუძვლიანად დასაბუთებული. იმდროინდელი სუსტი კაპიტალისტური ურთიერთობების პირობებში კრიტიკოსი ბევრი, მაგრამ კლასობრივი მტერი არ ჰყოლია. თანდათან იზრდებოდა ნიკოს საზოგადოებრივი მხარდაჭერის ფრონტი. დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური აღორძინების სიძნელეებიც მასზე იყო გათვლილი-მენშევიკურმა მთავრობამ იგი საგარეო საქმეთა ეკონომიკურ მრჩევლად დანიშნა, მაგრამ კომუნისტური იმპერიის უზურპაციამ დროებით შეაჩერა მისი დაწყებული რეფორმები. მიმდინარე საუკუნის საქართველოს ეკონომიკური და სოციალური აღმავლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სისრულით გამოიყენებს იგი ნიკო ნიკოლაძის რეფორმატორულ ტრადიციებს.

---

[64] ნ. ნიკოლაძე. თხზ.ტ. I. გვ. 63.

[65] Яковлев А Н. Сумерки. Глава третья. Петр Столыпин. М. : Материк, 2005.

დამატება Г.

პირველი წერილი მეგობარს

რამდენი ხანია მთხოვ ვუპასუხო შენს კითხვებს, რისთვისაც აქამდე ვერ მოვიცალე. ახლა ამ წერილის სახალხოდ გწერ და ვეცდები კეთილსინდისიერად შევასრულო შენი თხოვნა.

რა გვჭირს?

აზროვნების დეფიციტი.

უფრო ვრცლად.

ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეში გადასვლა სპონტანურად ანუ თანდათანობით უნდა მომხდარიყო მოსახლეობის აზროვნების განახლებასთან ერთად. ჩვენ რევოლუციის გზა ავირჩიეთ, ვინაიდან ხელისუფლების სათავეში მოქცევა, ასე უფრო სწრაფად ხდება, მითუმეტეს თუკი ხალხს დაპირებებით აიყოლიებ. პატრიოტიზმი ასეთ შემთხვევაში დროშაა, რომლის უკან ვიწრო ეგოიზმია ამოფარებული. ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ლოზუნგი ავანტურაა. ხალხი თვითონ უნდა იყოს თავისთავის პატრონი და აირჩიოს ხელისუფლება, რომელიც ადამიანური თავისუფლების ყველაზე უკეთეს პროგრამას წამოაყენებს.

როგორ აირჩიოს?

საქმეც ესაა. როცა ხალხი მასობრივად დაუსაქმებელია, სწორ არჩევანს როგორ გააკეთებს. ხომ გახსოვს ნიკო ნიკოლაძის წერილებს რომ გიყვებოდი. მგონია იგი ახლა ცოცხალია და რასაც ვლაპარაკობთ, გვისმენს. აი, რას წერდა ბატონი ნიკო. ყველამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ აზრი-"რას დავეძებ","ჯანდაბას"_ყოველთვის იმარჯვებდა. ზოგჯერ დასძენდნენ: "ჩვენ ხომ მოსაპარი არაფერი გვაქვს!", ან " ჩვენ რა უნდა გაგვიკეთოს ცუდი?" გვშია, გვწყურია, გვეშინია, თავს გვესხმიან, გვკლავენ, სამართალს ვერ ვპოულობთ, ტყეები გადავპარსეთ და ქვეყნის გარეთ ჩალის ფასად გავაპარეთ, ტრაქტორებს ვიღან ჩივის, რკინის ნაჭრები არ დაგვიტოვებია ცხენის ნალი რომ გამოვჭედოთ, ამაზე მეტი ცუდი რაღა უნდა გაგიკეთონ.

მაშ საშველი აღარ არის?

ვინ თქვა, რომ საშველი არ არის! არის და ის ხელისუფლებაშია. მან უნდა იტვირთოს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, მაგრამ

ქვეყნის გაძღოლას ხომ ცოდნა სჭირდება. ცოდნა კიდევ დაბალი საფეხურებიდან იწყება. კარიერა იერარქიულია. ესაა მძიმე პერიოდი ქვეყნის ცხოვრებაში და ამ დროს ერის მამა უნდა მოევლინოს ქვეყანას მისი ინტელექტუალური გენოფონდიდან. რომელიღაც ტალანტს ისვრის ქვეყნის უმდიდრესი წარსული და იგი იტვირთავს აზროვნების განახლებას. აგერ საუკუნე ნახევარზე ცოტა უფრო წინ, არსთა გამრიგემ მოავლინა ნიკო ნიკოლაძე და მან იესოსავით დაგვმოძღვრა და ქმნა სასწაულები ჩვენდა დასანახად. სხვა მესია საჭირო აღარ არის, მისი მიმდევრების, მოციქულების გამრავლებაა საჭირო.

არის კი ახლა ჭკვიანები ხელისუფლებაში?

როგორ არა, მაგრამ ისინი ცოტანი არიან. ბევრი მათგანი დახამებულია ჭამას, ქვეყანა მათთვის გაწყობილი დიდი სუფრაა, სადაც უნდა ჩანთქან ყველაფერი, რაც მუცელში ჩაეტევათ. ძალიან ცოტამ იცის, რომ მას ქვეყნის კეთილდღეობის პასუხისმგებლობა აკისრია და არის ის, რასაც აკეთებს. ყველა ადამიანი ვალდებულია იცოდეს, რომ სიკეთე, რომლითაც ახლა ვსარგებლობთ, წინა თაობებმა დაგვიტოვეს და მისი გამრავლების ვალდებულება გვაკისრია. ეს ახლა რიტორიკაში არ ჩამითვალო. შემოქმედება არის ადამიანის არსებობის საზოგადოებრივი მეტრი. თუკი ეს არ გვესმის, მაშინ ჭამისთვის დავბადებულვართ და თურმე არ ვყოფილვართ ადამიანები.

მაშ რა ხდება ჩვენს თავს?

არაფერი განსაკუთრებული. აზროვნების შეცვლის პროცესია, მთავარ პარტნიორს-რუსეთს ვიცვლით, უფრო სწორად, რუსეთი ორი საუკუნეა ვერ გაერკვია საქართველოს ეროვნულ თავისებურებებში, მის თვითმყოფადობასა და ტრადიციებში. თავისთან ვერ გვიგუა, ცალკე გამოვედით და არც ეს მოსწონს. ეს მისი საქმია, მაგრამ ჩვენ ევროპისა და ამერიკის ცხოვრების წესებს ასე უაპელაციოდ ხომ ვერ მივიღებთ. ეს კიდევ დროის საქმეა. ეროვნული, თუნდაც მოძველებული ტრადიციების გადაფასება ადაპტაციის პროცესებში ხორციელდება.

ხალხი?

ხელისუფლებისა და ხალხის განცალკევება პირობითია. ჩვენ ხშირად მექანიკურად გადმოგვაქვს ფეოდალური ეპოქისა და ინ-

დუსტრიამდელი კაპიტალიზმის მოძველებული კატეგორიები თანამედროვეობაში. ეს ამაოდ მცდელობაა, რომელიც არაფრად ვარგა. ვინაიდან ხელისუფლება და ხალხი ერთიანია. ხალხიდან მოდიან და ხალხში ბრუნდებიან. ჩვენი მოსახლეობა ნელ-ნელა იღვიძებს, მწარე სინამდვილიდან სწავლობს ახალ ცხოვრებას. აქამდე მას ხელისუფლება არ მიხმარებია.

რატომ არის ასეთი სასტიკი.

ეკონომიკა არის სასტიკი და არასამართლიანი.სიმდიდრის შექმნის სათავეები, როგორც წესი, ბინძურია. ეს პროცესები კაცობრიობამ ტანჯვით გაიარა. სანამ მასობრივი დასაქმება არ იქნება, ხალხი წელში ვერ გაიმართება.

როდის უნდა ველოდოთ ასეთ დასქმებას?

ეს საქმიანი მოძრაობაა და თაობებს უკავშირდება. ერთბაშად ადამიანს არასდროს არ უსწავლია. ახლა ჩვენი თანამედროვეების უმრავლესობას თვითრეალიზაციის, თვითორგანიზაციის უნარ-ჩვევები აკლია. ამიტომ ყველაფერს სხვებს ვაბრალით და ერთმანეთს ვმტრობთ, ხელებში მივჩერებივართ, იქნებ რაიმე წავართვათ ანდა გავუფუჭოთ მაინც.

ჩანს კი რაიმე უპირატესობა?

რა თქმა უნდა. ის, რაც კეთდება, ცოტა როდია და გაცილებით მეტი იქნებოდა ხალხი რომ ამდენ უხეირო და უღირს ხელისუფალსა და ჩინოვნიკს არ უყურებდეს. ეს ნდობის საფრთხობელაა. პარლამენტარი რომ ცოლთან განქორწინებისთვის ქვეყნის თვალის ახვევას მოინდომებს, იმას ჭკუა მოეკითხება? ამისთვის უნდა მოცდეს ქვეყანა?

რა სჭირს ქუთაისს აქამდე რომ პატრონი არ გამოუჩნდა.

ამ ქალაქს დიდი ხანია ხეირიანი ხელისუფლება ვერ მოვუძებნეთ. იცი რატომ? ქუთაისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სავაჭრო, კულტურული და ტურისტული ცენტრია არა მარტო იმერეთისა. ეს უფრო რთული ფუნქციებია, ვიდრე რომელიმე ქალაქის ან რაიონის საწარმოთა ამოქმედება და მარტო რთული კი არაა, ქუთაისის ფუნქციონირებაა ძვირი. ამიტომ სხვა ქალაქებისა და რაიონების ინვესტიციური გადაწყვეტილებები ქუთაისთან უნდა შეწონასწორდეს. ასე იკითხება დღეს ჩვენი ქალაქის ეკონომიკური ცხოვრება, მაგრამ ამის გაგება არ გინდა?

მართლაც თვალში საცემია ამდენი უხეირო და უნიჭო, არაფრის-მქმნელი ხელისუფალი, რომელთა უმრავლესობის ბიოგრაფია რევოლუციის ჯარისკაცობით იწყება.

ასეთი პრაქტიკა უხეში შეცდომაა და ის მალე გასწორდება. ვერანაირი ხელისუფლება ვერ იარსებებს ნიჭიერი ადამიანების გარეშე. რევოლუციით ასეთი გადარჩევა და დაწინაურება არ ხერხდება, პირიქით, ნამდვილმა რევოლუციამ გზები უნდა გაუხსნას ტალანტებს. ადამიანების ასაკობრივი გადარჩევით ხელისუფლება წინ ვერ წავა (მოვა დრო და ეს სირცხვილად დაგვრჩება). ეს ვერც ფანატიკოსმა კომუნისტებმა მოახერხეს. იძულებული გახდნენ მათთვის საძულველი კაპიტალისტები და სპეციალისტები მოეწვიათ და საქმეები მიენდოთ.

გადარჩება საქართველო? რა გადაარჩენს მას?

საშინელია ასეთი კითხვების მოსმენა. ქვეყანა გადარჩენილია და იმ გზებზე დგება, რომელსაც ის საუკუნეები ელოდებოდა, მაგრამ ამითვის აქამდე საკმარისი პირობები არ არსებობდა. სურვილები კი, იყო სწორი, მაგრამ ისინი ხომ უნდა დაბალანსებულიყო თანამშრომელი ქვეყნების სურვილებთან, ინტერესებთან და შესაძლებლობებთან. გველისთვის პერანგის გამოცვლა ისე მტკივნეული არ არის, როგორც ჩვენი ქვეყნის პოზიციებისა და ტრადიციების გადაფასების პროცესები. არც მე მსიამოვნებს ამ გაჭირვებაში ყოფნა, მაგრამ სიამოვნება-უსიამოვნებით სინამდვილე შეიცვლება?

ჩვენ მდიდარი და საოცარი ქვეყანა გვაქვს, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა მტერიც და მოყვარეც. შენ რომ ი.რაინეგსის წიგნი მათხოვე იქედან ერთი ადგილი გამახსენდა."კეთილმა ბუნებამ დაიცვა ქვეყნისა და ერთი მუჭა ხალხის მდიდარი საგანძური, როდესაც შექმნა ნარევი: რაც აზიას აქვს განსაკუთრებული და ევროპას თავისებური, აქ ერთად მოაქცია". ეს ასე იყო აქამდე, ახლა ქვეყნის სიმდიდრეების შენარჩუნება უფრო ძნელია. ჩვენ საერთოდ გვჩვევია ყველაფრის გაზვიადება. განათლებულ სტუმარს უკვირდა და ახლაც უკვირს ჩვენი უსაქმურობა. გამოვუტყდეთ საკუთარ თავს, ძალზე ცოტას ვშრომობთ. თვალები გარეთ გაგვირბის. არადა ცივილიზებული ქვეყნის ადამიანები აღმოჩენად თვლიან ცხოვრების ქართულ წესს, მის კულტურასა და ტრადიციებს. მოდიან

ჩვენთან ჭკუის სასწავლებლად და ბევრს ჩვენთან, ჩვენგან სწავლობენ. მაგრამ უნდა ვიცოდთ, რომ უცხოელ ბიზნესმენს თავისი ინტერესი აქვს და ჩვენ-ჩვენი. ეს თამაშია და თამაშში ძლიერი იგებს. გვეყოფა. იმდენი წავაგეთ, ჭკუის სასწავლებლად საკმარისზე მეტია.

ოცდამეეერთე საუკუნე არის ადამიანის აღდგომა მკვდრეთით. ეს მეტაფორაა და მკვდრების გაცოცხლებას კი არ ნიშნავს, არამედ ადამიანის მიბრუნებას თავისთავთან, როცა ის თვითონ ხდება თავისი თავის პატრონი ანუ იქცევა სხვად იმისაგან, რაც იყო, როცა მაღლა მიაქვს შემოქმედების ნიჭი და უნარი და ეს არის მისი მიახლოება ღმერთთან, როგორც უზენაეს შემოქმედთან. ჩვენ ამისთვის ყველა პირობა გვაქვს. პირობები უნდა გამოვიყენოთ.

ხომ მეთანხმები.

პატივისცემით

რამაზ ნამიჭეიშვილი

დამატება Д.

მეორე წერილი მეგობარს

შენ გინდა გიპასუხო, თუ როგორი ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს საქართველოს რუსეთთან.

კეთილი, მაგრამ თვითონ რუსეთი რანაირი ქვეყანაა, ამაზე თუ გიფიქრია? თუ არა და, მაშინ კითხვაზე პასუხი ისე არ გამომივა, წინამდებარე ამ ჩემს წიგნს თავიდან ბოლომდე თუ არ წაიკითხავ (კაი საქმეა, ღმერთმანი, ხომ?). ვიდრე წაიკითხავდე ჩემს წიგნს, ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, თუ რა არის რუსეთი.

წაკითხული მაქვს ბოკლის, მარქსის, ენგელსის, ბერდიაევის, პაიფსის, ტოლსტოის, ბუშკოვის, სუვოროვის, სოლოვიოვის, სოლოუხინის, იაკოვლევის, გაიდარის, პოპოვის, იასინის და სხვა კიდევ ბევრი მეცნიერისა და დიდი პოლიტიკოსის შრომები. ძნელი არ არის მათი წიგნებიდან დასკვნების გამოტანა. არ ვარგა თქმა იმისა, რომ რუსეთმა არ იცის, თუ რას აკეთებს და რა უნდა გააკეთოს. პირიქითაა, მან კარგად იცის-რუსეთის ფედერაცია არის უპრეცედენტო "პროფესიული" იმპერიული სახელმწიფო. რუსეთი იმპერიით

გახდა ცნობილი მსოფლიოში, მაგრამ ისიც ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთის იმპერია მის ხელისუფლებაში მოსულმა უცხოელებმა შექმნეს და არა თვით რუსებმა.

დაინგრაო, წელან მკითხე. რა დაინგრა. გაეცალა ბალტიისპირეთი, უკრაინა და მოლდავეთის ნაწილი, აზერბაიჯანი, საქართველოს ნაწილიც. დარჩა ძირძველი იმპერია ლამის მთელი ჩრდილო კავკასიითა და ურალისიქეთ, ციმბირის ჩათვლით.

კი, ახლა რუსეთი არის შეკვეცილი იმპერია! მაშ ვისი იმპერია და მახვილი?

ფარი და მახვილი, პური და მარილი "მორჩილი" მეზობელი ქვეყნებისთვის. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებაში ყოველთვის სხვა ერის წარმომადგენლები იყვნენ. ფაქტი ხომ სახეზეა. ისინი რუსეთს საზარბაზნე ხორცად იყენებდნენ და ამით ევროპის სახელმწიფოთაშორისი დაძაბულობის ბალანსს ქმნიდნენ. ქართველები გახდნენ პირველები, რომლებმაც რუსეთი თავიანთი შესაძლებლობების სარკეში ჩაახედეს და რამდენიმე ევროპული სახელმწიფო ძველ რუსულ იმპერიაში მოაქციეს.

სტალინი, ბერია და სხვა ქართველები რუსოფილები იყვნენ?

რა თქმა უნდა. იმათ სხვებს მოუსპეს სათარეშო ოლიმპიადა რუსეთში, მაგრამ რაკი თვით რუსები არაფერს წყვეტენ თავიანთ ქვეყანაში, სხვა ჯურის პოლიტიკურმა ელიტამ ქართველებზე შური იძია. ღმერთმა იცის რა არის ნამდვილი რუსეთი, მაგრამ რუსეთი სხვებს თავისთვის სჭირდება. ამის შესახებ უამრავი ლიტერატურა დაგროვდა.

"გიჟი" ქართველები უნდა გამოდევნონ რუსეთიდან?

სწორად მიმიხვდით. ფიქრობენ, რომ ქართველების რუსეთის ხელისუფლებაში მოხვედრა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს. მაგრამ უფრო უარესი კიდევ ის არის, რომ სხვა ქვეყანა და კერძოდ ამერიკა საქართველოში რუსეთში მოთარეშეებისათვის ძალზე საშიში მოვლენაა. გამოსავალი ერთია-მათი აზრით საქართველო უნდა განადგურდეს, როგორც ეს ხრუშჩოვის, სუსლოვისა და მათი მსგავსების წერილობით თუ ზეპირ ნაბოდვარში არის მოთხრობილი.

ჩვენცა გვაქვს ჩვენი წილი ცოდვა. ეს ჩვენ, ქართველებმა დაუდეთ სათავე კავკასიის დაპყრობას. მაგრამ განა კავკასიელების ჩა-

მორჩენილობა არ იყო და არ არის დღეს ქართველებისადმი შუღლი და მტრობა? ახლა ქართველების ვალია შექმნას კავკასიის რეგიონის მთლიანობის საზოგადოებრივი თვითშეგნების რეპროდუქცია.

როგორ, რუსეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება გამორიცხულია?

რა თქმა უნდა, რუსეთი მარტო იმპერია კი არა, იმპერიული ამბიციაა. სტალინიზმი ხომ გაქრა რუსეთიდან, მაგრამ ტროცკიზმი მოვიდა. უკეთესობა რაშია. ქართველებისთვის ის სხვაობაა, რომ ტროცკიზმის დროს ქართველი რუსეთის ხელისუფლებაში არ უნდა მოხდეს. ა, ბატონო ფაქტი. ერთმა ქართველმა იმპერია შექმნა, მეორემ მის დანგრევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. "რუსებს" არც ერთი უნდათ და არც მეორე. ჰოდა, ახლა რუსეთის ხელისუფლებაში ქართველის მოხვედრის ალბათობა "რუსოფობების" ძილისდაფრთხობის ყველაზე დიდი საშიშროებაა. პოლიტიკაა ალბათ ისიც, როცა ენაზე რუსეთის სიყვარული გაკერია და საქმით რუსეთი იოლი გამდიდრების საშუალებაა.

გამოდის რომ ორი რუსეთი არსებობს?

რა თქმა უნდა, მაგრამ ორი რუსი კი არ არსებობს, ერთი რუსია ხელისუფლებას ჩამოცილებული და მეორე-თვითნებურად გარუსებული და რუსულენადმოქცეული. ინტელექტუალურმა რუსებმა იციან, რომ ამჟამინდელი რუსეთი არარუსეთია. ა. იაკოვლევი წერს: "...вечная беда России-царь царствует, чиновничество правит, цар хочет, а бояре могут". სხვათა შორის ინტელექტუალური რუსები რასაც წერენ, იმას ჩვენ ვერაფერს მივუმატებთ. მათ თავიანთი უბედურება ძალზე კარგად იციან, მაგრამ იმათ ამას არავინ ეკითხება. სასტიკად გაუსწორდებიან. შიში რუსეთში დამოკლეს მახვილია.

გამოდის რომ რუსეთი გაურკვევლობაა?

დიახ, სრული გაურკვევლობაა. ძნელი სავარაუდოა, როგორ მოახერხებს ახლანდელი რუსეთი იმპერიიდან ეკონომიკურ სახელმწიფოდ გარდაქმნას. სჭირდება კი ეს პოლიტიკური ელიტას, რუსულ ბიუროკრატიას? ამის პროგნოზირება ძნელია. ჩვენი მთავარი ამოცანაა ნატოს სფეროში მოვექცეთ, ამერიკისა და ევროპის სტრატეგიული პარტნიორი გავხდეთ. ამერიკა ეკონომიკური სახე-

ლმწიფოა. საქართველოს საკმაო პოტენციალი აქვს დიდი ეკონომიკური აღორძინებისთვის. გეოგრაფიული მდებარეობა მისი ბუნებრივი უპირატესობაა. ჩვენ ნამდვილ დამოუკიდებლობამდე ბევრი გზა დაგვრჩა გასავლელი. არ ვარგა, როცა სულ ენაზე გვაკერია, რომ მოგვატყვილეს, სავაჭრო გარიგების საგნად გვაქციეს. პოლიტიკური თამაში უნდა ვისწავლოთ. ჯერ დიდი პოლიტიკისაგან შორს ვართ.

მაშ სატელევიზიო დებატებს, პირდაპირ დიალოგებს მნიშვნელობა აქვს?

კი, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ველოსიპედს ნუ ვიგონებთ, იმათ დაქირავებულ თუ დაშმტამპულ პოლიტოლოგებს მათივე ქვეყნის მეცნიერთა და პოლიტიკოსთა წიგნებიდან უნდა ვესაუბროთ. ამით ერთ ენაზე მოგვიხდება საუბარი. ახლა სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ და ცალკ-ცალკე ვიცინით. ამისი შედეგი რა არის, მე არ ვიცი. არ არის საკმარისი მართალი იყო, სიმართლეს დაცვა უნდა არსებული პირობების შესაბამისად. მარტო არც ცოდნა კმარა, არც პოლიტიკა, არც დიპლომატია. აქ ბევრი რამ არის საჭირო. ეს ძნელი მისახვედრია?

კი, მაგრამ რუსეთიდან ქართველი ხალხის გამოდევნა რა შუაშია.

რუსული პოლიტიკური ელიტა პროფესიული როდია. რუსეთიდან ქართველების გამოდევნით ჩვენი ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გამოწვევა სურთ, რაც აბსურდის თეატრია. პირიქით გამოდის, ინტელექტუალურ რუსულ უმცირესობას ჩვენდამი კიდევ უფრო მეტი თანაგრძნობა და სიმპატია უჩნდებათ. უნიჭო რუსი და შეგნებულად გარუსებული უცხოელებისთვის ქართველი ჯიშით და მოდგმით მტრის მოლანდებაა. ამის დანახვა ჩვენს ხალხში ზიზღს იწვევს. ეს ქართული მოსახლეობის შემჭიდროებისაკენ მიდევნაა და არა წინააღმდეგობათა გამწვავება.

გამოდის, რომ რუსეთიდან გამოვდივართ და ამერიკის გავლენაში ვექცევით.

ზუსტად ასეა. ნაკლებ ბოროტებას ვარჩევთ. რანაირი კარგი არ უნდა იყოს პატრონი, მეურვე მაინც მოკლებულია თავისუფლებას. მაგრამ ეს მოძრაობაა დამოუკიდებლობისაკენ. ჩვენი ნამდვილი თავისუფლება ჯერ კიდევ წინაა. თავისუფლებაში ეკონომიკური თავი-

სუფლება მთავარია. თითები ბევრია ეროვნული კონკურენტუნარიანი პროდუქციის ჩამოსათვლელად. ერთი მერცხალი გაზაფხულის მახარობლობისთვის ვიღაცისთვის კარგია, მაგრამ დანარჩენებმა რა ქნას? ამისთვის აუცილებელი პირობაა კავკასიის რეგიონალური დამოუკიდებლობა, მისი მოსახლეობის თვითგამორკვევა. კავკასია ახლა გეოგრაფიული ტერმინია და არა ეკონომიკური მთლიანობა, რეგიონული ერთეული. ეს ბუნებრივი რეგიონალობა უნდა აღდგეს. ეს შორეული პერსპექტივაა და მისი რეალიზაციისათვის დღენიადგ უნდა ვიბრძოდეთ. მაგრამ ფრთხილი დიპლომატია უნდა ვისწავლოთ. სიმართლე დიდი ძალაა, მაგრამ სიმართლე ბრძოლაში გამარჯვების გარანტია არ არის. ტაქტი და დახვეწილობა საქმეს არ ვნებს, უტაქტობასა და უპატივცემულო მიმართვებს ქვეყნისთვის დიდი უსიამოვნების მოტანა შეუძლია.

რუსეთსა და საქართველოს ის საერთო აქვს, რომ ორივე გაურკვევლობაშია.

დამატება E. რა ვიცით ჩვენს შესახებ და რას უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში

ეს შრომა დამთავრებული მქონდა, როცა ვალერიან ადვაძის წიგნი "ეკონომიკური აზროვნების დეფიციტი" წავიკითხე. საერთოდ დეფიციტი, რომ სოციალიზმის მოურჩენელი ავადმყოფობა იყო, ეს ეკონომისტებისთვის კარგად ცნობილია იანოშ კორნაის გახმაურებული მონოგრაფიიდანაც[66]. ყველანაირ დეფიციტს აზროვნების ჩამორჩენილობა განაპირობებს. აზროვნების ჩამორჩენილობამ იმსხვერპლა კომუნისტური იმპერია, რომელსაც, რა თქმა უნდა, ისედაც არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა, მაგრამ უფრო თანამედროვე აზროვნება მას კატასტროფამდე არ მიიყვანდა და ქვეყნების მოსახლეობას ღმერთის იმედად არ დატოვებდა (აზროვნება შემოქმედების უზენაესობაა-ო-უთქვამს ბლეზ პასკალს). იმპერიის მთავრობისა და კომპარტიის დაპირისპირება წლების მანძილზე

---

[66] Корнай Я. Дефицит. М. : Наука, 1990.

რომ გრძელდებოდა, კულმინაციას მეოცე საუკუნის 80-იან წლებში მიაღწია. უნდა შევთანხმდეთ, რომ რუსული დემოკრატიის ერთერთი ცნობილი ავტორი ალექსანდრე იაკოვლევი ცამდე მართალია-(მხედველობაში მაქვს ზემოთ დასახელებული მისი წიგნი)-გორბაჩოვი "პერესტროიკას" ვერ განახორციელებდა, ვინაიდან როგორც მას, ასევე სხვებსაც არ ესმოდათ, რა იყო "პერესტროიკა".

იმპერიის კუს სიჩქარით მიმავალ მანქანას ქართველებმა ქვა ვესროლეთ და მისი გაჩერებაც ამით დავიბრალეთ. თავის წიგნში ბატონი ვალერიან ადვაძეც ბოლომდე იცავს აღნიშნულ დებულებას. კომუნისტური ხელისუფლება ისედაც ნაკლებ კომპეტენტური იყო და მასზე უფრო გამოუცდელი მთავრობა ქვეყანას რა ხეირს დააყრიდა. რანაირად გამოადგება განათლებას მინისტრად კაცი, რომელსაც საამისო გამოცდილება არ გააჩნია, რანაირი იქნება სარდალი, რომელსაც სამხედრო სამსახურიც არ გაუვლია. შეიძლება მუშტები უქნიო ჯარს, რომელიც მსოფლიოს შიშის ზარს ჰგვრიდა? არაფრად და სასაცილოდ აიგდო უშიშროება, რომელსაც თავისი ქვეყნის კი არა, სხვა დანარჩენი მსოფლიო ხალხების ფეხის ნაკვალებიც არ დაუტოვებია დაუთვლელი? რა ვქნათ, გამოუცდელ ადამიანს დაპირებები უყვარს, რევოლუციურ ხელისუფლებას, მითუმეტეს. ახლა ფაქტები სახეზეა. ქვეყანა ჯერ დავასუსტეთ, მერე დავაუძლურეთ, კომპარტიის წევრობა ადამიანს დანაშაულად ჩავუთვალეთ და ბოლოს მივიღეთ რევანშიზმი, რომელიც დღემდე გრძელდება. ახლა, როცა ამ დამატებას ვწერ, აქვე ახლოს ქუთაისის რესურსცენტრში სკოლის დირექტორების მოჩვენებითი კონკურსია, ვინაიდან მთელმა ქალაქმა თუ არა, სკოლის პედაგოგებმა თითქმის შეუცდომლად იციან, თუ რომელ კანდიდატს სად და რომელ სკოლაში "აირჩევენ". ვის ვეთამაშებით და ვატყუებთ ამ თვალთმაქცობით. აქაოდა მაშინდელ ხელისუფლებაზე უკეთესები ვართო. ეს ხომ სხვადასხვა ინტონაციით ათასგზის დაღრიალებული ტყუილია. ამ გზებით ქვეყანა სად და როდის აშენებულა. ჰოდა, ამიტომ ისევ იქა ვართ, სადაც ადრე ვიყავით, უღონდ იმ განსხვავებით, რომ ფიგურებს ფერი შეუცვალეს.

ზოგჯერ წიგნებიდან ისე ჩანს, თითქოს ჩვენს ხელისუფლებას ხეირიანი მრჩევლები არ ჰყავდეს და ამიტომ უკეთეს მდგომარეობას ამის გამო ვერ მივაღწიეთ. მაგრამ აქ ორი შეცდომაა. ჯერ

ერთი, საინტერესოა ვიცოდეთ, თუ ვინ მიაჩნიათ მრჩევლად. მეორე, ძალიან ძნელია რჩევა გამოადგეს იმას, რომელსაც შესაბამისი ცოდნა არ გააჩნია ("კარგ მთქმელს, კარგი გამგონე უნდა"). პირველ ყოვლისა, მხედველობაში ისევ ეკონომიკური აზროვნების დეფიციტი მაქვს. დღემდე გაუგებარი დაგვრჩა ის ელემენტალური ჭეშმარიტება, რომ დახმარებების ქვეყნები არ არსებობენ და რომ ყველა სესხსა და ტრანშს თავისი ღია ან ფარული შორეული ეკონომიკური სტრატეგიის დანიშნულება აქვს. განა საკვირველი უნდა იყოს ისიც, რომ თანხებს სამამულო წარმოების განვითარებაზე არავინ გვაძლევს? სრულიად გასაგები უნდა იყოს ისიც, რომ ყველა უცხოელს ჩვენთან დამოკიდებულებაში თავისი კერძო ინტერესი აქვს, ისევე როგორც ის ელემენტალური ჭეშმარიტება, რომ თვითოეულ ქვეყანას თავისი ეროვნული ინტერესები გააჩნია. მაგრამ ეროვნული ინტერესები ხომ ყველაზე მაღლა უნდა იდგეს, რასაც ძალიან ხშირად ვერ ვხედავთ. სამაგიეროდ უფრო განათლებულ უცხოელებს ყველა ნაბიჯი გათვლილი აქვთ. ქუთაისში ვითომ შემოგვეპარა ჩინელი მცირე და საშუალო მეწარმეები, რომელთაც მხოლოდ ის უპირატესობა ჰქონიათ, რომ "ნაჩუქარი" ფულით საშუალება ეძლევათ უპრობლემოდ წაეპოტინონ იმ ეკონომიკურ სიმაღლეებს, რომლებსაც ჩვენ ვერ ვიცავთ იმიტომ, რომ მისი დაცვა არ ვიცით. ალფრედ მარშალისა არ გაგვეგება, რომ ფული საშიშროებად იქცევა, მაშინ როცა ის მორალურ-ზნეობრივ საზღვრებს გადადის.

უკვე საზოგადოებრივად ცნობიერია, ის რომ ეკონომიკა ეროვნული მეცნიერებაცაა, რაც, საუბედუროდ, დღემდე ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებად არ ქცეულა და ამიტომ იგი არ ვრცელდება არანაირ ბიზნესზე. ეს ყველაფერი უფრო ხელისუფლებიდან ტირაჟირდება და ეკონომიკა მხოლოდ ინტერნაციონალურ საქმიანობად არის მიჩნეული. ამგვარი აზროვნების სახელისუფლო ჩინოსნებს გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ მთავარია ეროვნული ეკონომიკის კარები გაუღო ნებისმიერ სუბიექტს, რომელიც, მნიშვნელობა არა აქვს, საიდან მოადგება ქვეყანას. ჩინელებიო, რომ ვთქვი, ისინი კი არ მეჯავრება, ჩვენი გონებრივი შეზღუდულობის გამო მრცხვენია და მომავლის მეშინია: როგორ შემოვიდა ამდენი ჩინელი საქართველოში, ამ მოკლე ხანში. ვინ მისცა მათ თანხები ეყიდათ ქონება, როგორ ახერხებენ ისინი ჩვენს ქა-

ლებთან ფაქტიურ თუ ფიქტიურ ქორწინებას. იმათ სახელმწიფო ეხმარება? საქართველოში ჩვენს მოქალაქეს ვინ ეხმარება მეწარმეობის განვითარებაში? ჩვენ ისეთი ლამაზი და მდიდარი ქვეყანა გვაქვს, რომლის დაცვას დიდი ინტელექტი და ვაუკაცობა სჭირდება. ნუთუ მლრდ. 300 მლნ. ჩინელის ორგანიზება უფრო იოლია, ვიდრე 4 მლნ. ქართველისა! საცოდავია ისეთი ადამიანი. რომელიც ეკონომიკური მოვლენების არითმეტიკული შეფასებების იქით ვერ იხედება. რომელი არითმეტიკული გათვლებით შეიძლება იმის დასაბუთება, თუ რა იქნება 10-15 წლის შემდეგ ჩინელთა ასეთი ინტენსიური შემოსახლების პირობებში. რა მაქვს მხედველობაში! შეგვიძლია დავთვალოთ, რამდენი ჩინელი შემოვა საქართველოში 2015 წლამდე? ეს ხომ დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ჩვენი ორი სახელმწიფოს გეოპოლიტიკა, ცხოვრების პირობები საქართველოში, მსოფლიოს დემოგრაფიული სიტუაცია. მაგრამ ემიგრაცია ხომ ფაქტია.

ჩვენს ქვეყანას დემოგრაფიული იმპოტენცია მოეძალა: უამრავი გაუთხოვრად დარჩენილი-არაფერტილური ქალი, მომავლისადმი გამოუდეგარი ნარკომანი და ავადმყოფი მამაკაცები, მათ გამო უპარტნიოროდ დარჩენილი ასევე უამრავი ქალი და ქალიშვილი, უკიდურესი სიღატაკე, როცა უმრავლესობას ლუკმა-პური უჭირს. ამ ფონზე შემოდის უცხოელი, რომელსაც ჩვენი უმდიდრესი ქვეყნის ყველაფერი აკმაყოფილებს: გაუთხოვარ ბებრებზე ფიქტიური და ფაქტიური ქორწინება, მშიერ გასათხოვარზე ჯვრისწერა (იმ მშიერმა ქალმა რა ქნას?), მითუმეტეს, რომ ქვეყნის, რამდენიც გნებავთ საჭეთამპყრობელი, ათასგვარი აღვირახსნილობის თავისუფლების ფუფუნებაში ცხოვრობს და ისინი ზნეობრივი გადაგვარების კატეგორიებს არაფრად დაგიდევენ. ეს ქართველი ერის გადაგვარებისა და გადაჯიშების ყველაზე ახალი და ყველაზე ეფექტური მეთოდია. ჩინელი არ ემიჯნება ჩვენს ენას, პირიქით, სწავლობს ჩვენს ენასა და კულტურას, გვიშენებს მაღაზიებსა და საწარმოებს, მაგრამ სახლდება ჩვენს ეზოებში, წელებზე ფეხს იდგამს, ამრავლებს თავის ჯიშსა და მოდგმას, თუ მეტი არა, ათჯერ მეტი მოსავალი მოჰყავს ჩვენს მიწაზე, მიტოვებული რომ გვაქვს და კაი ხანია არაფრად გვიღირს. აი, აქ არის ხელისუფლების ეროვნული პასუხისმგებლობის ვალდებულება. აქედან გამომდინარე მიმტკიცე-

დება ის აზრი, რომ სამშობლოს სიყვარულიც ეკონომიკური კატეგორაა. თუკი ეკონომიკა ეროვნულიცაა, მაშინ ეროვნულობის სიყვარული ბუნებრივია და მისი სიყვარული ჩემი აღმოჩენა სულაც არ არის.

ამდენი ხანია ვწერ ხელისუფლებას ქუთაისში, რომ დამუშავებული მაქვს მოსახლეობის და განსაკუთრებით მისი განათლებული ნაწილის ეკონომიკური აზროვნების განახლების პროგრამები და რომ ამით ჩვენი მოქალაქეების დამოუკიდებელი საქმიანობა გაიზრდება, გაფართოვდება საბანკო კლიენტურის ქსელი. მაგრამ სჭირდება ეს ქალაქის ისეთ ხელმძღვანელს, რომელიც თანამდებობაზე ორი კვირის დანიშნულიც არ იყო და ქალაქის ბიუჯეტიდან სამსახურებრივი მანქანის შესაძენად 48 ათ. ეროვნული ვალუტის დახარჯვა მოასწრო? ეს ის ქალაქია, რომლის ბიუჯეტი 18 მლნ. ლარს არ შორდება, ანუ მის მოქალაქეზე წელიწადში ბიუჯეტიდან 70 ლარიც არ იხარჯება. აი, ამაზე შეიძლება ითქვას, რომ კომენტარები ზედმეტია.

ეს სტრიქონი ჩათავებული არ მქონდა, რომ მეგობარმა დამირეკა, გაჭირვებული ქუთაისის ქალაქის მერი ძვირადღირებული (48 ათ. ლარ.) სამსახურებრივი სარგებლობის მანქანის შეძენის გამო პირადი განცხადების საფუძველზე გაუთავისუფლებიათ. ეს ერთი მოსმენით სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც ვიღაცას თვითნებობაზე პასუხს სთხოვენ, მაგრამ როგორ შეძლო ქუთაისის მერმა ასეთი სოლიდური თანხის გადარიცხვა სხვებთან შეუთანხმებლად! უნდა ვიფიქროთ, რომ მმართველი პარტიის მიერ შერჩეული მერი ისევ პარტიულ ინტრიგას შეეწირა. ალბათ ის პარტიული კლანები და სოციალური ჯგუფები რაღაცაზე, თუ რაღაცებზე ვერ შეთანხმდნენ.

მე არ მინდა ვწერო იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს ჩვენმა ხელისუფლებამ იმის გათვალისწინებით, რომ ამის შესახებ წინამდებარე შრომის წინა თავებში მიწერია. საინტერესოდ მეჩვენება იმის გარკვევა, თუ რატომ არ აკეთებს თავის საკეთებელს ხელისუფლება უკეთესად და რა ბედი ელოდება, რისი, რა ძალების უნდა ეშინოდეს მას.

ჩემი დაკვირვება და ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ საქართველოში ხელისუფლების შეც-

ვლა ხალხზე არ არის დამოკიდებული. არც ხშირი სახელისუფლო ცვლილებებია მაინცდამაინც სასურველი, მაგრამ უკეთესობის ცოტა იმედი შეიძლება ვიქონიოთ იმის გამო, რომ ეს ჩვენი ნამეტანი ახალგაზრდა ხელისუფლება საქმეში გაიწაფება და კომპეტენტურობას აიმაღლებს, ვინაიდან მათ შორის არიან ნიჭიერი და პერსპექტიული კანდიდატურები. დიდი იმედი იმიტომ არა მაქვს, რომ მათი მორალურ-ზნეობრივი და ეროვნული პასუხისმგებლობის შეგრძნების დანახვა მიჭირს. მაგრამ არის ის, რისი ყველაზე დიდი იმედი მაქვს. ესაა ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის ტრადიცია. ცხოვრების ქართული წესი და ჩვენი დახვეწილი მართლმადიდებლური კულტურა და რელიგია, როგორც კუმულატიური ენერგია, რომელთა გასხივების ფონზე სხვა ქვეყნების ცხოვრებისადმი დაუფიქრებელი მიმბაძველობის დამღლელ სერიალებს უნდა მოჰყვეს ტრადიციული ეროვნული თვითმყოფადობის გამოღვიძება.

დიდი ქართველი ბიზნესმენების—**ბიძინა ინაიშვილის, ბადრი პატარკაციშვილის, გოგი თოფაძის** და მათ მსგავსთა საქმიანობა ქართული ეროვნული ფესვებიდანაა წამონაზარდი და მიუხედავად ბიზნესმენებისთვის დამახასიათებელი ღია და გლობალური პრეტენზიულობისა, ფარდის მიღმა ქვეყნისთვის მათი პასუხისმგებლობისა და ეროვნული ვალდებულებების, რაღაც პრინციპულად ახალი, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის პროგრესული ხვეულები მაინც ილანდება. პროგრესს ვინ დამალვია, ანდა რატომ უნდა დაემალონ, პირიქით, თუ მათ პროგრესისადმი განვითარებული გრძნობა აქვთ, ეკონომიკურ გლობალურობაში უნდა ჩაერთონ, როგორც პროგრესისტები. მგონია გამომრჩა ის, რომ ეკონომიკურ პროგრესს მხოლოდ გამორჩეული პროფესიის ადამიანები ამჩნევენ და რომ ეს უმცირესობების პრეროგატივაა. ჰოდა, სწორია, მაგრამ გვაპატიონ იგივე ბიზნესმენებმა, იმ შეხსენების გამო, რომ ისინი თავიანთი დიდი წინამორბედების საფუძველზე დგანან. მათ ეროვნულობაში ეჭვის შეტანა ზნეობრივი სიმდაბლეა.

სულ სხვაა ჩვენი სახელმწიფოებრივი, დიდ ისტორიული ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგია. იგი ერთადერთი ჩვენი საიმედო სულიერი, შორსმანათობელი ნათელი შუქურაა, და არა ჰორიზონტად ქცეული პერსპექტივა, არამედ ქვეყნისა და ხალხის სამსახურის ინსტიტუტი. ეროვნული ტრადიციების მცველი და მე-

ცენატი. განა მისი უზარმაზარი ძალისხმევა ყველაფერში არ იგრძნობა? ეკლესია-მონასტრების მშენებლობა და რესტავრაცია, ეროვნული საგანმანათლებლო მოძრაობა, მიუსაფართა დაცვა, უპატრონოთა მოვლა და აღზრდა, მეცნიერების გადარჩენისთვის თავდადება, მოწყალება და პატიება, შენდობა ცოდვილთათვის, ახალგაზრდობის სამეურნეო პატრიოტული განათლება, სისტემური მოძღვრება საქართველოს სამოქალაქო სიმშვიდისა და ურთიერთპატივისცემისთვის, ეროვნული სიწმინდისა და თვითმყობადობის შესანარჩუნებლად.

ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი ერთია. ჩვენი თავი უნდა ვიწამოთ, ჩვენი იმედი გვქონდეს, გადაგვარება სიკვდილის ნაირსახეობაა. ქართული რელიგია მარტო რწმენის მიმდევრობა კი არა, ცხოვრების წესია, რასაც ბევრი ვერ გებულობს და რაც, მართლაც, მხოლოდ ლოგიკური პარადიგმებით გაუგებარია.

სიმდაბლიდან სიმაღლისაკენ მისწრაფება ადამიანის ბუნებრივი არსებობის წესია. მაგრამ თუკი ყოფით სიმდაბლეს სირცხვილისა და ზნედაცემულობის შიში ახლავს, სიმაღლემ არც თუ იშვიათად მოწყენილობა და თავმიცემულობა იცის. სამაგიეროდ ნაჩვევი სიმაღლიდან დაცემას აღდგომის ცეცხლი ეკიდება და სიმაღლედ გადაგვარებული დაცემა შობილი აღმაფრენისკენ ილტვის. აკაკის "გამზრდელი" თავისი უნიკალობის მიუხედავად, მაინც უფრო მწერლური ფანტაზია მეგონა. ცოდვაში უნდა გამოვტყდე, სამეგრელოში გუშინწინ ნაძირალა შვილის დედის აფექტურმა კი არა, იმის შეგნებამ, რომ "კაცად ვერ გაზარდა" (იმ დედას ხომ მთელი კვირის წინ თვითმკვლელობის გადაყვეტილება მიღებული ჰქონდა და სადღეღამისო მეთვალყურეებმაც ვერ დაიმარტოხელეს), თავი ჩამოიხრჩო. იმას მეზობლებმაც მიჰბაძეს და ათწლეულობით სანიმუშოდ მოწყობილი ეზო-კარი იავარჰყვეს და უბედურად შერაცხეს, მიატოვეს, თვითგვემას მიეცნენ და სადღაც გადაიხვეწნენ. აი, სად არის ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის უსაზღვრო და უშრეტი ენერგია, ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის ჩვენი ერის ტრადიციული სიმაღლე.

РЕЗЮМЕ

Существует несколько путей приближения к экономической цели, однако, каждый из них имеет подходящие к ним параметры надежности, экономической безопасности, пропускной способности, которые представляются как альтернативние варианты приближения к цели. Но какой бы верный не дольжен быть тот или иной подобранный вариант альтернативы, он все-таки не является основой того, что цель оправдает средство и пути к ней, как и нооборот, пути не являются гарантией достижения экономической цели, ибо пути дольжны быть тестируемые варианты.

Нико Николадзе является выдающейся личности в Грузии, который проработаль пути приближения к человеческой свободе. Они представляются как средство подхода к зкономической цели с помощью знаний, риска, неисчерпаемой энергией; обмена информации с действующими субъектами и исходя из этого постепенное расширение масштабов сотрудничества, завоевание места в глобальных экономических отношениях, диалог с Европы и презентация человеческой самоорганизации, самоутверждения в расширенном порядке; объезд социальных и политических революций и ориентацию на обновление знании.

Государственная канонизация свободы человека позволяет ей быть субъектом в глобальных экономических отошений, когда гарантом успехов являются результаты исследования высококонкурентных национальных преймушеств и их преобразование в экспортные возможности расширения предпринымательских способностей населения. Фундаментов этих преобразований является опыт капиталистической Грузии за два прошлых веков. В исторически короткое время многие товары местного производства стали пробивать на рынки Европы, Азии и США, и, наоборот, из-за рубежа завозили многих видов технических культур, которые хорошо адаптировались к местным условиям, что потом положительно отозвался на улучшение жизненных условий населения. Современные потенциальные экономические и социальние возможности развития по количество и качеству намного больше на тогдашние возможности, за то низка компетентности провительства и национальной ответственности в обновлении экономического мышления. Национальные богатства страны и ее научный потенциал до сих пор не стал преобразоваться в интеллектуальные и информационные ресурсы.

Революционное провительство Грузии оказались зависимыми от своих солдат и их внешних факторов, что

взамен распределения провительственных дольжностей получили концентрацию провительства или в единство ветвей провительственного единоличия. В этих условиях фронтальное развитие экономики страны блокируются привилегированными социальными группами и малочисленными политическими блоками. Развязка протитворечии под силу нашей высококомпетентной национальной ответственности государственной аристократии если она рискует своей жизни в пользу своей родины.